

# მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
კვლევის ცენტრის კრებული

## ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора  
Ванского района

## Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore  
Research Centre

3560  
Вани  
Vani  
2017 წ.

№9

## სარჩევი

1. **ბადრი ბუხაიძე** .....  
ფუსტები, ქრისტიანობა და საქართველო
2. **შორენა პირველი** .....  
„ჩვენ შუმერები ვიყავით და ამის დამადასტურებელი ნიშნები სვანურ და სხვა ქართველურ ენებში მრავლადაა შემორჩენილი“
3. **ომარ კაპანაძე** .....  
სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით
4. **ომარ ბაბუნია** .....  
რაზე საუბრობენ სოფელ მთისძირის არქეოლოგიური გათხრების მასალები (წერილი მეორე)
5. **შალვა პარაშენიძე** .....  
ვანელი ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმნობის ზოგიერთი ასპექტი ახლადმიკვლეული მასალების მიხედვით
6. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** .....  
სალაღობო ფორმით გამოხატული გულისთქმა (გალაკტიონის სალაღობო ლექსები)
7. **ომარ ქაბნიძე** .....  
ორი დიდი მეცნიერის ერთი ფრონტული წერილის შესახებ
8. **ლუკა დვალისხვილი** .....  
ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლება XX საუკუნის 70-იან წლების საქართველოში
9. **ბურაჩ ბაღთიაძე** .....  
ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების არსის სისტემური ანალიზი
10. **თეიმურაზ ადგიშვილი**.....  
აკადემიკოსი ნოდარ ამალლობელი
11. **ლადო სულაბერიძე** .....  
(უმცროსი) შუილი შორეულ ტალღათა
12. **აპაკი თევზაძე** .....  
უკვდავ პოეტთა უანგარო ქირისუფალი — გიორგი ახოზაძე
13. **მურთაზ ივანიძე** .....  
ქართული ქირურგიის მეტრი – აკადემიკოსი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი
14. **მურად თვალაგაიშვილი** .....  
გაზეთი „საჩინო“ 85 წლისაა...
15. **ოთარ ჭონიძელიძე**.....  
სოფელი დიხაშხო

ფუსტები  
ქრისტიანობა და საქართველო

ბიბლიის თანახმად, კაცობრიობის მიერ ღმერთის ხსენება, დაბადებიდან ადამის შექმნიდან 235 წლის შემდეგ, ადამის შვილიშვილის, ენოშის ეპოქაში იწყება. „შეთსაც შეეძინა ვაჟი და უწოდა ენოში. მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება“ (დაბ. 4-26). ადამიდან ნოე მეთე თაობაა, ნოეს შთამომავლებია – სემი, ქამი და იაფეთი. ქამის ძეა ფუტი (იხ.დაბ.10-6). ფუტი ნოეს შვილიშვილია თუბალთან და მოსოხთან ერთად. ფუტი, იგივე ფუთი, თუბალი, მოსოხი, პროტოქართული ტომების სახელია. ბიბლიის გარდა ფუტი გვხვდება ეგვიპტურ, ხეთურ, ბერძნულ წყაროებშიც. მაგალითად, ბერძნულ წყაროებში I-VII საუკუნეებში მოიხსენიებენ კოლხ-მთიელ ფუტელებს, რაც ბერძნული ფასიანეს რელიგიური იდენტურია. ეს ფუ(ს)ტები – I ს. ანდრია პირველწოდებულის დროიდან არიან ქრისტეს სჯულზე მოქცეულები. ისინი ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა მოაქციეს ქრისტეს რწმენაზე. ფუტიების საძმო-ორდენი უხსოვარი დროიდან, თვით ბიბლიური ფუტის დროიდან არსებობს, ანუ წარღვნის შემდგომ ძვ.წ. VI ათასწლეულიდან. დაახლოებით 14-15 საუკუნის მოგვიანებით, მას შემდეგ რაც ენოშის ეპოქიდან კაცობრიობამ ღვთის სახელის ხსენება დაიწყო, ანუ ნოეს ეპოქაში, როცა შეიქმნა პირველი სჯულის კანონი, იგივე ეფუთი, რითაც ადამის ეპოქის თვითსჯულისაგან განსხვავებით, კაცობრიობას მიეცა ღვთაებრივი პირველი ნორმა-წესი ზნეობრივი ცხოვრებისა. ფუტიების საძმოს მთავარი დანიშნულება, ძნელბედობის ჟამს რელიგიური სინმინდეების დაცვა-შენახვა იყო. ფუტიები მცირეაზიელი ტომებია და ამას ბიბლია არაერთგზის იხსენებს, როგორც „ომის კაცებს“. „სპარსი, ლუდი და ფუტი იყვნენ შენს ლაშქარში – ომის კაცები, ფარსა და მუზარადს შენტან ჰკიდებდნენ, ისინი იქმნიდნენ დიდებას“ (ეზეკ. 27-10). ბიბლიაში ფუტი ასევე ნახსენებია; ამოს. 6-25, იერ. 46-9, ეზეკ. 30-5, 38-5, ნაუმ. 3-9 და სხვ. ეფუტი – ეფუთი ანუ ბიბლიის ძველი აღქმა – ეს ლექსემა დღემდე შემოინახა ქართულმა სააზროვნო მეტყველებამ. ეფუთის იდენტურობა ბიბლიის ძველ აღქმასთან დღეს სადაო აღარ არის. ფუტის ბერძნული შესატყვისი ფასიანე, ძველ კოლხურში მზის ქალღმერთად იყო მიჩნეული. „ძველი აღთქმიდან, ახალ აღთქმაზე გადასვლის სულიერი კულტურის განვითარების ამსახველი ეს ფაქტი, დღემდე შემოინახა სვანურმა და რაჭაში სოფ. ფუტიეთში ქრისტიანულმა ყოფამ სამების არსით, რომლის სადღესასწაულო გამოვლინება არის სულიწმინდისმოფენა. ამრიგად, ძველი აღთქმის მზის კულტის სამპიროვანი არსის ამსახველმა წარმოდგენამ, ევოლუციური გარდატეხა ჰპოვა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში. ქრისტიანული სამების არსის ასახსნელად, ხშირად წმინდა მამები მზის ერთარსს და სამ გამომავლინებელ მაგალითს იყენებენ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ კოლხეთის მთიანეთმა (რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთმა) დღემდე მოიტანა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სარწმუნოების კულტურა“ (ჟ.ც.გვ. 205. ა. გიორგობიანი). დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, განსაკუთრებით სვანეთი, დასაბამიდანვე წარმოადგენს ეროვნული – როგორც წარმართული, ისე მართლმადიდებლური სარწმუნოებრივი ცნობიერებისა და განძეულობის ერთგვარ შემნახველ სკივრს. იგი, ასევე გვევლინება, ამ განძეულობათა უერთგულეს დამცველად და მესაიდუმლედ. „სვანური ხალხური ქრისტიანული ყოფა დღემდე ინახავს ფუ(ს)ტების ორ არსს: ერთი, როგორც ქრისტიანობის უმაღლესი დოგმატის სამების და მეორე, როგორც სამხედრო-სარწმუნოებრივი რაინდთა ორდენისა“ (ჟ.ც.გვ.205. ა. გიორგობიანი). ფუსტების არსებობა და მათი დანიშნულება შეუმჩნეველი არ დარჩენია XVII საუკუნის იტალიელ მისიონერს, დონ კრისტოფორო დე კასტელს, იგი პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველები ძვირფას რელიქვიებს მთაში მალავენ, რათა განადგურებისაგან იხსნან. გამომდინარე იქედან, რომ ფუსტების საქმიანობა, როგორც საიდუმლო, კასტელს ამის შესახებ ინფორმაციას ღიად არავინ მიაწვდიდა.

„საინტერესოა, რომ ფუსტების ორდენის წევრებს საკუთარი რიტუალებიც ჰქონდათ. გადაწყვეტილების მიღების დროს აუცილებელი იყო საბჭოს ყველა წევრის თანხმობა. ასეთ

შემთხვევაში ისინი საკუთარ სპეციალურ ხელშეშებს (მუჯირას, მიჯვრას) მინაში ჩაარჭობდნენ და თან ერთმანეთში გადააჯვარედინებდნენ, ხოლო თუ რომელიმე მათგანი გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა, მაშინ იგი საკუთარ ხელშეშებს ბოლოთი მიწას სამჯერ ჩასცემდა. ...სწორედ ფუსტის რაინდების ორგანიზაციული მოწყობა და არსი დაედო საფუძვლად ჯერ არაბულ, ხოლო შემდეგ ევროპულ ანალოგიურ ორგანიზაციებს....ამ უძველესმა კავშირებმა ასახვა ჰპოვა ქრისტიანულ ეპოქაშიც, როცა ფუსტელთა მიბაძვით, ევროპელმა ჯვაროსნებმა, დავით აღმაშენებლის ეპოქაში 1119 წელს შექმნეს ტამპლიერთა ორდენი. საგულისხმოა, რომ ევროპელ ქრისტიან რაინდებს კურთხევის ბოლოს გადაეცემოდათ სატიტულე მახვილი, რომელსაც ფუსტაკი ეწოდებოდა“ (ჟ.ც.გვ.204. დ. კლდიაშვილი. გვ.209. ა. გიორგობიანი).

ზემოთ არაერთგზის აღვნიშნე, რომ იბერია-კოლხეთი, ზოგადად კავკასია, საკაცობრიო რელიგიურ ლიტერატურაში ყველგან მოიხსენიება, როგორც ქვეყნის აღმოსავალი და მას მიიჩნევენ დედამიწის გაჩენის საწყის მიწა-წყლად, რასაც საღვთო, სახატე, სატაძრე მამულს უწოდებდნენ. ეს კანონიკური იყო და წესად დამკვიდრებული: „როცა წილისყრით დაანანილებთ ქვეყანას სამკვიდროდ, გამოუყავით უფალს წმინდა ადგილი ქვეყანაში ... იუდას საზღვართან აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მხარემდე შეწირული ნაკვეთი იქნება. ...იქნება უფლის საწმინდარი მის შუაგულში“ (ეზეკ.45-1, 48-8, 10). უძველეს ხალხებში ეს „შუაგული“ მიჩნეული იყო სამყაროს ცენტრად, სადაც ხორციელდებოდა ცისა და მიწის კავშირი, ზესკნელსა და ქვესკნელს შორის. ამას, ცისა და მიწის კავშირს, ძველი შუმერები დურ-ან ქი-ს უწოდებდნენ. აქ, ამ „შუაგულში“ ხორციელდებოდა ზეციდან, ნათებით, სვეტის სახით კავშირი მიწასთან და ეს ადგილი აღიქმებოდა, როგორც სამყაროს ჭიპი (იხ. ხატი „საქართველოს დიდება“). საქართველოში დღემდე გვაქვს ამის გამომხატველი ლექსემები: ხეკარი, სვეტიცხოველი, დედაბოძი და სხვ. სვანურ კომპებს შემთხვევით არ აქვთ სვეტის ფორმა. იგი ასეთ წარმოდგენასა და მსოფლმხედველობას ემსახურება. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სვეტზე დედაბოძზე კაცის საცხოვრებელი სახლია დაშენებული და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს სახლი ზეციდან დაეშვა, დაეშენა ამ სვეტს, ეს არის ზემოთ ნახსენები დურ-ან ქი. აქვე მინდა მკითხველს გავახსენო ზეციური, მზის სახლი „ონი“, ამ სახლის სიმბოლოა სვანურ კომპში განხორციელებული, პირველი ადამიანის, „ვ“-ინის საბადებელი ადგილი. ეს, დასავლეთ საქართველოს მთიანეთია და საკაცობრიო გიორგიანული განათლების პირველი კერაც – ონია, რომელიც გვევლინება, როგორც ზეციური ცოდნის წყარო, შემდგომი საფეხურების კერებია – ხეთა და მცხეთა. ეს სახელები ხე-თა და მც-ხე-თა უშუალოდ კავშირშია მარადიული სიცოცხლის ხესთან. ყურადსაღებია ქართული ანბანის VIII ასო-ნიშანი „ე მერვე“ – „ე“, იგი ზეციურობის გამომხატველია და პირდაპირ მიუთითებს, რომ საკითხი ეხება ზეციურს – მარადიულს და არა მიწიერს. „...ეს, არის ძ ჩემი საყუარელი“ (მათე.17-5), „ვითარმედ ესე არს ჭემმარიტად ქრისტე“ (იოანე. 7-26). „ხეს“ შემცველი, გვარები და ტოპონიმები საქართველოში დღესაც მრავლადაა, რაც პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნულ დედაბოძთან, სვეტიცხოველთან და ა.შ. მაგალითად: ხე-თერელი, ხე-რ-ხე-ულიძე, ხე-თა-გური, ხე-რგანი, ხე-ლაშვილი. ჯაყელი, ჯა-ჯანიძე, ჯან-ჯღავა, ჯა-მასპიშვილი (ზანურ-მეგრული ვარიანტი), ხე-ვი, ხე-ვსურეთი და სხვ.

ზემოთ აღნიშნული ე.წ. სამყაროს ცენტრს, შუაგულს, შუმერები მთის ბორცვს – ქურ(გურ) გალს უწოდებდნენ. მათი წარმოდგენით ამ ქურ გალზე გადიოდა უხილავი ლერძი, მთის, ხის კომპის და სხვ. გამოხატულებით, რომელიც ვერტიკალური ფორმისაა და ეს არის „დურ-ან ქი“. „ეს ძველი აღთქმისეული საღვთისმეტყველო კანონები, რა თქმა უნდა, ძალაში იყო კოლხეთშიდაც. ამ საღვთისმეტყველო კანონით ამარანტები (გავიხსენოთ, არგონავტები მდინარე ფასის-რიონს, ამარანტის წყალს უწოდებდნენ ბ. ბ), იგივე თაკვერი (თაკირე) ანუ დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმი, წარმოადგენდა არგონავტების დროის კოლხეთის საკულტო ცენტრს, მის შუაგულში მდებარე ხიხამთის „ნაეკლესიაზე“ მდებარე მზის საკულტო ტაძრით. დასახლება ხიხამთა ცის კაბადონის გამყოფ ზღუდის ხირხალის (ხერხემალის), მზის თაყვანისმცემელთა საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შორეული გადმონაშთია, დღემდე მოღწეული. ხიხამთის

„ნაეკლესიავი“ აღმართულია ხელოვნურ ბორცვზე, რომელსაც ხალხი დღემდე ყაფარს (ყაფარი – „ზეაღმართული მთა“, სულხან-საბა) უწოდებს“ (ყ.ც.გვ.207. ა. გიორგობიანი).<sup>1</sup>

XIX საუკუნეში რუსეთი საქართველოში შემოვიდა და დაიპყრო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გეორგიევსკის ტრაქტატი არა თუ დაარღვია, ფეხქვეშ გაათელა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს დღემდე არაერთგვაროვნად აფასებენ, ამ ურთიერთობას ჰქონდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რომელთა უგულვებლყოფა არ შეიძლება. რუსეთთან ჩვენი სიახლოვის – ლტოლვის უმთავრესი ფაქტორი „ერთმორწმუნეობა“, რუსეთმა შეგვირაცხყო. სახელმწიფოებრიობასთან ერთად ეკლესიის ავტოკეფალიაც გაგვიუქმა და ხელყო რელიგიური სინამდვილეები, რაც შეძლო მიიტაცა ეროვნული განძეულობა და სიმდიდრე, მათ შორის უნიკალური ისტორიული ხელნაწერები და არქივებიც კი. ამას ისეთი სახე და ხასიათი ჰქონდა, რომლის მსგავსი, არა თუ ერთმორწმუნე, მაჰმადის მიმდევარი დამპყრობელიც არ კადრულობდა. იმპერიის დამპყრობლური და ქართული სახელმწიფოებრიობის თვითგადარჩენის ინტერესების კონფლიქტმა თავიდანვე იჩინა თავი, რაც რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ არაერთგზის აჯანყებასა თუ შეთქმულებაში გამოიხატა. რუსეთმა ხანგრძლივ დროზე გათვლით დაიწყო ქართველი ხალხის არამარტო ფიზიკური, არამედ სულიერი გენოციდი. ამის აღსასრულებლად რუსეთმა ქვეყნის ანექსიიდან, უმაღლვე გაუქმებული სამეფოდან, ბაგრატიონთა სამეფო გვარი უკლებლივ გაასახლა და შეუდგა რელიგიურ-ქრისტიანული ქონების გატანას. ამის გამოძახილი იყო 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყება ანუ ფუტის – ფუსტის რაინდთა ომი იმპერიის წინააღმდეგ, ქართული სულისა და ეროვნულ-ქრისტიანული სინამდვილეების დასაცავად და გადასარჩენად. „ამ ორდენმა, თავისი მრავალათასწლოვანი არსებობა შეწყვიტა 1819-1820 წლებში საეკლესიო აჯანყების („ცერკოვნი ბუნტის“), რუსული იმპერიის მიერ სისხლში ჩახშობის შემდეგ. იმპერიული ინტერესების გავლენის ქვეშ მყოფმა ისტორიოგრაფიამ მისი დასახელება, მისი ჭეშმარიტი ისტორიული არსის შენიღბვისათვის „1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებად“ გადანათლა, რის გამოც ეს მოვლენა დღემდე თითქმის უცნობია არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ ისტორიკოსებისათვისაც, როცა ყველა არსებულ დოკუმენტში იგი იხსენიება როგორც „ცერკოვნი ბუნტი“, ანუ საეკლესიო აჯანყება. ამ ტრაგიკული ისტორიული მოვლენის ღრმად გააზრებას და გამომზეურებას სადღეისოდ უდიდესი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა აქვს რუსული „ყალბი მართმადიდებლობის“ არსის სამხელად. 1820 წლის 30 მაისის ზემო საზანოს და 1820 წლის 3 ივნისის ფუტიეთის ბრძოლებმა, ფუსტელ რაინდთა თავგანწირვის ბოლო და გმირული ისტორიის კარის დახურვით დაასრულა. სამხედრო-საეკლესიო რაინდთა მრავალათასწლოვანი, უდავოდ ბიბლიის თანაასაკის ტრადიცია. ქართული მართმადიდებლური ეკლესიის მიმართ რუსეთის მიერ ჩადენილი ეს დანაშაული სწორედ დღეს მოითხოვს ზოგადსაკაცობრიო მხილებას და გამომზეურებას. ზემო საზანოდან (სკანდე), მესტია-ეცერამდე „ფუსტის რაინდთა წმინდა გზა“, საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ეროვნული ღირებულებების სახიზარს. ამ წმინდა გზით გაიხიზნა და რუსეთისაგან ხელყოფას გადაარჩა, 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების დროსაც, ქართული მართმადიდებლური ეკლესიის წმინდა ქონება“ (ყ.ც.გვ.205,206. ა. გიორგობიანი).

„ამხედრდით ცხენებზე, გაქანდით ეტლებო! დაე, გამოვიდნენ ქუში და ფუტი, ფარის მპყრობელნი და ლიდიელები-მშვილდის მომზიდავნი“ (იერ. 46-9). ეს ბიბლიური და არა მარტო ეს, ციტატა ნათელი დასტურია იმისა, რომ სამხედრო-რელიგიურ რაინდთა საძმო, ორდენი ფუსტელი, ნოეს ეპოქიდან არსებობდა და მისი უშუალო დამაარსებელი ნოეს შვილიშვილი ფუტია. ეს ტრადიცია დღემდე მოიტანა ქართულმა ყოფიერებამ. არსებობს მრავალი ვერსია და მტ-

1. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ფრანგმა მეცნიერებმა შეისწავლეს ქართული ეკლესიების კოსმიური ველი, ბიოენერგეტიკა და ენერჯიები. კვლევების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა – ქართველებს ჰქონდათ ეკლესია-მონასტრების მშენებლობის უდიდესი ცოდნა. ქართულ ეკლესიებს, რომლებიც 1801 წლამდეა აშენებული, აშენებულია უდიდესი ენერჯიის, ბიოენერგეტიკული და კოსმიური ველის ცოდნის საფუძველზე. ჩვენი წინაპრები ფლობდნენ მშენებლობის ისეთ საიდუმლოსა და ისეთ ეზოთერულ ცოდნას, რაზეც სხვა ერებს წარმოუდგენაც კი არ შეეძლოთ. ქართულ ტაძრებში თითოეული ორნამენტი-ჩუქურთმა თავისი შინაარსითა და დანიშნულებითაა ჩაშენებულ-გამოკვეთილი.

კიცებულება იმისა, რომ 325 წელს ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე დამსწრე კოლხი ეპისკოპოსი სტრატოფილე, ამ ორდენის წარმომადგენელი იყო. ამ ორდენმა მართლაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული სინმინდეების დაცვა-გადარჩენაში, მათ შესახებ, მათ გმირობებზე დასავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდე არსებობს ლეგენდები და თქმულებები.

კაცობრიობა მარადიულად წარმოადგენს სამყაროს ცოცხალი სჯულის კანონის წიგნს, რომლის მოთხოვნას – ადამის მოდგმის დედამინიერ არეალში ყოფნისას [ ალასრულებს გიორგიანული საგანმანათლებლო მისია. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კაცობრიობის წარსული, აწმყო და მომავალი ლაზურ-კოლხური სიბრძნით „აია“-თი იშიფრება. ეს სიბრძნე სამყაროს მარადიულობისა და მოძრაობის კანონზომიერება კოდირებულია ქართულ გონში, გენეტიკაში და იგი უზენაესი ღმერთიდან – აბსოლიტური ერთიდან მომდინარეობს, რომლის არსებობის შესახებ დაბადებითვე უწყოდნენ იბერ-კოლხი ქურუმები და მოგვები. ამიტომ ბრძანა ჰესიოდემ (და არა მარტო ჰესიოდემ) „...მსოფლიოს ღმერთის შემქმნელი ხალხი კოლხები იაო“. აქედანაა, რომ იბერია (საქართველო) — „ლაზეთი“-ქვეყანა, დასაბამიდან დასაბამის მძებნელი სუპერეთნოსისა, ხილულიდან უხილავი სამყაროს დამდგენისა, სადაც ჯერ კიდევ როდის უწყოდნენ, რომ „ხილული წარმავალია, ხოლო უხილავი წარუვალი“ (II კორ. 4-18 შ. ცხაკაიას ხელნაწერები).

საქართველოში ქრისტიანობამდელი წარმართული რელიგია, თავისი შინაარსითა და წარმომობით ქართული ხასიათისა იყო და მზის კულტს ემსახურებოდა. თუმცა, მასში იგრძნობოდა სპარსული მაზდეიანობა-ზოოასტრიზმის (იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა) განშტოება მითრიაზმი და ბერძნული წარმართობის ნიშნები. ბიბლიის ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა თანახმად კაცობრიობას მხსნელი მოევლინებოდა: „შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამოვა ხელმწიფე ისრაელში და ძველითგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან“, „ამ ქვეყნად იყო და ქვეყანა მის მიერ შექმნა და ქვეყანამ იგი ვერ იცნო“ (მიქა 5-1. იოანე 1-10). ბიბლიური სამყაროს გარეთ, მესიანიზმის ანუ უფლის განკაცება და მსოფლიო მხსნელის გამოცხადება, ერთადერთ რელიგიას მაზდეიანობას – მითრიაზმს სწამდა. აქ, ერთი ფაქტიც უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რაზეც ნაკლებად წერენ, თუმცა „ქართლის ცხოვრება“ ამას გვერდს არ უფლის. მაშინდელი ქართული სარწმუნოებრივი სამყარო მესიანიზმს ცნობდა, რამდენადაც მასში მითრიაზმის ნიშნები იყო, ხოლო III-IV საუკუნეებში მირიან მეფე და ქართული მსოფლმხედველობა მესიის მოსვლის შესახებ განსაკუთრებულ ცოდნას ფლობდნენ. „უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა ...მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნეს შენ“ (ქ.ც. I.გვ.105). მაცხოვრის მოვლინების შემდეგ მაზდეიანობამ ზარატუშტრას მოძღვრებამ თავისი მოღვაწეობა ამოწურა, რამოდენიმე საუკუნე იარსება და იგი ისლამმა შეცვალა. ისლამის წმინდა წიგნში, ყურანში წმინდა ისაიას ანუ ქრისტეს და ღვთისმშობელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ისლამის შექმნამდე კი, მითრიაზმის მიმდევრებს – მაზდეანებს, რომლებსაც მესიის სწამდათ იყო ის, რომ იმ წელს, როცა ქართლის ტახტზე ადერიკი ავიდა, მცხეთაში ხმა გავარდა იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო, გლოვამ და ნუხილმა მოიცვა ქართველი ჰურიანი. ცოტა ხნის შემდეგ გაიგეს, რომ „სპარსნი დასაპყრობად კი არ მოსულან იერუსალიმსა, არამედ საჭურველის ნაცვლად მოჰქონდათ სამეუფეო ოქრო, მაკურნებელი მური და სუნელოვანი გუნდრუკი და ეძიებდნენ დავითის ტომის ყრმას. იპოვეს კიდევ, მწირი ერთი, მწირი დედაკაცთაგან შობილი უდროო დროს და უადგილო ადგილს, იმ ყრმას სცეს თაყვანი და შესწირეს ძღვენი“.

ბიბლია – წმინდა წერილი გვამცნობს: „რომ დავითის თესლისგან და ბეთლემიდან, იმ ადგილიდან, საიდანაც იყო დავითი, მოვა ქრისტე“ (იოანე 7-42). ამასთან დაკავშირებით მოვეუხმინოთ გასული საუკუნის ცნობილ მეცნიერს რ. ანდერსონს: „პალესტინის სამხრეთით ხეთების ტომი ალბათ ჩრდ. დიდი კავშირიდან (ხეთების) გამოყოფილ კოლონიას წარმოადგენდნენ (იუდეას ტომი). დავითის ორი სახელგანთქმული მხედართმთავარი ურია და აქიმელექი ასევე ამ ტომიდან იყვნენ. და თუ ბერსაბე (ურიას ცოლი), მოგვიანებით სოლომონის დედა, ამასვე ტომიდან თუ იყო, მაშინ იუდეას მეფეთა გვარის ყველა პირდაპირ ჩამომავალთ, მაცხოვრის

ჩათვლით, თავის ძარღვებში ხეთური სისხლი ჰქონია“ (P. Андерсон – У.И.В. ст. 94) ხეთები, როგორც ცნობილია ქართული ტომია, ბერსაბე და იერუსალიმელები დედით ხეთელებია: „... და უთხარი ასე ეუბნებათქო უფალი ღმერთი იერუსალიმს, შენი დასაბამი და შენი სამშობლო ქანაანის ქვეყანაშია, მამაშენი ამორეველია და დედაშენი ხეთელი“ (ეზეკ. 16-3).

კაცობრიობის მხსნელი მესია – ღმერთი მოვევლინა, მაგრამ „ქვეყანამ იგი ვერ იცნო“ და „გასამართლა“. ამ „გასამართლებას“ უნდა დასწრებოდა მცხეთელი ებრაელები. მცხეთიდან მივლინებულმა ელიოზმა და ლონგინოზმა „გასამართლებას“ ვერ ჩაუსწრეს, მხოლოდ ჯვარცმას დაესწრნენ, მათი დანიშნულება მრავლისმთქმელი და საპასუხისმგებლო იყო. ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს კუართი წილისყრით მცხეთელებს ერგოთ. „ხოლო კუართი იგი უფლისა წილად ხვდა მცხეთელთა, წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთასა და მიეგება დაი მისი, შესუარული ცრემლითა, მოეხვია ყელსა ძმასა თვისსა მოელო სამოსელი იგი იესოსი, შეიტკბო მკერდსა თვისსა და მსწრაფლ სული წარხდეს“. ეს სასწაული სასწრაფოდ გახმაურდა ქართლში. ადერიკ მეფემ მოისურვა თავად შეემოსა კუართი, მაგრამ სიდონიას გაცივებულ მკლავებს კუართი ვერ მოაშორეს. ელიოზმა თავისი და წმინდა კუართთან ერთად დაასაფლავა. სიდონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა, რომელიც შემდეგ სასწაულმოქმედი და სურნელოვანი გახდა, იგი მკურნალი თვისებებით მოიხსენიება. XI ს. აქ, მცხეთაში აღიმართა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, სადაც დაკრძალულია უფლის კუართი, სიდონიასთან ერთად.

მამ ასე, ქრისტეს ჯვარცმის დღიდან კუართი მისი მცხეთაშია. ამით გიორგიანელებს მარტო მისი შენახვა არ დაკისრებია, მისთვის თავდადება და ჯვარცმაც დაეკისრა, რაც ნათლად ჩანს მისივე ისტორიიდან.

მაცხოვრის ამალლების შემდეგ, 44 წ. მოციქულები სინას მთაზე შეიკრიბნენ და წილი ყარეს ვინ რომელ ქვეყანაში წასულიყო საქადაგებლად. ღვთისმშობელმა მარიამმა მოისურვა მოციქულებივით ქადაგებაში მონაწილეობის მიღება. მას წილად ივერიის ქვეყანა ერგო, თუმცა, სულიწმიდის გადმოსვლის შემდეგ, საქართველოში წამოსასვლელად გამზადებულ ღვთისმშობელს უფალი გამოეცხადა და მისი იერუსალიმში დარჩენა ისურვა და აუწყა: „ჰოი, დედაო, ჩემო, არა უგულველყო ერი იგი საზეპურო (რჩეული-საკუთარი) უფროს ყოველთა ნეთესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველნოდებული ანდრია ნაწილსა მას, შენდა ხვედრებულსა და თან წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებათა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. წმინდა მარიამ ღვთისმშობელმა ეს განუცხადა ანდრია პირველნოდებულს: „შენ წარხვიდე და წარასვენო სახე ჩემი, და სახიერსა ძისა ჩემსა ქუეყანასა ჩემდა წილხვდომილსა, რათა მე ვიყო გამგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღვუაპრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ“ (ქ.ც. ტ. I გვ.37,38). ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი და კუართი საქართველოში მის მიერ იქნა გამოგზავნილი ანდრია პირველნოდებულის მეშვეობით. კუართი ხეთაში ჩამოიტანეს და შემდეგ დააბრძანეს ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ხოლო ხელთუქმნელმა ხატმა აწყურში, ღვთისმშობლის ტაძარში დაიდო ბინა. ამჟამად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ქრისტეს სჯული, მისი აღდგომიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ იქადაგეს მაცხოვრის მოციქულებმა – ანდრია პირველნოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ, ბართლომემ, თომამ და თადეოზმა. ორი ამათგანი, როგორც ჭეშმარიტი მეტყველი მათი საქართველოში ქრისტეს სჯულის ქადაგებისა – სიმონ კანანელი საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში აღესრულა და იქვე, სოხუმთან ახლოს, კამანში და მატათა ბათუმთან, გონიოში არიან დაკრძალულნი. ამის შემდეგ აღარავისათვის (მეტადრე არაქართველებისათვის) უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა. თუმცა, ბერძნული ეკლესია და არა მარტო ბერძნული, ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ ქართული სამოციქულო ეკლესიის შევიწროებას. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი 1057 წელს იყო, როცა სვიმონწმინდელმა ბერებმა ანტიოქიის პატრიარქს, თეოდოსის აუწყეს, რომ თითქოს საქართველოში ქრისტიანობა მოციქულებს ექადაგოს, სიმართლეს არ შეეფერება და

თქვენ უნდა გმორჩილებდნენ. იმხანად ანტიოქიაში ქართული ეკლესიისა და მეფის წარგზავნილი გიორგი მთაწმინდელი მოღვაწეობდა. თეოდოსმა გიორგი თავისთან იხმო და მოსთხოვა შეეთვალა მეფისათვის საქართველოს ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას დაქვემდებარებოდა. გიორგი მთაწმინდელმა „მიმოსვლა ანდრია მოციქულისა“ წიგნზე დაყრდნობით პატრიარქს დაუმტკიცა, რომ იგი ბერებმა შეცდომაში შეიყვანა და დასძინა – თქვენ ამბობთ, რომ პეტრე მოციქულის ტახტზე ზიხართ, ჩვენ კი, მოციქული ანდრია პირველწოდებულისა. ანდრია პეტრეს უფროსი ძმაა და ამიტომ ჩვენ კი არ უნდა გმორჩილებდეთ თქვენ, პირიქით, კეთილი ინებეთ და თქვენ დაგვემორჩილეთ ჩვენ, როგორც უმცროსი ძმა უფროსს. გიორგი მთაწმინდელზე ღვთის მადლი იყო, ამას პატრიარქი მიხვდა და განაცხადა: „ხომ ხედავთ რამდენი ვართ, ერთი კი გვამარცხებს, იმიტომ, რომ ჭეშმარიტება მის მხარეს არის“. ამ ფაქტით წმინდა გიორგი მთაწმინდელმა არა მარტო ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია დაიცვა, არამედ ღირსება ქართველი ერისა და კულტურული თვითმყოფადობა, ქართული ეთნოსისა და საქართველოს როლი მსოფლიო ცივილიზაციაში. საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობას ადასტურებს უცხოური, მათ შორის რუსული და ქართული წერილობითი წყაროები. უცხოელი ავტორებიდან აღსანიშნავია ორიგენი (I-II ს.ს.), ევსევი კესარიელი (IV ს.), ეპისკოპოსი ევხარი (V ს.), ისიდორე ისპანიელი (VII ს.), ეპიფანე კვიპრელი (Vს.), დოროთე ტვირელი (IVს.) და სხვ.

„წმინდა მოციქულმა, ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა,“ ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (დ.ს.კ. 1974, გვ. 545-546). ამავე აზრისაა ივ.ჯავახიშვილიც: „ანდრია მოციქულიც და წმინდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლის გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ.“ (ქ.ე.ი. ტ. III . გვ. 47).

ღვთის განგებით, ჩვენს ქვეყანაში საქადაგებლად მოვლინებულმა მოციქულმა, ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელსა და მათათასთან ერთად საქართველოში პირველი სამოციქულო ეკლესია დააფუძნა. მოციქულებმა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ბევრი მოაქციეს, მაგრამ მეფე და ქვეყნის უმეტესი ნაწილი ისევ ოფიციალურ რელიგიაში, კერპთმსახურებაში რჩებოდა, დრო და ვითარება მოითხოვდა ქრისტიანობის სახელმწიფო დონეზე აღიარებას.

III საუკუნის ბოლოს ქართლის ტახტზე მირიან რევის-ძე ადის. საქართველო, როგორც ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყანა, უპრიანი იქნებოდა ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრება დედა(კაცი) – ქალწულის მიერ აღსრულებულიყო. ასეც მოხდა, ეს აქტი IV ს. კაბადოკიელი ქალწულის, ნინოს მიერ აღსრულდა. წმინდა ნინო 291 წ. დაიბადა, 310 წ. ელენე დედოფლის (კონსტანტინე დიდის დედა) მიერ ქრისტეს სჯულზე მოინათლა. წმინდა ნინომ აქვე გაიცნო წარჩინებული გვარის რიფსიმე და გაიანე, რომლებიც 40 ქალწულთან ერთად ქრისტიანობაზე მოაქცია. იმ ხანებში ქრისტიანთა სასტიკ დევნასა და შევიწროებას ჰქონდა ადგილი, რის გამოც წმინდა ნინო, რიფსიმე და გაიანე სომხეთში აღმოჩნდნენ. თუმცა, მანამდე წმინდა ნინოს ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის გამოცხადება ჰქონდა; ღვთისმშობლის ხატთან ლოცვისას, წმინდა ნინო საღმრთო ძალით ღვთისმშობლის სენაკთან იქნა აღტაცებული. მას ყოვლადწმინდა ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, წარგზავნი ჩემს წილხვდომ ჩრდილოეთის ქვეყანაში, საქართველოში. წადი სიმხნით და უშიშად და მის მკვიდრთ ჭეშმარიტება უქადაგე.“ შეძრწუნებულმა წმინდანმა მიუგო: „დედოფალო, როგორ შევძლებ ამას სუსტი და უსწავლელი დედაკაცი? რა იქნება ნიშნად და წინამძღვრად?“ მაშინ ღვთისმშობელმა მოკვეთა იქვე ამოსული ვაზის რტო, რომლისგანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დაძლევე ეშმაკის ყველა მანქანებასა და წარმართავ ქადაგებას ხოლო მე შეგეწევი და არ დაგტოვებ.“

ჩვენების შემდგომ წმიდა ნინომ იხილა, რომ ხელში ვაზის ჯვარი ეპყრა და შეძრწუნებულმა ადიდა უფალი და ღვთისმშობელი. მან პატრიარქს მოუთხრო ყოველივე ეს და ამ სასწაულის ნიშანი – ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ჯვარი აჩვენა.

სომხეთში რიფსიმე ძალიან მოსწონებია ქრისტიანობის დაუძინებელ მტერს თრდატს. უბი-



ნოების აღთქმადან აღმდგომი რიფსიმე უარი შეუთვალა მეფე თრდატს. ამ უკანასკნელმა რიფსიმე და გაიანე ანამა, ეს იყო 311 წ. წმინდა ნინო, ვარდის ბუჩქებში ჩამალული, ამ დევნას გადაურჩა და საქართველოსაკენ წამოვიდა, ღვთისმშობლის გამოცხადებით მიღებული მისიის აღსასრულებლად. 312 წმ. წმიდა ნინო იბერიაში შემოვიდა. იბერიაში შემოსულ ნინოს ცეცხლ-ნაკიდებულ მაყვლოვანში უფლის ხმა მოესმის, რამდენადაც მაყვლოვანი ხდება ღვთისმშობლის სიმბოლო, ისე როგორც მოსეს მაყვლოვანს ცეცხლი უკიდია და არ იწვის. ასევე ღვთისმშობლის შობის და მისი ქალწულობის საკითხი, სულიწმიდით ჩასახული უფლისშობით, იგი ქალწულობას არ კარგავს. ამით არის განპირობებული წმიდა ნინოს სწრაფვა მაყვლოვანში დაიდოს ბინა და იქედან იქადაგოს. ამ ფაქტით ასევე მუდგანდება ძველი და ახალი აღთქმის კავშირი.

მაშინდელ ქართლში ყველა და ყველაფერი მზის კულტს ემსახურებოდა. წმიდა ნინო ლოცვისას აღმოსავალისაკენ (აღმოსავლეთისაკენ) დგება და ამით ადასტურებს აღმოსავალისადმი პატივისცემას – ეს ლოცვის უძველესი ფორმაა. აკი უძველეს მსოფლიოში აღმოსავალი იგივე ჩრდილოეთის ქვეყანა საქართველო იყო.

წმიდა ნინომ რამოდენიმე ხანში ქართული ენა შეისწავლა, რამეთუ ქადაგება ქართულ ენაზე უნდა ენარმეობინა. 4 წელი ფარულად ცხოვრობდა მცხეთაში. მეექვსე წელს, 318 წ. უკურნებელი სენისაგან განკურნა დედოფალი ნანა და ქრისტეს სჯულზე მოაქცია. მეფე მირიანის გაქრისტიანება, მისი ფერისცვალება მზის დაბნელებით იწყება, ანუ მას შემდეგ რაც თვალს დაუბნელდება. ამის შემდეგ მირიან მეფე თხოვს ნინოს ღმერთს თუალი აუხილოს. ეს თხოვნა უფლის მიერ მეფეს აუსრულდა და ირწმუნა, რომ მზე ღმერთი არ არის, რომ მზე ღმერთის ერთ-ერთი ქმნილებაა. შეიცნო, რომ სრულიად უხილავი ღმერთია ყოველივეს შემოქმედი, შეიცნო უხილავი ხილული. მირიან მეფის ამ გააზრებამ საფუძველი დაუდო მისსა და მთლიანად მაშინდელი საქართველოს ოფიციალურად ქრისტეს სჯულზე მოქცევას. საქართველომ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა.

როგორც ვიცით, ფუტიების საძმოს მთავარ დანიშნულებას ძნელბედობის ჟამს მტერთაგან რელიგიური სინმიდეების დაცვა წარმოადგენდა – სპარსელები, არაბები, მონღოლ-თათრები, ოსმალები, რომალები, ბიზანტიელები და ბოლოს რუსები, ვისგანაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში უხდება თავის დაცვა. სპარსეთის შაჰის, აბას I დროს პირდაპირ ნადირობდნენ ქართულ სინმიდეებზე, ნადავლს კი შაჰი თავის ცბიერი პოლიტიკის განსახორციელებლად იყენებდა. ამის შედეგია ის, რომ კახეთში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს შაჰმა ზაგემი და ალავერდი მოაოხრა და ე.წ. თავსახვევი – „სუდარა“ გაიტაცა და შემდეგ რუსთ ხელმწიფეს აჩუქა, როგორც ქრისტეს კუართი, ნიშნად მეგობრობისა. შაჰი ყველაფრისთვის მზად იყო, ოღონდ რუსეთი არ შემოსულიყო კავკასიაში. ე.წ. „კუართის“ საკითხი დიდ ინტერესს იწვევდა და სხვასთან ერთად იგი შესწავლილი იქნა ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის, პავლე ალექსანდრიის მიერ (XVII ს. II ნახ. მან საქართველოში საკმაო ხანი დაყო.), რომელმაც აღნიშნა, რომ შაჰ აბას I ზაგემიდან მართლაც გაიტაცა ე.წ. „სუდარა“, ხოლო იგი სვეტიცხოველს, – სადაც უფლის კუართია, – არ შეხებია. მცხეთას მისულ შაჰს მისნებმა ურჩიეს, რომ არ დაერბია სვეტიცხოველი. შაჰმა სვეტიცხოველი არ დაარბია, პირიქით მივიდა სვეტიცხოველში, სალოცავი ნოხი გაშალა და კათალიკოსს მინები უბოძა. შაჰს კუართისათვის ხელი არ უხლია, ამას თვით შაჰის ისტორიკოსებიც ამტკიცებენ. რაც შეეხება შაჰის საჩუქარს რუსთა ხელმწიფისადმი, – ე.წ. „კუართს“, – იგი პოლიტიკური მოტივითაა შექმნილი. შაჰს რომ გაეხებდა უფლის კუართისადმი შეხება და მისი დაუფლება, იგი მას არავის აჩუქებდა, რამდენადაც უფალი იესო ქრისტე, – ყურანში წმ. ისაია, – მუსლიმთა ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია (უფრო ვრცლად, გელათის აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ელ. ბუბულაშვილის ინტერვიუ 2013 წ. 27. 11. თV ერთსულოვნებაში).

ქართველი ერი თავისთავში ატარებს დაფარულ და ქვეცნობიერ სიყვარულს ღვთისადმი, ქრისტე ღმერთისადმი. რწმენა – ქრისტიანობა და საქართველო – ქართველობა ქართველში გაიგივებული – ცალსახა მცნებაა. ამ მცნების დაცვისათვის წარმოებული ბრძოლების გამო ენოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას ომების ისტორია. ქართველი ერის გასანადგურებლად

აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქრისტიანობის (რწმენის, ჭეშმარიტების) აღმოფხვრა, რაც მტერმა კარგად იცის. ქართული მოდემის რწმენისადმი სიმტკიცემ და ურყეობამ მოიყვანა ეს ერი დღემდე, ასე, სჯულის კანონუცვლელი ყოფითა და თვითმყოფადობით. მართმადიდებლურ ქრისტიანული რწმენისადმი თავდადება ჭეშმარიტებისადმი თავდადებაა, ეს გენეტიკურადაა კოდირებული ჩვენი ერის სისხლში, რომელსაც რწმენისა და ქართველობის თავდადებაზე უარი არასოდეს უთქვამს. ქართველ წმინდანთა უმეტესობაც რწმენისადმი და სამშობლოსადმი წამებულნი არიან; წმ. მირდატ მეფე წმ. კირიონ II მღვდელმთავარი, წმ. მონამენი ცხრანი ყრმანი კოლაელნი, წმ. თედორე აჭარელი, სარწმუნოებისა და საქართველოსათვის დუდიკვეთისა და პაპათში მოწყვეტილნი წმიდა ლაზი მონამენი, დიდმონამე კოსტანტინე კახი და სხვ. დედამიწაზე არ არის მეორე ერი, სადაც სარწმუნოებას ერთად 100 000 მონამე ეწამოს. ეს ფაქტი ცალსახად, ერის მტკიცე ნების გამოხატულებაა, „ეძიებდით სიკვდილსა ქრისტესათვის“ – (ვახტანგ გორგასალი) და „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის“ (ილია მართალი). ეს არის ქართული გონის, გენეტიკურად თანდაყოლილი ამოსავალი წერტილი, – თავგანწირვა უზენაესი შემოქმედისადმი – ჭეშმარიტებისადმი.

კაცობრიობის წინაშე საქართველოს მისია იმდენად დიდია, რომ ამ მისიის შესახებ არა ერთ უცხოელს განუცხადებია. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ამის შესახებ რუსულ და ბერძნულ საეკლესიო წრეებში საქართველოსადმი ეჭვიც კი გაუჩნდათ. ეს, რა თქმა უნდა ადამიანური საღმრთო შურით არ არის გამონვეული, ეს უფრო შოვინიზმის ნაყოფია და მისივე შედეგია ის ფარული მტრობა საქართველოსადმი, რაც მათ ქმედებაში ვლინდება. საქართველოს წაართვის ყველაფერი, რისი წართმევაც შეძლეს:

– იერუსალიმის წმინდა მიწაზე არსებულ სხვა სინმინდეებთან ერთად მაცხოვრის საფლავის ეკლესიის წმიდა ადგილები საუკუნეების მანძილზე ქართველებს ეკუთვნოდათ, ქართულადვე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა და ეკლესიის გასაღებსაც ქართველი ბერები ფლობდნენ. ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ XV ს. ჩეხ მოგზაურსა და სწავლულს იან ჰასინშტეინსკის, რომელიც ამბობს, რომ გოლოგათზე ყველაზე მეტი, 13 კანდელი ქართველებს ეკუთვნოდათ, კათოლიკებს 11, ბერძნებს 9, 4-4 ეთიოპიელებსა და სომხებს... დღეს გოლოგათზე ქართველებს არც ერთი კანდელი აღარ ეკუთვნიან, არც ქრისტეს საფლავის კუფუკლიაში, სადაც ყოველ აღდგომისას წმიდა ცეცხლის გარდამოსვლის მსახურება აღესრულება. არც მირონცხების ქვაზე, რომელზეც წმიდა იოსებ არიმათიელმა სურნელოვანი ზეთი სცხო მაცხოვრის სხეულს გარდამოსხნის შემდეგ, რომელიც დღესაც საოცარ სურნელს აფრქევს. აი, რას წერდა იერუსალიმის წმიდა მიწაზე ქართველთა კუთვნილი სიძველეების დაკარგვით შემოფოთებული მონაზონი მართა (XVIII ს.) დასავლეთით საქართველოს კათალიკოსს გრიგოლ II: „ამისთანა რა გასაჭირია, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ, ნუ იქმთ, ნუ დაკარგავთ ამ, მეუფის სახლს, ყოველ სულ ამისთვის ვკვდები, რომ აქ ერთი დასადები ტრაპეზის ადგილი იმყოს. თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ, ეს წმიდა მიწა და ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა და ახლა ლამის სულ გამოვაგდეთ.“ საქართველომ წმიდა მიწაზე ყველა საუნჯე დაკარგა, მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში გახდა შესაძლებელი იერუსალიმში სამი სახლის დაარსებისა.

1919 წ. ათონის მთაზე ივერონის მონასტრის სენაკიდან ბერძენმა მღვდელმსახურებმა 17 ქართველი ბერ-მონაზონი გამოყარეს. 1932 წ. აქვე, მონასტრის სენაკი დაინვა და მას შემდეგ ათონის წმინდა მთაზე ქართული წირვა-ლოცვა აღარ ჩატარებულა. მხოლოდ გასულ წელს აღსდგა ათონის მთაზე ქართულად წირვა-ლოცვა.

ცნობილ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე, რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წ.წ. ომის დროს, შეთანხმების თანახმად რუსთა და ქართველთა ჯარს ერთიანი ძალით უნდა ებრძოლათ ოსმალთა წინააღმდეგ სამხრეთ საქართველოში. 1770 წ. გენერალ ტოტლებენმა ჯერ უარი განუცხადა ერეკლე მეფეს ჯარის სურსათით მომარაგებაზე, ხოლო შემდეგ საერთოდ დატოვა ქართლ-კახეთი. ეს იყო ასპინძის ომი. 1783 წ. ტრაქტატის ხელმოწერიდან, შეიძლება ითქვას რამოდენიმე „საათში“, რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულების პირობები და შეუდგა საქართველოს სამეფოს გაუქმებას, რასაც პარალელურად რელიგიური დამოუკიდებლობის

გაუქმებაც მოჰყვა. არადა, ერთ-ერთი ძირითადი და გადამწყვეტი ამ ხელშეკრულების გაფორმებისა ერთმორწმუნეობა იყო, რაც რუსეთის მხრივ ურცხვად იქნა უგულვებელყოფილი და თავისი შოვინისტური მიზნებისათვის გამოყენებული. ხელშეკრულების დარღვევას 1795 წ. ლალატი მოჰყვა და საქართველომ კრწანისის ომი მიიღო. ალა მაჰმად ხანმა თბილისი გადაწვა. სპარსთა წინააღმდეგ რუსეთის მოიმედე ქართველები რუსებმა მიატოვეს. ცნობილი ფრანგი სამართლისმცოდნე, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ლუი ლე ფური ცალსახად მიუთითებს, რომ „1783 წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“ წარმოადგენდა მფარველობით ხელშეკრულებას საერთაშორისო სამართლის ორ თანაბარუფლებიან სუბიექტს შორის და რუსეთის მხარის მიერ მისი ცალმხრივად დარღვევის შემთხვევაში, იგი ითვლება ანუღირებულად“ (ლ.ლ. ფურიე. **ს.ს.უ.**). ფურიეს ამ მოსაზრებას მთლიანად იზიარებენ ცნობილი სამართალმცოდნეები: კუნცი, ნიპოლდი, ვატელი, ლისტი და სხვ. საქართველოს სამეფოს გაუქმების პარალელურად რუსეთმა საქართველოდან დედანულიანად გაასახლა რუსეთში ბაგრატიონთა სამეფო გვარი. ეს იყო ვერაგული პოლიტიკური ნაბიჯი, საქართველოს ვერასოდეს ვერ უნდა ეფიქრა სამეფოს აღდგენაზე. რუსეთმა პირდაპირ დაავალა სახელმწიფო მოხელეებსა და ეგზარხოსებს აღენერათ ქართული ეროვნული და საეკლესიო ქონება და სინმინდეები, რის შემდეგ ახდენდნენ ამ სიმდიდრეების მითვისება-დატაცებას. ასე, რომ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით, რუსეთმა ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ ფაქტიურად საქართველოს ანექსია მოახდინა, ანუ **საქართველოს თავს დაატეხა ის, რისგანაც ითხოვდა დაცვას**. ერთმორწმუნე რუსეთს მინდობილ საქართველოს რუსეთმა ლალატი უპასუხა.

2007 წ. რუსეთში გამოიცა „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“, სადაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის შესახებ შეტანილია რიგი უზუსტობები, არაფერია ნათქვამი რუსეთის წმ. სინოდის მიერ ივერიის მართლმადიდებლური ეკლესიის ძირფესვიანად განადგურებაზე. თუ რა ვანდალიზმი, ძარცვა-გლეჯა და სისასტიკე ჩაიდინა რუსეთმა საქართველოსა და განსაკუთრებით მისი სარწმინეობის წინაშე. ამის შესახებ 1907 წ. დურნოვმა (რიურიკოვიჩი) გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ეკლესიის ბედი“, სადაც დაუნდობლად ამხელს რუსეთის აღვირახსნილ ქმედებას საქართველოში. მოვიყვან ამონარიდებს ამ ნაშრომიდან:

„რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა, რაც ზედმინევნით შეძლო ევსევმა, ეგზარხოსმა პავლემ, კვერთხშემართულმა ივერიის ეკლესია რომ დასწყევლა და თვითონ, ხალხისგან შეჩვენებული, საქართველოდან გამოიქცა...“

– „სცნო რა რუსეთის უმაღლესი ძალაუფლება და დადგა რა აღმოსავლეთ საზღვარზე რუსთა ინტერესების დამცველად, ქართველი ხალხი ერთ რამეს მოითხოვდა: ძალმომრეობას ნუ გამოიჩენდნენ იმაზე, რაც მათთვის ყველაზე მეტად ძვირფასია... სახელდობრ: წმინდა სარწმუნოება, ეკლესია და ენა... ბევრი უძველესი საეკლესიო დოკუმენტი ცეცხლის ალს მისცეს, სხვები პეტერბურგში წაიღეს... გაანადგურეს ბევრი უძველესი მონასტერი.“

– „1894 წ. ქართველების მიერ სინოდში წარდგენილ წერილში ნათქვამია, რომ „რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და მისი საეკლესიო განძეულობა გადააქციეს შემოსავლის წყაროდ...“ სომხურ ეკლესიას დაუტოვეს კათალიკოსი და მისცეს სრული თვითმმართველობა, არ ამცირებენ სომხური ეკლესიების რიცხვს, ყოველნაირად მფარველობენ სომეხ ხალხს...“ სომხურ ეკლესიას, როგორც ცნობილია, 1905 წელს დაუბრუნეს ადრე წართმეული ქონება... სამაგიეროდ უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესია სავსებით დაარბიეს და გაანადგურეს.

– „გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონებად ღირებული განძეულობა; მათ შორის იყო: 1) ოქროთი მოჭედილი, ტიხრული მინანქრით განწყობილი XI საუკუნის უძველესი ქართული სახარება. ეს სახარება ეგზარქოს ევსევის ნებართვით გელათიდან გაიტანა ქუთაისის გუბერნატორმა, ლევაშევმა, რომელმაც მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა საზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით. ამჟამად, ეს ძვირფასი ოქროს

მჭედლობა ინახება პეტერბურგში, სტროგანოვის მუზეუმში, სადაც იგი გრაფ პანინის მიერ იქნა ჩატანილი. ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში იძლეოდნენ ასი ათას ფუნტ სტერლინგს. 2) ოქრომკედით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოსების პატრიარქის შესამოსელი. ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული. მისგან 8 ფუტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად.“

– „ეგზარქოს პავლეს დროს მეტეხის ეკლესიიდან გაქრა ოქროთი მოჭედილი მეტეხის ღვთისმშობლის (ბეთლემის) სასწაულმოქმედი ხატი.

– „საქმე უკეთესად არ იყო ეგზარქოს პალადის დროსაც. მან თავის საყვარელ მხატვარს, სომეხ საბინგუსს, თითქოსდა ახალი მოჭედილობის გასაკეთებლად, ნება დართო სამეგრელოსა და გურიის მონასტრებიდან გაეტანა უძველესი ხატების საუკეთესო და ძვირფასი მოკაზმულობა. საბინგუსმა მარტვილის, ხობის, ჯუმათის და შემოქმედის მონასტრებიდან წაიღო ძვირად ღირებული და ოსტატურად შესრულებული მომინანქრებული ხატები, მანამდე კი გელათის მონასტრის ხატებიდან „ანაპნა“ არაჩვეულებრივი ტიხრული მინანქარი. მონასტრებიდან წამოღებული მთელი განძეულობა საბინგუსმა ეგზარქოს პალადის „წარუდგინა“, მან კი ნება მისცა, რომ ყველაფერი ეს გაეყიდა. ნაწილი მინანქრებისა შეიძინა ცნობილმა სიძველეთა მოყვარულმა გრაფმა ზვენიგოროდსკიმ. ამჟამად საქართველოს საუკეთესო და მდიდრული მანუსკრიპტები ინახება ლონდონის, პარიზის, ვენის, ბერლინის, რომის ბიბლიოთეკებში, სადაც ისინი საღებოდა ფულისმოყვარულ ეგზარქოს ევსევის დროს. სამაგიეროდ, თბილისის მუზეუმებში შეიძლება იხილოთ მინიატურებამოჭრილი უამრავი მანუსკრიპტი. ამას აკეთებდა ბევრი რუსი მაღალი წოდების პირი“.

– ასეთ აღვირახსნილობაზე „იმერლები ჩიოდნენ, ისინი წერდნენ: „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბინიერი აგარიანელების ხელში ვიყავი, ბევრი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, მაგრამ აგარიანელნი ჩვენს სასულიერო საქმეებს არ შეხებიათ. ჩვენ ის ხალხი ვართ, სარწმუნოება თითქმის ქრისტეს ჯვარცმის დროიდან რომ შევინარჩუნეთ... ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმინდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ ღვთისმომიშ მღვდლებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებს და ხატებს და ბოლოს როგორ ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლითაა შეძენილი ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერ საჩუქრადაა გადმოცემული“. „გელათისა და ქუთაისის მიტროპოლიტები, რომლებიც წინ აღუდგნენ ეკლესიების დახურვას, დაპატიმრებულნი იქნენ“. ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოსი ბადრაგმა გზაში მოაშთო, ეს იყო 1820 წლის მარტი“.

– „ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებია იმ სამწუხარო სისაძაგლისა და განუკითხაობის ჩამოთვლა, რასაც რუსი ეგზარქოსები დღემდე ჩადიან საქართველოში, მაგრამ ზოგიერთი უკეთური მაინც უნდა ვახსენოთ. ესენი არიან: გარყვნილი თეოფილაქტე... თხრიდა საფლავებს, თავისი უწმინდური ხელი შეახო თვით საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლის წმინდა ნინოს საფლავს. მანამ არ მოისვენა, სანამ ღვთის განგებამ ბოლო არ მოუღო მის ავკაცობასა და თავაშვებულობას, იგი მოკვდა წმინდა ნინოს საფლავთან დამბლის დაცემით და ჭიებმა შეჭამეს; ევგენი ბაჟენოვი – მონასტრებისა და უდაბნოების გამჩანაგებელი; ...ევსევი ილინსკი, უკიდურესად გარყვნილი, ცხოვრებაში თავშეუკავებელი, ავხორცი, ფული რომ დასჭირდა, თავისი დამქაშების მეშვეობით კათალიკოსების ყოფილი საპატრიარქოს საეკლესიო სალაროს მთელი განძეულობა გაყიდა, შესამოსელებს, მიტრებს და ხატებს ძვირფასეულობა მოხსნა და ხელი შეუწყო გელათის მდიდარი საეკლესიო სალაროს გაფლანგვას. გელათის სალაროდან გაქრა ოქროს ხატის მოჭედილობა, მთელი მსოფლიოს მეცნიერთათვის ცნობილი თავისი ძვირფასი ტიხრული მინანქრით. ამის შემდგომ ევსევმა ასეული ათასები ჩაიჯიბა. მის საეგზარქოსოში დატაცებული იქნა ორ მილიონზე მეტად ღირებული საეკლესიო განძეულობა... ეგზარქოსი პავლე... მან საშინელი არეულობა შეიტანა ქართულ ეკლესიაში. თბილისის სემინარიის ყოფილი რექტორის დეკანოზ ჩუდეცკის (მასთან ერთად კიშინიოვიდან რომ გადმოიყვანეს

და მერე ქართველმა მოკლა) ცოლთან სამარცხვინო ურთიერთობის შემდეგ, მოკლულის წესის აგების დროს, სიტყვა წარმოთქვა და ქართული ეკლესია შეაჩვენა, რის შედეგადაც ხალხის უზომო სიძულვილი გამოიწვია“.

– „ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, ბატონმა ყიფიანმა 1887 წლის 8 ივნისს წერილი გაუგზავნა ქუთაისიდან. იგი მას თხოვდა ან „უკუეგდო ნათქვამი, ანდა მრევლის წინაშე ბოდიში მოეხადა ამ უჩვეულო მკრეხელური სიტყვების წარმოთქმის გამო“, ე.ი. დაწყევლისათვის. ეგზარქოსის თხოვნით ბატონი ყიფიანი თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა სტავროპოლში გადაასახლა. როცა იგი პეტერბურგში გამოიძახეს ახსნა-განმარტებისათვის, მოკლული იპოვეს სასტუმროში, სადაც იგი ცხოვრობდა. დაქირავებული მკვლელები ვერ აღმოაჩინეს“.

ყოველივე ამის თანამედროვე დავით ბატონიშვილი წერს: „საცა გავლიდიან რუსნი, ამქვირებდიან სოფელთა ცემით, ტაცებით და რთმევითა, თვინიერ თათრისა. საცა მივიდიან რუსნი, იყო ვაებაი მათი ზედა მით, რამეთუ ჰსცემდიან დედაკაცთა და ართმევიანი პურთა ძალითა“.

ძალზე მოქნილად და დიდი ძალისხმევით მუშაობდა რუსული შოვინისტური პოლიტიკა სკოლებში, თეატრებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, ეკლესიებში, სადაც ქართულად საქმის წარმოება, წირვა და ქართულად ლაპარაკი იკრძალებოდა, ძირშივე ანადგურებდნენ ყოველივე ქართულს, გარუსებას ზედმინვენით დახვეწილი ვერაგული პოლიტიკით ატარებდნენ. 1885 წელს საცენზურო კომიტეტმა განიხილა წიგნი „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“, წიგნიდან საერთოდ ამოიღეს სიტყვა „საქართველო“ და შეიტანეს ტერმინები – „ტფილისის და ქუთაისის“ გუბერნია. მიზანი ნათელია – რუსეთი ყველაფერს წარმართავდა იქითკენ, რომ ქართველ ხალხს უნდა დაევიწყებინა საქართველოს არსებობა, მისი ისტორია, ენა და მომავალი, ქართველი თავისი არსით რუსი გამხდარიყო. დიდმპყრობელური რუსული პოლიტიკის გზაზე საქართველო რუსეთისათვის ერთგვარ კერკეტ კაკალს წარმოადგენდა და რუსეთიც არ იშურებდა სისასტიკეს თავისი ზრახვების განსახორციელებლად, სიძულვილსაც კი დაუფარავად ამჟღავნებდა. სომხეთს კი ლოიალურად ეპყრობოდა და საქართველოსთან დასაპირისპირებლად იყენებდა, რასაც დღესაც არ წყვეტს. არა მარტო სომხებს, თვით ქართველ ერშიც კი ცდილობდა ერთმანეთისათვის გადაეკიდებინა მეგრელები, სვანები, აფხაზები, ოსები, სამურზაყანოელები. 1885 წელს რუსებმა გაააქტიურეს ოსებისა და აფხაზების ქართველებზე მისიანება. სვანებსა და მეგრელებში ეს პოლიტიკა არ გამოუვიდათ, მაგრამ თუ რას მიაღწიეს ამ მხრივ აფხაზეთსა და შიდა ქართლში ამის მოწმენი თითოეული ჩვენგანია. ეს არის ნაწილი რუსული დიდმპყრობელური პოლიტიკის განხორციელებისა, გამომდინარე პეტრე I დიდის სამეფო ანდერძიდან, დიახ, იმ პეტრესი, რომელიც თავის დროზე რუსეთის პატრიარქ ნიკონის დაჟინებული მოთხოვნით იშვა რუსეთის ტახტის მპყრობელის მეორე მეუღლის, უმშვენიერესი ნატალია ნარიშკინასა და ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონის, შემდეგ ერეკლე I – კავშირით. ამასთან დაკავშირებით საისტორიო არქივებში არსებობს მეფე არჩილ II (1647-1713) წერილი დედოფალ ნატალია ნარიშკინასადმი, სადაც იგი პეტრე I (1672-1725) შესახებ ეკითხება: „როგორ არის ჩვენი ცელქუნა“, ამასთან ერთად ისტორიას შემორჩა ცნობა იმის შესახებ, რომ როცა პეტრე I საცოლედ ბაგრატიონის ასული შესთავაზეს, მან მტკიცე უარი განაცხადა, „მე ჩემს მოგვარეებს არ ვირთავ ცოლად!“. ეს ნათელი ფაქტია იმისა, რომ მან შესანიშნავად უწყობდა წარმომავლობის შესახებ! მემატანეთა არქივებში ასევე დაცულია გადმოცემა – დარეჯან არჩილის ასული ბაგრატიონ-მუხრანელის მიმონერა სამეგრელოს მთავარ დადიანის ასულთან: „დედაჩემმა მომიტხრო ვინმე მატვეევზე, რომელსაც სიზმრისეული ხილვა ჰქონია და ამ ხილვაში მას წმინდა გიორგი გამოცხადებია და უთქვამს: „შენ გამოგარჩიე, რათა მეფეს ამცნო, რომ რუსეთში დაიბადებოდა მეფეთმეფე, რომელიც მას დიად ქვეყნად აქცევს. ის უნდა იშვას მართლმადიდებელი ივერიელი უფლისწულისაგან – დავითის იმავე მუხლიდან, საიდანაც არის ღვთისმშობელი და სპეტაკი გულის მქონე კირილე ნარიშკინას ქალიშვილისაგან. თუ გარდახვალთ ამ ბრძანებას, დიდი სიმძიმელი შეგემთხვევათ. ასეთია ნება ღვთისა“.

ცალკე განხილვის თემაა ფრესკებგადაღებული ეკლესია-მონასტრები, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვა, სხვა ეროვნებების, განსაკუთრებით, რუსების, კომპაქტური დასახლებების შექმნა, ჩამოსახლება და სხვ.

„სანაცვლოდ, წერს ტრიფონ ჯაფარიძე, გაზეთ „ჩვენი ქვეყანაში“ 1917 წელს რუსეთისადმი ქართველების ერთგულებაში ეჭვის შეტანაზე საუბარიც არ შეიძლება. თავადებმა – ბაგრატიონებმა, ციციანოვებმა, ანდრონიკოვებმა, ორბელიანებმა, ჭავჭავაძეებმა, მუხრანსკებმა, ამილახვრებმა, იმერეტინსკებმა, შერვაშიძეებმა, აბაშიძეებმა, ერისტოვებმა, თარხანოვებმა, იაშვილებმა და სხვებმა, თავიანთი სახელებით შეამკეს რუსული სამხედრო და ნაწილობრივ სამოქალაქო ისტორია. რუსული ბიუროკრატის მიერ ქართველი ხალხის ასწლოვანი მმართველობის პერიოდმა დაადასტურა მისი სრული უვარგისობა. იმპერატორ ნიკოლოზ პირველამდე რუსული ბიუროკრატია ცდილობდა გაესომხებინა ქართული მიწა, რაც კავკასიაში თავად გოლიცინის მმართველობის დროსაც გრძელდებოდა. სამცხეს ქართული გუბერნიები იმგვარად დასახლდა სომხებით, რომ უკვე 1897 წელს მოსახლეობის აღწერის დროს, სომხების რაოდენობა, მაზრების მიხედვით ასეთი იყო: ბორჩალოს მაზრაში – 29%, ახალქალაქის – 75%, ახალციხის – 30%, თბილისის მაზრაშიც კი ისინი 30%-ზე მეტი არიან. იმპერატორ ნიკოლოზ I დროიდან მართლმადიდებელი საქართველოს დასახლება დაიწყეს გერმანელებით, რუსი სექტანტებით: მალაკნებით, სუბოტნიკებით, დუხობორებით, შტუნდისტებით, ბაპტისტებითა და სხვებით. რისთვის ხდებოდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ არ კეთდებოდა ქართველი ხალხისა და რუსეთის საკეთილდღეოდ“ (ტ. ჯაფარიძე გაზ. ჩ. ქ. გვ. 1,2).

საქართველო საკუთარი სულის გადასარჩენად, მეობის დასაცავად და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ყოველთვის მედგრად იდგა და საკადრის პასუხს სცემდა „ბონიერ აგარიანელებს“. რისი ხელყოფაც ვერ შეძლო ათასი სჯულის მტერმა – სპარსმა, ბიზანტიელმა, რომაელმა, ოსმალომ, არაბმა, მონღოლ-თათარმა და სხვ. ის „კეთილის მსურველის“ მანტიაში გახვეულმა რუსმა შესძლო. რუსები საქართველოს განიხილავდნენ, როგორც მძლავრ ეთნიკურ ერთეულს და სიძულვილსაც და სისასტიკესაც მეტად იჩენდნენ ქართველთა მიმართ, რასაც ქართველი ერი არასოდეს შეგუებია და არც რუსეთს ეგუებოდა. ამის დასტურია 200 წლიანი კოლონიური ყოფისას ქართველი ხალხის მრავალრიცხოვანი აჯანყებები და შეიარაღებული გამოსვლები: 1802 წ. – კახეთი, 1804 წ. – მთიულეთი, 1810 წ. – იმერეთი, 1812 წ. – კახეთი, 1819-1820 წ.წ. – იმერეთი, 1832 წ. – თავადაზნაურთა შეთქმულება, 1841 წ. – გურია, 1842 წ. – თელავი, 1856 წ. – გურია, 1856-1859 წ.წ. – სამეგრელო, 1865 წ. – აფხაზეთი, 1875 წ. – სვანეთი, 1878 წ. – კახეთი, 1885-1886 წ.წ. – იმერეთი, 1905 წ. – სამეგრელო, 1921 წ. – სვანეთი, 1922 წ. – ხევსურეთი, 1922 წ. 26 მაისი – მასობრივი მანიფესტაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი, 1924 წ. – საერთო სახალხო აჯანყება, 1927 წ. – აჭარა, 1989 წ. 9 აპრილი – თბილისი და 2008 წ. – ომი.

სწორი შეფასება მისცა გასულ საუკუნეში ვაჟა-ფშაველამ და ივანე ჯავახიშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას:

„ყველა ერი თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცქერის და სხვისთვის ხიერი იმდენად უნდა, რამდენადაც თავად გამოადგება იგი. მხოლოდ ერთ ნაწილს ქართველებისას არ სწამს, რომ ეს ასეა. რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას, აბა საიდან სადა? ნუთუ რუსეთი არ არის საშიში მეზობელი ჩვენთვის? ნუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დამონებულ მცირე ერებისა შეუმცირდება რუსეთს? არა და ცხრაჯერ არა... აპეკუნობა, რაც უნდა კარგი აპეკუნი იყოს იგი, აჩლუნგებს ერის ძალღონეს, თვითცნობიერებას“.

„რუსებს, როცა სჭირდებოდათ, ყოველთვის ახერხებდნენ ქართველების „მოჯადოებას“, რის გამოც მათ ქართველები ბევრჯერ მოატყუეს. ისინი მართმადიდებლობას ეფარებოდნენ, როცა სჭირდებოდათ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ეს არის მოტყუების ისტორია“.

შედარებისთვის გავეცნოთ ახ.წ. შუა საუკუნეებიდან „მოტყუებით“ და ანექსირებით ქართული სახელმწიფოს ტერიტორიების საზღვრების ცვალებადობას.

კრებული „მატიანე“ კვლავ აგრძელებს ქართველთა წარმომავლობის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებს, ამავე დროს, აფართოებს მაღალი განზომილების მეცნიერთა ჯგუფთან ურთიერთობასა და აქტიურ თანამშრომლობას. ნაშრომთა ავტორები ფაქტებზე დაყრდნობით ხსნიან და გადმოსცემენ ჩვენი – ქართველთა გენის უნიკალურობას, თავდაპირველობასა და მსოფლიო ცივილიზაციის მესაძირკვლეობას. ამჯერად, ავტორთან შეთანხმებით გთავაზობთ ინტერნეტპორტალ „საზოგადოება.გე“-ზე გამოქვეყნებულ მასალას (ავტორი, უურნალისტი შორენა პირველი), რომელიც კვლევის ამ მრავალნახნაგოვანი პირამიდის კიდევ ერთ საიდუმლო ნიაღში შეგვახედებს და გამტკიცებულ ფაქტებს გადაუშლის მკითხველს, რათა ადამიანთა ქვეცნობიერებამ სრულად გაიაზროს და გაისიგრძეგანოს რამდენად ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ.

## შორენა პირველი

### „ჩვენ შუმერები ვიყავით და ამის დამადასტურებელი ნიშნები სვანურ და სხვა ქართველურ ენებში მრავლადაა შემორჩენილი“

მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანებმა შუამდინარეთში, მესოპოტამიის მიწაზე, ცათამბჯენი კოშკის, „ბაბილონის გოდოლის“ აშენება გადაწყვიტეს. ადამიანის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა მათ „ენა აღურია“ და მთელ დედამიწაზე გაფანტა. ბიბლიური ებერი ამ ბოროტებას განერიდა და გოდოლის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიიღო. არსებობს მოსაზრება, რომ ამის გამო მის მოდგმაში დასაბამისეული ენა, რომელზედაც კაცობრიობა აღრევაამდე მეტყველებდა, პირვანდელი სახით შენარჩუნდა. ებერის შთამომავლობის ერთ-ერთ შტოს იბერნი ეწოდა, ხოლო ქალდეველ-იბერებში შენარჩუნებული ენა შუმერულის საწყისი გახდა.

შედგეს თუ არა პროტოქართველებმა გაფანტვის შემდეგ თავიანთი ეთნიკური სახის შენარჩუნება, ისტორიკოსთა და ლინგვისტთა განუწყვეტელი ინტერესის საგანი იყო. მეცნიერები შუმერთა ცივილიზაციის კვალს დღემდე დაეძებნენ. მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, შუმერთა შთამომავლები კავკასიაში სახლობენ.

ენათმეცნიერები წლების განმავლობაში სემიტურ, ინდო-ევროპულ, ჩინურ, თურქულ-მონღოლურ, ფინიკიურ ენებს შუმერულს ადარებდნენ, მაგრამ მათ შორის გენეტიკური მსგავსება არ დასტურდებოდა, ნათესაური კავშირი მხოლოდ ქართულ ენასთან გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ შუმერული ენა მორფოლოგიურ და სინტაქსურ მსგავსებას ქართულ, სვანურ-მეგრულ-ლაზურ-ჭანურ და კავკასიურ ენებთან იჩენს. ეს გენეტიკური კავშირი დადგენილ იქნა მიხეილ წერეთლის, ნიკო მარის, კრამარაჟის, სეისის, კარსტის, ჰომელის, ბორკისა და სხვათა ხანგრძლივი კვლევისას. ამგვარივე მოსაზრებას ივანე ჯავახიშვილი კიდევ უფრო განავრცობს და მრავალმხრივი ფაქტიური მასალების მოშველიებით ასაბუთებს.

ამიერკავკასიის მკვიდრ მოსახლეობას, უპირველესად, ქართველებს, შუმერების შთამომავლებად მიიჩნევს ასევე აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. ჯანაშია ადასტურებს, რომ ცნობილ მეცნიერებს ფრ. ჰომელს, ედ. მაიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, აკად. ნ. მარს, აკად. ტურაევს და სხვებს არაერთხელ აღუნიშნავთ ქართველების შუმერული მემკვიდრეობა.

ქართველების შუმერულ წარმომავლობასთან დაკავშირებულ საკუთარ მიგნებებზე, ენობრივ და ლექსიკურ ასპექტებზე, sazogadoeba.ge-ს მთარგმნელი გულიკო პირველი ესაუბრება:

– ქალბატონო გულიკო, თქვენ დაინტერესებული ხართ ქართულ-შუმერული კავშირებით, სვანურ ენაში შუმერულ ფესვებს ეძებთ, გაძლევთ თუ არა თქვენი ძიება იმის თქმის საფუძველს, რომ ქართველებმა შუმერების შთამომავლებად ჩავთვალოთ თავი?

– კორიფეების კვლევების შემდეგ რა მეთქმის, მაგრამ ჩემი მხრივ, შევეცდები ამ საკითხში ტოპონიმიკის და ლექსიკის საშუალებით უფრო მეტი რწმუნებულება შევიტანო. აქცენტს სვანურ ენაზე ვაკეთებ, არა იმიტომ, რომ სვანურს ქართულიდან გამოვყოფ, უბრალოდ ქარ-

თულმა ენამ მეტი ტრანსფორმაცია განიცადა, ამის მიზეზი ბუნებრივია, მძიმე ისტორიული პროცესები გახლდათ. სვანური ენა პირვანდელი სახით გაცილებით უკეთ არის დაცული. დარწმუნებული ვარ, შუმერული სიტყვები მეგრულსა და სხვა კავკასიურ ენებშიც კარგად იქნება შემონახული, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ეს ენები არ ვიცი.

ამ საკითხზე ყურადღება მას შემდეგ გავამახვილე, რაც ქართველი მეცნიერის ეგნატე გაბლიანის ნაშრომი ნავიკითხე. გაბლიანი ოცდაჩვიდმეტ წელს დახვრიტეს და მისი წიგნი აკრძალეს. მეცნიერი წერდა, რომ სვანები შუმერული წარმოშობის იყვნენ.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის დასადგენად უპირველესი მნიშვნელობა ენათა მონათესაობას ენიჭება. საკმარისია შუმერული პოეზიის ცნობილი უბრწყინვალესი ნიმუში „გილგამეშიანი“ განიხილო, რომ შუმერულთან მსგავსება თვალნათლივ დაინახო. „გილგამეშიანი“, რომელიც „ძველ ალთქმას“ საუკუნეებით უსწრებს, გაგაოცებს ტოპონიმის, გრამატიკული კატეგორიების თანხვედრით ქართველურ, კერძოდ, სვანურ ენასთან. მესამე პირის დასტურის ნიშანი სვანურში – „ლი“, მიმღობა, მეორე პირის ნიშანი – „ხი“ იგივე „ქი“, სვანურის მრავლობითობის ნიშანი „არ“, „ალი“, მიმღობის ნიშანი – „ქა“ ყველგან ჩანს. გარდა ამისა, მსგავსებაა ჟღერადობის, ფონეტიკური შეხამების კუთხით. იდენტურია ასევე ფსიქოლოგიური ასპექტები, თუნდაც დატირების კულტურა.

ენა ცოცხალი არსებაა, იზადება, იზრდება, იცვლება და კვდება. მიუხედავად დიდი ცვალებადობისა, სვანურ ენაში შუმერული სიტყვები გასაოცრად არის შენარჩუნებული.

წიგნის სახელწოდება „გილგამეშიანი“ ამავე ნაწარმოების მთავარი გმირის სახელს უკავშირდება. ძველ ენებში საკუთარი სახელების უმრავლესობა შედგენილია და მეორე ნაწილი პირველის განსაზღვრებას წარმოადგენს. გილგა, გიგა, გიგლა და ა. შ. საქართველოში კარგად გავრცელებული სახელებია. „მეშიალ“ – სვანურად „მებრძოლს“ ნიშნავს. გილგამეში საოცარი ძალის მქონე მებრძოლი იყო. სახეზე გვაქვს მცირე ფონეტიკური ცვლილება და აბსოლუტური აზრობრივი თანხვედრა.

შუმერულ ეპოსში ნახსენები ღმერთების, ქალღმერთების და ტოპონიმური სახელწოდებები სვანურ ენასთან ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს. მაგალითად:

„ენლილე“ შუმერთა ღმერთი – სვანური სიმღერა „ლილე“, მზის სადიდებელი.

„ნიდაბა“-ყანების ქალღმერთი – სვანურად „დაბ“ – ყანა. „ნი“ თავსართი, იგივე „დი“-მღვდრობითი სქესის აღმნიშვნელი.

„არურუ“ – დემონი შუმერულში – „არურუ“ დემონის განსადგენელი უძველესი შელოცვის დასაწყისი სვანურში.

„იშთარი“ – შუმერულში ქვესკნელი ქალღმერთი – სვანურად „იშთარ-თხრა.

„აზიგ“ – უკურნებელი სენის დემონი შუმერულში – სვანურში „ზიგ“ ჭირი.

„ლაგაშ“ შუმერში ადგილის სახელწოდება – სვანურად „ლაგაშ“ ფეხის დასადგამი ადგილი.

„ნამთარი“ – შუმერულში ბედისწრის მაუნყებელი-სვანურად „ნამთარი“ იგივეა, რაც, ნანი-ნასწარმეტყველვეი.

„აქადი“ შუმერულად მაცდუნებელი, სვანურად „აქადი“ – აცდენს, მ-ქადნე – მაცდუნებელი.

„დალი“ – ავდრისა და ჭექაქუხილის ღმერთი შუმერში, „დალი“ – სვანურში ნადირობის ქალღმერთი.

„გათ-უმდუგი“ ქალღმერთი შუმერში – „უმდაგ“ – ჩაუმქრალი, უკვდავი სვანურში.

„გორო“ – საზომი ერთეული შუმერულში – „გორ“ ღვინის საზომი ერთეული ქართულში და სვანურში.

„ნანარი“ შუმერების ქალღმერთი – „ნანარი“ სოფელი ქვემო სვანეთში.

„უთუ“ – შუმერთა მზის ღმერთი – სვანურად „ათუ“ – ცხელი.

„უმა“ – შუმერული ქალაქი – სვანურად „უმა“ – მწირი

ქალაქი „ური“ შუმერის ჩრდილოეთ ნაწილში – სვანურში „ური“ – უმწიფარი.

„ცერი“ – ადგილი სახელწოდება შუმერში, „ეცერი“ სოფელი სვანეთში.

„ზაგარ“ შუმერულში ადგილის სახელწოდება, სვანურში „ზაგარ“ – ზეგანი.



ლუხალი – გილგამეშის მოძღვარი, – ლუმხალ – შეგნებული, მცოდნე სვანურში.

„მელამ“ – შუმერულად მომაკვდინებელი გაელვება, „მელამ“ – მხრჩოლავი კვამლი სვანურად.

„ირმინი“ – ქალღმერთი შუმერში-სვანურად „ირინი“ – ნათდება.

„ხუმბაბა“ ტყის მცველი, შუმერში, – „თხუმ ბაბა“ – თავკაცი სვანურში.

„მაშგურ“- შუმერში დაუდგენელი ჯიშის ხე, სვანურად „მაშგურ“ უსაყრდენო.

„ბაბა“ შუმერული ღმერთი- „ბაბა“ სვანურად პაპა.

„ლახამუ“ და „ლახმუ“- პირველშექმნილი წყვილი, როგორც ადამი და ევა, „ლახამუ“ და ლახმუ“ სოფლები სვანეთში.

„ლამარი“ – ქალღვთაება, – „ლამარია“ სვანურად – ღვთისმშობელი.

„თიამათი“ – ზღვა, ქაოტური წყლები შუმერულად, ქართულად ყიამეთი.

„მაგვენა“ ტაძარი შუმერში – „მაღვენა“ – ქონება

„მამი“ ქალღმერთი შუმერში, „მამი“ – სოფელი სვანეთში.

„ზუ-ლუმარი“ -ღმერთი შუმერში-„ლუმარ“ -მზად მყოფი სვანურში.

„ლარიგ“ შუმერის ქალაქი- „ლარაგ“-დასაყოვნებელი ადგილი.

„სუბართუ“ შუმერულად ხურიტების ქვეყანა- „სუბარი“ – უძველესი სვანური გვარი.

ამ მომცრო წიგნიდანაც კი უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ეს არასრული ჩამონათვალია, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი არის შუმერული ეპოსის მთავარი გმირის სახელი „**უ-თანაფ-შითი**“, მას ღმერთებისგან ერთადერთს აქვს მინიჭებული უკვდავება. გილგამეში უთანაფშითს დაეძებს. ამ სიტყვის ძირი „თანაფ“ სვანურში „აღდგომას“ ნიშნავს. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს სვანები „თანაფ“-ს ეძახიან. ჩემი აზრით, აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გასაღები.

ზურაბ კიკნაძის და სხვა ქართველი მთარგმნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნანარ-მოებში ბრწყინვალედ არის შენარჩუნებული ტოპონიმის აღმნიშვნელი სიტყვები და სხვა სახელწოდებები.

მაშინ, როდესაც ენა ძალიან ცვალებადია, თანხვედრის ამგვარი უამრავი მაგალითები მონ-მოხს იმას, რომ ქართველები უძველესი, კაცობრიობის აკვნად ნოდებული შუმერული ცივილი-ზაციის ნარჩენი ერი ვართ, სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების გამო ნელ-ნელა ჩრდილო-ეთისკენ გადმოხვენილები. ჩვენ შუმერები ვიყავით და ამის დამადასტურებელი ნიშნები, როგორც გითხარით, სვანურ და სხვა ქართველურ ენებში მრავლად არის შემორჩენილი.

**სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკითხები  
ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით**

*პერიოდს, რომელსაც ჩვენ „ვანთან“ დაკავშირებით განვიხილავთ სავსეა ფეოდალური დანაშრევებით და იმ ჩამორჩენილობის ნიშნებით, რომელიც ამ სისტემის ხანგრძლივმა ბატონობამ განაპირობა. ამასთან, ეს პერიოდი, ვანთან მიმართებაში აქამდე კვლევას არ დაქვემდებარებია.*

ზოგიერთი პროცესები და მისი გავლენა, რომელიც 1864-1865 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში გატარებულ რეფორმებს მოჰყვა და განსაკუთრებულად თავს იჩინს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საერთო განვითარების თვალსაზრისით იგი მაქსიმალურად აისახა ისეთ ჩიხურ დასახლებებზე, როგორსაც „ვანი“ სოფლები წარმოადგენდნენ.

ამ დროისათვის საქართველოს სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების მამოძრავებელი ძალა თანამიმდევრულად ხდება დამკვიდრებადი კაპიტალიზმი, რომელიც სამრეწველო-სავაჭრო პოტენციალის ზრდასთან ერთად განაპირობებს სოფლის მეურნეობის (აგრარული სფეროს) თავის ორბიტაში ჩართვას და შედარებით პროგრესირებას. „ვანთან“, როგორც განაპირა პერიფერიასთან დამოკიდებულებაში, რომლისთვისაც დომინანტს წარმოადგენდა მხოლოდ სოფლის მეურნეობა, პროცესები არ ხასიათდება იმ ტემპებით, როგორსაც რეფორმის შემდეგ განიცდიან საქართველოს ქალაქებთან, სარკინიგზო კვანძებთან ახლო განთავსებული დასახლებანი. აქ, ფაქტორთა მრავალფეროვნება მოქმედებდა და ზუსტად ამ ფაქტორთა არსებობა ხდება გარკვეულ დრომდე ჩამორჩენილობის შემნარჩუნებელიც.

ქართველი თავადაზნაურობა თვალყურს ადევნებდა და ბუნებრივია, ფლობდა ინფორმაციას იმ პერიოდში მიმდინარე იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც 1861 წლის რეფორმით ბატონყმობის ინსტიტუტის მოშლას მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ხელისუფლებამ რეფორმის პირობები თავისი საყრდენი კლასის თავადაზნაურობის სასარგებლოდ გადახარა, შეუძლებელია ქართველ დიდგვაროვან არისტოკრატებს ვერ გაეცნობიერებინა მოსალოდნელობა. მაგალითს იძლეოდა ევროპაში ადრეგანვითარებული მოვლენებიც, რომ აქ ბურჟუაზიამ პრაქტიკულად მოინელა ფეოდალური სისტემა და თავის სასარგებლოდ, დიამეტრალურად ცვალა პროცესები. განვითარების მოსალოდნელობა ნათელსჰყოფდა არსებული სიტუაცია გლობალურად შეიცვლებოდა და დროთა სვლაში იგი შეეხებოდა საქართველოსაც, როგორც იმპერიის პერიფერიას. ამაზე იგი ინფორმირებული იყო. ინფორმაციის საამისო საშუალებები იმ დროისათვის უკვე არსებობდა.

არაა გამორიცხული, ამის გამოც, ქართული ფეოდალური არისტოკრატია ფსიქოლოგიურად რამდენადმე მომზადებული დახვდა საქართველოში ანალოგიურ პროცესებს და რეფორმისათვის მზადების მომენტში შეეცადა კიდევაც საკუთარი ინტერესების კბილებით დაცვას.

სამყაროში ყველაფერი ცვალებადია და ქართული თავადაზნაურული არისტოკრატია უნდა დამშვიდობებოდა გავლენასაც, მითვისებულ პრივილეგიასაც, ქვეშევრდომთა ზემოდან ყურებასაც და სხვათა მხრებზე ჯდომასაც.

რუსეთის იმპერიის საქართველოში „შემოსვლამ“ ქართველ თავადაზნაურობას რეფორმამდეც პრივილეგიათა მთელი წყება დააკარგვინა. „სათავადოთა პოლიტიკური სისტემა აბრკოლებდა და ძირს უთხრიდა ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცეს“ ამიტომ, ამ საკითხებიდან გამომდინარე, რუსეთის მმართველობამ საქართველოსთან მიმართებაში გვარიანად „იზრუნა“. რუსული მმართველობის სისტემის შემოღებამ ქართულ სათავადოთა გაგება პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც მოშალა. რაც გახდა იმის განმაპირობებელი, რომ ამ ფენას, პოლიტიკურ კლასს დაეკარგა არამარტო პრივილეგიები, არამედ შემოსავლებისა და მატერიალური სიმდიდრის ან გამდიდრების წყაროთა ნაწილიც. იცვლება სამართლებრივი ნორმებიც, ფეოდალური სისტემა საქართველოში და რუსეთშიც თავისი საუკუნეობრივი არსებობის ისტორიის

მანძილზე სრულ ანაქრონიზმამდე, დროსთან შეუსაბამობამდე მივიდა. პრაქტიკულად ლპობის ნიშნები დაეტყო და რეგრესის გზაზე შეაყენა ქვეყანა.

ქართველთა ობიექტური ისტორია ამტკიცებს იმასაც, რომ ქართული ფეოდალური პარტიკულარიზმი, განდიდებისა და მატერიალური მოხვეჭის მანია, ფეოდალური გულზვიადობა, ურთიერთგაუტანლობა, ძმათამკვლელი სისხლიანი შეტაკებები, ურთიერთგამყიდველობაც ქართული ფეოდალური არისტოკრატის მნიშვნელოვანი და წამყვანი ნაწილიდან, დაპირისპირებანი ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სამეფო სახლის წარმომადგენელთა არცთუ იშვიათი ურთიერთმტრობაც და ისიც, რომ ბრძოლა წარმოებდა თვით ქართულ სამეფოთა შორის. „საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს“, საბოლოოდ შემოტრიალდა ქართული სახელმწიფოებრიობის საზიანოდ და გახდა მიზეზი მისი დაშლა-დანაწევრებისა, ეს პროცესი შემჩნეული აქვთ უცხოელებსაც, რომლებმაც იმ დროისათვის საქართველოში იმოგზაურეს და ახლო გაეცნენ მას. ამ საკითხზე მინიშნებებს აკეთებს დოქტორი იოჰან ანტონ გიულდენშტედტიც თავის ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში“, „მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე-აღნიშნავდა ჟან შარდენი-საქართველოში არ მოიძებნებოდა არც ერთი თავადი თუ აზნაური შინაფეოდალურ ბრძოლაში, რომ არ ყოფილიყო გარეული.

მინიშნებას აკეთებს, ოღონდ საკმაოდ მძაფრი, რადიკალური ფორმით გიულდენშტედტის თანამემამულე, მეცნიერი და მოგზაური, დოქტორი იაკობ რეინიგსი, რომელსაც შვიდჯერ უმოგზაურია კავკასიაში, შეუსწავლია ენებიც და თავისი შეხედულებანი XVIII საუკუნის ბოლოს გამოუქვეყნებია პეტერბურგში. ხოლო 1879 წელს იგი თარგმნა და სარედაქციო კომენტარებით გამოაქვეყნა „ივერიამ“ (№4 1879 წელი).

... ჩვენდა სამწუხაროდ – მითითებულია სარედაქციო კომენტარში – უცხო ქვეყნისანი ძვირად მოდიან ჩვენს ქვეყანაში და თუ მოვლენ თავის გასამდიდრებლად. ...ბევრი უსაფუძვლო და უსამართლო შენიშვნაა ამ წიგნში, მაგრამ ბევრს მოსასმენადაც მწარე სიმართლეს გვეუბნება... ეს შეფასება უმკაცრეს დარტყმებს აკეთებს, როგორც ხელისუფლების, ასევე თავადაზნაურთა სტერეოტიპად ქცეულ მართვისა და ცხოვრების წესებზე და მიდის დასკვნამდე. **„...სახელმწიფო წყობილების უვარგისობის გამო ხალხი ვერ შედის წარმატებაში და მტკიცე კანონების უქონლობა ერთს მეორის ყურმოჭრილს მონად ხდის“** სიტუაციათა ასეთი არაორდინალურობა მთლიანობაში შეუნიშნავი არ დარჩენიათ თვით სამეფო კარზეც კი. „უთანხმოებამან და უწესობამან მართებულობისა – მოახსენებს იოანე ბატონიშვილი მეფე გიორგი XII – მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოსა ერნი განწირულებასა შინა. დავასრულოთ ციტირებები ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიიდან: „საქართველოს დარბაისელნი ერთმანეთის მტერნი და ქიშპში იყვნენ არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა ..... თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ ვერც მტერნი აწყენდათ რასმე. ამათ საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოიშლიან და არც მოუშლიათ.“ (გვ.21) იქნებოდა უსამართლობა იმის არაღნიშვნაც, დამოკიდებულებათა ასეთი ფორმები, სისასტიკეთა და შეჯახებათა გამოვლინებანი არაა დამახასიათებელი მხოლოდ ქართული ფეოდალური სამყაროსათვის. ფეოდალური სისტემის ისტორია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელმაც კი ეს ფორმაცია გაიარა მეტნაკლები ფორმითა და გამოვლინებით ჰგავს ერთმანეთს და არც იმის თქმა შეიძლება, რომ ქართულ ფეოდალურ-მაღალიერარქიული კასტის წარმომადგენელთაგან ერისათვის სასიკეთო საქმე არავის უკეთებია, მაგრამ აქ საუბარია უკეთურობის გამძლავრების ტენდენციაზე, რომელსაც ერის გათითოკაცება და ეროვნული მთლიანობის მოშლა მოჰყვა. თუმცა, ასეთი არასაქებარი ტენდენცია საუკუნეთა მიღმიდან მოჰყვება ქართველ დიდგვაროვანთა ყოფასა და ისტორიასაც. ამიტომ ერის სერიოზულობას წარსულში და დღესაც განსაზღვრავს ალბათ ის, რამდენად ძალუძს დაშვებული შეცდომების შეცნობა და დასკვნების გაკეთება. ფაქტორთა შეჯერებით სჩანს: ჩვენს ქვეყანასთან შეხების ნერტილებში მარტო მეზობელი სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთის იმპერიების სიხარბე და მიზნები არ წყვეტდნენ საკითხებს. ამის გამოც რიტორიკული საუბრები ამ იმპერიასთან მიმართებაში

ცოტა უფრო მკაცრ და გონიერ განსჯას ითხოვს, რადგან მხედველობიდან ვტოვებთ, რომ ყველა დიდი სახელმწიფო არა მარტო ტერიტორიულად, არამედ სიძლიერის მიხედვით თავისი შინაგანი ბუნებით ამბიციურია და სტრატეგიული ინტერესებით იმპერიული. დაპყრობისა და დამონების ხერხები იცვლება მხოლოდ. სიტუაციებია მათი ლმობიერებისა და სისასტიკის მსაზღვრელი. ზემოთ მითითებული იმპერიების ინტერესებში სხვადასხვა დროს იჯდა შეღწევა საქართველოში და ქართველმა მმართველმა ელიტამ ან ე. წ. არისტოკრატამ (ერთეულთა გამოკლებით) როგორც კავკასიის რეგიონში წამყვანი ქვეყნის მესვეურმა, ასევე სხვადასხვა დროს, იგი მათ თუ ხონჩით არ მიაართვა, მიზნების განხორციელებაში ხელი მაინც შეუწყო. გაუთვალისწინებელი გვრჩება ისიც, რომ იმპერიათა კეთილშობილება ისტორიას არ ახსოვს. არც წარსულიდან, არც დღევანდელიდან და ალბათ არც მომავლიდან იქნება მსგავსი რამ.

რუსეთი, რომელიც თავისი რეგიონებით, საქართველოს ჩათვლით, წარმოადგენდა უზარმაზარ ფეოდალურ სახელმწიფოს სიტუაციათა გამძაფრების, შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის სირთულიდან გამომდინარე, მივიდა დასკვნამდე, რომ სისტემაში რალაც მნიშვნელოვანი უნდა შეცვლილიყო, რადგანაც იგი აშკარად და დიდი ხნით ჩამორჩა დროის მოთხოვნებს, ევროპულ ცივილიზირებულ მიმდინარეობებს და რადგან ცვლაზე მიდის საუბარი ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი აზრით) იგი იწყება XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან ჯერ რუსეთში (1861 წელი) შემდეგ იმპერიის განაპირა მხარეებში, მის გუბერნიებში. კონკრეტულად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 1864-65 წლებში გატარებული რეფორმებიდან. აქედან თავისუფლად შეიძლება ვთქვათ: რადგანაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე მოვლენები ცხოვრებისეულ ყველა სფეროში საფუძველს იღებს 1864-1865 წლების რეფორმებიდან და იგი აისახა საერთო და პერიფერიულ ადგილებშიც, როგორსაც წარმოადგენდა „ვანი“ მასში შემავალი სოფლებით, იგივე რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული გარემო და დამკვიდრებადი სიტუაციები იქცნენ მასების შემდგომი ცნობიერების მკვეთრი ცვლის შემზადების საფუძველად. წინმსწრებად, რომ ვთქვათ 1861 წელმა წარმოშვა 1905-1907 წლების, 1917 წლის მოვლენები და განაპირობა მასში ქართველთა ჩართულობაც.

რეფორმის განხორციელებით ცვლილებები შედიოდა ქართული ცხოვრების პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ სფეროში, ეს იყო ურთულესი მოვლენა.

საქართველო, ჩართული ამ ორბიტაში, ბუნებრივად უნდა გაჰყოლოდა იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებას თორემ, როდესაც გლეხთა განთავისუფლების (ბატონყმობის გაუქმების) საკითხებზე რეფორმათა მზადების ირგვლივ ქართველ ფეოდალთა დამოკიდებულებებს ეცნობი აშკარად ჩანს, რომ ეს კასტა არც აპირებდა გლეხთა მისამართით სალტეების შემსუბუქებას, მიუხედავად იმისა ამ სოციალური ფენის უკმაყოფილება გაზრდილი იყო საქართველოს რუსეთთან მიერთებამდეც, ამის შემდეგაც რაც განუწყვეტლივ ზრდიდა ანტაგონისტურ მუხტს. დამოკიდებულების ანალოგიურმა სიტუაციებმა და სირთულემ აიძულა 1857 წლის ნოემბერში ამაღლება-ბაღდათის<sup>1</sup> უბნის საბატონო გლეხთა კატეგორია იარაღი აიღო ხელში და მიემართათ პროტესტის უკიდურესი ზომისათვის. ეს პროტესტი განპირობებული იყო ექსპლუატაციის სიმძიმითა და განუკითხაობით – „ჩვენი საჭიროება და შენუხება ფრიად დაუთვლელ არს-აცნობებენ ისინი გუბერნიის ხელმძღვანელობას – თითოეული ჩვენგანი ვალდებულია მებატონეს შინა-მოსამსახურე მისცეს. თუ ეს უკანასკნელი ავად გახდება ნამეტური სარჯელისაგან, მაშინ იგი მეორით ან ფულადი გადასახადით უნდა შეიცვალოს. გლეხს აკრძალული აქვს ქალიშვილის გათხოვება, ნებართვის მისაღებად (ე. ი. მებატონემ, რომ დართოს უფლება – ო. კ.) აუცილებელია 12-15 მანეთის გადახდა<sup>2</sup> ..... ძველად ნეფე, რომ სოფელში გვესტუმრებოდა მოვბოჭავდით თვითეულს კვამლზედ ოთხ ფარას, ვუყიდდით ძროხას ხარ-

1. ამაღლება-ბაღდათი-ქუთაისის მაზრის სოფლები (უბნები) ამაღლება-დღეს ვანის რაიონის სოფელი. მაშინ იგი შედიოდა ბაღდათის საპოლიციო უბანში. 1861 წლის რეფორმის შემდეგ თემსაზოგადოებათა შექმნიდან გორას თემსაზოგადოებაში. მე-XX საუკუნის 10-იან წლებამდე ჩამოყალიბდა როგორც ცალკე, ამაღლების თემსაზოგადოება.

2. მითითებული თანხა 12-15 მანეთი მაშინდელი კურსით სოლიდური რაოდენობაა. ერთი მარჩენალი ძროხის ღირებულება არ აღემატებოდა 8-10 მანეთს.

ჯათ და იოლად გავდიოდით. ახლა კი მებატონე იმა საგანზედ ითხოვს ცალ ხარს ან მის საფასურს ფულად. ხშირად გვინვევენ ჩვენ მილიციაში ჩვენის ცხენით და ხარჯით (ანალოგიური სიტუაცია უფრო მოგვიანებითაც მილიციაში განვევისა დაფიქსირებულია „ვანის“ არაერთი სოფლიდანაც – ო.კ.) მაგრამ ფულსაც გვახდევინებენ თითო თუმნის რაოდენობით. მემამულეებმა მილიციელებისათვის დაწესებული ჯამაგირიც შეგვიჭამეს და კარგი სამსახურისათვის ჯილდოს მიღებაც ჩაგვიშალეს<sup>1</sup>. მღელვარების ჩაქრობის შემდეგ იგივე დაადასტურეს გლეხებმა გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებშიც. იმავე პროცესებთან დაკავშირებით, საბატონო გლეხთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მიცემული უხუთელი გლეხი ჯაშინიკა ხურციძე გამოძიებას უჩვენებს: „შევიწროებანი რომელთაცა ვითმენდი მე ძმებითურთ ...მებატონისაგან ჩვენისა კნიაზის გიორგი ლორთქიფანიძისაგან<sup>2</sup> იყვნენ შემდეგნი: გადაგვექონდა ქუთაისიდან პრავიანტი რისთვისაც ლორთქიფანიძეებს, კონკრეტულად გიორგი ლორთქიფანიძესა და შემდეგში მის მემკვიდრეს მიხაილს, გარკვეულ დრომდე მითითებულ სოფელში სამფლობელო ან (სამფლობელოები) არ გააჩნდათ, მაგრამ მას შემდეგ როდესაც გიორგი ლორთქიფანიძემ ცოლად შეირთო თავადის დავით ბეჟანის ძე ერისთავის ასული (ჩაესიძა) იგი სოფელ დიხაშხოდან ადგილს იცვლის და როგორც სჩანს ცხოვრობს სიმამრის ნაბოძებ ქონებაზე. სავარაუდოა, რომ დავით ერისთავმა თავისი საკუთრებიდან, რომელსაც ფლობდა სოფელ უხეთში (ასევე ზოგიერთი სხვა ადგილებიც) ქალიშვილსა და სიძეს ყმების გარკვეული ნაწილით უმზითვა. ასევე დასტურდება, რომ, როდესაც გიორგის შვილი მიხაილი დაოჯახდა, გიორგი ლორთქიფანიძე კვლავ უბრუნდება სოფელ დიხაშხოს (იგი შვილმა მიხაილმა დააბრუნა). ეს პროცესი კარგად სჩანს თავადის ნესტორ ერისთავის მოგონებებიდან (რომელიც დაცულია ხელნაწერი ფორმით. რომელსაც ახლო ნათესაური კავშირები ჰქონდა, როგორც დავით ერისთავთან, ასევე გიორგი ლორთქიფანიძესთან.

მებატონემან ჩვენმა ნაილო 25 მანეთი და ფულები ესე არ მოგვცა ჩვენ. იმავე დროს კნიაზმა გიორგი ლორთქიფანიძემ წაიყვანა საბალახოდამ ცხენი და თუმცა ამაზეც შევიტანეთ საჩივარი ვერა მივიღეთ ვერავითარი დაკმაყოფილება ...1851 წელს გიორგი ლორთქიფანიძემ გარდამახდევინა მე 16 მანეთი გარდასახადი საქორწილოდ, სრულიად ჩვენთვის ახალი მოგონილი. მე, ერთად გიორგი ლორთქიფანიძესთანა ვიმყოფებოდი მილიციაში თერთმეტს თვეს და დაწესებულის ხაზინისაგან თვეში ხუთს მანეთსა და ხუთს შაურს იღებდა იგი საკუთრივ, არ მაძლევდა მე არაფერს. წასვლისა დროს ჩემისა პახოდში 1853 წელს. მებატონემან ჩემმან წამართვა ერთი საპალნე ოტკა (დაახლოებით 10 ფუთი) ღირებული მაშინ 60 მანეთად და ა. შ. სხვა საინტერესოა კიდევ ერთი ეპიზოდიც, თავადი ერისთავის ყმა მურზაყან ხურციძე აცხადებს: – „საჩივარი ჩემი არის შემდგომი, ამ მებატონემ ჩემმა კნიაზ ერისთავმა ვალისათვის მართებულისა მის მიერ მეგრელისადმი, აძლევდა მამასა ჩემსა ცოლშვილიანად (ე. ი. ვალის საფასურად გაასხვისა ოჯახი) გარნა მცხოვრებთა სოფლის უხუთისა დაიხსნეს იგი. შემდგომ კნიაზმა ერისთავმა დაიწყო თხოვა ყმური სამსახურისა ამა ყმობისაგან მამამან ჩემმან კვლავ დაიხსნა თავი. ამის შემდგომ დასძენს იგი, როდესაც ბატონმა თავისი ასული მისცა (ე. ი. მიათხოვა.) კნიაზ მანუჩარ ჩიჯავაძეს<sup>4</sup> – „მისცა მამაჩემი ცოლშვილიანად მზითვად ასულსა თვისსა. კნიაზმა ოტია ერისთავმა წაგვიყვანა ჩვენ უკანვე. გვაიძულა კვლავ მიცემად მისადმი თავისუფლებისათვის ფულისა. არა მიხედა ამას კნიაზმა ერისთავმა (ე. ი. მხედველობაში არ მიიღო, რომ ერთხელ უკვე გვექონდა ფული გადახდილი ყმობიდან განთავისუფლებისათვის – ხაზგასმა ჩვენია) არ გაგვიშვა ყმობიდან მისსა... წაგვართვა ჩვენ ყოველი მოძრავი მამული და საცხოვრებელი<sup>5</sup>. და ა.შ. ეს მღელვარება და მოძრაობა დაიწყო კონკრეტული საბაბით

1. მ. გაბრიჩიძე – საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში 1857 წელს გვ.299  
 2. ყურადღება შეიძლება გამახვილდეს „კნიაზ გიორგი ლორთქიფანიძესთან“ დაკავშირებით, რომელიც, როგორც ირკვევა ფლობს ყმა გლეხმა გარკვეული რაოდენობის კომლებსა და ადგილებს სოფელ უხეთში. ჯაშინიკა ხურციძეც მისი ყმაა.  
 3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომიV გვ.237.  
 4. კნიაზ – მანუჩარ ჩიჯავაძე დაქორწინებული იყო ოტია გედევანის ძე ერისთავის ასულ მარინე ერისთავზე.  
 5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომიV გვ.237

სოფელ დიშში და გავრცელდა ახლომდებარე სოფლებშიც. გლეხები 1857 წლის 17 ნოემბერს თავის შეკრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას ამაღლების უბნის სოფლებში წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ თხოვნით – მხარდაჭერის მოპოვებისათვის, რომელსაც გამომხაურება და პრაქტიკული მხარდაჭერა აღუთქვა გადიდის, ონჯოხეთის, დვალიშვილების, უხუთის, ზენობნის, ციხისუბნისა და ზოგი სხვა სოფლების გლეხობამ. ამას მოჰყვა ამაღლების უბნის 400-მდე გლეხის შეიარაღება და ახლომდებარე უხუთის ტყეში დაბანაკება. გააცნობიერა რა – ბაღდათი-ამაღლების უბნების მოსახლეობის გაერთიანების საფრთხე გუბერნიის ხელმძღვანელობამ სადამსჯელო ექსპედიცია დასძრა მღელვარების ჩასაქრობად, რომელსაც შეუერთდა ადგილობრივ თავადაზნაურთა 300 კაციანი შეიარაღებული რაზმიც. პროცესი წარიმართა რთულად.

როდესაც მღელვარება ჩაწყნარდა, აჯანყების ხელმძღვანელად მიჩნეული 16 კაცი დააპატიმრეს და რუსეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ვადით გადაასახლეს. მათ შორის 7 კაცი – ჯაშინიკა ხურციძე, მურზაყან ხურციძე, კიკოლა შარაძენიძე, ოტია გოცირიძე, ფრიდონ გოცირიძე, ტატულა ვაშაყმაძე და ეგნატე ჰაიკიძე, ვფიქრობ ვანის სხვადასხვა სოფლების მკვიდრნი არიან. ამის შემდეგ ასეთი ორგანიზებული შეიარაღებული და ხალხმრავალი გამოსვლები ვანის გლეხობიდან, გარკვეულ დრომდე (1905–1907 წლების) რევოლუციამდე არ ფიქსირდება, მაგრამ ნათქვამიდან და მოყვანილი ციტირებიდან ცხადი ხდება შემდეგი:

ლოგიკურია, ამგვარი და სხვა არაკანონიერი დისკრიმინაციული ქმედებები, რომლებიც გლეხს მონის მდგომარეობაში აყენებდა, სამართლიანად განაწყობდა წინააღმდეგობისათვის, რომ ცხოვრების ამდაგვარმა ფორმამ ქვედა ფენებში დააგროვა სიძულვილიც და უბიძგა მათ თავდაცვისაკენ. ის, რომ გარდა ამაღლებისა, „ვანის“ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების გლეხობა მყისიერად თანახმა გახდა გამოეცხადებინა თანადგომა ბაღდათის უბნის გლეხობისათვის, დასტურს იძლევა იმაზეც, რომ ამ სოფლების საბატონო გლეხებიც უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და რადგან სხვა გამოსავალი აღარ ჩანს იარაღს მოჰკიდეს ხელი. ესე იგი, პროტესტი შინაგანად მომნიჭებული ჩანს და რისკისა და მოსალოდნელობის ფაქტორიც გაცნობიერებული ექნებოდათ. ამდენად, მათ მოქმედებაში შემთხვევითობაც გამორიცხულია.

მგვარად, „ვანის“ სოფლების საბატონო გლეხებმა ამ მხრივ, ასე გამოხატეს თავიანთი პოლიტიკური ერთსულოვნება და იარაღის აღებით დაამტკიცეს, რომ მზად იყვნენ ებრძოლათ თავისუფლებისათვის. მართალია დამარცხდნენ, მაგრამ ეს პროცესიც უნდა ჩავთვალოთ არსებული რეჟიმისა და ბატონყმური სისტემის რყევად, ან რყევის საწყისად, რომელსაც უკვალოდ არ ჩაუვლია და ანტიბატონყმურ სხვა მოძრაობებთან ერთად ხელისუფლებას აიძულებდა ფორსირებულად ეფიქრა რეფორმებზე, რადგანაც სისტემის წიაღში უკვე მომნიჭდა წინააღმდეგობა, რომელიც მონარქიისათვის ყალიბდებოდა საშიშ ძალად, როდესაც ზედა ფენებს არ ძალუძთ ძველებურად მართვა, ხოლო ქვედა ფენებს ძველებურად ცხოვრება. ცხადია ეს არ იყო კლასიკური გაგებით რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ თანმდევ ფაქტორთა ხელშეწყობით მოვლენები მიექანებოდა უარესობისაკენ. ამიტომაც იმპერიის ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ „უმჯობესია ზევიდან გავაუქმოთ ბატონყმობა ვიდრე ვუცადოთ იმ დროს, სანამ გლეხები თვითონ გააუქმებენ მას ქვემოდან“.

1858 წელს კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკი იღებს პეტერბურგიდან დებულებას „გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ“. თუმცა პროცესი არ დაძრულა 1861 წლამდე, მხოლოდ 1861 წლის მარტში თავადაზნაურთა წინამძღოლების შეკრებაზე გაკეთდა განცხადება საგლეხო რეფორმის მზადების შესახებ. ამ დროიდან თბილისის გუბერნიაში, შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში ეს პროცესი დაიძრა და დაიძრა იგი ძალიან მტკივნეულად.

მიუხედავად ყველაფრისა, რომ საქართველოს ორივე გუბერნიაში რეფორმის მომამზადებელ კომისიებსა და კომიტეტებში, მხოლოდ, რომ თავადაზნაურობათა წარმომადგენლები შეიყვანეს და გამორიცხეს მასში გლეხობის წარმომადგენელთა ჩართვა, მიანიშნებდა განსახორციელებელ ღონისძიებათა ცალმხრივობაზე, ხელისუფლების ტენდენციურობაზე და იმაზეც, რომ პრიორიტეტი გადახრილი იქნა გაბატონებული კასტის მიზნებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამისა და ფორსირების პრობლემათა გამო განხილვა დაუქვემდებარეს

უშუალოდ გუბერნიათა ყრილობებს, ისევ თავადაზნაურთა წრიდან გამოსულ მოხელეებსა და წარმომადგენლებს სამი პრინციპით: 1. „რომ ეგრძნო გლეხებს მისი ცხოვრების გაუმჯობესება. 2. მემამულეს დაენახა თავისი ინტერესების დაცვა. 3. საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას უზრუნველყო რუსეთი სახელმწიფოებრივი შერყევისაგან“<sup>1</sup>.

რეფორმისათვის მზადება დაიწყო თბილისის გუბერნიიდან. მემამულეებს დაეგზავნათ ცალკეული ინსტრუქციები და ეთხოვათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმა. (ციტირება რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ მოვიყვანეთ 1905-1907 წლების რევოლუციაში ვანელი გლეხების ჩართულობის ანალიზის (მატიანე №5) და მეტი სიზუსტისათვის ვიმეორებთ ახლაც).

მათი მოსაზრება იყო ასეთი: ბატონყმობა არ უნდა გაუქმდეს, გლეხს თავისუფლება არ უნდა მიენიჭოს და აი რატომ: „რა, რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან. ჩვენ კარით-კარამდე უნდა ვიაროთ და მონყალება უნდა ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის დამამუშავებელი, აღარც საქონლის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა“. ამ მოსაზრებას ერთობლივად იზიარებდა გორის მაზრის 74 მემამულე, ანალოგიურ პოზიციებზე იდგნენ კახელი თავადაზნაურებიც და შემდეგში იგივე მოსაზრებები უკეთესი, დახვეწილი ფორმით გამოხატეს ქუთაისის გუბერნიშიც, კონკრეტულად იმერეთის მაზრებშიც.

ყურადსაღებია თავად დ. ციციშვილის „საინტერესო“ მოსაზრებაც, რომელიც არ ტოვებს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ვთქვათ საკითხზე მისი ფორმულირება გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ოდნავ მაინც განსხვავდება კოლეგა უმრავლესობის საერთო შეხედულებისაგან. რადგან მათ მიაჩნიათ, რომ არა მარტო მიწის ერთადერთი მფლობელი და იმ დროისათვის მთავარი მწარმოებელი მასის – გლეხობის მესაკუთრენიც არიან, თანაც გაცნობიერებული აქვთ, რომ პროცესთა განვითარების შეუქცევადობის შედეგად შეიძლება დაჰკარგონ მიწაც და გლეხთა მოსალოდნელი განთავისუფლებით ძირითადი მწარმოებელი ძალაც, პირდაპირ გაცხადდა: გლეხთა განთავისუფლება არ უნდა იქნას დაშვებული, „ყმათა განთავისუფლება იქნებოდა უკანონობა და უსვინდისობა ...უკე თუ სვინდისით განვსჯით ჩვენ გვმართებს მომადლიერება ჩვენი თავისა და ჩვენის ცოლისა და შვილისა, რომელთაც არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზე დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა და თოხვნა და არც საქონლისა და ცხვრის დევნა და არც სხვაგან მოჯამაგირედ დადგომა, რომელთაგანაც უცხონი ვართ და უცოდინარნი: **ხოლო გლეხი მარადის მზად არის ყოველთა ამათ საგანთა ტვირთად და არც არავისგან დაიძრახება, რადგან შობილია ამგვარი მდაბიო ცხოვრებისათვის და სიყრმიდანვე გაზრდილია ამისთანა ცხოვრებაში**“<sup>2</sup>.

მოცემული მსჯელობა საყურადღებოა უფრო სხვა კუთხით. შეუსაბამო და შეურაცხმყოფელია ამ გამონათქვამებში ჩადებული და ჩამოყალიბებული თავადაზნაურული შეხედულებაც და ფსიქოლოგია ქვეშევრდომებთან დამოკიდებულებაში, რომ ისინი, როგორც არაადამიანები შობლინი არიან „ამ საქმისათვის, ამგვარი მდაბიო ცხოვრებისათვის“ და არც დაიძრახებიან ამისათვის. მე არა მგონია, რომ დისკრიმინაციული პოსტულატები უფრო სხვაგვარ ფორმულირებებს ემყარებოდეს ვიდრე ამ ნააზრევით ჩანს.

ასევე, აქ გასაგებია თავადაზნაურებისა და „დაბალი“, გლეხური ფენების მისამართით ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ლოგიკაც, მეტნაკლები ფორმით დამახასიათებელი ქართული სივრცისათვის. ამიტომაც არა გვაქვს სხვა ვარაუდი, რომ თავადაზნაურული პრეტენზიები არ იყო თანაბარი, ან მკვეთრად განსხვავებული იყო „ვანის“ მოსახლეობის გლეხობასთან დამოკიდებულებაშიც. მითუმეტეს, ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მსგავსი დამოკიდებულების პრაქტიკული მაგალითიც, როდესაც ამაღლება-ბაღდათის უბნის საბატონო გლეხთა მღელვარებას შევეხეთ.

1. გაჩენილი ანტაგონისტური მუხტი გახდა უპირველესი მაიძულებელი ფაქტორი ხელისუ-

1. აბ. კიკვიძე – საქართველოს ისტორია გვ.271

2. აბ. კიკვიძე – „შეკრება ოცდაერთისა აზრისა“ – საქართველოს ისტორია გვ.272

ფლებას ეფიქრა ბატონყმობის გაუქმებასა და ყმა გლეხებისათვის რამდენადმე, თავისუფლების მინიჭებაზე. აქედან გამომდინარე არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფეოდალური არისტოკრატია პროცესებს არასათანადოდ ან ცუდად აცნობიერებდა. განვითარებული სიტუაციები აიძულებდა მას მიეღო თამაშის ის წესები, რომელსაც მაშინდელი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი კარნახობდა. უნდა ჩაყოლოდა პროცესს, ვიდრე პროცესი მას ჩაითრევდა.

2. რეფორმის მომამზადებელი კომისიები, რომლებიც მხოლოდ თავადაზნაურთა წარმომადგენლობისაგან შედგებოდა, მოვალე იყო დაეცვა თავისი კლასის ინტერესები, რომელშიდაც განვითარებული იყო საკუთარი ინტერესებიც. პროექტი უნდა აეგოთ იმ ფორმითა და პირობით, რომელიც არ გამოიწვევდა გაბატონებული კლასის ინტერესის დაზარალებას, ან გამოიწვევდა ნაკლებ დაზარალებას. ასეთი გადათამაშება პრიორიტეტების დაცვის თვალსაზრისით კლასობრივ ინტერესთა შეჯახებისას, უცხოვდ არ უნდა მოგვეჩვენოს.

3. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კომისიებმა მოსაზრებები განავითარეს რამდენიმე მიმართულებით და ვარიანტით. ცდილობდნენ მის გატანას და როგორც ჩანს, ყველა ვარიანტი იყო მაქსიმალურად გაცნობიერებული.

4. გაცნობიერებული იყო მათი მოთხოვნა გლეხთა უმინოდ განთავისუფლების შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ყველაზე არასამართლიან მოთხოვნას, ან ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხს მემამულისათვის უნდა დაეტოვებინა მთელი უძრავი ქონება, მხოლოდ მოძრავ ქონებაზე უფლების შენარჩუნებით. ორივე ვარიანტს გლეხობა გადაჰყავდა ხიზნების მდგომარეობაში, „რომელიც პირადად თავისუფალი იყო, მას ვერ გაჰყიდდა მემამულე, მაგრამ ..... რადგანაც ისარგებლებდა მემამულის მიწით იგი ამ მიწაზე დასახლებული, ყველაფრით ემსახურებოდა მემამულეს“. ამით იურიდიულად თავისუფალი გლეხი კვლავ მემამულეზე რჩებოდა დამოკიდებული. სინამდვილეში ასეთი ფორმით განთავისუფლება ვერ გასცდებოდა მხოლოდ დეკლარირებულ რეალობას.

5. გაცნობიერებული იყო, რომ თუ ყმა გლეხი განთავისუფლდებოდა მიწის გარეშე, ფეოდალური არისტოკრატია ამ შემთხვევაში ინარჩუნებდა უცვლელ პრივილეგიას წარმოების ძირითად საშუალებაზე, რომელიც იმ პერიოდისათვის, ქართველი გლეხისათვის, მათი ოჯახისათვის წარმოადგენდა არსებობის ერთადერთ საშუალებას. როგორც ითქვა, ამ პროცესით იგი ნებისმიერი ეკონომიკური ბერკეტით მიბმული რჩებოდა ფეოდალზე. რადგანაც უნდა ესარგებლა მხოლოდ სხვის საკუთრებაში არსებული მიწით, იძულებული ხდებოდა ამისათვის მიეღო ყოველნაირი პირობა, რომელსაც მიწის მეპატრონე წაუყენებდა, რადგანაც არსებობის სხვა გზა მას არ რჩებოდა.

6. წარმოების ძირითად საშუალებადაკარგული გლეხი ექცეოდა, როგორც ითქვა, ან ხიზნის მდგომარეობაში, ან იქცეოდა პროლეტარად, რომელსაც ადგილის ფუძე უნდა დაეტოვებინა.

7. რადგან იურიდიულად გლეხი მეზატონის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, კომისიამ დასვა საკითხი გლეხების უმინოდ განთავისუფლების შემთხვევაშიც, განთავისუფლების სანაცვლოდ, მემამულისათვის მათ უნდა გადაეხადათ საფასური ფულადი გამოსახულებით. ცხადია, ეს საფასური სოლიდური იქნებოდა, რომლის გადახდასაც გლეხთა ოჯახების დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებდა, რის გამოც იგი კვლავ მეზატონის გავლენის ქვეშ ექცეოდა.

1864 წლის 13 ოქტომბერს გამოვიდა „უმალლესი ბრძანება“ „თბილისის გუბერნიაში გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ.“ აქ და პრაქტიკულად შემდეგში ქუთაისის გუბერნიაშიც განთავისუფლება მოხდა თითქმის იგივე სცენარით, როგორითაც მთლიანად რუსეთში. ქართველ თავადაზნაურთა ყრილობების გადანყვეტილებანი ნაკლებად იქნა გათვალისწინებული და არა იმიტომ, რომ იმპერია დაბალი ფენების მისამართით გულკეთილი გახდა, არამედ სიტუაციამ აიძულა იგი ასე მოაქცეულიყო. ამის შემდეგ იწყება მზადება ქუთაისის გუბერნიაში და აქედან ქუთაისის მაზრაშიც ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების პროექტების დამუშავებისათვის და წარიმართა იგი უფრო რთულად და გუბერნიის თავადაზნაურთა უფრო კატეგორიული მოთხოვნით, ვიდრე ეს მოხდა თბილისის გუბერნიაში.



1864 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით ქუთაისის გუბერნიაში იწყებენ მუშაობას რეფორმის მომამზადებელი კომისიები, რომლებსაც უნდა დაედგინათ გუბერნიის მაზრებში არსებული მდგომარეობა. დაეზუსტებინათ მიწის ფონდი და გლეხთა განთავისუფლებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების გატარების მიზნით განესაზღვრათ პოზიციები. ერთი სიტყვით, ჩამოეყალიბებინათ სამუშაო ვარიანტები, რომლის განხილვაც ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრებაზე, რომელსაც თითოეული მაზრიდან უნდა დასწრებოდა ოთხ-ოთხი წარმომადგენელი, ორი თავადი, ორი აზნაური. არც ერთი გლეხი არც ერთი მაზრიდან, როგორც ვთქვით, ის კატეგორია, ვისაც შემდგომში უნდა შეხებოდა რეფორმით გამიზნული ცხოვრებისეული ცვლილებები. სხვათა შორის, ქუთაისის მაზრიდან თავადაზნაურთა შეკრებაზე მიწვეული იყო თავადი ნიკოლოზ ვახუშტის ძე ჩიჯავაძეც, საჩინოს (ვანის) ფეოდალი. მან ამ საკითზე მიიღო სპეციალური მიმართვა ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობისაგან, ამასთან ნ. ჩიჯავაძე ამ დროს ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლიც იყო<sup>1</sup> ყველა პოზიციიდან ჩანს, რომ საკითხის მოსამზადებელი კომისიის საქმიანობა მიმდინარეობდა საკმაოდ სკრუპულოზურად. მდგომარეობა ანალიზდება შედარებით კომპეტენტურად, განსაკუთრებით მიწის ვარგისიანობის, სავარგულებისათვის გამოსაყენებელი ნაკვეთების ფართისა და საზღვართა დადგენის თვალსაზრისით, რომელიც ქუთაისის მაზრაშიც, როგორც ირკვევა მაქსიმალურად მოუწესრიგებელი იყო და მოუწესრიგებელი იყო იგი „ვანის“ სოფლებთან მიმართებაშიც. ჯერ ერთი, ეს პროცესი უცხო არ არის ფეოდალური საქართველოსათვის, მაგრამ „ვანში“ იგი გრძელდებოდა რეფორმის შემდეგაც. რომლითაც ჩანს არამარტო ცალკეული თავადაზნაურების, არამედ გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებიც შეჭრილი და არეულია ერთმანეთში, გაფანტულია სხვადასხვა სოფლებსა და ადგილებში. შერეულია სხვადასხვა პიროვნებათა სამფლობელოებში. ეს ცხადია განპირობებულია არა ერთი ფაქტორით და კარგად ჩანს ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების ანალიზითაც, რომლებიც 1880-1900 წლების დასაწყისის მიწების ყიდვა-გაყიდვის საკითხებს ეხება. მითუმეტეს „ვანში“ ნაკვეთებს ფლობენ საჯავახოელი, ჯიხაისელი, კულაშელი, ოზურგეთის მაზრიდანაც ზოგიერთი პირები. სხვათა შორის, ამ აღრევის საფუძველზე თავის შეხედულება არ დაუმალავს ქუთაისის გუბერნატორს სვიატოპოლკ მირსკისაც, როცა იგი რეფორმის გატარების ზოგიერთ სირთულეს ეხებოდა.

ბუნებრივია, კომისიათა საქმიანობაც მიმართული იყო იქეთკენ, რომ გუბერნიის თავადაზნაურობა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსულიყო ფართო შეღავათებით, რომ რეფორმის ვარიანტები მაქსიმალურად მორგებოდათ მათ ინტერესებს. ამას ითხოვდა კლასობრივი გავლენის, მისი პრიორიტეტების შენარჩუნების ინტერესებიც და რეფორმის მზადებისას წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებანი, რომელიც, ძირითადად, გამომდინარეობდა თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებიდან. ყოველივე ეს ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების დამატებითი წესების პროექტის სახით მომზადდა და 1865 წლის თებერვალში წარდგენილი იქნა ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობის წინაშე. ჩანს ისიც, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენლები შეეცადნენ გლეხობისათვის უფრო რთული პირობები მოეხვიათ თავს, ვიდრე იგი მოხდა თბილისის გუბერნიაში. რა თქმა უნდა, მათი მოთხოვნა იდენტურია თბილისის გუბერნიის კოლეგებისა, მაგრამ უფრო გამოკვეთილია მტკიცებულებებიც და მაქსიმალურად რადიკალურია მათი მოთხოვნებიც. მსჯელობისას საყრდენად გამოყენებულია ფაქტი იმაზე, რომ:

ა – ისინი გლეხების განთავისუფლებით კარგავენ მეურნეობის წარმართვის მთავარ და ყოველგვარ საშუალებას.

ბ – თავადთა და აზნაურთა სიღარიბისა და უფულობის პირობებში შეუძლებელია მოსამსახურის, მუშის დაქირავება. ამასთან ...„ჩვენ არ გავგაჩნია პირადი მეურნეობა და ცოდნა (ე. ი. ცოდნა იმ საქმის კეთებისა, რასაც ყმა-გლეხი ასრულებდა მათ კარზე) არც ვაჭრობასა და

1 №21. 30 ივნისი 1864 წელი. ექ. სახ. ისტ. მუზეუმი, საბუთი 6413/407

მრეწველობას მოვდევთ, ჩვენი სიმდიდრე მხოლოდ ყმა-გლეხობაა, რომელსაც საუკეთესო მიწები მივეცით (ეს მტკიცება შეუსაბამოა, რადგან მიწების უდიდესი ნაწილი ამ დროს მებატონეთა საკუთრებაა, რომელსაც ყმა გლეხობა ამუშავებდა), რომ ღალა გვაძლიონ და სამსახური გაგვიწიონ“.

გ – გუბერნიის თავადაზნაურობა იმპერიის ხელისუფლებას შეახსენებდა ადრეულ დაპირებას; მათგან გლეხთა განთავისუფლების შემთხვევაში სახელმწიფოსაგან დამატებითი ფინანსური კომპენსაციის გამოყოფის თაობაზე. მტკიცებულებებში ხაზგასმული იყო ისიც, რომ გუბერნია განიცდიდა მიწის დიდ სიმცირეს, რის გამოც არ უნდა დაშვებულიყო გლეხებისათვის მიწის მიკუთვნება, რადგანაც ეს იქნებოდა მემამულეთა გაჩანაგების ხელშემწყობი.

დ – პროექტშივე გაკეთდა განმარტებაც და მოთხოვნაც – „რომ ბატონყმობა აქ უხსოვარი დროიდან არსებობდა. ამასთან, გლეხობა და თავადაზნაურობა მიწა-წყალს წყალობის სახით იღებდა მეფეებისა და ქვეყნის მფლობელებისაგან, რომ გლეხს არ გააჩნია არავითარი საკუთრება, რადგან გლეხთა ხელში არსებული მიწა-წყალიც მებატონეთა საკუთრებას შეადგენდა. ამიტომ თუ მოხდებოდა განთავისუფლება, გლეხს არ უნდა მისცემოდა იმის უფლებაც განაგოს და განკარგოს არათუ უძრავი, არამედ მოძრავი ქონებაც, ხოლო მოძრავი ქონების განკარგვის შეზღუდვა გამომდინარეობდა იმის მტკიცებიდან, რომ გლეხთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი და დამხმარე შენობანაგებობანი მებატონეთა საკუთრებაში არსებული ხე-ტყითაა დამზადებული და ა. შ. ასე, რომ გლეხის საკუთრებაში უნდა დატოვებულიყო საოჯახო იარაღები, პირადი ნივთები და პირუტყვი. აქ მსჯელობის ლოგიკა გასაგებია. თავადაზნაურთა მხრივ მოსალოდნელი სოციალ-ეკონომიკური დანაკარგები განაპირობებდა უკომპრომისობას. უაღრესად პარადოქსული ჩანს, რომ განხილვა იღებდა ხელისუფლებასა და გუბერნიის თავადაზნაურობას შორის ჩაკეტილი გარიგების ფორმას. რადგანაც გლეხთა წარმომადგენლობა კომისიის საქმიანობაში აქაც არ ჩართეს და მოლაპარაკების მხარედაც არ მიიჩნიეს.

ამიტომაც მრავალმხრივი განხილვის, საკითხთა შეჯერების და ცალკეულ დასახლებულ ადგილებიდან კომისიის თავმჯდომარის ბაგრატიონ მუხრანსკის მიერ აზრის მოსმენის, საიმპერატორო კარზე პროექტის აპრობაციის შემდეგ, „ქუთაისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლებისა და მათი მომავალი ყოფაცხოვრების მოწყობის წესები“ 1865 წლის 13 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცდა. 8 ნოემბერს გუბერნიაში გამოცხადდა ბატონყმობის გაუქმება. კანონი შევიდა ძალაში. აიკრძალა ყმათა ყიდვა-გაყიდვაც. სხვა საკითხია რამდენად ოპერატიულად და ზედმინევიტ ზუსტად სრულდებოდა რეფორმის ცალკეული პუნქტები, მაგრამ პროცესი დაიძრა. ნელა და ინტერვალებით ეს აისახა „ვანის“ სოფლების ცხოვრებაზეც. ხოლო XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მთელ რიგ მიმართულებებში, სიახლენი ურთიერთობათა ფორმებში, გააქტიურებულად და გამოკვეთილადაცაა დაფიქსირებული.

რეფორმის შედეგად ქუთაისის გუბერნიისა და ქუთაისის მაზრაში შემავალი მიწების დიდ ნაწილი უმაღლეს კატეგორიად იქნა მიჩნეული, რამაც განაპირობა მისი მაქსიმალური სიძვირე.

გლეხზე გადასაცემი მიწის ფართობის მოცულობა არ აღემატებოდა 1-დან 6 დესეტინას, რომლებსაც გლეხები მიიღებდნენ ე. წ. „მიჩენილი-სანადელო“ მიწების სახით. მაგრამ გლეხს აუცილებლად უნდა გამოესყიდა იგი. არ ან ვერ გამოსყიდვის შემთხვევაში გლეხი კვლავ დროებით ვალდებულთა, გნებავთ, იგივე ყმურ მდგომარეობაში რჩებოდა. განისაზღვრა 1 დესეტინა მაღალნაყოფიერი მიწის ტარიფიც. ამის საფუძველზე საკარმიდამოსა და კომლზე „მიჩენილი მიწების“ ფასს ვერცხლის ფულით 350 მანეთისათვის არ უნდა გადაეჭარბებინა. გლეხის მიერ ფულის დაგროვების შემთხვევაშიც გამოსყიდვა მებატონისაგან თანხმობის მიცემის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ამასთან, მაშინდელი ფულის კურსი იყო უაღრესად მტკიცე, უაღრესად ძნელად საშოვარი, თავისუფლების მაძიებელი გლეხის მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად დაბალი. ამიტომაც, როდესაც რეფორმიდან თითქმის 40 წლის შემდეგ, გაზეთი „მინა“ 1907 წელს მე-8 ნომერში მიწასთან დაკავშირებით გართულებულ სიტუაციებს ეხებოდა, წერდა: „მიწის დატოვება მემამულეთა განმგებლობაში მოასწავებდა ფეოდალურ-ბატონყმური

ეპოქის ერთ-ერთი გადმონაშთის დატოვებას...“ „რეფორმამ, თუმცა, გლეხი ბატონს მოაშორა, სამაგიეროდ გლეხს მინა ჩამოაშორა, ასე, რომ, თუმცა ბატონი უგლეხოთ დარჩა, გლეხი კიდეც უმინოდ დატოვეს“.

ჩვენ, „ვანთან“ დაკავშირებით მინის მიჩენილობის ფურცლით განსაზღვრულ საბატონო გლეხთა ვალდებულებებს ოდნავ ქვემოთ განვიხილავთ, მაგრამ შეიძლება ითქვას; ნებისმიერი კატეგორიის-საბატონო, სახაზინო, საეკლესიო, ხიზან გლეხთა (ეს უკანასკნელი „ვანის“ სინამდვილეში თითქმის არც გვხვდება) პირობები, მიუხედავად, მათ შორის, პრივილეგიათა ზოგიერთი განსხვავებულობისა რეფორმის შემდეგაც დარჩა შეზღუდულიც, არასრულყოფილიც და გაჭირვება-სიღარიბის ზღვარზე მყოფი. ასე გრძელდებოდა იგი XX საუკუნის 10-იან წლებამდე, ვიდრე არსებული მდგომარეობა 1905-1907 წლების რევოლუციამ მაქსიმალურად არ შეარყია, ხოლო 1917 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა ბოლო არ მოუღო მას.

რეფორმამ მემამულეებს აუკრძალა ყმის ყიდვა-გაყიდვა, მისადმი თვითნებური მოპყრობა, ან ასეთი ქმედების კვლავ დაწყება. გლეხს უფლება მიეცა ბატონთან შეუთანხმებლად და მისთვის საფასურის გადახდის გარეშე, თავისი შეხედულების საფუძველზე დაქორწინებულიყო. ესარგებლა უფლებით, რასაც ოჯახთან დამოკიდებულებაში ითვალისწინებდა კანონმდებლობა, შესულიყო სასწავლებელში, ხელშეკრულება გაეფორმებინა ხაზინასთან ან კერძო პირთან, დამოუკიდებლად ჩართულიყო ვაჭრობა ალბ-მიცემობის საქმეში, სასამართლო წესით დაეცვა საკუთარი და ოჯახის უფლებები, რომელსაც არსებული ქართული სამართალი აქამდე არ ითვალისწინებდა. მაგრამ ეკონომიკური პრობლემატიკის მონესრიგების გარეშე აზრგამოცლილი რჩება ფიქრი არსებული ან ახლადშექმნილი კანონების სათავისოდ გამოყენებაზე. ამდენად, მიუხედავად რიგი ცვლილებებისა, გლეხობა აგრარულ სფეროში თითქმის ერთადერთი მწარმოებლური ძალა მაინც დარჩა დისტანცირებული მინისაგან-წარმოების მთავარი საშუალებისაგან. საკითხის სიცხადისათვის მოგვყავს მინის განაწილების შეფარდებითი მაჩვენებელი: „ამ დროს ქუთაისის გუბერნიის გლეხობა, რომელიც მთელი მოსახლეობის 86% შეადგენდა, სარგებლობაში იღებს 210770 დესეტინა მინას. მემამულე თავადაზნაურობას, მოსახლეობის 6,48%-ს მფლობელობაში დაუტოვეს 815321 დესეტინა, 4-ჯერ მეტი“<sup>1</sup>. ამდაგვარი შეფარდება ყველა თვალსაზრისით არასამართლიანი იყო სხვა გუბერნიებთან შედარებითაც კი. ასე, რომ ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა მცდელობაა რეფორმის პირობები მაქსიმალურად გადაეხარათ თავიანთ სასარგებლოდ მიღწეულ იქნა, რის გამოც იგი არასამართლიანად მომგებიან პოზიციაში დარჩა. ამის შედეგად ქუთაისის გუბერნატორიც სვიატოპოლკ მირსკიც და კომისიის ხელმძღვანელი გ. ბაგრატიონ-მუხრანელი იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ, რომ რეფორმა გლეხობისათვის უმძიმეს პირობებს აწესებდა და შიშობდნენ კიდეც შეიძლება ეს გამხდარიყო გლეხთა მხრივ მღელვარების ახალი მიზეზიც. ირკვევა ისიც რომ, გლეხთა განთავისუფლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია გლეხთა მიმართ შედარებით უფრო თანამგრძობი აღმოჩნდა ვიდრე ადგილობრივი თავადაზნაურობა. მინის მემამულეთა ხელში არსებობა, როგორც არსებობის ერთადერთი საშუალებისა, ჰქმნიდა პირობებს მწარმოებელი გლეხობა ისევ მიებათ თავადაზნაურთა განკარგულებაში დარჩენილ და არსებულ მიწებზე. რამაც პრაქტიკულად გამოორიცხა გლეხთა ყოფითი პირობების არსებით გაუმჯობესებაზე აქცენტირებაც. გარდა ამისა, რეფორმის დამატებითი დოკუმენტების საფუძველზე გლეხთა განთავისუფლებისათვის გაბატონებულმა ფენებმა ერთ მამრობით სულზე მიიღეს 25 მანეთი საკომპენსაციოდ. ხოლო კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის თხოვნით, რომელიც ასაბუთებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა „ზედმინვენით შეჭირვებულად“ ცხოვრობს, კომპენსაციის სახით დამატებით გამოეყო ხუთი მილიონი მანეთი. ორნახევარჯერ მეტი ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთათ-

1. მინის განაწილების საკითხებზე ციფრები ალბ-საქართველოს ისტორია. თუმცა ამავე საკითხზე იდენტურ დასკვნასა და შეფასებებს იძლევიან პროფესორები და მკვლევარები - ირ. ანთელავა, ალ. ბენდიალიშვილი, ილ. მირცხულავა და სხვები.

ვის. ამდენად, მიიღეს ფულიც და მიწების მაქსიმალური რაოდენობაც. ამ ფორმით ფულადი ანაზღაურებისა და მიწის სახით განკუთვნილი პროპორციული რაოდენობა მიიღო „ვანის“ თავადაზნაურობამაც. ხოლო გლეხს გამოყოფილი მიწის-ნადელის გამოსასყიდლად, რაც ასევე პიროვნული თავისუფლების მიღებასაც ნიშნავდა, ცალკე უნდა გადაეხადა დაწესებული სოლიდური თანხა. ამდაგვარმა დამოკიდებულებამ რიგ სასიცოცხლო საკითხების მოუგვარებლობასთან ერთად კიდევ უფრო ჩააღრმავა კლასობრივი დაპირისპირება და დროთა ინტერვალში 1905-1907 წლებში ამიერკავკასიასთან ერთად ქუთაისის გუბერნიისა და განსაკუთრებულად, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრების მოსახლეობას უბიძგა ხელისუფლების საწინააღმდეგო რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისაკენ, რომელშიდაც ჩართული აღმოჩნდა „ვანის“ მთელი რიგი სოფლების მოსახლეობაც. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, თუ შევაჯამებთ პროცესებს შეიძლება ითქვას:

1. XIX საუკუნის 60-იანი წლების ყველა ეტაპი, სოციალ-ეკონომიკური დინამიკა, ყოფიერების პრობლემები და ქვეყანაში ჩამოყალიბებული რყევებიც, ზოგიერთი სახის პროგრესირებასთან ერთად, რომელიც ბურჟუაზიული ფენომენის გამძლავრებას მოჰყვა, მეტნაკლები ფორმით აისახა და თავისი კვალიც დაატყო მთლიან ცხოვრებას. მასვე შეაქვს შესაბამისი ცვლილებები ურთიერთობათა ფორმებსა და ზნეობრივ მორალურ დამოკიდებულებებშიც. ასეთნაირი, ცხოვრებისეული გადაწყობა უკვე სახეზეა ქუთაისის მაზრის პერიფერიებშიც, „ვანის“ დასახლებებსა და მოსახლეობაშიც.

2. განხორციელებულმა რეფორმამ რამდენადმე წერტილი დაუსვა ბატონყმური წყობილების მრავალსაუკუნოვან არსებობას და მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ცხოვრებისეული პრაქტიკა საფუძვლიანად დაშორდა რეფორმის თეორიულ იურიდიულ ნორმებს და XX საუკუნის 10-იან წლებამდეც ბატონყმური დანაშრევები ინერციით აგრძელებდა არსებობას, მან გლეხი, შედარებით, მაინც გამოანთავისუფლა მეზატონის წნეხისაგან და მისცა საშუალება ფიზიკურად, გონებრივად უფრო მარჯვედ დაყრდნობოდა საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს. ეზრუნა საკუთარი, ჯერ კიდევ სუსტი, კერძო მეურნეობის მოწყობისათვის. მიელო გადაწყვეტილება „ადგილის ფუძის“ დატოვებისა ან არ დატოვებისა. გადაწყვეტილების მიღებაში იურიდიულად იგი თავისუფალი გახდა.

3. იმის გამო, რომ რეფორმამ არასრულყოფილად, მაგრამ, მაინც შეცვალა „მიწის მფლობელობისა და მიწით სარგებლობის“ წესები, მან ამით შეიძინა აგრარული რეფორმის ხასიათი, რითაც იგი მნიშვნელოვან მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

4. „მინათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის“ წესების ცვლამ, კანონის ჩარჩოებში მოქცევამ, საფუძველი მისცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედარებით მოწესრიგებას. ურთიერთობათა ახალი ფორმების გაჩენას. ხოლო მომდევნო ეტაპისათვის გლეხს საშუალება გაუჩნდა საკუთარი შრომის შედეგებისათვის დამოუკიდებლად მიეცა სასაქონლო პროდუქციის ფორმა და სახე, და თანმდევი საჭირო მოქმედებანიც განეხორციელებინა ინდივიდუალურად. ეს პროცესი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან შედარებით კარგად სჩანს „ვანთან“ მიმართებაშიც.

დამატებით შეიძლება ითქვას: სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, 1864-1865 წლებში, აგრარულ სფეროში გატარებული რეფორმა საკითხთა შესწავლით, მომზადებით, ფაქტთა შეჯერებითა და მოსალოდნელი შედეგების გათვლით, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ტენდენციური გადახრებისა, გატარდა უფრო უნარიანად და გამიზნულად, ვიდრე 127-130 წლის შემდეგ აგრარული რეფორმა „თავისუფალ საქართველოში“. პირველ შემთხვევაში აგრარულ სფეროში სამეურნეო საქმიანობას შედარებითი აღმავლობა მართლაც მოჰყვა და ამით იმპერიაც დაინტერესებული იყო. ქართულ აგრარულ სექტორს იგი განიხილავდა, როგორც იმპერიის სასოფლოსამეურნეო პროდუქციით მომარაგების დამატებით წყაროდ, ხოლო მეორე შემთხვევაში მივიღეთ ინდუსტრიულ-აგრარულ ყაიდაზე ჩამოყალიბებული და გამართული მოქმედი მეურნეობის ნგრევა, რომელსაც ემსხვერპლა მთელი აგრო-სამრეწველო კომპლექსი და ასეულ მილიონობით მანეთის ღირებულების ფონდებიც.

**საერთოდ და „ვანთან“ მიმართებაშიც:**

- რეფორმის შედეგად გაუქმდა ბატონყმობა, მისი სოციალურ-დისკრიმინაციული საფუძველი, რომელიც ბოლო პერიოდებისათვის განვითარების ბარიერად იქცა.
- რეფორმა შეეხო ნოდებრივ უთანასწორობას, შეარყია იგი და სოციალურ და იურიდიულ ასპექტში მოახდინა დაბალი ფენებისათვის დამჭერი არტახების შემსუბუქება.
- რეფორმის შედეგად ნელა, მაგრამ თანამიმდევრულად იცვლება სამეურნეო წარმოებისა და სამეურნეო ურთიერთობათა ფორმები. გახსნა გზა ვაჭრობა ალებ-მიცემობის შედარებით ახალ ფორმატში განვითარებისათვის. საფუძველი მისცა ოჯახური შიგარუნვის გაცოცხლებას, რასაც გაჰყვა სანყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი, შედარებით გამოკვეთილი შრომის პროფესიული დიფერენციაციაც.
- რეფორმა შეეხო სოფლის მმართველობის სისტემას. გლახთა თვითმმართველი ორგანოების, სოფლის საზოგადოებების ჩამოყალიბებით მისცა მას სრულიად ახალი, მანამდე არარსებული ფორმა და სახე.
- რეფორმა შეეხო სამართალწარმოების ფორმებს, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სოფლების საზოგადოებებთან არსებული ადგილობრივი დაბალი დონის სასამართლოები. რეფორმით სოფლის საზოგადოებათა ყრილობებს მიეცათ უფლება აერჩიათ ადგილობრივი, სოფლის მოსამართლეები და მათვე კონკრეტულ უფლებამოსილებებში განეხორციელებინათ საკითხთა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
- რეფორმა შეეხო განათლების სფეროში ჩამორჩენილობის დაძლევის საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესებისაგან „სოფლის საზოგადოებებთან“ დამოკიდებულებაში სახელმწიფო გვერდზე გადგა.
- რეფორმამ გააღრმავა გლახთა დიფერენციაციაც.

**დამატებით შეიძლება ითქვას:**

- ა - სამწუხაროდ ვერ იქნა მიკვლეული დოკუმენტური მასალა იმაზე, თუ სანყის ეტაპზე, როგორი საფუძველი შეექმნა „ვანთან“ დამოკიდებულებაში რეფორმისა და მისი ქვემდებარე აქტების განხორციელებას. როგორ მიიღო იგი ხალხმა. როგორ წარიმართა საქმიანობა ახლადშექმნილი „სოფლის საზოგადოებებში“. რა ფორმით განიხილებოდა ცხოვრებით დაგროვებული პრობლემატური საკითხები, ან ხდებოდა თუ არა საერთოდ მათი განხილვა. როგორ კადრებს ეყრდნობოდნენ ადგილობრივი ორგანოები მართვის პროცესში, როგორი იყო მათი მომზადების დონე.
- ბ - უმნიშვნელოდაა ცნობილი, როგორ და რა ფორმით მიმდინარეობდა „ვანის“ დასახლებებში რეფორმის შესაბამისი კანონგანმარტებითი საქმიანობა, ადამიანთა რა კატეგორია იყო ამ საქმიანობაში ჩართული.
- გ - რამდენად სწრაფად მოხდა კანონთან შესაბამისობაში საქმიანობის გადანაცობა, შეძლო თუ არა გლახობამ კანონის ცხოვრებისეული, პრაქტიკული გამოყენება და ა.შ. ასე რომ, არის კითხვათა წყება, რომელზედაც, ჯერჯერობით, არგუმენტირებულს მიახლოებული პასუხები სანყისი პერიოდიდან არა გვაქვს, თუმცა 1880-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ადგილობრივ თვითმმართველობებში შექმნილ პრობლემათა გამო განხორციელდა დამატებითი რეფორმები და მოხდა საქმიანობის გადანაცობა, ამ დროიდან არსებულ მასალათა საფუძველიანი შესწავლა, შეფერება ისტორიულ ფაქტებთან და ობიექტურობის დადგენა, უკვე იძლევა საშუალებას ბევრი რამ გამოკვეთილად ითქვას „ვანის“ სოფლების მოსახლეობის რეფორმის შემდეგ ცხოვრებასა და ყოფით სამეურნეო საქმიანობაზე. აქამდე კი რეფორმიდან 15 წლიანი მონაკვეთი ჩავთვალოთ შუალედურ პერიოდად რა დროშიც მოხდა კანონის ნორმატივების გაცნობიერება, მისი სამოქმედოდ გათავისება და აქედან გამომდინარე საქმიანობის გადანაცობაც. არ გამოვრიცხავთ დროის ასეთნაირ განვლვას ხელი შეუწყო დამახასიათებელმა ინდიფერენტიზმმა, ბატონყმური ცხოვრების მძლავრად ფეხგადგმულმა ინერციამ და მასების მოუმზადებლობამ. განათლების დაბალმა დონემ, რომელზედაც აქცენტირება გაკეთდა 80-იანი წლებიდან თვითმმართველობათა საქმიანობის შეფასებებზე მიღებულ დასკვნებშიც, რომელსაც მოჰყვა ამ საკითხზე 1865 წელს მიღებული რეფორმების ახალი რეფორმირება.

**რეფორმა და სასოფლო მმართველობათა სისტემის ცვლა  
სოფლის საზოგადოებების ჩამოყალიბება „ვანში“**

1864-1865 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში განხორციელებულ რეფორმებს გაჰყვა არამართო სამეურნეო, არამედ სოციალურ ურთიერთობათა ცვლაც. სხვა საკითხია რამდენად ეფექტურად განხორციელდა იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში, მაგრამ თეორიულად ეს ასე იყო. ცხოვრების ბაზისური ნიშნების შეცვლით არსებულ პოზიციებზე ვერ დარჩებოდა ზედნაშენური სფეროც. ცხადად სჩანდა, რომ პროცესები დალაგდებოდა იმ დოზით, რა დოზითაც იმპერიის ხელისუფლება მიიჩნევდა სასურველად და არა რადიკალური ფორმით, როგორც ადგილი აქვს რევოლუციურ გარდაქმნათა შედეგად. ამის გამოც „ზემოდან“ დაშვებული რეკომენდაციის საფუძველზე მაზრების სოფლების დასახლებანი გადაყვანილი იქნა სრულიად ახალ მმართველობით, მანამდე არარსებულ სისტემაზე. ადგილობრივი მმართველობის სისტემა შეიცვალა „ვანის“ ყველა სოფელშიც.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, იმპერიის შეხედულებათა საფუძველზე, ქართული სივრცისათვის მმართველობის სისტემა აქამდეც რამდენჯერმე ან შეიცვალა, ან განიცადა საფუძვლიანი კორექტირება. რითაც იგი დამორდა მართვის ქართულ ტრადიციულ ფორმებს და იმპერიის მმართველობის ზოგიერთი რგოლების პარალელურად არა მთლიანად, მაგრამ გადაიხარა ევროპულ-ბურჟუაზიული მართვის ნორმებისაკენ. რაც თავისთავად იყო პროგრესის მატარებელიც. რადიკალური სახეცვლილებათა პროცესს შეუქცევადი ხასიათი ეძლევა შემდეგ რაც ადმინისტრაციულად მოშალა სათავადოები და პოლიტიკური უფლებები დააკარგვინა მათ, ფეოდალური არისტოკრატია ჩამოაშორა ქვეყნის მმართველობას იმ დონით რა დონითაც მანამდე ერეოდნენ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეებში. ნერტილი დაუსვა ფეოდალურ პარტიკულარიზმსაც. ჯერ იმერეთის, შემდეგ ქუთაისის გუბერნიის, მისი მაზრების შექმნით ძირითადად, დაასრულა ადმინისტრაციული რეორგანიზაციის პროცესი. თუმცა მითითებულ რეფორმამდე სასოფლო მმართველობებს არსებითად არ შეხებია და ასეთი რამ, სახელმწიფოებრივ დონეზე ჩამოყალიბებული სასოფლო ადმინისტრაციული მმართველობები, ბატონყმობის გაუქმებამდე, როგორც სჩანს, არ არსებობდნენ. ...„ყმა გლეხთა საქმეებს მებატონეთა და საეკლესიო უწყების მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ“<sup>1</sup> და მათვე გააჩნდათ ადგილობრივი ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციაც.

ცნობისათვის შეიძლება ითქვას: ე. წ. მოურავთა ინსტიტუტი მოქმედებას განაგრძობდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც კერძო ფეოდალთა კარზე, როგორც სამეურნეო საქმის გამძღოლნი, მაგრამ არა იმ ფორმითა და უფლებით, როგორც მანამდე გააჩნდათ. სოფლის ან სოფელთა მმართველობაზე მათ ხელი აღარ მიუწვდებოდათ. რადგან ამ დროისათვის მნიშვნელოვან სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობებს და მის თანმხლებ პროცესებს უკვე, სწყვეტდნენ და არეგულირებდნენ რუსეთის ხელისუფლების ჩინოვნიკები, რომელთა უმრავლესობას რუსი მოხელეები წარმოადგენდნენ. ხოლო რეფორმის შემდეგ, პროცესებში უფლებამოსილებათა ფარგლებში, ერთგვებიან სოფლის გლეხთა წარმომადგენლობის მიერ არჩეული პირები.

ამდენად, დასავლეთ საქართველოში რეფორმის მოქმედება შევიდა ძალაში. 1864 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა თბილისის გუბერნიის „სოფლის საზოგადოებების მმართველობის წესი“. ხოლო 1865 წლის 11 აპრილის დებულების თანახმად მაშინდელ საქართველოში<sup>2</sup>, გლეხთა წოდებრივი დანესებულებების სახით, ყალიბდება სოფლის საზოგადოებები და მათი მმართველობა, როგორც სოფლის თვითმმართველობის ორგანოები. ეს სიახლე განხორციელდა საქართველოს მასშტაბით და იგივე მოხდა „ვანის“ სოფლებშიც.

ვნახოთ რას ეყრდნობოდა, როგორი იყო „სოფლის საზოგადოებების“ თვითმმართველ ორ-

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. გვ. 303.

2. ტერმინი მაშინდელი საქართველო გამოყენებულია იმ გაგებით, რომ 1865 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

განოთა სამოქმედო ტერიტორიაზე ურთიერთობის ახალი ფორმები და რომელ საკითხთა რეგულირება განეკუთვნებოდა მის კომპეტენციას. ამ ფონზე შევეცადოთ დავადგინოთ „ვან-ში“ არსებული მდგომარეობა.

1. სოფლის საზოგადოება აერთიანებდა შესაბამისი სოფლისა და დასახლებული უბნის ყველა კატეგორიის საბატონო-დროებით ვალდებულ, სახაზინო, საეკლესიო და თუ არსებობდნენ ასეთნი ხიზან გლეხებს.

2. სოფლის საზოგადოების უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სოფლის გლეხთა ყრილობა, რომლის მოწვევის უფლება გააჩნდათ შესაბამისი საზოგადოებების მამასახლისებს, როგორც აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს. სხვა შემთხვევაში შეკრება შეიძლება მომხდარიყო მაზრის უფროსის მითითებით, მომრიგებელ-შუამავლის მოთხოვნითაც.

3. ზემოთ მითითებული 11 აპრილის დებულების თანახმად სოფლის საზოგადოების მმართველობა წარმოადგენდა მხოლოდ გლეხთა წოდებრივ დანესებულებას. სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები სასულიერო პირები, აზნაურები, თავადები მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. ამის გამოც ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩამოთვლილ ფენებზე არცერთი ფორმით არ ვრცელდებოდა. ამდენად იგი იურიდიულ-პრაქტიკულ ფორმით ვერ ფარავდა სოფლის ტერიტორიალურ სივრცეს და მთლიანად მოსახლეობის შემადგენლობას.

4. სოფლის საზოგადოების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი პირი იყო სოფლის მამასახლისი, რომელსაც ირჩევდა გლეხთა ყრილობა და როგორც ირკვევა ამ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა წინასწარ შესწავლილი და რეკომენდირებული იყო მაზრის მმართველობის მიერ. მამასახლისი უფლებამოსილებას ანხორციელებდა შესაბამის კანცელარიასა და მის მოხელეებზე დაყრდნობით.

5. მითითებული დებულება ითვალისწინებდა სოფლის საზოგადოებაში საგლეხო სასამართლოთა ჩამოყალიბებას. რითაც მართლმსაჯულების განხორციელება დაუქვემდებარეს ადგილობრივ სასამართლოს. სოფლის მოსამართლეთა არჩევაც ხდებოდა შესაბამის სოფლის ყრილობაზე. ყველა ამ არჩეულ პირს, საქმიანობის უფლებამოსილება ეძლეოდა გუბერნატორისაგან დამტკიცების შემდეგ. საინტერესო ფორმით საქმიანობდა სოფლის მართლმსაჯულება, რომელსაც დაცული მასალების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეხებით. სოფლის ყრილობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ გლეხთა კომლების უფროსები. ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამეურნეო საქმიანობის გამგებლობა: – აქედან, სოფლის თანამდებობის პირთა არჩევა, უფლებამოსილების ფარგლებში სოფლის საჭირობოროტო საქმეებზე დადგენილების მიღება. სოფლიდან „არასაიმედო პირების“ გასახლებაზეც გადაწყვეტილების გამოტანა, ობლად დარჩენილი არასრულწლოვნებისათვის მზრუნველობის განევა, ოჯახის გაყოფაზე ნებართვის მიცემა, სოფლის საზოგადოების საერთო მიწების გამგებლობა, საჭიროების შემთხვევაში სათანადო ინსტანციებში გლეხისათვის შუამდგომლობის აღძვრა და ა. შ. როგორც ითქვა, ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულება ევალებოდა სოფლის საზოგადოების მამასახლისს, რომლის აპარატიც განაგებდა კომლების მიხედვით გადასახადების განერასაც და აქვე უნდა ითქვას, რომ სოფლის მმართველობათა ტრანსფორმაციას და ურთიერთობათა ახალი ნორმების დანესებას საგადასახადო სისტემაში ცვლილებები არ მოჰყოლია. პირიქით, გლეხობა დაავალდებულა ადრედანესებულ გადასახადებთან ერთად გაელოთ თანხები ახლადშექმნილი სოფლის ადმინისტრაციისა და მოსამართლეთა შენახვისათვის, მათი სახელფასო ანაზღაურებისათვის, რომელსაც ემატებოდა განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯებიც, გადასახდელი თანხები სოფლის გზების კეთილმინჯობისათვის, რომელსაც ფიზიკური შრომითი ბეგარაც ახლდა და ა. შ. სახელმწიფო, ახლადჩამოყალიბებული სოფლის მმართველობითი ორგანოებისაგან საფინანსო დახმარებისა და მონჯობის თვალსაზრისით შორს დადგა და არამართო ადმინისტრაციულ ორგანოთა შენახვის, არამედ სხვა აუცილებელ პრობლემებზეც ზრუნვა სოფლის გლეხობის მოვალეობად აქცია. როგორც სჩანს ისედაც სიღარიბეში მყოფი გლეხობისათვის ეს იყო ზედმინჯვნივით მძიმე ტვირთი, რომელმაც განსაკუთრებულად მწვავედ იჩინა თავი უფრო მოგვიანებით

1900-იანი წლებიდან. რეფორმებით კიდევ ერთხელ დადასტურდა ნოდებრივი დიფერენცირებაც, პრიმატი და განსხვავებულობა პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ურთიერთობებშიც, რამაც რეფორმას წამყვან მიმართულებებში ფარსის სახე შესძინა. რეფორმის მოცულობითი შეუსაბამობანი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმ დროინდელ ქართული პროგრესული მიმართულების წარმომადგენლებს. უკეთებდა რა ილია ჭავჭავაძე შეფასებას სოფლის მიმართველობის სიახლეებში გამოხატულ ნაკლოვანებებს აღნიშნავდა: – „რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მიმართველობას, რომელიც დიდსაგნ გაჭირვებულს არ ესარჩლება და დიდისათვის კი თავს გამოიდებს ...ჩვენი სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმომადგენენ ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებისას<sup>1</sup>“.

უდავოა, იმ სოფლებშიც, რომლებიც დღეს ვანის რაიონის შემადგენლობაში შედიან ფუნქციონირებას იწყებენ სოფლის გლეხთა საზოგადოებები ადგილობრივი თვითმმართველობების სახით.

ძალიან მწირად, ან საერთოდ არაა დაცული მასალები იმის თაობაზე თუ, როგორი იყო „ვანის“ სოფლების საზოგადოებების საქმიანობანი სანყისს და მომდევნო უახლოეს ეტაპზე, კონკრეტულად 1880-იან წლებამდე. ცნობილია ერთი, რომ საზოგადოებების, როგორც თვითმმართველი ორგანოების ჩამოყალიბება განხორციელდა თითქმის ყველა იმ სოფლებში, რომლებიც დღეს, რეალობაში არსებობენ ვანის რაიონის შემადგენლობაში და რადგანაც არაგვაქვს ცნობები თუ როგორ არეგულირებდნენ ისინი უფლებამოსილებათა შესატყვისობაში წამოჭრილ საკითხებს, მათ აქტიურობაზე, განხილულ საკითხთა და მასზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე მსჯელობა არამარტო შეუძლებელია, უბრალოდ არასერიოზულობაცაა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საერთოდ არსებულ მდგომარეობას, სოციალურ უმტკივნეულეს პრობლემათა უძრაობას, ურთიერთობათა გადმოყოლილ ნორმებს, არაერთ მიმართულებებში ტენდენციურ უცვლელობას, შეიძლება სიზუსტესთან ოპტიმალური მიახლებით ვამტკიცოთ, რომ დაბალმა ფენებმა ამ შემთხვევაში „ვანის“ სოფლების გლეხობამ, ვერ შესძლო რეფორმით მინიჭებული უფლებამოსილებათა სათავისოდ სრული გამოყენება და თვითმმართველობის ამ ფორმით დინამიკაში მოყვანაც. უფრო სწორად, სოფლის საზოგადოების ყრილობები, როგორც განმკარგულელებელი ორგანოები, მიმართულებათა და აქტიურობის ბიძგის მიმცემი, რამდენადმე მოუმზადებელნიც და აქედან ინერტულებიც აღმოჩნდნენ. ეს, რომ ასე იქნებოდა ამის მიზეზი ვლინდება თვით რეფორმისა და მისი ნორმატიული აქტების ზოგიერთი პერიპეტიებიდანაც:

ა – სოფლის საზოგადოებების თვითმმართველობის აღმოცენების პარალელურად, რაღაც ფორმით, ადგილებზე გაჩნდა ე. წ. ორხელისუფლებიანობის ნიშნებიც – ერთის მხრივ სოფლის გლეხთა საზოგადოების სახით, რომლის იურიდიული (არც პრაქტიკული) უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა შესაბამის სოფლის საზოგადოების ტერიტორიაზე მცხოვრებ პრივილეგირებულ საერო და სასულიერი პირებზე. ე. ი. გადაწყვეტილება ამ ორგანოს კიდევაც, რომ მიეღო იგი, როგორც ნორმა შესასრულებლად ეხებოდათ მხოლოდ დაბალ ფენებს და არავის გარდა ამ ხალხისა. მეორეს მხრივ იმავე საზოგადოებაში მცხოვრები პრივილეგირებული ფენების ურთიერთობის და სამართლებრივი რეგულირების ნორმები მათ, მხოლოდ იმპერიულ, განსაკუთრებულ კანონთა და გადაწყვეტილებათა წინაშე ხდიდა ვალდებულს, რაც იმასაც ადასტურებს რომ, ხელისუფლებამ თეორიული და ნაკლებად პრაქტიკული ხარკი გადაიხადა უბრალო მასებისაგან მზარდ და მოსალოდნელ გართულებათა წინაშე.

ბ – საერთოდ და „ვანის“ სოფლების მაგალითზე სჩანს, რომ სუსტი საქმიანობის ერთ-ერთი მსაზღვრელი იყო ის, რომ ამ ორგანოებს არ გააჩნდათ ნორმალურს მიახლოებული ეკონომიკური საფუძველი. შექმნის დღიდანვე იგი ემყარებოდა მხოლოდ გლეხთა გადასახდელებს, რომლის ამოღებაც სიღარიბის პირობებში იყი რთული, ამასთან ამოღებული გადასახდელები გარდა სოფლის საზოგადოებების საჭიროებებისა მიემართებოდა სხვადასხვა დაკანონებული



მიმართულებით. ხოლო გადასახადის გადამხდელ გლეხთა მატერიალური ხელვიწროობა, რომ უფრო ცხადი წარმოსადგენი გახდეს მომყავს იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ციფრობრივი მონაცემები: „XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის მაზრის (რომელშიდაც შედიოდა „ვანის“ სოფლები) საშუალო გლეხის ბიუჯეტი ასეთი იყო: წლიური შემოსავალი 534 მანეთი და 46 კაპიკი, გასავალი – 565 მანეთი და 97 კაპიკი. დეფიციტი 31 მანეთი და 51 კაპიკი“ (მონაცემები აღებულია ილია მირცხულავას ნაშრომიდან აგრარულ გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917.) მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დეფიციტი 31 მანეთი და 51 კაპიკი მაშინდელი კურსით სოლიდური თანხაა. ეს მონაცემებიც აღებულია საშუალო რანგის გლეხთა შესაბამისობაში და იოლი წარმოსადგენია მდგომარეობა ღარიბ და უღარიბეს გლეხობასთან მიმართებაში. ამიტომაც ასეთ სიტუაციებში ოჯახურ ბიუჯეტს ნამდვილად გაუჭირდებოდა ძველ და ახლად დაწესებულ გადასახდელთა გადახდა. სწორედ ამ დროს ერთვებოდა მოქმედებაში მევახშური სესხი, ასევე მისი გასტუმრების, დაფარვის კაბალური ფორმებით.

გ – როგორც ითქვა სახელმწიფო გვერდზე დადგა სოფლის საზოგადოებათა მატერიალური წახმარებისაგან და ადგილებზე არსებული ყოფითი პირობების მონესრიგება ძირითადად გადაულოცა გლეხთა საზოგადოებებს. ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ადგილობრივი მნიშვნელობის ფულად საკრედიტო ამხანაგობები და ასევე სუსტი იყი კონტაქტები სახელმწიფოებრივი დონის ისედაც მცირერიცხოვან საკრედიტო ორგანიზაციებთან, ან კერძო ბანკებთან, რომლებიც შედარებით მოგვიანებით იწყებენ ინტენსიურ ფუნქციონირებას. ამდენად ფინანსურ ეკონომიკური ხელვიწროობა ბევრ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს გადაუჭრელს ტოვებდა.

დ – ისტორია ლაპარაკობს იმაზეც, რომ გარკვეულ პერიოდამდე გადასახადთა ვერ აკრეფის პირობებში რიგი სოფლების თვითმმართველობათა ხელმძღვანელები საქმიანობდნენ ე. წ. საზოგადოებრივ საწყისებზეც – ანაზღაურების გარეშე. რაც ნებისმიერ შემთხვევაში ზედმეტ თავსატეხ ტვირთად გამოიყურება და ხელს უწყობს საქმისადმი ნაკლებმოვალეობით, დამოკიდებულებას. რომლის დროსაც საქმის კეთება ატარებს შემთხვევიდან შემთხვევამდე ხასიათს.

ე – როგორი უხერხულიც არ უნდა იყოს აღიარება, რამდენადაც ცნობილია უაღრესად დაბალი იყო „ვანის“ გლეხური (და არა მარტო გლეხური) მოსახლეობის განათლების საერთო დონე. ეჭვი ჩნდება სოფლის საზოგადოებათა, კანცელარიის აპარატის მუშაკთა საჭირო განათლებულობასა და მათ კომპენტენციაზეც. რამდენად ჯეროვნად ერკვეოდნენ ისინი კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებაში. შეეძლოთ თუ არა პრობლემატურ საკითხთა გაცნობიერებულად კოორდინირება. რასაც ნებისმიერ დროს, მართვისას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ვ – ეჭვი შიძლება დაიბადოს იმაზეც, აწყობდათ თუ არა იმპერიის, გუბერნიისა და მაზრების ხელისუფლებს ამ ორგანოთა აქტიური საქმიანობა. რადგანაც მათი აქტიურობის პროცესში უეჭველად გამოიკვეთებოდა პრობლემათა წყება გადაჭრის აუცილებლობით და ასეთ შემთხვევაში საკითხი გასცდებოდა სოფლის თვითმმართველობის ფარგლებს.

ზ – უნდა ჩავთვალოთ, რომ ძირითადად (ან საერთოდ) ეკონომიკურად გაუმართავ სუსტ სოფლებში ძლიერი მატერიალური ბაზის და ბიუჯეტის მქონე თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც თანამიმდევრულად იზრუნებდნენ პრობლემათა მოგვარებაზე ვერ აღმოცენდებოდა. ეს გახდებოდა მომწიფებულ საკითხთა გადაუჭრელობის მიზეზიც და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების მსაზღველიც, რომელიც აუცილებლად მოახდენდა ამ ორგანოთა კომპრომეტაციას. აქედან, მითითებულ ფაქტორთა გამო, შემდეგში, სახელისუფლებო წრეებიდან წამოსული კრიტიკა იმაზე, რომ წლების მანძილზე ამ დაწესებულებებმა სუბიექტურ მიზეზთა გამო თავი ვერ გაართვეს კანონით მინიჭებულ მოვალეობათა შესრულებას, მთლად ობიექტურად არ მიმართა. მუშაობდნენ და საქმიანობდნენ იმ სიტუაციურ შესატყვისობებსა და პირობებში, რომელიც მათ გააჩნდათ.

ისტორიული ლიტერატურიდან სჩანს, რომ ამიერკავკასიის მაშინდელი მესვეურები დააფიქრა ამ ორგანოთა საქმიანობის ნაკლებ ეფექტურობამ, მტკივნეულ-გადაუჭრელ საკითხთა დაგროვებამ და ა. შ. რის გამოც საჭიროდ ჩათვალა „სოფლის საზოგადოებების“ თვითმმართველობის ორგანოთა რეფორმირება. რეორგანიზებამ დასკვნით ნაწილში მოაქცია ისიც, რომ

კანონი სათანადო ძალით ვერ ამოქმედდა ქათველი გლეხის ინდიფერენტულობისა და თვით-მმართველობისათვის მოუმზადებლობის შედეგად. რაც მთლად სერიოზულ მტკიცებულებად არ უნდა იქნას მიჩნეული. მითუმეტეს, საქმიანობის უპირველეს ხელშემშლელ პირობებზე ჩვენ ზემოდ ვისაუბრეთ. მაგრამ ამ შეფასების ხელალებით იგნორირებაც არ იქნება მართებული და მთელ რიგ საკითხებთან შეხებაში უნდა ვალიართ კიდევაც. აქსიომაა ისიც, რომ ნებისმიერ კანონთა გაცნობიერებას თუ კი საკითხი ეხება თვითმმართველობას, სჭირდება არამარტო საკანონმდებლო თეორიული ბაზის შექმნა, არამედ ასევე აუცილებელია მასების დიდი ნაწილის საგანმანათლებლო მომზადების ჯეროვან დონესთან მიახლოება მაინც. რაც საქართველოს ორივე გუბერნიის მოსახლეობის და აქედან, კონკრეტულად „ვანის“ მაცხოვრებელთა საგანმანათლებლო პოტენციალის მიხედვითაც არ სჩანს სასურველი სურათის მომცემი. ეს დასტურდება იმ დაცული მასალების ანალიზის საფუძველზეც, რომლის გაცნობაც და შესწავლაც ჩვენ მოგვიხდა „ვანთან“ დაკავშირებით და მეტნაკლები ფორმით ეხება, როგორც არაპრივილეგიურულ, ასევე პრივილეგიურულ ფენებსაც. გამომდინარე აქედან, ამდაგვარ ვაკუუმურ სიტუაციაში მასების გაცნობიერების თვალსაზრისით მთავარი როლი უნდა ეთამაშათ ხელისუფლებისაგან უწყვეტ ან არაერთჯერად პროპაგანდირებას. რაც მრავალგვარ გარემოებათა გამო, როგორც ითქვას, გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა სამთავრობო სტრუქტურებიდან მონდომების შემთხვევაში, ამდაგვარ სირთულეთა მიახლოებითი განეიტრალება შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ.

უნდა ჩავთვალოთ, რომ, როგორც გუბერნიის პერიფერიულ ნაწილებში ასევე „ვანშიც“, რეფორმას შედარებითი პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვა აგრარული საქმიანობის სფეროში და ეს ძვრები მას გაჰყვა „მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის“ საკითხებში. მაგრამ, რაც შეეხება რეფორმის შემდგომი მართვის პრობლემატიკას, მის სრულყოფილებას და შეთავაზებულ სტანდარტებამდე დაყვანას ამ შემთხვევაში, ადგილობრივ თვითმმართველობას, მის განმკარგებელ ორგანოს-სოფლის საზოგადოების ყრილობას, მათში გლეხთა უფლებამოვალეობების სათანადოდ გაცნობიერებას და სამუშაო პროცესად ქცევას, ამის დიდი მონდომებაც რომ ყოფილიყო, მაქსიმალური ფორმით ვერ განხორციელდებოდა და დაუფარავად, რომ ითქვას, ხელშემშლელ ბარიერად გვეჩვენება არამარტო ფართო საგანმანათლებლო პოტენციალის, არამედ შესაფერისი კადრების უკიდურესი სიმცირეც და არარსებობაც, რომელიც ასევე უკუდარტყმას აკეთებს ამ უალრესად მტკივნეული პრობლემის გადაჭრისათვის ზრუნვის სახელმწიფოებრივ სიყრუეზეც.

ამდენად მთლიანობაში, მითითებულ და შემხვედრ პრობლემათა წყება „ვანშიც“ (და სხვაგანაც) გლეხობას ვერ მისცემდა საშუალებას ჩაღრმავებოდნენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს და მართვის დაბალი დონის გამოც განვითარებულმა პროცესებმაც ახლად აღმოცენებული სასოფლო თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ჩიხში შეიყვანეს. ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ ორგანოთა არაეფექტურობის, მაგრამ როგორც ვთქვით, ხელალებით მტკიცება იმისა, რომ აქ მხოლოდ ქართველი გლეხის ინდიფერენტულობა და გაუნათლებლობა მივიჩნიოთ ჩავარდნის მიზეზად არასერიოზულობად სჩანს.

აღვნიშნავ: საერთოდ და „ვანის“ სოფლების მოსახლეობამ გარკვეული უფლებები კი მიიღეს, მაგრამ მისი გამოყენება კონკრეტულ დრომდე, ვიდრე ამის პირობები საზოგადოებრივი განვითარების სვლათა შედეგად არ მომნიფდა, ვერ, ან არასრულყოფილად შეძლეს. ფაქტია, რომ ეს გაგრძელდა მანამ სანამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მასებში გასვლა არ დაიწყო ხალხოსნური მოძრაობის წარმომადგენლებმა და არ გამალეს გლეხებში მუშაობა მათი უფლებების გაცნობიერება-დაცვისათვის. ხოლო უფრო მოგვიანებით, ვიდრე ამას ჯერ მესამე დასმა, ხოლო შემდგომში სოციალ-დემოკრატიებმა და რიგმა სხვა პარტიებმა შედარებით რადიკალური მიმართულება არ შესძინეს. ეს რეალობა! ეჭვი არაა, რომ „ვანის“ სოფლებში ამ დროიდან ცვლილებებიც შეინიშნება და გლეხებიც პროცესებში მეტნაკლები ფორმით არიან ჩართულნი, რაც შემდეგში აჩვენა 1900-იანი წლებიდან, კონკრეტულად 1905-1907 წლებში სოფლებში განვითარებულმა მოვლენებმაც.

ზემოდ გაანალიზებული პროცესებიდან გამომდინარე იგივე ბედი გაიზიარა ასევე „არანაკლებ სამი კაცის“ შემადგენლობით არჩეულმა სოფლის სასამართლოებმაც. „ვანის“ სოფლებთან

დაკავშირებით მათი საქმიანობის შესახებ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე არც ერთი საქმე არაა შემონახული. რაც იმის მტკიცება არაა, რომ მათ უფლებამოსილებიდან გამომდინარე არაფერზე უმსჯელიათ, მაგრამ მათი ნაკლებ აქტიურობა კი დასტურდება.

**რას წარმოადგენდნენ ეს სასამართლოები:**

სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული ადგილობრივი სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა მხოლოდ გლეხთა შორის დავა-საჩივრებზე რეაგირება და გადანყევტილების გამოტანა. ეს კეთდებოდა სპეციფიურ ფორმებში; თუ მოსარჩელის პრეტენზია მიყენებული ზარალის, ან სხვათა სახით არ აღემატებოდა 100 მანეთს, თუ საკითხი ეხებოდა მეზობლურ დავებს, ან ოჯახთა გაყოფისას წარმოშეგებულ უთანხმოებებს, აუცილებლობის შემთხვევაში ცალკეული ოჯახის ან პირთა მიმართ ე. წ. მეურვის (ოპეკუნ) დანიშვნას, სხვა არართულ პრობლემათა სამართლებრივ დაწესრიგებას და ა. შ. ასეთ შემთხვევაში სოფლის სასამართლო უფლებამოსილი იყო ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე, შემხვედრი საკითხები მოექცია განხილვაში.

განსჯის პროცესში სასამართლო ეყრდნობოდა მოპირდაპირე მხარეთა და მოწმეთა ჩვენებებს. ასეთი იყო საკითხის განხილვის დადგენილი წესი, ხოლო განაჩენი გამოდიოდა ..... „ჩვენის სინდისითა და შეხედულებათა საფუძველზე“. არაერთი მსგავსი მასალაა დაცული ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. განსაკუთრებულად 1900-იანი წლებიდან საიდანაც გააქტიურებული სჩანს „ვანის“ ზოგიერთი სოფლების გლეხთა სასამართლოების საქმიანობა. ზოგიერთ ასეთ მასალას, ჩვენ დეტალურად შევხებით მაგრამ თუ სამართლებრივი რეგულირების საკითხები ეხებოდათ პრივილეგირებულ ფენებს მათ ცალკეულ წარმომადგენლებს, თუ განსასჯელი პირის მიერ მიყენებული ზარალი აღემატებოდა 100 მანეთს, სისხლის სამართლებრივ გადაცდომის ნებისმიერ ფაქტს და ა. შ. ეს უკვე შორდებოდა გლეხურ სასამართლოთა კომპეტენციას და გადადიოდა უფრო მაღალ ინსტანციაში. ასეთ შემთხვევაში საქმეთა გამოძიებას აწარმოებდნენ სამტრედიის ან ბაღდათის საპოლიციო უბნების ჩინოვნიკები. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შექმნის შემდეგ გამოძიება კონკრეტულ საკითხებზე ეხებოდათ უშუალოდ მომრიგებელ მოსამართლეებს. საქმის სიმძიმის მიხედვით საბოლოოდ საკითხთა შესწავლა-განხილვაში ერთვებოდნენ მაზრის სასამართლო უწყებებიც. როდესაც ორივე დონის სასამართლოთა შეფასებას აკეთებდა ილია ჭავჭავაძე ჩვეული დაურიდებლობით აღნიშნავდა: – „სოფლის სასამართლოს წესდების ძალით ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხმა დააშავა რაიმე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას სოფელში მცხოვრებს, თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს, ნება აქვთ ..... უხარჯოდ და მოუცდენლად სოფლის სასამართლოს შემწეობით გადაახდევინოს გლეხს სასჯელი თუ საზღაური. თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რაიმე საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოცდაათს, ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა მოსვლაში დახარჯოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს. ეს იმისთანაა, რამ არის გლეხისათვის, იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოთ ..... ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ასე მიუწვდომელია, გული აიყაროს სასამართლოზედაც, რომელიც ასევე უძლურია დიდის წინაშე“. ანალოგიური ინსტანციური დაშორიშორება ვრცელდებოდა „ვანის“ სოფლებზეც, სოფელ ციხესულორიდან სალომინაოს ჩათვლით ე. ი. დღევანდელი ციხესულორი-ქალაქ ვანიდან აღმოსავლეთით განლაგებული სოფლები ადმინისტრაციულ-სამართალწარმოებისა და რიგ სხვა პროცესებში ექვემდებარებოდა ქუთაისის მაზრის ბაღდათის საპოლიციო უბანს, ხოლო სოფელ ციხესულორის ტერიტორიიდან დღევანდელი ვანის რაიონის დასავლეთი ნაწილი – შუამთა, მთისძირი, ტობანიერი, საპაიჭაო (ყუმური), მუქედი და ა. შ. დასახლებანი შედიოდნენ იმავე მაზრის სამტრედიის საპოლიციო უბანში, რომელთაც ე. წ. „პრისტავები“ ხელმძღვან-

1. ილია ჭავჭავაძე-ნაწერების სრული კრებული ტომი VIII გვ. 64.  
 2. პრისტავი-საპოლიციო უბნის უფროსი. ქართული ხმარებით ბოქაული (თურქული სიტყვა).

ელობდნენ. პრაქტიკულად ეს ორი საპოლიციო უბანი ანხორციელებდა საპოლიციო-ადმინისტრაციულ და კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებაში, ზედამხედველობას დღევანდელი ვანის რაიონში შემავალ სოფლებზე. ამაზე მინიშნებებს აკეთებს დაცული მასალები, მაგრამ უფრო მეტი და ინტენსიური სახით ასეთი ურთიერთობები გვხვდება ბალდათის უბანთან დაკავშირებით.

დამატებით შეიძლება ითქვას: იგივე საპოლიციო უბნების ადმინისტრაცია კურირებდა „ვანის“ სოფლებიდან სამხედრო ვალდებულთა განწვევასაც, რომელიც 1887 წლის კანონის საფუძველზე შევიდა მოქმედებაში. ეს ფაქტი მოგვყავს ერთ საინტერესო საკითხთან დაკავშირებში. საქმე იმაშია, რომ საერთოდ გართულებულ სიტუაციაში ორივე საპოლიციო საზედამხებველო სოფლების ახალგაზრდებიდან 1905 წელს განწვეულნი იქნენ შესაბამისი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც რეგისტრაცია კი გაიარეს მითითებულ ცენტრებში, მაგრამ იმავე დღესვე ფარულად მიატოვეს გამწვევი პუნქტები და გაბრუნდნენ უკანვე. მომხდარზე ოფიციალური ინფორმაცია გადაცემულია კავკასიის მთავარმართებლის შესაბამის სამსახურში. არაა გამორიცხული, რომ მათ შორის იყვნენ ახალგაზრდები ვანის სოფლებიდანაც და გვაფიქრებინებს ეს მოხდა საერთო რევოლუციური მოძრაობის, იმერეთში მოქმედი რევოლუციური კომიტეტის მუშაობისა და გავლენის შედეგად. რომელმაც იმ დროს დაფარა იმერეთის თითქმის მთლიანი მოსახლეობა და ოფიციალურ წყაროებშიც პირდაპირაა აღნიშნული პროცესში იმერეთის სამხრეთის დასახლებათა გააქტიურების შესახებ, რომელშიდაც მოიაზრება ვანი-ბალდათის მოსახლეობა.

რაც შეეხება სოფლის სასამართლოთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, ეს პროცესიც კანონშესაბამისად გარკვეულ ჩარჩოებში სჩანს მოქცეული. დამნაშავედ ცნობილი პიროვნებისათვის შეიძლება შეეფარდებინათ სასჯელის ზომა ერთი კვირით საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაგზავნა, დაეკისრებინათ ჯარიმის თანხით გადახდა. შედარებით მკაცრი იყო სასჯელის ზომა გადასახადის გადაუხდელობაზე, რომლის დროსაც სასამართლოს შეეძლო გამოეტანა გადაწყვეტილება გლეხის ქონების დაყადაღება-გაყიდვაზე და ა.შ.

სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირს, მამასახლისს ეკრძალებოდა სასამართლო პროცესებში ჩარევა. თუმცა მისი მოვალეობა იყო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება და ა. შ. ამდენად, გლეხურ სასამართლოთა საქმიანობა დამოუკიდებელი სჩანს. თუმცა, როგორც ითქვა მის საქმიანობას ისე, როგორც სოფლის საზოგადოების ადმინისტრაციისას დიდი აქტიურობა და ეფექტები არ მოჰყოლია. ეს სურათი დამახასიათებელია ვანის სოფლებისთვისაც და საერთოდ საქართველოსათვის. ამის დასტური სჩანს კავკასიის უმაღლესი ინსტანციების შეფასებებშიც, როდესაც ხაზგასმა გაკეთდა ხალხის მოუმზადებლობასა და იმ ეტაპისათვის სოფლის ხელმძღვანელ პირთა უხელფასოდ, საზოგადოებრივ სანყისებზე მუშაობაზეც. ამიტომაც სპეციალურად შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე 1885 წლიდან იწყება „სოფლის საზოგადოებების“ რეორგანიზაცია. შეეხო იგი „ვანის“ სოფლებსაც.

აი, ამ პერიოდიდან შედარებით გააქტიურებული სჩანან ვანის სოფლების თვითმმართველები და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის, დაცული არაა მათ განმკარგულებელ, აღმასრულებელ ორგანოთა მიერ განხილულ საკითხთა ირგვლივ მიღებული დადგენილებანი, ოქმების ან მნიშვნელოვანი ჩანაწერების სახით, რომელიც საკითხის ირგვლივ მრავალმხარეთულებიან მსჯელობის საშუალებას მოგვცემდა, დაცულია ამ ორგანოთა საზოგადოებრივ, ინდივიდუალურ პრობლებებთან დაკავშირებული ცალკეული ჩანაწერები. ასევე ზოგიერთი ხასიათის დოკუმენტური მასალაც, რომლებიც მიანიშნებენ მომნიშვნელოვან საკითხთა ირგვლივ რეაგირების ფორმებზე, მეთოდებზე და საერთოდ წარმოდგენას ქმნიან მათი საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებულად უხვადაა ასეთი მასალები წარმოდგენილი მინის მფლობელობისა და მინათ-სარგებლობის საკითხებზე რომელთა ანალიზიც იძლევა საშუალებას მოსახლეობის მატერი-ალურ-ყოფით ურთიერთობათა დადგენა-შეფასებისათვისაც. ამდენად XIX საუკუნის 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან სოფლის საზოგადოებათა რეორგანიზაციის საკითხებზე ძალაში შესულმა კანონებმა, საჭიროდ მიიჩნია ყოფილ სასოფლო საზოგადოებათა შეერთება, მათი

გამსხვილება. რადგანაც გამსხვილებული მრავალკომლიანი საზოგადოებები, რეფორმატორთა აზრით, უფრო მოახერხებდნენ საკმაო თანხის შეგროვებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა „წესიერი კანცელარიის“ მოსაწყობად და სოფლის მოხელეთათვის ჯამაგირის დასანიშნად<sup>1</sup>. ამით დასტურდება ისიც, რომ სახელმწიფო კვლავ გვერდზე გადასა სოფლის თვითმმართველობის ორგანოსათვის შესასრულებელ სამუშაოთა მატერიალური ნახმარების განვეისაგან და ეს პროცესი-სოფლის მოხელეთა, კანცელარიის მოწყობის, სამრევლო სკოლების შენახვისათვის და სხვა ხარჯები არაერთგვაროვან გადასახადებთან ერთად ძველებურად, კვლავ შეერთებულ, გამსხვილებულ საზოგადოებათა გლეხობას დააკისრა.

რეორგანიზაციის საფუძველზე 1880-იანი წლების მეორე ნახევრიდან „ვანში“ თითქმის ყველა სოფელში მოქმედი სოფლის საზოგადოებების გაუქმებისა და მათი გამსხვილების საფუძველზე იქმნება და ფუნქციონირებას შეუდგა:

- 1 – „ვანის თემის“
- 2 – „ტობანიერის თემის“
- 3 – „დვალის თემის“
- 4 – „გორას თემის“

5 – „უხუთის თემის“ – სოფლის საზოგადოებები-თვითმმართველი ორგანოები. გუბერნიაში 208 ხოლო „ვანში“ 5 (ხუთივე) ქუთაისის მაზრაში შემავალი. რომლებშიდაც, როგორც ითქვა გაერთიანდა მეზობელი, ტერიტორიულად მიმდებარე სოფლები და დასახლებული პუნქტები. თითოეულში საშუალოდ 3-დან – 7 სოფლამდე, რეორგანიზაციამ „სოფლის საზოგადოებების“ მმართველობათა სისტემა დატოვა უცვლელად. განმკარგულებელ ორგანოდ კვლავ დარჩა საზოგადოების ყრილობა, აღმასრულებლად-სოფლის კანცელარია თავისი აპარატით და სასამართლო სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული „მოსამართლეებით“. გაიზარდა სამოქმედო სივრცეც. რადგანაც მათ საგამგებლო-საკოორდინაციო დაქვემდებარებაში მოექცა არაერთი, არამედ რამდენიმე სოფელი და დასახლებანი თავიანთი პრობლემატური საკითხებით. როგორც ზემოთ მივუთითეთ ციხესულორიდან სალომინაოს ჩათვლით სოფლები კვლავ დარჩა ქუთაისის მაზრის ბაღდათის, ციხესულორიდან დასავლეთით – ნიქვაძის ფონისა და ციცხვების (დღევანდელი ჭყვიშისა და მთისძირის ტერიტორიები) ჩათვლით ქუთაისის მაზრის სამტრედიის საპოლიციო უბნის შემადგენლობაში. საიდანაც ისე, როგორც ბაღდათიდან ხორციელდებოდა საბოქაულო-საპოლიციო, ადმინისტრაციული ზედამხედველობა. დავამატებ ერთსაც: დაცულ მასალებში არაერთგან სოფელი ამალლება მოიხსენიება, როგორც გორას სოფლის საზოგადოებაში შემავალი სოფელი (ერთეული) ზოგჯერ განცალკავებულადაც, როგორც უბანი, (უჩასტოკ) ტერმინი ძირითადად გვხვდება რუსულ ენაზე შედგენილ საბუთებში. როგორც ითქვა, ფიგურირებს პარარელური ტერმინიც „გორას საზოგადოების სოფელი ამალლება“, რომელიც მიანიშნებს, რომ ამალლება გორას საზოგადოებაში შემავალი სოფელია. ორივე ტერმინი გამოყენებულია, როგორც ქართულ ასევე რუსულ ენაზე შედგენილ საბუთებში. ასეთი ტერმინის ხმარება ამალლებასთან მიმართებაში, განსაკუთრებულად 1909 წლის შემდეგ, არის ადრეჩამოყალიბებული ინერციის შედეგი. რადგანაც აქამდე არც თუ დიდი ხნით ადრე ამალლების, ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობას დაუსვამს საკითხი კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებაში გორას სოფლის საზოგადოებიდან სოფლების-ამალლების, ბზვანისა და ინაშაურის გამოყოფისა და სამივე ბაზაზე ახალი, სოფლის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. მიმართვას ხელს ანერს სოფლის საზოგადოების ყრილობაზე ხმის უფლების მქონე 356 კომლის უფროსი<sup>2</sup> ამავე დროს, კავკასიის მეფისნაცვალის გაგებით მოკიდებია საკითხს და მითითებული სოფლების გამოყოფა დამოუკიდებელ სოფლის საზოგადოებად ჩაუთვლიათ უკიდურეს აუცილებლობად (крайне необходим). თუ რით იყო გამონვეული ეს უკიდურე-

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V  
 2. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოფლის საზოგადოებების ყრილობაზე ხმის უფლება ჰქონდათ მხოლოდ საზოგადოებაში შემავალ კომლების უფროსებს.

სი აუცილებლობა ახსნილი არაა. თუმცა გადანყვეტილებაში კონკრეტულადაა საუბარი, რომ აღნიშნული სოფლების გლეხებმა აიღეს პასუხისმგებლობა, როგორც სოფლის კანცელარიის აგების, ასევე კანცელარიის აპარატის, დამატებითი შტატებისა და დარაჯთა და „სტრაჟნიკთა“ შენახვისათვის ხარჯების გალების შესახებ. აქედან გამომდინარე და აღძრულ შუამდგომლობათა საფუძველზე „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით ქუთაისის გუბერნიის მმართველობამ მოისმინა საკითხი: ქუთაისის მაზრის სოფელ ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის, გორას სოფლის საზოგადოებიდან გამოყოფის და ამაღლების ცალკე სოფლის საზოგადოების შექმნის შესახებ ...შემდეგ მოდის დადგენილება – „შეიქმნას ამაღლების ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობისაგან ერთი, დამოუკიდებელი სოფლის საზოგადოება, ამაღლების სოფლის საზოგადოების სახელწოდებით. გამოიყოს ეს სოფლები გორას სოფლის საზოგადოებიდან. სოფლის საზოგადოების მმართველობის ცენტრად მიჩნეული იქნას სოფელი ამაღლება. გადანყვეტილების შესახებ მითითება გაეგზავნოთ ქუთაისის მაზრის უფროსს ..... ცნობის სახით ინფორმაცია მიენდოთ: გუბერნიის გლეხთა და სამხედრო ვალდებულებათა უწყების, მინისა და სახელმწიფო ქონების მართვის პალატებს, საოლქო სასამართლოს. 7 დეკემბერი. 1909 წელი“.

ამგვარად, 1909 წლიდან „ვანში“ ჩამოყალიბდა ახალი, რიგით მეექვსე-ამაღლების სოფლის საზოგადოება.

არაა გამორიცხული, რომ პროცესი რამდენადმე განაპირობა მიმდებარე სოფელთა შორის ამაღლების დანიშნულებამ, სამივე სოფლის მცხოვრებთა სიმრავლემ, რომ მათში აღრიცხული იყო 489 ხმის უფლების მქონე კომლის უფროსი (ე. ი. კომლი). ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი კომლების წევრთა მრავალრიცხოვნებას, მცხოვრებთა საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას მივიღებთ. ამასთან, მდ. რიონის საშუალებით (მხედველობაშია გადასასვლელი ბორნები) ამაღლება წარმოადგენდა მეზობელი სოფლების სატრანზიტო პუნქტს ქუთაისის მიმართულებით. აქვე ფუნქციონირებდა ბაზარი, ზოგიერთი კუსტარული ტიპის ორგანიზაცია და სამრეწლო ორკლასიანი სასწავლებელი განსაკუთრებული უფლებით, რომ მოემზადებინა სამრეწლო სკოლების პედაგოგებიც.

მაღე მაზრის ხელმძღვანელობის დავალებით აქ გაიმართა სოფლის საზოგადოების ყრილობა და მიიღეს გადანყვეტილება საზოგადოების მამასახლისის, მამასახლისის თანაშემწეებისა და სოფლის მოსამართლეთა არჩევის შესახებ. პრაქტიკულად საზოგადოების ადმინისტრაცია დაკომპლექტდა. მამასახლისის თანაშემწეებად არჩეული იქნა ამაღლების საზოგადოების ცალკეული სოფლებიდან თითო წარმომადგენელი<sup>2</sup>. თუმცა არა სჩანს ვინ იქნა მამასახლისად არჩეული. არაა გამორიცხული ე. წ. მთავრობის მამასახლისის დანიშვნაც, მითუმეტეს ამის პრეცედენტი იყო და რადგანაც საზოგადოება „უკიდურესად აუცილებლობით“ ჩამოყალიბდა გასაკვირი არაა ეს პროცესიც ამით აიხსნას. ეს ადასტურებს ვერსიასაც, რომ სოფლის მამასახლისები ინიშნებოდნენ სამაზრო ხელისუფალთა რეკომენდაციის საფუძველზე.

სოფლების საზოგადოებათა გამსხვილებას ერთმხრივად კი გაჰყვა ზოგიერთი დადებითი მომენტები, რაც აისახა საქმიანობის გაცოცხლების, ადმინისტრაციის შენახვის ხარჯების მობილიზების, საზოგადოების მართვის პროცესებში ინდივიდთა მონაწილეობის მისაღებად ერთგვარი დაინტერესებით, რომლისადმი მიდრეკილებასაც დადგენილი სახელფასო ანაზღაურებაც ზრდიდა, მაგრამ იმან, რომ გაფართოვდა სამოქმედო არეალი და მისი სივრცე უკვე შემოიხაზა რამდენიმე სოფლით, საკომუნიკაციო საშუალებათა უაღრესად დაბალი დონისა და რიგ სიძნელეთა გამო, როგორც სჩანს მუშაობა რამდენადმე გადაიხარა ფორმალიზმისაკენ. რაც აისახა კიდევაც ამ ორგანოთა ოპერატიულ საქმიანობაზე. „ვანის“ სოფლების საზოგადოებებისათვის აქ ბიძგის მიმცემად მიჩნეულ უნდა იქნას სოფელთა და დასახლებული პუნ-

1. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები. ფფონდი 176 ანაწერი №1 საქმე №498.

2. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები-ფფონდი 176 ანაწერი №1 საქმე №498 ამავე საქმით მითითებულია ამაღლებაში არჩეულ პირთა გვარ-სახელებიც.

ქტების დაშორიშორებული განლაგება. რომელიც, როგორც ითქვა მაშინდელი საკომუნიკაციო საშუალებათა დაბალი დონე და სოფლების რთული რელიეფური განლაგების პირობები, საზოგადოებებს, როგორც თვითმმართველ ორგანოებს, ეკონომიკურ ფინანსურ სიღარიბესთან ერთად, აქტიურობის გამოვლინების თვალსაზრისით ნამდვილად შეუქმნიდა გარკვეულ ბარიერებს. ამის გამოც გართულებული სჩანს სოფლების საზოგადოებათა ყრილობების მოწვევაც, გადანყვეტილებათა დადგენილ ერთობლიობაში მიღებაც, მიღებულ გადანყვეტილებათა საშემსრულებლო კოორდინაციაც და იმის შედეგადაც, რომ, როგორც წესი, სოფლის აღმასრულებელი ორგანოები, ბოლო პერიოდებში პრაქტიკულად ვერ ერეოდნენ სამეურნეო მართვის საკითხებში და წარმოადგენდნენ ძირითადად, მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება უცხო ხილად არ უნდა მოგვეჩვენოს. თუნდაც იმის შემდეგაც კი, როდესაც 1980-იან წლებში გატარებული რეორგანიზაციის შედეგადაც სოფლის საზოგადოებების საქმიანობას შედარებით აქტიური, მიზანმიმართული ხასიათი უნდა შეეძინათ. ესეც უდავოდ სჩანს. ამიტომაც საერთოდაც და არამარტო „ვანის“ სოფლის საზოგადოებათა დიდ ნაწილში ამავე საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოები იძულებულნი ხდებიან გადანყვეტილებები მიეღოთ ყრილობის მოწვევის გარეშეც და თვითონვე მოეყვანათ აღსრულებაში. ცხადია ეს მიგვაჩნია ერთ-ერთ მიზეზადაც როდესაც აღინიშნა, რომ ამ ორგანოთა საქმიანობაზე, თუ არ ჩავთვლით გადანყვეტილებათა დიდ უმრავლესობას, რომლებიც ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია და დაცული იყო მხოლოდ ინდივიდების მიერ, რაიმეგვარი წერილობითი დამადასტურებელი საბუთები იშვიათად არსებობენ. როგორც აღინიშნა ამ ორგანოთა საქმიანობის ფორმალობისაკენ გადახრის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეული უნდა იქნას ადგილობრივი მმართველი კადრების კვლავ არაჯეროვანი დონეც. როდესაც მასალებს ეცნობი მიდინარ დასკვნამდე, რომ კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრის იაკიმოვის შეფასება, რომელიც მან საკითხთა შესწავლის შედეგად წარუდგინა ხელმძღვანელობას ბევრ კომპონენტში ვრცელდება „ვანის“ სოფ-საზოგადოების ხელმძღვანელობის ნაწილზე მაინც. – „საქმიანობის ნაკლი-აღნიშნავს იაკიმოვი – განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობას არ მიუღია ხელმძღვანელი (მხედველობაში აქვს კომპეტენტურობა), რომელიც გამოიყვანდა მას ახალი ცხოვრების ფართო გზაზე“<sup>1</sup>, რომ ერთმანეთის მოქიშვე ჩინოვნიკები სოფლის საზოგადოებათა თვითმმართველობებს ვერ უწევენ სათანადო კონტროლსა და მზრუნველობასო. მაშინ, როცა იგივე იაკიმოვი მიუთითებს: „რომ სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის საქმეები ..... ქუთაისის გუბერნიაში ..... შედარებით კარგად არის დაყენებული მაგრამ სასურველი სრულყოფა არც მას ახასიათებს“<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა პერსონამ დასვა საკითხი თუ როგორი და რა უფლებებით უნდა სარგებლობდეს სოფლების საზოგადოებათა უფროსები-საკითხს ძვრა ამის შემდეგაც არ მოჰყოლია და იგი არსებული ფორმით განაგრძობდა ფუნქციონირებას 1917 წლამდე. ასე იყო „ვანის“ სოფ-საზოგადოებებშიც. რაც შეეხება მაზრის ხელისუფალთა მხრივ საკურატორო ზონების საქმიანობასთან დამოკიდებულებას, ჩამოყალიბებულ ინდიფერენტიზმს პერიფერიებიდან, სოფლებიდან, დისტანცირებას და უკონტროლობას-კიდევ უფრო მოგვიანებით დაფიქსირებულია ერთ-ერთი მოხელის ოფიციალურ შეტყობინებაში, რომელშიდაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მაზრის არაერთ ნამყვან თანამდებობის პირს თავის საკურატორო, ყველაზე ახლო დასახლებაშიც თუ ვინმე გზის გამკვლევი არ გააყოლე ამ პუნქტამდე ჩაღწევას დროულად ვერ შეძლებსო.<sup>3</sup> ის, რომ ადგილზე თვითკონტროლი ნაკლებად არსებობდა, ხოლო ზემოდანაც ეს პროცესი მთლად მოშლილი თუ არა შედარებით უფერული მაინც იყო, სჩანს სოფელ „ვანის“ საზოგადოების მაგალითზეც. ცხადია, ჩვენ, რადგან მასალები მწირადაა დაცული მასიური მაგალითები არ გვაქვს მამა-

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V გვ. 311.

2. 1905-07 წლების რევოლუციის დოკუმენტების კრებული (რუსულ ენაზე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. 1956 წელი.

3. 1905-1907 წლების რევოლუციის დოკუმენტების კრებული (რუსულ ენაზე) საქართველოს შსს დოკუმენტები.

სახლისთა ინსტიტუტის მუშაკთა საქმიანობისა და ზნეობრივი მოწესრიგებულობის შესახებ, მაგრამ რაც გვაქვს დაახლოებით წარმოდგენას ნამდვილად იძლევა პროცესებზე.

სოფელ „ვანის“ საზოგადოებიდან ორ პირზე შეიძლება ხაზგასმა: 1. – როდესაც საზოგადოების მამასახლისი რამდენადმე სარგებლობს თანამდებობრივი უფლებამოსილებით და შესაძლებლობათა ფარგლებში აგროვებს ქონებას, ხოლო მეორე მაგალითი განმაურებული-ეხება ყოფილ მამასახლისს, ვინმე ს-ძეს ..... (გვარს სრულყოფილად შეგნებულად არ ვუთითებ), რომელიც დარღვევითა გამო გაანთავისუფლეს დაკავებული პოსტიდან. მაგრამ ამის შემდეგაც კონკრეტულ პირთა მიერ ქუთაისის გუბერნიაში შეტანილია სარჩელები მის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც აღძრულია საკითხი თანამდებობაზე ყოფნისას განხორციელებული დარღვევების გამო. დღევანდელი გაგებით საქმე ეხება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, სოლიდური თანხებით მანიპულირებას და დადგენილად მიიჩნის, რომ საქმის ირგვლივ შეგროვილი მასალები მთლიანად უჭერს მხარს ნაყენებულ ბრალდებას.<sup>1</sup> არის ზოგიერთი სხვა მინიშნებებიც კანცელარიის ზოგიერთ თანამშრომლებზე, მაგალითად მწერლებზე და ა. შ. მაგრამ ამ საკითხთა განხილვა ჩვენი საუბრის თემას არ წარმოადგენს. თანაც ფაქტები დაფიქსირებულია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, XX საუკუნის საწყის წლებში. რაც ადასტურებს იმასაც, რომ რეფორმას სამართლებრივ-ზნეობრივი დანერგვებიანი რიგ მომენტებში დაშორდა. თუმცა ამ რამდენიმე მოხელის ან მოხელეთა ზნეობრივ-სამართლებრივი გადახრების გავრცელება, მთლიანობაში სოფლის საზოგადოებებში არჩეულ ხელმძღვანელ პირებზე არ იქნება სამართლიანი.

მიუხედავად ყველაფრისა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გატარებულ ღონისძიებებს სოფლის საზოგადოებებისთვის მმართველობის ორგანოებთან დამოკიდებულებაში ძვრები მაინც მოჰყვა, ეს ფიქსირდება „ვანის“ შესაბამისი უწყებების საქმიანობიდანაც. ადგილზე მოკვლეული მასალების ანალიზი, სხვა მასალებთან შეჯერება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რიგ საჭირობოროტო საკითხთა გადაწყვეტის თვალსაზრისით უკვე შესამჩნევია ცალკეული თემ-საზოგადოებების გააქტიურება. ირკვევა ისიც, რომ სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ერთ საზოგადოებაში გაერთიანებამ სამოქმედო სივრცის გაზრდასთან, პასუხისმგებლობის მატებასა და სოფლის მოხელეთათვის სახელფასო ანაზღაურების დანიშვნასთან ერთად საქმიანობაც შედარებით პრესტიჟული და საინტერესო გახდა. ალბათ ამის შედეგია, რომ ყრილობათა მიერ არჩეულ დეპუტატთა შორის უკვე გვხვდებიან თავადაზნაურთა, ვაჭართა და ახლადწარმოქმნილი კულაკური ფენების წარმომადგენლებიც: ჩიჯავაძეთა, მესხების, ლასხიშვილებისა და ა. შ. სახით, რომლებიც ასრულებენ, ან აღსრულებაში მოჰყავთ საზოგადოების წინაშე დასმული სხვადა-სხვა გვარი საკითხები და ამას აკეთებენ სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული დეპუტატების სახელით. როგორც ითქვა სამოქმედო არეალის გაზრდამ გამოიწვია მათი დაინტერესებაც და უკვე სათაკილოდ აღარ მიაჩნიათ სოფლის საზოგადოებაში საქმიანობა, რომელიც მანამდე მხოლოდ გლახთა წარმომადგენლობად მოიაზრებოდა. მაგალითად: თავადი ჩიჯავაძე, იაგორ კონსტანტინეს-ძე მესხთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებას ვინმე აბრამიძესთან, „ვანის“ საზოგადოების ცენტრში მისსავე საკუთრებაში არსებული აფთიაქის შესაძენად. მოლაპარაკება მიმდინარეობს საზოგადოების სახელით და საზოგადოებისათვის. პირდაპირ არის მითითებული: „ჩვენ – (შემდეგ მოდის აფთიაქის გამყიდველის სახელი და გვარი) ...თქვენგან თავად ჩიჯავაძისა და იაგორ მესხისაგან, „ვანის“ საზოგადოების დეპუტატებისაგან მივიღეთ ამ საქმეზე 12000 მანეთი<sup>2</sup>“ და ა. შ. მსგავსი რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე ხდება ამ პირთაგანაც და არა მარტო მათაგან. თანაც მინიშნებულია, რომ ეს პირები არიან საზოგადოების ყრილობათა მიერ არჩეული დეპუტატები და გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება. ამ პროცესში სჩანს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე: სოფლის საზოგადოების შექმნის საწყის ეტაპზე დებულებით გათვალისწინებული ფორ-

1. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები — ფონდი 8, ანაწერი №1, საქმე №763  
2. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა



მულა, რომ ამ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული თვითმართველობის ერთეული, რომელიც წარმოადგენდა სუფთად გლეხთა ნოდებრივ დანესებულებას და მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა არაგლეხური ნოდების პირებზე, განიცდის ტრანსფორმაციას. მისი მოქმედება ხდება შედარებით მასშტაბური და ყრილობის დავალებათა შესრულებაში არაგლეხური ნოდების პირების, როგორც დეპუტატების მონაწილეობა, მათი დეპუტატებად არჩევაც მიანიშნებს ყრილობის გადანყვეტილებათა იურისდიქციის ამ ნოდების წარმომადგენლებზე რამდენადმე გავრცელებაზეც და იმაზეც, რომ გლეხთა თვითმართველობის ფუნქცია ნელ-ნელა გადის ადრემონიშნული საზღვრებიდან. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გააქტიურება გამოკვეთილია გორას სოფლის საზოგადოებაშიც. მათი საქმიანობა გაშლილია რამდენიმე მიმართულებით სოფლად სამრევლო სკოლის გახსნის საკითხებზე. ასევე გორას საზოგადოების ამალლებისა და ბზვანის დეპუტატებს აქ მცხოვრებ გავლენიან პირებთან ერთად მიჰყავთ მუშაობა ამალლების სამრევლო სკოლის აღდგენაზე, რომელიც კონკრეტულ მოსახრებათა გამო მთავრობამ დახურა და აღადგინეს კიდევაც. აქტიურობს უხუთის საზოგადოება უხუთის სამრევლო სკოლის დამაარსებელ თვარაძესთან ერთად. სოფლის საზოგადოებათა უმრავლესობა ჩართულია გზათა მონესრიგების საქმეში, რაც მიანიშნებს სოფელთა შორის საკომუნიკაციო საშუალებების მონესრიგებაზე. ტობანიერის საზოგადოება აქტიურადაა ჩართული საძოვრებისა და ტყით სარგებლობის მონესრიგების საკითხებში. სოფლის კანცელარიის წარმომადგენლებს მიჰყავთ მუშაობა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა გასამრჯელოს მოსახლეობიდან აკრების თაობაზე. დადასტურებულია რამდენიმე ფაქტი გაჭირვებში მყოფ ოჯახებისათვის საქველმოქმედო წესით ფინანსური დახმარების განევის შესახებ და ა.შ. ასე, რომ, როგორც ირკვევა პროცესები პირობებთან შესაბამისობაში დაძრულია. რაც თავისთავად არ ნიშნავს პრობლემათა საშუალო დონეზე დაწესრიგებასაც, მაგრამ მოქმედების კვალი უკვე შეიმჩნევა. უფრო მეტიც: ზოგიერთი სოფლის საზოგადოებაში გაჩენილია მათ მიერ მიღებული გადანყვეტილებების აღსრულებაზე პრინციპული დამოკიდებულებისა და შესრულების გარდაუვალობის მოთხოვნაც, რომელშიდაც სჩანს გადანყვეტილების მიმღები უწყების სამსახურეობრივი თავმოყვარეობის კოდიც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ვანის“ სოფლის საზოგადოების დეპუტატთა ზოგიერთი წარმომადგენლისა და სოფლის კანცელარიის პასუხისმგებელი მუშაკის უკომპრომისო დამოკიდებულება ქუთაისის გუბერნიის მაღალიერარქიული ჩინოვნიკებისადმი სოფელ „ვანის“ ცენტრში (დღევანდელ ქ. ვანში) ახალი სავაჭრო ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით<sup>1</sup>. ამ საკითხში ჩართული აღმოჩნდენ როგორც დეპუტატები ასევე არა დეპუტატებიც პრივილეგირებული ფენებიდან და ზოგიერთი გლეხიც.

დეპუტატებმა საზოგადოებისა და თავიანთი სახელით ბრალი დასდეს გუბერნიის ხელმძღვანელობას საზოგადოების ყრილობის მიერ მიღებული გადანყვეტილების იგნორირებაში, ტენდენციურ გადახრაში. ხოლო ქუთაისის მაზრის ბალდათის საპოლიციო უბნის პასუხისმგებელი პირი ვინმე მაჭავარიანი პირდაპირ დაადანაშაულეს კანონსანინააღმდეგო ქმედებაში. როგორც სჩანს პროცესმა მიიღო იმდენად გამწვავებული ხასიათი, კარგად შედგენილი საპროტესტო განცხადება გაიგზავნა კავკასიის მთავარმმართველის თავად გრიგორი გოლიცინის სახელზე<sup>2</sup>. დოკუმენტებიდან დასტურდება ისიც, რომ პრობლემის მოგვარებაში ვანის თვითმართველობის დეპუტატებმა ჩარევა სთხოვეს პეტერბურგში იმპერიის სენატსაც. ყველაზე მაღალ ინსტანციას იმპერიაში. მოცემულ მტკიცებულებაში, რომელიც როგორც სჩანს, პროფესიონალი იურისტის მიერაა შედგენილი, მსჯელობის საყრდენად გამოყენებულია გუბერნიის ხელისუფლების მხრივ სოფლის საზოგადოების მიერ მიღებული გადანყვეტილების უგულვებელყოფა. თუმცა ამ მიმონერათა ანალიზით იკვეთება განმცხადებელთა ზოგიერთი მიმართულების კერძო ინტერესებიც. მაგრამ აქ, დაბალი ინსტანციიდან ბრძოლის პროცესი და უკომპრომისობა თვალში საცემი.

1. ამ საკითხს კონკრეტულად შევხებით თხრობაში „ვანში“ სავაჭრო და სამეურნეო ურთიერთობათა პროცესების მიმოხილვისას.  
2. მასალა დაცულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

**ოზარ ბაგუნი**

ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

**რაზე საუბრობენ სოფელ მთისძირის არქეოლოგიური გათხრების მასალები**

სოფელი მთისძირი, რომელიც მდებარეობს რიონის მარცხენა მხარეს, ვანის ნაქალაქარის დასავლეთით, რვა კოლომეტრის დაშორებით, „ვანის ქვეყნის“ შესწავლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს. თვით ტოპონიმი „მთისძირი“ ახალია და ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს მის მდებარეობასთან. მთისძირის ახლანდელი მოსახლეობა ადრეულ პერიოდში იმ გორებს გადაღმა ცხოვრობდნენ, რომელიც სოფელს აკრავს. ამ ტერიტორიას ამჟამად აქაური მცხოვრებლები საძოვრად და სავენახედ იყენებენ. მთისძირის მოსახლეობა ტერიტორიებს შემდეგნაირად იხსენიებს: „ნაქცევი გორა“ (სადაც ამჟამად თანამედროვე სასაფლაოა), „ადეიშვილების გორა“, რომელიც მდებარებს „ნაქცევი გორის“ ჩრდილოეთით. „მთისძირის გორა“ მდებარეობს ადეიშვილების გორის დასავლეთით, „ნაბამბევის გორა“ მდებარეობს „მთისძირისა და ნაქცევი გორების“ დასავლეთით. ამ გორებს შორის ჩამოდის გეფერიძეების ღელე, ხოლო მთისძირისა და ნაბამბევის გორებს შუა-ნაბლა ღელე. ეს ღელეები ერთიან რიონს.

ხსენებული ღელეებისა და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, უამრავი მასალა არის ჩამორეცხილი, რომლებიც არქეოლოგიური დაზვერვების დროსაა ნაპოვნი, უმთავრესად კი კერამიკის ნიმუშები. აქ არსებული ტერიტორიებიდან ორი პუნქტია მხოლოდ საინტერესო. პირობითად ამ პუნქტებს A და B აღნიშნავენ არქეოლოგები. A – ადეიშვილების გორა, სადაც საშუალო საუკუნეების საფორთიფიკაციო ნაგებობების ნაშთებია. ამ გორაზე როგორც ჩანს სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობა იყო განლაგებული, რომელიც დაჰყურებდა მთელს გარემოს. მთის წვერიდან ხელისგულივით მოსჩანს მდინარე რიონის (ფაზისის) ხეობა. ადეიშვილების გორას სამხრეთით ეკვრის გეფერიძეების ნამოსახლარი. აქ სამარხების ნაშთებია დადასტურებული. B – ნაბლა-ღელე, რომლის შუანელზეც, ე.წ. ნაშვავებში, 1952 წელს შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული ნივთები, სამარხეული ინვენტარის ნაშთები.

სოფელ მთისძირში 1973-1975 წლების არქეოლოგიური დაზვერვების პირველ ეტაპზე ერთ-ერთ ძირითად სამუშაოს წარმოადგენდა ძველი ნასახლარის ფარგლების დადგენა და არქეოლოგიური გათხრებისთვის ადგილის შერჩევა. მოპოვებულ იქნა დიდძალი ანაკრეფი მასალა და გაიჭრა რამოდენიმე სადაზვერვო თხრილი. დადგინდა, რომ ძველ ნამოსახლართა ნაშთები ვრცელდებოდა მთისძირის, ადეიშვილების, ნაქცევი, ნაბამბევის გორებსა და მათ შორის არსებულ ტერიტორიაზე. A და B ტერიტორიებზე თვალნათლივ დადასტურდა წინარეანტიკური, ანტიკური და საშუალო საუკუნეების არქეოლოგიური მასალები.

არქეოლოგი ბატონი გელა გამყრელიძე აღნიშნავს თავის ნაშრომში, რომ 1974 წელს არქეოლოგიური დაზვერვების დროს გადაწყდა 1952 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი ხელახლა გაგვეთხარა, რათა გაგვერკვია მისი აღნაგობა და ტიპი. გათხრების დაწყებამდე აღნიშნავს არქეოლოგი ინფორმაციის მისაღებად გავესაუბრე კოლმეურნე კაკო სტურუას, რომელიც მთისძირის სამარხის ერთ-ერთი აღმომჩენია. სტურუას თქმით ძვირფას ნივთებს წაწყდომია ღელეში, ნაშვავებთან (B პუნქტში) სარების მოჭრის დროს. მათი ყურადღება მიუქცევია ბზინვარებას, რაც ოდნავ გამოსჭვიოდა ბრტყელი ქვის ქვემოდან. მთისძირლებს ქვა დაუცურებიათ და ღელეში გადაუგდიათ, ხოლო ნივთები ამოუღიათ (დაცურებული ქვა როგორც ჩანს დაიფშენა, რადგან მისი ძებნა ამოო გამოდგა). აქ რომ სამარხის ნაშთებთან გვეკონდა საქმე აშკარაა, რადგან სტურუას ნათქვამი და ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტიც ამასვე ადასტურებს. ამას გარდა თვით გადარჩენილი ნივთებიც (სხივანა საყურე, კისრის რკალი, რიტონის ფრაგმენტები) სფეციფიკურია და რამდენადმე სამარხეულს ჰგავს. არქეოლოგმა ქალბატონმა ნინო ხოშტარიამ პირველმა გამოაქვეყნა მთისძირში ნაპოვნი ნივთები და ძვ. წ. VI საუკუნით დაათარილა.

კაკო სტურუას მინიშნებით მოძებნილი იქნა სამარხის აღმოჩენის ადგილი და გაითხარა. კორდოვანი ფენის ალების შემდეგ, დაახლოებით 0,30 მეტრის სიღრმეზე გამოჩენდა ბათქაშების ნაშთები. ექსპედიციის მიზანი – აღმოჩინათ და დაეზუსტებინათ იყო თუ არა სამარხი ამო გამოდგა, რადგან კულტურული ფენები ერთმანეთში არეული ჩანდა. მიუხედავად ამისა გაგრძელდა სიღრმეზე გათხრა, რამაც ნაწილობრივ ზოგი რამ დაგვაზუსტებინა.

თხრილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და რკინის პატარა ნატეხი. შედარების შედეგად დადგინდა, რომ თხრილში ნაპოვნი ბრინჯაოს ფრაგმენტები და რკინის ნატეხი ნაწილებია აქვე ჯერ კიდევ 1952 წელს ნანახი ბრინჯაოს ჭურჭლისა და რკინის ნივთისა.

ამრიგად, სოფელ მთისძირთან ე.წ. ნაშუაგებში (B პუნქტი) ნაპოვნი მასალები სამარხის ინვენტარის გადარჩენილი ნივთები და მათი ფრაგმენტებია. სამარხი დაზიანებული და თითქმის განადგურებულია. სამარხეული ნივთებიც მეტნაკლებად დაზიანებულია. იძულებული ვიყავით, აღნიშნავს გ. გამყრელიძე, კაკო სტურუას ნათქვამს დავყრდნობოდით, ამიტომ მთისძირის სამარხზე ფაქტიურად მხოლოდ გადარჩენილი ნივთების მიხედვით შეიძლება მსჯელობა.

როგორც საბოლოოდ დადგინდა აქ მდიდრული სამარხი უნდა ყოფილიყო. აღმომჩენლების თქმით (კაკო სტურუა და მისი დედა) ნივთებთან თითქმის ორი ოქროს სამაჯურიც ყოფილა, რომელმაც სამწუხაროდ მუზეუმამდე ვერ მიაღწია .

ოქროს ე.წ. სხივანა საყურე შედგება რგოლებისაგან, რომელზედაც „სხივებია“ დამაგრებული, (რგოლი დეფორმირებულია) ამ რგოლზე მიმაგრებულია გადაჭრილი სამკუთხედის მსგავსი ფირფიტა, რომელზედაც ცვარათი პატარა სამკუთხედებია გამოხატული: გადაჭრილი მხრით ეს სამკუთხედი მიმაგრებულია რგოლზე, ხოლო სანინააღმდეგო მხარეს სხივებისებურად ეშვება ექვსი ღერო. რგოლი წრიული უნდა ყოფილიყო, ის გახსნილია და ბოლოები გახვრეტილი აქვს ისე, რომ ფრინველის თავს მოგვაგონებს.

მთისძირში (B პუნქტში) ნაპოვნი „სხივანა“ საყურე და ამავე ტიპის სასაფეთქლეები – კოლხეთში ძალიან გავრცელებული იყო გარკვეულ პერიოდში. მსგავსი ნივთები თითქმის არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამიტომაც ამგვარი სასაფეთქლეები, საყურეები ტიპიურ კოლხურ სამკაულადაა მიჩნეული. „სხივანა“ საყურეები და სასაფეთქლეები ნაპოვნი ყაზბეგის, ბოსის ფიჭვნარის სოხუმის მიდამოებში, იკოთში, ბოლნისში, ბემთაშენში, რაჭაში და სხვა. ყველა ეს ოქროს და ვერცხლის საყურე ან სასაფეთქლე ერთმანეთისაგან შემკულობის ცალკეული დეტალით და სხივების რაოდენობით განსხვავდება, ვანის რაიონში ნაპოვნი „სხივანა“ საყურეები გამოირჩევა დამზადების რთული წესით. ისინი შემკული არიან ვარდულით, გრეხილი მავთულებისაგან შემდგარი წნულით. მათ დამზადებაში გამოყენებულია დაცვარვა. მთისძირის „სხივანა“ საყურე თავისი გაფორმებით ისე ახლოს დგას თვით ვანში აღმოჩენილ „სხივანა“ საყურეებთან და სასაფეთქლეებთან, რომ შეიძლება ვიფიქროთ ისინი ერთ სახელოსნოშია დამზადებული. ვანში აღმოჩენილი „სხივანა“ საყურეები და სასაფეთქლეები საქართველოში ნაპოვნი სხვა ნიმუშებთან შედარებით უფრო მდიდრულადაა გაფორმებული. ვანის ნაქალაქარზე ამგვარი საყურეები გვხვდება №6 და №11 სამარხებში, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. V- IV საუკუნეებით. ამრიგად, აღნიშნავს არქეოლოგი გ. გამყრელიძე, მთისძირის სასაფეთქლე ანალოგიურად ძვ.წ. V- IV საუკუნეებით უნდა იქნას დათარიღებული.

მთისძირის კისრის ოქროს რკალი (ხატისუღელი) ქრილში მრგვალია. მის შუა ნაწილს ბოლოებზე ირგვლივ შემოუყვება რელიეფური ხაზები. ბოლოებისაკენ კისრის რკალი ოდნავ მსხვილდება. ეს, გამსხვილებული კისრის რკალი ორივე ბოლოში შედგება ორწრიულ ხაზს შორის მოქცეული მოგრძო ჭდეებისაგან, მისი დიამეტრი ქრილში 0,3 სმ., ხოლო მისი თავდაპირველი სიგრძე 35 სმ-მდე იქნებოდა. ის აღმოჩენის მომენტში გასწორებული და ორ დაახლოებით ტოლ ნაწილად იყო გადატეხილი, შესაძლებელია ის გადატეხეს სარიტუალო ცერემონიალის დროს სპეციალური ბლაგვი ინსტრუმენტი. ცნობილია, რომ კისრის რკალს, ანუ ხატისუღელს, გარკვეული რელიგიური ნივთსამკაულის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტიპის კისრის რკალები და სამაჯურები ხშირად გვხვდება ყანჩაეთის, ალგეთის ითხვისის, დაბლაგომისა და ახალგორის არქეოლოგიურ მასალებში, ხოლო ამ ძეგლებს სპეციალისტები ათარიღებენ ძვ.წ.

V- IV საუკუნეებით. მთისძირის კისრის რკალის მსგავსადვე არის ორნამენტირებული ვანის ნაქალაქარზე 1974 წელს გათხრილ №12 სამარხში კისრის რკალები. ამ სამარხში ნაპოვნ მასალას ათარილებენ ძვ.წ. IV საუკუნით.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება მთისძირის კისრის ოქროს რკალის დათარილება დაახლოებით ძვ.წ. V- IV საუკუნეებით. მთისძირის კისრის რკალის მსგავსადვე არის ორნამენტირებული, ვანის ნაქალაქარზე 1974 წელს გათხრილი №12 სამარხში ნაპოვნი კისრის რკალები. ამ სამარხს ათარილებენ მეცნიერები ძვ.წ. IV საუკუნით, რაც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის მთისძირის კისრის რკალის დროის ზუსტ განსაზღვრას.

სამარხში ნაპოვნი აგრეთვე რკინის მოლუნული ჯოხისმაგვარი ნივთი, განივ ჭრილში მრგვალია. საფიქრებელია, რომ ის რომელიმე ჭურჭლის ყური იყოს. აქვე ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და ვერცხლის ყანწ-რიტონი, რომელიც უაღრესად საინტერესოა აქ აღმოჩენილ მასალებს შორის. ის ტორევეტიკის საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს და საგანგებო შესწავლის ღირსია. სამწუხაროდ ნივთი ძალიან დაზიანებულია, შემორჩენილია ორი ფრაგმენტი. ერთი – ვაც-კაცის გამოსახულება, რომელიც ჩამაგრებულია ყანწის მსგავსი ჭურჭლის გადანატეხში, ხოლო მეორე – სუროს გამოსახულებიანი გაბრტყელებული ფირფიტაა (ზომა 18,4 x 14,4 სანტიმეტრი), რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ფორმა. პროფესორი გელა გამყრელიძე, რომელმაც შეისწავლა არსებული რიტონი – აღნიშნავს: „მე მიზანშეწონილად მიმაჩნია ეს ორივე ფრაგმენტი განვიხილო ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და აღწერის მეტი მოხერხებულობისათვის მათ პირობითად სამ ნაწილად ვყოფ. პირველი ფიგურა ვაც-კაცის გამოსახულებით, მეორე ორნამენტირებული ნაწილი, რომელშიაც ჩამაგრებულია ფიგურა, მესამე (ცალკე) ნაწილი – სუროს გამოსახულებიანი დეფორმირებული ფირფიტა.

ა). ფიგურას ადამიანის თავი, თხის რქები, ყურები და ქვედა კიდურები აქვს. მარცხენა რქა უკან არის გადაზნექილი და ნაკლებმოხრილია (ეს რქა მორყეულია და ალბათ შეცვლილ მდგომარეობაშია). მარჯვენა რქა უფრო მოლუნულია და წვერი მარცხენა რქისკენაა მიქცეული, რქები რომელიც წრიულადაა დაღარული ალბათ ცალკეა დამზადებული და შემდეგაა დამაგრებული თავზე. გამოსახულება წარმოდგენილია დაცქვეტილი ყურებით, რაც დამახასიათებელია გარეული თხისათვის. მარცხენა ყურის ბოლო მარჯვენისკენაა გადახრილი. შუაზე გაყოფილი თმა გამოსახულია ვერტიკალური ხაზებით და ჰორიზონტალური რელიეფური ტალღებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავის გარშემო ნაწნავია შემოვლებული, ხოლო თმის გაგრძელება კეფაზე და კისერზე წარმოდგენილია ე.წ. ქერცლისებური ორნამენტი, კისერი მასიური და სქელია. ფიგურას მკერდამდე დაფენილი აქვს ვერტიკალური ხაზითა და ჰორიზონტალური რელიეფური ტალღებით გადმოცემული წვერ-ულვაში. პირის ჭრილი ოვალურია, მარცხენა თვალის ჭრილი ოდნავ ზემოთ არის მარჯვენასთან შედარებით, თვალები ერთმანეთთან ახლოს არის ჩამჯდარი. მაღალი რელიეფითვე წარმოსახული წარბები გადაბმულია, ყვრიმალის ძვლები ამოზნექილია, პროფილი მკვეთრია და კარგადაა გადმოცემული, ცხვირი სწორი და მასიური. ფიგურის მკერდზე შეიმჩნევა გამოსახულება დიდი (ფოთლისებური) ყურებით, თავზე ბალნით და ძირს დაშვებული ფეხებით.

ბ) I. ვაც-კაცის ფიგურას აქვს წვრილჩლიქოსნისათვის (თხისთვის) დამახასიათებელი ფეხები ჩლიქები, წინა ფეხებზე მუხლის ზემოთ მარაოს მსგავსი ორნამენტი აქვს, მარცხენა შედარებით პატარა ზომისაა, უკანა ფეხებზე ეტყობა ჭდეების ერთი რიგი, განსაკუთრებით კარგად ჩანს მარჯვენა უკანა ფეხის გაყოფილი ჩლიქი. ჭდეები დაუყვება გამოსახულების ზურგსაც და კისერთან უერთდება უკვე ნახსენებ ქერცლისნაირ ორნამენტს.

II. ვაც-კაცის ფიგურა ჩამაგრებულია ნაკვეთილი კონუსის მსგავს გადანატეხში, რომელიც ალბათ ჭურჭლის (ყანწ-რიტონის) დაბოლოებას წარმოადგენდა (როგორც ჩანს ორივე ნაწილი ცალ-ცალკეა დამზადებული და შემდეგ შეერთებული).

III. მესამე ნაწილი ძალიან დაზიანებულია (გაბრტყელებულია), თუ შევეცდებით მისთვის პირვანდელი ფორმის დაბრუნებას და მოვლუნავთ, ცხადი გახდება, რომ ეს არის რალაც ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი. მისი ორნამენტების პირველი ორი ნაწილის ორნამენტებთან შე-

დარებისას ჩანს, რომ ორნამენტის გადმოცემის ხერხები სამივე ნაწილზე ერთი და იგივეა, როგორც მეორის ბოლოზე.

ორნამენტის გამოცემის ერთგვაროვნება, მასალის იდენტურობა და აღდგენილი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ მესამე ნაწილი წარმოადგენს იმ ჭურჭლის — ყანწ-რიტონის პირ-გვერდს, რომლის ბოლოს გადანატეხი შემორჩენილია ცალკე პირველი მეორე ნაწილების სახით.

რიტონი ძირითადად იხმარებოდა ღვინის სასმელად, მას ჰქონდა ცხოველის რქისებური მოყვანილობა, ხოლო ქვედა ნაწილი სხვადასხვა არსებათა სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენდა. რიტონები ძირითადად ორგვარია: 1. მოკლეყელიანი რიტონები, რომლებიც ცხოველის დიდი თავის გამოსახულებას წარმოადგენდნენ და 2. რიტონები ყანწის მაგვარი ფორმისა, რომელთა ბოლოზეც გამოსახულია პატარა ფიგურები. სწორედ ასეთი ტიპისაა მთისძირის რიტონები.

ცხოველის რქას ადამიანი დიდი ხანია იყენებს სასმისად. საქართველოში ამგვარ სასმისს ღვინის სასმელად იყენებდნენ და ყანწს ეძახიან. საქართველოში მეღვინეობის ძალიან ძველი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ყანწ-რიტონი აქ სასმისების ერთ-ერთი უძველესი ფორმა არის.

საერთოდ, რიტონის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რიტონი დაამზადეს მცირე აზიაში, მეორე ნაწილის აზრით რიტონის სამშობლო საძებნელია ირანისაკენ, ხოლო კ. ტრევესისა და მ. მაქსიმოვის აზრით გამორიცხულია რიტონები გაჩენილიყო მაინც და მაინც ერთ რომელიმე ცენტრში და იქედან გავრცელებულიყო შემდეგ სხვაგან. მეცნიერ გ. გამყრელიძე იზიარებს ამ ბოლო შეხედულებას და დაასკვნის, რომ შესაძლებელი იყო რიტონი გაჩენილიყო მეცხოველეობის მიმდევარ ამა თუ იმ ტომში მათი განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

ყანწ-რიტონის დამზადებაში უფრო განვითარებული საფეხური უნდა იყოს მთლიანად ლითონისაგან მისი გაკეთება, როგორცაა მთისძირის ყანწ-რიტონი. როგორც ჩანს, ამ დროისთვის რიტონი უკვე სარიტუალო ჭურჭლის დანიშნულებას იძენს. მას ჩვეულებრივი რქის მიბადვით ამზადებენ ლითონისაგან, თიხისაგან ან სპილოს ეშვისაგან. საგანგებო რელიგიური ცერემონიალებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია გამოსახულებები, სადაც ყანწ-რიტონი უჭირავთ. მაგალითად, გუდაუთის რაიონში აღმოჩენილია მჯდომარე ადამიანის გამოსახულება, მას ხელში ყანწ-რიტონი უჭირავს. მცხეთაში არმაზისხევის №6 სამარხში ნაპოვნია ქალღმერთ ფორტუნას გამოსახულება სიუხვის ყანწით ხელში, ან კიდევ იმავე ქალღმერთის გამოსახულება „სიუხვის ყანწით“ ვერცხლის ლანგარზე ციხისძირიდან. 1973 წელს ვანში აღმოჩნდა მცირე ფიგურა „სიუხვის ყანწით“ ხელში. სრულიად შემთხვევით, სოფელ ინაშაურში, ბეჟან ხელაძის ოჯახში, მინის მუშაობის დროს, აღმოჩენილი იქნა მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება მჯდომარე სავარძელში, რომელსაც ხელში ყანწ-რიტონი უჭირავს. ეს ქანდაკება მეცნიერთა მიერ დათარიღებული იქნა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით. ქანდაკების ასლი მთავრობის გადანყვეტილებით დაიდგა ქ. თბილისში შარდენის ქუჩაზე და მას პირველი თამადა ეწოდა.<sup>1</sup>

ყანწ-რიტონის საკრალურ-რელიგიური დანიშნულებაზე მიგვანიშნებს აგრეთვე მისი სიუხვის რქად, ყანწად წარმოდგენა. სიუხვის ყანწი არის სიმდიდრისა და დოვლათის ფრიად გავრცელებული სიმბოლო. იგი ერთ-ერთი ატრიბუტი იყო გეას, ეირენეს, პლუტოსის, ფორტუნას, ტინეს, ხანდახან კიბელას დიონისეს დიხშანას და კიდევ ზოგიერთი სხვა ღმერთების თუ ქალღმერთის სიმბოლურ სახეში, რაც ხშირად გვხვდება მათ გამოსახულებებზე.

<sup>1</sup> თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, დიდ ინტერესს იწვევს საქართველოში აღმოჩენილი მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ნიმუშები - 8000 წლოვანი ვაზის ნიპნებით, რომლის მსგავსი მსოფლიოში ჯერ არ მოიძებნება და ამავდროულად ღვინის სასმისები, რომელიც ჩვენთან უხვადაა ნაპოვნი არქეოლოგიური გათხრებისას. 2017 წლის ივლისში, სწორედ ამ კუთხით, ქალაქ ბორდოში ეწყობა დიდი გამოფენა საქართველოდან წარგზავნილ მეცნიერთა მიერ დევიზით: „საქართველო, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ქვეყანა“, სადაც გამოიფინება ამ თემასთან დაკავშირებული ინვენტარი, რომლის სიმბოლოს წარმოადგენს „ვენელი თამადა“ და რომელიც ძირითადად ვანში აღმოჩენილი ნიმუშებით იქნება წარმოდგენილი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქართული კულტურის ძირძველობას და მისი უხსოვარი დროიდან განვითარებას.

ყან-რიტონის სამარხეულ ნივთებში შეხვედრის სიხშირე და ზოგიერთი ყანის სასმისად ხმარების უვარგისობა, მოუხერხებლობა გვაპარაუდებინებს, რომ ყან-რიტონის ერთ-ერთი საკრალური ფუნქცია იყო მისი გამოყენება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში. (სამარხში ჩატანება, ან სულის მოსახსენიებელ დღეებში განსვენებულის საფლავზე ყან-რიტონით მოსახსენიებლის შესმა და ა.შ) სოფელ მთისძირში აღმოჩენილ ყან-რიტონს ჯერჯერობით ზუსტი და პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება. მხატვრული სტილის თვალსაზრისით იგი რამდენადმე უკავშირდება აღმოსავლურ ე.წ. აქამენიდურ სტილს. აღმოსავლური წარმოშობისაა და მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ვაც-კაცის მკერდზე გამოსატყლი ცხოველის ყურების ფოთლისებური მოყვანილობა.

საყურადღებოა რომ ვაც-კაცის ფიგურის გადმოცემაში გამოყენებულია წინვისებური ორნამენტი, რომელიც გარკვეული პერიოდის კოლხურ კერამიკას ახასიათებს და გეომეტრიული ორნამენტი, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო ძვ.წ. V-IV საუკუნეების ოქროს იმ სამკაულის სტილთან, რომელთა კოლხური წარმოშობაც ამჟამად უდაოა (ოქროს დიადემა, „სხივანა“ და ჭვილბურთულიანი საყურეები, სასაფეთქლე რგოლები) მათი ზოგიერთი ორნამენტი მეორდება აგრეთვე ამავე დროის ვერცხლის ნაკეთობებზე. ორნამენტის ეს მსგავსებაც გვაფიქრებინებს, რომ მთისძირში ნაპოვნი ყან-რიტონი ძვ.წ. V-IV საუკუნეშია დამზადებული. ამის საფუძველს გვაძლევს მასთან ერთად აღმოჩენილი ნივთებიც.

მთისძირის ყან-რიტონი უნდა იყოს ადგილობრივი ხელოსნის ნახელავი, რომელიც განიცდიდა მაშინდელი აღმოსავლური (აქამენიდური) ხელოვნების გავლენას, ხოლო სიუჟეტი (ფიგურის სახე) როგორც მეცნიერ გ. გამყრელიძეს მიაჩნია, რელიგიური წარმოდგენების ნაყოფია.

ყან-რიტონის ბოლოზე, როგორც ეს ზემოთაცაა აღნიშნული, ნახევრად ადამიანი და ნახევრად თხა ანუ ვაც-კაცია გამოსახული, რომელიც მეცნიერს გაიგივებული ჰყავს ოჩოპინტრე – ოჩოკოჩთან. (ვაც-კაცი, რომლის სხეულის ზოგიერთი ნაწილი მამალი თხისაა, ხოლო ზოგიც – ადამიანისა, ისევე, როგორც ეს მთისძირის ყან-რიტონზეა გამოსახული, ნადირთმფარველი ღვთაება – ოჩოპინტრე გავრცელებული მითოლოგიური სახე უნდა ყოფილიყო მთელს საქართველოში.

საფიქრებელია, რომ ვაც-კაცი რამდენადმე დაკავშირებული იყო დიონისეს მსგავს მისტერიებთან. ამაზე მიგვანიშნებს სუროს გამოსახულება მთისძირის ყან-რიტონზე, რომელიც დიონისეს წრის ღვთაებებისთვისაა დამახასიათებელი და თვით ყან-რიტონის, ღვინის შესასმელი ჭურჭლის დანიშნულებაა. ოჩოპინტრეს (ვაც-კაცს) თავისი ფუნქციით და გამოსახულებით საერთო ნიშნები აქვს ბერძნულ ღვთაება პანთან, რომელიც ხშირად აგრეთვე თხა-კაცად არის გამოსახული. ბერძნების წარმოდგენით პანი მხიარული ტყის ღმერთია. პანის გამოსახულება საქართველოში რამდენიმე ადგილზეა დადასტურებული. საერთო ბერძნული რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ პანი დიონისეს ერთ-ერთი თანმხლებ ღვთაებად იქცა.

სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ვაზის კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს, ყოლოდათ დიონისეს მსგავსი ადგილობრივი ღვთაება თავისი თანმხლები ღვთაებითურთ (ოჩოპინტრე), რომელთანაც ასიმილირდა საბერძნეთიდან გავრცელებული დიონისეს კულტი.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი დღესასწაულების ზოგიერთი რიტუალური მომენტი – თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება და სხვა. (მაგ: ბერიკაობა) გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მთისძირის რიტონზე სწორედ ამ ღვთაებასთან დაკავშირებული მისტერიების დროს თხად გადაცმული მამაკაცია გამოსახული, რომელიც ღვთაება ოჩოპინტრეს (ვაც-კაცს) განასახიერებდა-დასძენს მეცნიერი გ. გამყრელიძე. რაც შეეხება სამარხის აღნაგობას, საფიქრებელია, რომ მთისძირის ე.წ. B პუნქტის სამარხი, კლდოვან დედაქანში იყო ამოკვეთილი. მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ხის სარეცელზე. სამარხი თიხამინით და ქვყარილით იყო ამოვსებული, ხოლო ზემოდან ქვა ედო. აქ იყო ვანში (ახვლედიანების გორაზე) აღმოჩენილი სამარხის მსგავსად ორმო-სამარხი. ამ ინვენტარის მიხედვით და მისი შესწავლის საფუძველზე აშკარაა, რომ მთისძირის სამარხი ეკუთვნის ადგილობრივ

წარჩინებულ პირს, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა ე.წ. „ვანის ქვეყნის“ სასოფლო რაიონების (მთისძირის) მართვა-გამგეობაში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ თითქმის მთელი მთისძირის ტერიტორია მოფენილია ბათქაშებით, რომელთა შემადგენლობაშიც აშკარად ჩანს ადგილობრივი კონგლემერატი – ბათქაშის ნატეხებს ეტყობა ძლიერი ხანძრის კვალი. სამშენებლო მიზნებისათვის გამოიყენებოდა აგრეთვე ადგილობრივი ქანებიდან მოჭრილი ქვები.

მთისძირში ყველაზე მეტი რაოდენობით ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკაა მოპოვებული. მათში მეტწილად სჭარბობს გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ჭურჭელი (ტალღისებური, წრეები, სამკუთხედი, წინვისებური, გრეხილი, თევზისებური და სხვ. სახის ორნამენტები.)

მთისძირის საოჯახო კერამიკა ხასიათდება ფორმათა მრავალგვარობით. 1973-75 წლებში მრავლად დაგროვდა ქოთნების, სასმისების ჯამების ყურმილიანი დოქების და სხვა კერამიკული ჭურჭლის ნატეხები. ამ კერამიკის ნაწილი წინარე ანტიკურ ხანას მიეკუთვნება.

მთისძირში აღმოჩენილი იმპორტული შავლაკიანი კერამიკა სულ რამდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ, ჭარბობს სამეურნეო სახის კერამიკა. კერძოდ, ნაპოვნი ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები, როგორც ჩანს კერამიკის ეს სახე ფართოდ იყო გავრცელებული მთისძირის ძველ ნამოსახლარზე, რადგან მათი ნატეხები მრავალრიცხოვანია, ისინი გამოიყენებოდა პროდუქტების შესანახად.

მთისძირის ტერიტორიაზე ნაპოვნი როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული ამფორები. რაც შეეხება კოლხურ ამფორებს ის უხვადაა ვანის ნაქალაქარზე ნაპოვნი. არქეოლოგიური მასალების საფუძველზე მტკიცდება, რომ ვანში დამზადებული ამფორები მთისძირშიც იხმარებოდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამფორები მთისძირშიც მზადდებოდა.

იმპორტული ამფორებიდან ჯერ-ჯერობით მთისძირში წარმოდგენილია ქიოსური და სინოპური ნაწარმი.

ქ. ქიოსის ღვინით ვაჭრობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრის კერამიკული ტარა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში. როგორც ჩანს ქიოსური ამფორების შემოტანა ძველ კოლხეთში ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან იწყება. დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისის ქიოსური ამფორის ქუსლია დადასტურებული მთისძირში. თიხა შედარებით უხეშია და მოყავისფრო-აგურისფრად არის გამომწვარი. ეს ამფორა, რომლის ფრაგმენტიც შემორჩა მთისძირში, უნდა იყოს აქ შემოტანილი იმპორტული კერამიკის ყველაზე ადრეული ნიმუში. ქიოსურისაგან განსხვავებით დიდი რაოდენობითაა მთისძირში სინოპური ჭურჭლის ფრაგმენტები. ძირითადად ისინი ამფორის ნატეხებს წარმოადგენს და ძვ.წ. III-II საუკუნეებითაა დათარიღებული.

სამშენებლო კერამიკა მთისძირში წარმოდგენილია კრამიტით და აგურით, ისინი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება A პუნქტში. სამშენებლო კერამიკაში ძირითადად ორი პერიოდის კრამიტი გვხვდება: 1 – ელინისტური ხანის კრამიტი, რომელიც წარმოდგენილია ე.წ. გვერდებაკეცილი ბრტყელი (სოლენის ტიპის) კრამიტის ნაშთების სახით. ამავე ხანის ღარიანი (კალიპტერის) სახით კრამიტი ჯერ არ აღმოჩენილა. მთისძირის კრამიტი ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ კრამიტს ჰგავს, მხოლოდ კეცი ზოგჯერ განსხვავებულია. მთისძირის ელინისტური ხანის კრამიტში შეიძლება გამოიყოს ცოტა უფრო ადრეული პერიოდის მორუხო ფერის კრამიტი. ამ კრამიტებიდან ცნობილია ერთი ნიმუშიანი კრამიტის ნატეხი. ზუსტად ამგვარი კრამიტია აღმოჩენილი დაბლა გომში ქვევრსამარხების გათხრის დროს. იმპორტული კრამიტი მთისძირში ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი.

1973 წელს დაზვერვის დროს ადგიშვილების გორაზე (A პუნქტში) ნაპოვნია ბიჭვინთური წითელლაკიანი ჯამის ნატეხი, რომელიც პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის განსაზღვრით V-IV საუკუნეებით თარიღდება. A პუნქტში ნაპოვნია წითელლაკიანი კერამიკის მეორე ძალიან ნატეხი-მოჭიქული კერამიკის ნაშთები მთისძირში ჯერჯერობით არ დასტურდება.

ამგვარად, მთისძირში დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების გათვალისწინების

საფუძველზე შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. წინარე ანტიკურ, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში მთისძირში როგორც ჩანს ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობს, თუმცა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვანაირი ინტენსივობით ხასიათდება. არქეოლოგიური შესწავლისას შეიმჩნევა, რომ აქ ნგრევა (ელინისტური ხანის ბოლომდე) ვანის ძველი ქალაქის პარალელურად ხდება. მთისძირი რამდენჯერმეა განადგურებული. იმპორტული და ადგილობრივი (ტარა) კერამიკა მოწმობს, რომ მთისძირი ჩაბმული იყო კოლხეთთან. ბერძენთა ვაჭრობის ორბიტაში არ არის გამორიცხული ის გარემოება, რომ მთისძირი ელინისტურ ხანაში ვანის სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა. საფორთიფიკაციო ნაგებობების (ანტიკური ხანა საშუალო საუკუნეები) აღმოჩენით სრულიად აშკარა ხდება მთისძირის სამხედრო თავდაცვითი მნიშვნელობა. ე.წ. ვანის ქვეყნისათვის ჩანს, გვიან ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებშიც მთისძირი არ კარგავს თავის სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები მნიშვნელოვან მასალას იძლევა დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის, ამდენად მომავალში საჭიროა აქ ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ხოშტარია – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. II, თბ. 1959 წ. გვ.149-161.
2. ვანი I. არქეოლოგიური გათხრები (რედ. ოთარ ლორთქიფანიძე) თბ. 1972 წ.
3. ი. გაგომიძე – ელინისტური ხანის მასალები სამადლედან. საქართველოს სახ.მუზეუმის მოამბე. თბ.1967 წ.
4. შ. ამირანაშვილი – ქართული ხელოვნების ისტორიას. თბ.1961 წ.
5. ოთ. ლორთქიფანიძე – ძველი კოლხეთის კულტურა. თბ. 1972 წ.
6. ოთ. ლორთქიფანიძე – მასალები ძვ.წ. V საუკუნის კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თსუ შრომები. თბ. 1971 წ.
7. გ. გამყრელიძე – მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები. ვანი III. 1977 წელი.



კრებულ „მატიანეს“ წინა მე-8 ნომერში გამოვაქვეყნეთ მოკლე სტატია „ვანელი ფეოდალის, ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლადმიკვლეული მასალების მიხედვით.“ ამჟამადაც, ლოკალურ ფორმაში ვაგრძელებთ საუბარს იმავე თემაზე და ჩვენი კრებულის მკითხველს ვანვდით დამატებით დოკუმენტურ მონაცემებს ნიკოლოზ ჩიჯავაძის, როგორც საჩინოს სივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ შესაბამის სუბიექტებთან, სახელისუფლო წრეებთან, ასევე ნიკოლოზ ჩიჯავაძისთან ამ წრეების ურთიერთობისა და დამოკიდებულებათა შესახებ, რომელიც, მიუხედავად, თავადის დიდი ავტორიტეტისა გარკვეულად წინააღმდეგობრივიც და პრობლემატურიც ჩანს. შიგადაშიგ იგრძნობა კლასობრივი ანტაგონიზმის კვალიც.

უამრავი მასალაა ამ მხრივ დაცული, რომლის დამუშავების პატივი კრებულ მატიანეს რედაქციისაგან დაკისრებული მაქვს მე, ამ სტატიების ავტორს და მრავალწახნაგოვან პრობლემატიკათა შეფასებებიდან ვფიქრობ ობიექტურობის ფარგლებს არ გავცდებით. ამასთან, ამ პიროვნების ისტორია, როგორი შეფასების საშუალებასაც არ უნდა იძლეოდეს დაცული მასალები, მის მთელ საგვარეულოსთან ერთად დაკავშირებულია (ისე როგორც ქვაბულიძეთა, ასევე ბარის ერისთავთა და რიგ სხვა იმდროინდელ ცნობილ მოქმედ პირებთან ერთად) მაშინდელი საჩინოსა და სალომინაოს მხარის ისტორიასთან. ამიტომ საკითხის მიმართ ინტერესიც შესაფერისია. ამის გამოც, როგორც მივუთითეთ, ნიკოლოზ ვახუშტის ძე ჩიჯავაძის მოღვაწეობის უკეთ შესწავლის მიზნით ობიექტურობიდან გამომდინარე უცვლელი სახით მკითხველს ვთავაზობთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ ხსენებული თავადის საქმიანობის ზოგიერთ ასპექტს იმ პერიოდისათვის, რომლებთანაც მას შეხების წერტილები ჰქონდა, მათ შორის უპირველესად „ვანში“ შეძლებისდაგვარად სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობისადმი მის მოკრძალებულ ლტოლვას, ასევე მის დამოკიდებულებას ქვეშევრდომებთან. ყოველივე ეს კეთდება იმ ეპოქისა და სიტუაციების მიზეზშედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით, რომელშიდაც მას მოუწია ცხოვრება.

ნიკოლოზ ჩიჯავაძის დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი, მაშინდელ ზედმინდევნით ცვლად პერიოდში, როგორც წინა სტატიაში აღვნიშნეთ უკავშირდებოდა მის რამდენადმე განსწავლულობას და ალლოს, რომ ჯერ კიდევ მოქმედი სამეურნეო ურთიერთობანი საჭიროებდა ცვლას. ამგვარი ხედვა თავადს უდაოდ შეუქმნა შესაბამის გამოცდილებასთან ერთად კომერციული საქმისადმი დაინტერესებამაც. კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენებში მონაწილეობამ, რისთვისაც მან 1864 წლის 17 ოქტომბერს ოქროს მედალი, ხოლო უფრო ადრე 1860 წელს პეტერბურგში მოწყობილ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენაზე სიგელი მიიღო. მასალები არ იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ თავადის ამდაგვარი საქმიანობა უკავშირდება ძირეულ ეკონომიკურ შემოტრიალებას მხარისათვის ან იმ სამფლობელოსთვის, კონკრეტულად ვანისათვის, რომლის დიდი ფეოდალიც თვითონვე იყო, მაგრამ ორივე ჯილდო თავისთავად მიანიშნებს, რომ წამოწყება იყო მნიშვნელოვანი და ყოველი ასეთი წამოწყება წახალისებული იყო მეფის ხელისუფლებისა და ამ შემთხვევაში კავკასიის მთავარმმართველის (მეფისნაცვლის) საბჭოს მიერ. პროცესს განაპირობებდა იმპერიაში, შედარებით, მზარდი პოტენციალი აგრარულ-სამრეწველო სფეროში, რომელიც მოჰყვა კაპიტალიზმისათვის, გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელ სამრეწველო ცენტრების აღმოცენებას და მოთხოვნილების გაზრდას აგრარულ (სასოფლო-სამეურნეო) პროდუქციაზე და ადგილობრივ ნედლეულზეც. ამდაგვარ სამრეწველო ორგანიზაციებში კონცენტრირებულ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილების და სამუშაო პროცესების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვას, რომელსაც საჭიროებდა გადაამუშავებელი მრეწველობა ამის მაგალითს ჩვენ შევხებით წინა სტატიაში, როდესაც თავადი ჩიჯავაძე თბილისში გზავნის (სპეციალური კონტრაქტით) ახალგაზრდულ ჯგუფს პროფესიული დაოსტატებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნიკოლოზ ჩიჯავაძის 1865 წლისათვის ქუთაისის გუ-

ბერნიაში დაგეგმილი საგლეხო რეფორმის მომამზადებელ კომისიაში მიწვევა ნდობის დიდი გამოხატულებაა, იგი ამ დროს სამხედრო ჩინის მატარებელია, რაც ხელისუფლებისაგან მის მიმართ მნიშვნელოვან დამოკიდებულებაზე მეტყველებს და ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ნ.ვ. ჩიჯავაძე იმპერიის სანინალმდეგო, 1832 წლის შეთქმულების უშუალო მონაწილე თუ არა (ვერ დაუმტკიცეს) ისეთი როგორც იყო მეორე ვანელი, დიხაშხოს მკვიდრი თეიმურაზ ლორთქიფანიძე, მინიმუმ ეჭვმიტანილი მაინც იყო, რაც მას ხელისუფლებისათვის არასანდო პიროვნებათა რანგში აყენებდა. დროთა დინების, სიტუაციათა ცვლის შედეგად მან ნდობა დაიმსახურა, სამხედრო ჩინიც მიიღო ეს ემთხვევა უმნიშვნელოვანეს დროს, როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ დასვა საკითხი ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ამდენად, ხსენებული თავადის მოღვაწეობის პერიოდი თანხვედრილია საქართველოში ფორმაციათა ცვლილების გარდამავალი პერიოდის სანყის, როდესაც ქუთაისის გუბერნიაში 1865 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხოზა ნომინალურად მაინც განთავისუფლდა ფეოდალური წნეხისაგან. თუმცა, 1864-1865 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში გატარებულმა რეფორმებმა თავისი მნიშვნელობის თვალსაზრისით ვერ ჰპოვა სათანადო განვითარების შესაძლებლობა პერიფერიულ ერთეულებში, მათ შორის, „ვანშიც“.

მანამდე, საგლეხო რეფორმის მზადებისათვის წინა პერიოდში ყმაგლეხებსა და ფეოდალებს შორის დაძაბული, გაუარესებული ვითარების გამოსწორების მიზნით 1865 წლისათვის დაგეგმილი საგლეხო რეფორმის განხორციელებიდან გამომდინარე, კავკასიის უმაღლესმა მმართველობამ შეიმუშავა შესაბამისი პროგრამა, გამოაგზავნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან რამდენიმე მოხელე, რომელთაც დაევაღათ რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და უმაღლეს ხელისუფლებაში წარდგენა, მათ ქუთაისში, გუბერნიის ცენტრში, უნდა შეექმნათ დროებითი კომიტეტი, რომელიც შეადგენდა სპეციალურ პროგრამას აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. დროებით კომიტეტში, როგორც ითქვა, მიწვეულ იქნა ნიკოლზ ჩიჯავაძე.

აქ მოგვყავს შესაბამისი დოკუმენტი:

**თქვენო ბრწყინვალეზავ მონყალეო ხელმწიფეზ  
კნიაზო ნიკო ვახუშტის ძეზ:**

„კავკასიის ნამესტნიკის<sup>1</sup> უმაღლეს მმართველობამ ჰსცნა სასარგებლოდ, რათა ვიდრემდის შეუდგებოდეთ ჰარჯასა საბატონო გლეხთ მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, რომ უწინარეს მისა იყოს მოყვანილი ცნობაში ყოველივე დამოკიდებულება გლეხთ მდგომარეობისადმი და ამ აზრითა იმა მართებლობამ გამოუგზავნა უფალს ქუთაისის ღენერალ ღუბერნატორს რამდენიმე თავისი ჩინოვნიკები.

მისმა ბრწყინვალეზავ, კნიაზმა დიმიტრი ივანეს ძემ ჰსცნა საჭიროდ, რათა მცა ეხლავე შეუდგეთ ამაზომის ასრულებას და მის გამო მიბრძანა მე, მონწერილობით 16 სა ამათვიდან №1354, დროებითი კომიტეტის დაუყოვნებლად შედგენა იმ პირთაგან, რომელნიც აღნიშნულ არიან მოხსენიებულ მონწერებლობაში და წინა დაუდოს მას შედგენა პროგრამისა, რომლითაც უნდა იქნეს განსაზღვრულნი ვითარცა საგნები, რომელნიც ცნობაში მოსაყვანი არიან აგრეთვე თვით საშვალოვანიცა, რომლითაც ის ცნობები უნდა შეიკრიბოს და შედგენილი პროგრამა ჩემგან უნდა წარედგინოს მის ბრწყინვალეზავს.

ამ კომიტეტში წევრად აზნაურებისაგან, სხვათაშორის ბრძანდებით თქვენცა დანიშნული მონყალეო ხელმწიფეო:

გაუწყებთ რა ამას, მე უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდეთ ქუთაისში 14 სა რიცხვს მომავლის ივლისის თვისას და მიიღოთ მონაწიელობა ზემოთხენებულს პროგრამის შედგენაში.

მიიღეთ დარწმუნება სრულს ჩემს პატივისცემაში.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> მეფისნაცვლის

<sup>2</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. საბუთი 6413/407.

№21

30 ივნისი 1864 წელი.

ცხადია საგლეხო რეფორმას მოწყვებოდა არსებული ფორმაციის ნაწილობრივი ცვლაც, ამის გამოც საწყის პროცესში ხელისუფლება ცდილობდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალი სიტუაციიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ორიენტირებულ მოწყობას, ცხადია პროცესი იყო იძულებითი, მაგრამ უკიდურესი რეალობიდან გამომდინარე.

ქართველი თავადაზნაურობა არსებულ და მომავლის მოსალოდნელი სპეციფიკურობიდან გამომდინარე ყოველმხრივ იცავდა ფეოდალური ეპოქის სახელისუფლებო ინსტიტუტებს. მიუხედავად ამისა, უკვე ყავლგასული ფეოდალური ფორმაციის წინააღმდეგ დრო კანონზომიერად მუშაობდა, თუმცა გაცილებით ადრეც, საქართველოში სათავადოთა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიმატის მოშლა რუსულ მმართველობით სისტემის დამკვიდრებამ განაპირობა, რასაც რიგ მომენტებთან ერთად დადებითი მხარეც გააჩნდა.

XIX საუკუნის შუა პერიოდში ფორმაციათა ცვლის გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ რთულ პროცესს, საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში თან ახლდა ქართველ თავადაზნაურთა ტრადიციული სპეციფიკური გამოხატულების მქონე მოქიშპეობა, საერთო საქვეყნო საქმისადმი არაერთსულოვნება და განდიდებისათვის ურთიერთბრძოლა. ეს პროცესი ნიკოლ ჩიჯავაძის სამფობლოშიც შეინიშნება. რაც საერთოდ ქართული ცხოვრებისათვის არ იყო ახალი მოვლენა.

ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული საბუთი 6413/ 619.

**მონყალეო ხელმწიფე თავადო  
ნიკოლოზ ვახუშტის ძე ჩიჯავაძე**

„რამოდენიმე არა ს..~დ უსაფუძვლონი მიზეზნი, თუმცა იჭვნოეულ მყოფდნენ მე რომელ თქუენ ეგების არც ეხლა მიილოთ ეს ჩემი ბარათი, მაგრამ როგორც ქრისტიანე არათუ მხოლოდ აღმძრა, არამედ მაიძულა საღმრთომან სიტყვამან „უკეთუ შესაძლებელ არს თქუენ მიერ ყოველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდითო“ გამოცდად ერთგზის კიდევ მეცადინეობისა და მის გამო მონერად ამა რაოდენთამე სიტყვათა, რომელთაც ვფიქრობ არადაუტყვევებთ ჩვეულებრივს გულისხმით მოსმენად: საჭირო არ არის აღვჰსნერო დაწვრილებით რაც იყო და რაც არის, მაგრამ რომელთამე მიზეზთა გვაიძულეს ჩუენ დაშლად დიდისხნიდამ

ჩუენთა ოჯახთა შორის დანერგილის და ღრმად განძირულის მეზობლურის და ნათესაობრივს თანხმობისა; მოქმედთა პირთა აღძრეს ჩუენ შორის შური და ბრძოლა და უკმაყოფილება აინია ახლა იმ ხარისხამდე, რომ ჩუენ უვლტვო შევხვდეთ სადმე ერთმანეთს და უკეთუ შემთხვთად მოხდება ეს შეხვედრა მშვიდობა შენდაო არ უტყვთ ერთი მეორეს. აბა ბრძანეთ სად არის აქ, არა თუ დაცვა საღმრთოთა ქრისტეს მცნებათა, რომელსა სახელს ჩუენ ამაოდ ვჰხმარობთ, არამედ ზოგადკაცობრივთა წესთა მიღებულთა თვით ველურთა ხალხთა მიერ. მსგავსთა უბრობათათვის ძუელნი იმერელნი იტყოდნენ ეს ძლივ ეკადრება ცუდ მოახლეთა შორის გაზრდილსო, რომელთაც არც თქუენ და არც მე არ უნდა ვეკუთნოდეთ; გარნა მიზეზნი კი ერთი და იგივე არიან, ესე იგი ენა-მყრალი მიმოქსულნი მოთენენი პირნი რომელნიც ჰხედვენ მხოლოდ ამაშიდ თავს სასურველს და ნივთიერს სარგებლობას. გასინჯეთ აბა მათი მიმართება და დიად არაუგუნურნი მათთვის ჰაზრი; ისინი იტყვიან თავს გულშიდ: ჩიჯავაძე დიდი შეძლებული კაცია, ლორთქიფანიძენი თუმცა თითოეულად ვერ შეესწორებიან, მაგრამ ზოგად შორს არ დარჩებიან; ესენი პატრონობენ აქაურს კუთხეს და ჩუენ ამათ მშვიდობაშიდ რა უნდა გამოვრჩეთო; უმჯობესია იმათშიდ შემოვიდეს განხეთქილება მაშინ იქეთაც და აქეთაც პატივს (ე.ი. სარგებლის – ავტ.) მივიღებთ მრავალნი, ორთავ მხრივ გადვიტან-გადმოვიტანთ მათს დამაშორებელს ძვრებს, გავაჩენთ საბრძოლველს საქმეებს რომელთა გამო რასაკვირველია

ორთავ მხარეს დასჭირდებათ თითო-ცხრა ვეჯილი ვეჯილები /ახლა ადვოკატები/ ორ-ორი მოურავები, ოთ-ოთხი ცხრა ნაცვლები, მებაჯეები (მებაჟეები), მემოდები, ტყის -მცველები, ხელოსნები, იასაულები და სხვადასხვა მოხელეები ასე, რომ თუ ეშმაკი შეენია /:და ჯერ კიდევ ენევა:/ მათის ბოროტებას, ერთი ას-ასი და მეტი სხვადასხვა საქმის კაცი და ვითომ ერთ-გულები თავს კარგად ირჩენენ და პატივსა იშოვნიან ჩუენგან და ეს კიდევ ცოტაა ჩუენის სახელით მორჩილებენ ისინი ჩუენს მამულს სრულად და ძარცვავენ რამდენიც შეუძლიათ და ჩუენ ვშობით უპატიოთ და უსარგებლოთ; აგრეთვე გვმზერენ გუნდ-გუნდად გამზადებულნი ცრუ-მონმეები და ფიქრობენ გამოგვრჩენ შემთხვევით. წინააღმდეგ შემთხვევაშიდ თუმცა ლ..~ ა განანათლა ჩემი გულის-ხმის-ყოფა და ვერ სძლია ბოროტმან განზრახვამ კეთილს, მაშინ უნამუსონი ვეჯილნი ც..~“ და აღიხოცებიან ჩუენის სახარჯო დავთრისაგან და მოხელეთ საკ-მაო იქნებიან თითო ორ-ორი კარგი კაცი; ცრუ-მონმეთ გამზადებულთ თავსლათ დაესხმით /:ეს უკადრისი სიტყვა, აქ მათდა შესაფერად ვიხმარე:/ ჩუენი მამული მაშინ ყოვლითურთ დამშვიდდება და მრავალთა ჩუენთა მტაცებელი მოხელისაგან მოისვენებენ და ჩვეულებრივად ჩუენ პირის-პირ პატივს გვცემენ და დაგვლოცავენ. თუმცა ეს ასეა მაშ კარგად გაიგულისხ-მეთ: რა ცოდვათა ჩუენ წინაშე ლ..~თისა მით რომელ შევურაცხყოფთ ბრძანებულსა მისგან მშვიდობიანობასა, ვანუხებთ ათასთა უბრალოთა პირთა, ჩუენს მფარველობას ქუემე მყოფთა და მომლოდინეთა ჩუენგან მკუდროებასა, ვამცირებთ საკუთარსა ჩუენსა პატივსა შორის კეთილ განზრახვათა მცნობთა ჩუენთა და თვთ ნივთიერსა ჩუენსა სარგებლობასაცა; შფოთი-თა და განუხუნებთა ჯკლებთ ჟამსა ცხოვრებისასა ჩუენისასა რომელიც მოგვეცემის უმაღლეს საღმრთო ნიჭად და ვაცდუნებთ მრავალთა უმანკოთა გულთა, რომელთაც სახედ მეშფოთათა ჩუენ ვექმნებით უკეთუ გვაქვს ჩუენ სარწმუნოება რომელ თავს დროზედ განვიკითხებით მაშა მოგუელის ჩუენ დიდი პასუხის მოხდა, ამა საშინელთა ჩუენთა საქციელთათვის!!! ნუ ესრედ, ნუ ესრედ თავადო ნიკოლოზ ჩიჯავაძე! შემოვკრიბოთ გონიერება აღვეჭურვოთ სახელითა მშ-ვიდობის მომცემელისათა, განვიშოროთ ენა -მზაკვარნი რჩევანი, ნათლად განვხილოთ მატყუ-არნი ერთგულნი, შევარცხვინოთ მათი ცნობიერება მოუსპოთ უპატიოთ შესაძიებელნი, ამაოდ მჭამელთა პირთა, რომელნიც აღზდებიან რა მაძლირე ჩუენის ტაბლისაგან იქავდა შორსცა ჩუენ ნუ გვგობენ და გვეცინიან და უგუნურად გვარცხვენენ; დავესიტყვოთ ერთმანეთს /:პირის-პირ ანუ საშუალობითა კეთილ-განზრახვათა კაცთა რომელნიც ლ..~“ ნ ნუ ინებოს, რომ ქვეყანაშიდ ვერ მოვპოვოთ:/ იმა ცილებათა ანუ მიზეზთათვს უკმაყოფილებისათა, რომელნიც არიან ან ჩვენ შორის; დავამშვიდოთ შფოთი ერთი-ერთს სინრფოება გულთა; შენი ერთგულ-ნი, მეგობარნი, ნათესავნი და დავლიოთ საწუთროსა ამისა დღენი და ღვთისადმი მაღლობით განვდეთ არა რას ვინმე გაგვატანს.“<sup>1</sup>

ეს წერილი თავისი შინაარსით ავტორის საკმაოდ მნიშვნელოვან პიროვნებაზე მიუთითებს, რომელიც ღიად და მკაფიოდ წერს ნიკოლზს მის სამფლობელოში არსებული არასახარ-ბიელო მდგომარეობის შესახებ. ასეთი ობიექტური ხედვის მქონე ნააზრევის ღიად გამოხატვა მხოლოდ შესაბამისი ძალაუფლების ან პრივილეგიის მქონე ადამიანს შეეძლო „რომელთამე მიზეზთა გვაიძულეს ჩუენ დაშლად დიდის ხნიდამ ჩუენთა ოჯახთა შორის დანერგილის და ღრმად განძირულის მეზობლურისა და ნათესაობრივს თანხმობისა“ ამ ამონარიდით ჩანს, რომ იგი ნიკოლოზის მეზობლად მოღვაწეობს და ენათესავება მას.

წერილის შინაარსიდან გამომდინარე თუ ნიკოლოზი დაამცრობს ურთიერთმოქიშპე და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოხელეთა ჯგუფს „ჩუენი მამული მაშინ ყოვლითურთ დამშვიდდება და მრავალთა ჩუენთა მტაცებელი მოხელისაგან მოისვენებენ“ წერს ავტორი და მიუთითებს ნიკოლოზს „შემოვიკრიბოთ გონიერება აღვიჭურვოთ სახელითა მშვიდობის მომცემელისათა, განვიშოროთ ენა მზაკვარნი, ნათლად განვიხილოთ მატყუარნი, ერთგულნი, შევარცხვინოთ მათი ცნობიერება მოუსპოთ უპატიოთ შემოსავალნი, ამათ მჭამელთა პირთა,“ აქედან გამომდინარე იგი ნიკოლოზისაგან მოითხოვს და მიუთითებს მათ მიერ საერთო

თანხვედრილი ქმედების განხორციელების აუცილებლობას და იმასაც, რომ მიუხედავად ამ ადამიანის გონიერებისა და ე. წ. სახელისუფლებო ავტორიტეტისა დაზღვეული არც ის ყოფილა, ადამიანური სისუსტეებისაგან, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბარიერად ედგა მასიურ ეროვნულ კონსოლიდაციას და ერთობლივ ზრუნვას ერის აღზევების ერთიანი ცნობიერების სრულქმნის გზაზე.

*მიგა ურთიერთდაპირისპირების ფაქტზე მეტყველებს 192-ე საბუთიც*

„შევიტყვე რომ მცხოვრებს სოფლის ვანის აზნაურნი პავლე და ბიჭია ჩახუნაშვილთ განუზრახავთ უწესობის მოხთენა აბანოს<sup>1</sup> პირზედ, საცა მე და თავადი ივანე ერისთავი მუშაობთ და ამისათვის დღეს დილიდან აგროვებენ კაცებს თქვენს საზოგადოებაშიდ და ამისათვის კანონის მადლით მე გატყობინებ შენ, რომ მიილო ზომა არ მოხთეს რაიმე უწესოება და დაითხოვო როგორც ჩახუნაშვილები აგრეთვე სოფლის მცხოვრებნი არ გაბედონ რაიმე ურიგოება თორემ თუ რაიმე მოხთა იქნებით პასუხისმგებელი და ეს საქმე თუ ასეა უსათუოდ ამავე საათშივე მოახსენე უეზდის ნაჩაღნიკს, გახსოვდეს რომ ყოველი სისუსტე შენის მხრით იქნება უწესობის შემწევობა და თავის დროზედ პასუხს მომცემ“<sup>2</sup>

22 სექტემბერი 1872 წელი

მაიორი თავადი ირაკლი ლორთქიფანიძე

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მაიორ თავადი ლორთქიფანიძის მიმართვა ნ. ჩიჯავაძისადმი ეყრდნობა დვალიშვილების (დღ. სულორი) თემ-საზოგადოების მამასახლისის ზემდგომ ინსტანციებში გაგზავნილ ინფორმაციას მოსალოდნელი დაპირისპირების შესახებ, რომელსაც ამზადებდა გარკვეული ჯგუფი. კონკრეტულად აზნაურ პავლე და ბიჭია ჩახუნაშვილების განზრახვა ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელზედაც ნიკოლოზ ჩიჯავაძეს წერს თავადი ირაკლი ლორთქიფანიძე, რადგან მან მიიღოს პრევენციული ზომა გართულების აღმოსაფხვრელად და დაუყონებლივ აცნობოს შექმნილი ვითარების შესახებ უეზდის ნაჩაღნიკს.<sup>3</sup> რადგან შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობის შემდგომ მოსალოდნელ პროცესზე თვითონ იქნება პასუხისმგებელი. წერილში ჩანს მუქარა ნ. ჩიჯავაძისადმი „გახსოვდეს, რომ ყოველი სისუსტე შენის მხრივ იქნება უწესობის შემწევობა და თავის დროზე პასუხის მომცემ“-ო, არავითარი სურვილი არ გვრჩება მოვახდინოთ საკითხთა დრმატიზება, მაგრამ სიტუაციის ცვლასთან ერთად გაზრდილი წინააღმდეგობა სახეზეა. საარქივო მასალებით ამის მიზეზი ასევე არაერთგვაროვანია დანყებული მინისმფლობელობისა მიწათსარგებლობის ნახევრად დარეგულირებული ფორმებიდან, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შემორჩა, ვალებში ცალკეული სოფლების აღწერებით, რაც მიანიშნებს ამ დავალიანებების დაფარვის გზაზე გლეხთა გადასახადების გაზრდასა და სოფლის შემოსავლიანი ფართობების მევაღეთა გადაცემაზე. იგულისხმება კერძო პირებიც, ბანკებიც და ხაზინაც, რომელთა ჩართულობა არაიშვიათად ჩანს ცალკეულ საკუთრებათა ირგვლივ წარმოშობილ დავებზე, ეს ფაქტი ამის კონკრეტული მინიშნებაცაა. ამასთან ზემოხსენებულ მუზეუმსა და არამართო აქ აურაცხელი მაგალითია დაცული დოკუმენტების სახით ბანკის ვალების თავბრუდამხვევი ტემპით აღებისა და შემდეგში ვერდაფარვისა, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ახდენდა გავლენას, მხედველობაში გვაქვს მაშინდელი საჩინო-სალომინაოს მხარის თემსაზოგადოებებში მცხოვრებ პიროვნებებზე, თავადაზნაურებზე უფრო მცირედ გლეხებზე გაცემული სესხები, რომელთა სამეურნეო უკუგება მნიშვნელოვან შედეგს ვერ აღწევდა, რაც მიათითებდა იმაზეც, რომ არამართო ბანკების ვალები, არამედ გლეხთა განთავისუფლებისათვის სახელმწიფოსაგან მიღებული თანხებიც თავადაზნაურთა კასტას არამიზნობრივად შემოეხარჯათ, რის გამოც ეკონომიკური ეფექტი მცირედი, ან უმნიშვნელო იყო.

<sup>1</sup> დღევანდელი კურორტი სულორის ტერიტორია

<sup>2</sup> ქიმ ის 6413/192

<sup>3</sup> „უეზდის ნაჩაღნიკს“- მაზრის უფროსს

**ქუთაისის უზღდის ნაჩაღნიკისაგან  
შტაბს კაპიტანს კნიაზ  
ნიკოლოზ ჩიჯავაძეს  
უნყება**

„საფუძველზედა მეცამეტის პარაღრაფისა წესისათვის აღწერისათვის და დაფასების მა-  
მულთა ვალისათვის გთხოვთ თქვენს ბრწყინვალეებას ვალისაგ მიხედვით პომოშნიკს ჩემსას  
კნიაზ წულუკიძესთან ამალღებისა უჩასტკის სოფელსა შინა ონჯოხეთს სადაცა მღებარეობს  
მამული თქვენი წინათ დანიშნული აღწერათ ვალისათვის თქუენისა, ახალციხეს მცხოვრებს  
სტეფანე მურანოვისადმი ვადა გამოსაცხადებლად ინიშვნის ექვსი თვე“.<sup>1</sup>

№4358

მაისსა ჩყნზ (1857) წელსა.

352-ე საბუთის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიკოლოზი, რომელიც  
ჩართული აღმოჩნდა იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტი-  
კური ცხოვრების პროცესებში ვალს ან მნიშველოვანი საქმის განხორციელების მიზნით, ან  
უკიდურეს შემთხვევაში, ოჯახური საჭიროებიდან აიღებდა. ასეთი ქმედება არ წარმოადგენ-  
და იშვიათ მოვლენას, მაშინდელი თავადაზნაურული სამყაროს წარმომადგენლებისაგან, მუ-  
რანოვისაგან, თანხის რაოდენობა და გამოყენების მიზანიც დოკუმენტში არ ჩანს, მაგრამ  
აშკარაა, რომ ვალი საკმაოდ დიდია, რადგან მისი დაფარვის მიზნით ჩიჯავაძის მფლობელო-  
ბაში არსებული მთლიანად ერთი სოფლის აღწერაა გათვალისწინებული. ასევე ისტორიულ  
მუზეუმში დაცულ დოკუმენტთა შორის არსებობს მინის მფლობელობასთან დაკავშირებით  
არსებული სადაო სახის მასაღები. აქედან წარმოვადგენთ ორ დოკუმენტს ნომრით 6413/422-ს  
და 6413/183-ს.

**მის ბრწყინვალეებას**

**უფალს კაპიტანს კნიაზს ნიკოლოზ ჩიჯავაძეს**

**ქუთაისის უზღდის ნაჩაღნიკის კნიაზის ნიჟარაძისა**

**უნყება**

„ძალისა გამომწერლობისა უფლის ქუთაისის უზღდის ნაჩაღნიკისა იც დგან სექტემბრიდგან  
წასუღის წლისა №1587 მე უნდა ხელ წარმოებათ მებარა სადაო რა შორის კნ ზთ ერისთავებ-  
თა და ლორთქიფანიძეთა

და ქვეშევრდგომთ თქვენის ბრწყინვალეებისა აზნაური: ჩხეიძეებისა, გოგორიშვიღებისა და  
კანდელაკისა და ყმებთ ტყეშელაშვიღებისა და მესხიშვიღებისა ადგიღთა სახელწოდებუღისა  
ანწლარასჭალა ამისათვის მორჩიღად გთხოვთ თქვენო ბრწყინვალეებაგ ინებოთ მობრძანება  
ჩემთან უჩასტკის უბრავღენიაში ოთსა რიცხვსა ამასთვისა, შვიდს საათზედ დიღით მოგართვა  
თქვენს ბრწყინვალეებას ბარათთ რომღითაც გთხოვთ გებოძებინათ ჩემთვის გარდანყვეტიღი  
ფუღები, მაგრამ ჯერ კიდეგ იმ ჩემს ბარათზედ არავითარი პასუხი არ მომსვღია მისთვის  
უმორჩიღესად გთხოვთ თქვენს ბრწყინვალეებას ვინათგან ჩემთვის აუციღებლად საჭიროა ეს  
რაოდენობა ფუღები მიბოძეთ დღეის რიცხვიდან ათი დღის განმავღობაშიდ და მიიღეთ პირი  
უსტავნის ღრამატიისა, კანონისამებრ დამონმებუღი დავსძინებ რა ამასთანავე, რომ ფუღი  
მერგება მე სამოცდათოთხმეტის კომღისათვის ანგარიშისამებრ თვითოეულს კომღზედ ოთხი  
მანეთი და ხუთი შაური, სამოცდათოთხმეტი მანეთი და ათი შაური“<sup>2</sup>

1. ქიშ ის 6413/422

2. ქიშ ის 6413/183

პოდსეტნიკი, მეხუთე განყოფილების ქუთაისის.  
 აქ საკითხი ეხება კონკრეტული დანიშნულებით თანხის გადაუხდელობას, რომელიც განწერილია 74 კომლზე.

**თქვენი ბრწყინვალეობა  
 კნიაზ ნიკოლოზ ვახუშტის ძე**

„ვარ მსურველი იყოთ მარადის სიხარულში თქვენის ოჯახის ბედნიერებით ტანმრთელობასა შინა მყოფებისთა.

იმედი მაქვს მოიხსენებთ ჩემ სიტყვებს და მიიღებთ უმორჩილეს ჩემს შემდეგს თხოვნას: ღმ იცის მარად მზად ვარ თქვენი სიამოვნებისადმი და გულითადი მსურველი ვარ ვიქონიო შემთხვევა თქვენის პატივისცემისადმი, მაგრამ სანანებლად ჩემდა მოქმედება ჩემი არ მოგწონთ, თუმცა თქვენი ბრწყინვალეობა იყო დამსწრე, რომ ყოველი ჩემის მხრით ზომა იყო დაფუძნებული კანონზედ, როგორც თქვენი საჩივრისა რომელიც უკვე ახსნილ არს უმაღლესის მბრძანებლობისა მიერ რაზედაც მაქვს მე წინადადება ჩემზედ გუბერნატორისაგან 14 წარსულის ივლისიდ №1196, რომელიც უკვე თქვენც გექნებათ გამოცხადებული. გთხოვთ მიბოძეთ ის ფული რომელიც მე გადამინყვიტა თქვენის საჩივრისამებრ საგლეხო სასამართლომ დამერწმუნეთ დიდი მადლობელი ვიქნები და სრულებით ჩემის მხრით არავითარი სამღურავი საჩივრის თაობაზედ თქვენდამი მე არ მქონდეს“<sup>1</sup>

ერთგული მოსამსახურე

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე  
 აგვისტო  
 სოფელი ბზვანი.**

საინტერესო სურათი იკვეთება ე.წ. „სანადელო“ მიწების<sup>2</sup> დროებით მესაკუთრე გლეხებისაგან ნატურით და ფულადი გადასახადების თვალსაზრისით. აქ განწერილია თავადის მფლობელობაში არსებული ყველა კომლი, შემოსავალი სოლიდურია. ინტერესს ბადებს არამარტო თავად ნ. ჩიჯავაძეც, არამედ მაშინდელი საჩინო-სალომინაოს სივრცეში მოქმედ თავადაზნაურთა (ჩიჯავაძეთა, ლორთქიფანიძეთა, აგიაშვილთა, მიქელაძეთა, ჩხეიძეთა და ა.შ.) დამოკიდებულება მოქმედ ბანკებთან,გატანილი სესხების, გამოყენების უკუგება და ა.შ. რომლებზედაც გზადაგზა „მატიანეს“ შემდგომ ნომრებში გვექნება საუბარი.

-----  
 1 ქიმ ის 6413/425  
 2 ე.წ. „მიწენილი მიწები“, რომლებიც დროებით და არამუდმივ სარგებლობაში 1865 წლის რეფორმის შემდეგ გადაეცათ გლეხებს.

## სალალოო უორმით გამოსატული გულისთქმა (გალაკტიონის სალალობო ლექსები)

გალაკტიონ ტაბიძის უმდიდრესი და მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებითი მემკვიდრეობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში გარკვეულწილად მისი სალალობო ჩანაწერებიც განსაზღვრავენ. უმეტესწილად პოეტური ფორმის მქონე ამ ჩანაწერების დიდი ნაწილი პოეტის ოცდახუთტომეულის მეშვიდე ტომშია დაბეჭდილი, ნაწილი ვახტანგ ჯავახიძემ გამოაქვეყნა თავის „უცნობში“, ნაწილი კი სამომავლოდაა მოსაძიებელი და სამზეოზე გამოსატანი.

როგორც ცნობილია, ექსპრომტების, ფუნაგორიების, ლექსმეტებისა და სხვა სახელებით ცნობილი სალალობო ტექსტების უმრავლესობა ხშირად ზეპირი ფორმით ვრცელდებოდა და გადაცემოდა თაობიდან თაობას. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა, იმის გამო, რომ ისინი არავის ჩაუნერია, სამუდამოდ დაეკარგა შთამომავლობას. იუმორით, მახვილსიტყვაობით, სისხარტით, ნაკლოვანებითა და ცნობილი ადამიანების პიროვნულ ამბიციითა გაშარყებული და ჰიპერბოლიზებული ფორმით წარმომჩენი ამგვარი სალალობო ტექსტები, რომელთა უმეტესობა ლექსად იყო წარმოთქმული, ხალხში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ხსენებულ ტექსტთა პოპულარობას ის ფაქტიც განაპირობებდა მნიშვნელოვანწილად, რომ მათში ხშირად ის საკითხები იყო ქილიკისა და იუმორისტული ფორმით მხილების საგნად ქცეული, რაზეც საჯაროდ საუბრისაგან სხვადასხვა გარემოებათა გამო შეგნებულად იკავებდნენ თავს. ასე რომ, ამგვარი პოეტური ექსპრომტების ავტორები ყოველივე ამასთან დაკავშირებით საკუთარი დამოკიდებულების სატირულ-იუმორისტული ფორმით გამოხატვას, რის შესახებაც საქვეყნოდ საუბარს იმხანად ან საერთოდ კრძალავდნენ, ანდა გარკვეულ უხერხულობებთან იყო დაკავშირებული, ცალკეულ შემთხვევებში სწორედ ამ სახით ახერხებდნენ.

სწორედ აღნიშნული გარემოების ერთ-ერთ უმთავრეს შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა ჟანრულმა სახეობამ ყველაზე დიდი მასშტაბები ჩვენში საბჭოთა პერიოდში შეიძინა და აზრის თავისუფლად და შეუზღუდველად ვერ გამოსატვის პირობებში ბევრი მწერალი სწორედ სატირულ-იუმორისტული პასაჟების ფართოდ მომცველი ამ ფორმის გამოყენებითაც ცდილობდა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პიროვნებებისადმი საკუთარი კრიტიკულ-პოლიტიკური მოვლენებისა და პიროვნებებისადმი საკუთარი კრიტიკულ-ოპოზიციური დამოკიდებულების გამოვლინებას.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სახის ტექსტების უმეტესი ნაწილი დიდ მწერლურ ფასეულობას არ წარმოადგენს და ისინი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება მივიჩნიოთ მხატვრული სიტყვის ნიმუშად, ჩემის ღრმარწმენით, ეს ჟანრული სახეობა მაინც უნდა მივიჩნიოთ ლიტერატურული ცხოვრების ღვიძლ ნაწილად და ამ ფორმით შექმნილი ტექსტები უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

გ. ტაბიძის სალალობო ლექსებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ისინი ახალი ნიუანსებით ავსებენ და ამდიდრებენ ავტორის მსოფლმხედველობრივ თვალთახედვასა და თანამედროვეებისადმი მის დამოკიდებულებას. მართალია, თანადროულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა და ცალკეულ პიროვნებათა ავტორისეულ შეფასებებში ხშირად ტენდენციურად ჰიპერბოლიზებული სატირულ-იუმორისტული შტრიხები ჭარბობს ხოლმე, მაგრამ ამაში უჩვეულო და მოულოდნელი არაფერია, რადგანაც ეს ყველაფერი ხსენებულ ტექსტთა ჟანრული სპეციფიკითაა განპირობებული.

გ. ტაბიძის სალალობო ლექსების თემატიკური არეალი ძირითადად ორ უმთავრეს სფეროს მოიცავს. ერთის მხრივ, საბჭოური ხანის ეპოქალური მოვლენებისადმი პოეტის მძაფრად კრიტიკული და აშკარად ნეგატიური დამოკიდებულების წარმოჩენასა და, მეორეს



მხრივ, ხელისუფლების მიერ პრივილეგირებულ და დაუმსახურებლად პატივდებულ მწერალთა შემოქმედებისა და მათ მაქინაციურ ქმედებათა ჰიპერბოლიზებული ფორმით გაქილიკება-გამარყებას.

გარდა ერთმანეთისაგან პირობითად გამიჯნული აღნიშნული თემატური მიმართულებებისა, გალაკტიონის საღალალო ლექსების ციკლიდან ცელკე ნაკადად ის ტექსტებიც შეიძლება გამოვყოთ, რომელთა შესაქმნელადაც პოეტს შემოქმედებითი იმპულსი რაიმე სახუმარო ეპიზოდმა, მახვილგონივრულად მიგნებულმა ამა თუ იმ იუმორისტულმა პასაჟმა, მუსიკალური ჟღერადობითა და ინდივიდუალური არქიტექტონიკით გამორჩეულმა რითმებმა, სიტყვიერ და ფრაზეოლოგიურ ჟონგლირობაზე დაფუძნებულმა მხატვრულმა ეფექტმა და მსგავსმა ფაქტორებმა მისცეს.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გ. ტაბიძის საღალალო პოეტური ჩანაწერებიდან და ექსპრომტებიდან ყველაზე მეტად საინტერესო უპირველეს ყოვლისა ის ტექსტებია, რომლებშიც პოეტი საბჭოთა პერიოდის სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს აქილიკებს. საბჭოური ყოფისთვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებათა სატირულ-გროტესკული ფორმით წარმომჩენ ამ ტექსტებს, რომელთაც გალაკტიონოლოგებმა პოეტის გარდაცვალების შემდეგ მიაკვლიეს მის არქივში, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მოვანიჭოთ უაღრესად დიდი მნიშვნელობა გ. ტაბიძის ნამდვილი მოქალაქეობრივი გულისთქმის სიღრმისეულად გასააზრებლად. ხსენებული ჩანაწერების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ, თუნდაც, ამ მაგალითის დამოწმებაც იქნება საკმარისი:

ეს – ვალიას, ეს – თედორეს,  
 ეს – ტარიელს, ეს კი მოსეს,  
 ჯერ ვითვლებით ქართველებად,  
 თუ არ გაგვაესკიმოსეს!

ან კიდევ:  
 ერთმა ბრიყვმა ასე სჭექა:  
 მე არ ვიცი ცეკვა-მეკა –  
 ცეკვა-მეკა არ არისო  
 ჩემთვის მედინა და მეკვა.

ვფიქრობ, საბჭოთა სინამდვილის არსში ზოგადად გარკვეული მკითხველიც კი სადავოდ არ გახდის იმას, რომ იდეოლოგიური დიქტატურის მძვინვარების ეპოქაში ასეთი

რამის თუნდაც იუმორისტული ფორმით თქმა უდიდეს რისკთან და მოქალაქეობრივ გაბედულებასთან იყო დაკავშირებული. პირველ ყოვლისა სწორედ იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებულმა უმკაცრესმა ცენზურულმა კონტროლმა განაპირობა ის ფაქტი, რომ სოციალისტური ეპოქის მანკიერებათა სამხილებლად დაწერილი ამ და მსგავსი ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი გალაკტიონის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

იმ მკვლევართა შორის, რომელთაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გალაკტიონის არქივში არსებული ამ ტექსტების მოძიებისა და სამხეობე გამოტანის საქმეში, უპირველეს ყოვლისა ვახტანგ ჯავახაძე უნდა დავასახელოთ, რომელმაც ფართოდ განმარტებული თავისი წიგნით – „უცნობი“ გ. ტაბიძის შემქმედებისა და მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის მრავალი მხარე კიდევ უფრო ღრმად და ახლებურად წარმოაჩინა. ამ თვალსაზრისით წიგნის ღირსებათა განმსაზღვრელ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობად ის მასალები უნდა გამოვყოთ, რომლებშიც საბჭოთა ეპოქისადმი გალაკტიონის მძაფრად კრიტიკულ-ოპოზიციური დამოკიდებულება ვლინდება ყოველგვარი შენიღბვის გარეშე.

ამგვარი ტექსტების მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით ისინი რადიკალურად განსახვავდება იმ ლექსებისა და პოემებისაგან, რომლებიც პოეტს საბჭოთა ეპოქის განსაზღვრულად აქვს დაწერილი საკმაოდ მრავლად. მაგალითად: „ჩემო მაქსიმე, რა გზა მაქვს, იმე! რომ არ ვიკითხო ეხლა მარქსი მე“. ან კიდევ: „არავინ გაცმევს ჯვარზე მხოლოდ იმის გამო, რომ არ იცი მარქსი, რომ არ იცი კამო.“

როგორც გალაკტიონი უმდიდრესი არქივის შესწავლის შედეგად გაირკვა, დამოწმებული მაგალითები გამოწაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს და სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი მსგავსი შინაარსის ტექსტები პოეტის არქივში საკმაოდაა დაცული. ერთმანეთისაგან იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით არსებითად განსხვავებული ამ ორი მიმართულების მქონე ტექსტების წაკითხვის შემდეგ მკითხველს სავსებით ბუნებრივად გაუჩნდა კითხვა:

როდის იყო პოეტი მართალი და გულწრფელი – როდესაც არსებული სოციალური და პოლიტიკური რეალობის მეხოტბის როლში გამოდიოდა, თუ როცა მძაფრად სატირულიუმორისტული ფორმით წარმოსახავდა ამ რეალობას?

ეს იმდენად რთული კითხვაა, რომ მასზე ერთმნიშვნელოვნად ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი გაცემა ფაქტობრივად შეუძლებელია. მით უფრო, რომ გალაკტიონისავე არქივში ისეთი ჩანაწერებიც საკმაოდ გვხვდება, რომელთა მეშვეობით კიდევ ერთხელ წარმოჩინდება ხსენებული მოვლენებისადმი მისი გაორებული მიდგომა. ნათქვამის დასტურად აქ ის მინაწერი მინდა გავიხსენო, რომელიც პოეტს 1933 წელს გაუკეთებია ერთ-ერთ თაყვანისმცემლის მიერ მისთვის მიძღვნილ სახოტბო ლექსზე: „აი ლექსი, რომელიც სრულეზობით არ მახასიათებს. დახასიათება კი არა, პირდაპირ საზიზღარი დაცინვაა! სიტყვა „ეპოქა“ აქ ტყვილად მოტანილია; საუბარია ქარის ზუზუნზე: ქარი და აფთარი რითმებადაა, ხეები, ფართო შარაგზები, ზეცის კიდე, ტყის მძაფრი ყვირილი... სიონი, მთაწმინდა, ლურჯა ცხენები (ერთი სიტყვით, წინანდელი ლექსები, რაც ჩემგან კარგა ხნის მივიწყებულია და უარყოფილი). და დასასრულს, ნუთუ ასეთი ლექსებით დახასიათების ღირსი ვარ?.. ავტორი ან გაუსწორებელი და მოწამლული პიროვნებაა, ან შეგნებულად სურს ჩემთვის სახელის გატეხვა. მაგრამ მე არ წამოვეგები ასეთ ანკესზე. ამ კითხვას მე დავსვამ მწერალთა კავშირის პრეზიდენტზე და მომავალი იუბილეს დროისათვის მოვითხოვ, რომ მიეცეს მწერლებს, რომელნიც მოისურვებენ ჩემზედ დაწერას, კონკრეტული მითითებები: რაზედ სწერონ, როგორ სწერონ და სხვ. თორემ ასეთი ლექსები ადამიანს კატასტროფამდე მიიყვანს. მე მგონია, ეს არის შეგნებული მავნებლობა!“

გალაკტიონის არქივში მოძიებულ ამ ჩანაწერს, რომელიც იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდება ზემოთ დამონმებული მოჩვენებითად სალალობო ლექსებისაგან, ვ. ჯავახაძე არა მარტო უბრალოდ აწვდის მკითხველს, არამედ პირადად ჩემთვის საკვებით მისაღებ ისეთ კომენტარსაც ურთავს, რომელიც გარკვეულწილად ხსნის და განმარტავს ეპოქალური სინამდვილისადმი პოეტის

გაორებული მიდგომის არსს: „ძნელია ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი შეიტანოთ. არადა, „ლურჯა ცხენებს,“ „მთაწმინდის მთვარესა“ და „სილაჟვარდეს“ უარყოფს. ეტყობა, უფრო მრისხანე და დამთრგუნველი ძალა მძლავრობდა, ვიდრე წარმოგვიდგენია! ისეა დაშინებული და ისეთი დროა, რომ ჩვეულებრივ უწყინარ მიძღვნას დასმენად თვლის.“

თავისი სალალობო ლექსებით გალაკტიონი ყველაზე მეტად თანამდებობრივი მდგომარეობის შედეგად აღზევებულ ჩინოსან მწერლებს კენწლავდა და აქილიკებდა. კოლეგებისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავდა არსებითად, მასზე ბევრად ნაკლებ შემოქმედებით შესაძლებლობათა მქონე ეს მწერლები ხელისუფლების მიერ გაცილებით უფრო პატივდებულნიც რომ იყვნენ და პრესტიჟული ჯილდოებითა და პრემიებით განებივრებულნიც, არამედ ის უყურადღებობაცა და გულგრილობაც, რასაც მათი ცალკეული წარმომადგენლები იჩენდნენ მის მიმართ. როგორც პოეტის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, ამ მოვლენას იგი ხშირად ისე მტიკივნიულად კი განიცდიდა, რომ ამგვარი დამოკიდებულებით გულნატკენი სასოწარკვეთილებამდეც მიდიოდა და დეპრესიამდეც ვარდებოდა ხოლმე.

მწერალთა კავშირის იმჟამინდელი ხელმძღვანელობისა და სხვა ჩინოსანი მწერლებისადმი მიძღვნილ გ. ტაბიძის სალალობო ლექსებში ამ მოვლენით განპირობებული გულისტკივილი სატირაში გადაზრდილი ცინიკურ-იუმორისტული ფორმითაა გამოხატული. მაგალითად:

ირაკლის, გოგლას და სერგის  
გარდა აქ, ჩემო ძამია,  
აჩქარებითა სოფელი  
არავის მოუჭამია!

ან კიდევ:

თითზე ვითვლიდით ნამდვილ პოეტს,  
ახლა კი გვყავს მილიონი,  
არ არიან ილიანი,  
გაგვიმრავლდნენ ალიონი.

(იგულისხმება პროლეტარული პოეტის ალიო მირცხულავა-მამაშვილი).

გარდა ზემოთ უკვე აღნიშნული ფაქტორებისა (თანამდებობრივი მდგომარეობით განპირობებული პრივილეგიები, ხელისუფლების მესვეურებთან სიახლოვით მოპოვებული უპირატესობანი და ა.შ.), თავისი სალალობო ლექსების ადრესატებად ქცეული

კოლეგებისადმი სატირულ-იუმორისტული დამოკიდებულების გრძნობას გალაკტიონს მათი პიროვნული ამბიციებიც მნიშვნელოვან-ნილად უმძაფრებდა ხოლმე. მაგალითად:

ეს უნიჭო ჩიქოვანი  
კვლავ ატყვილებს რუსებს,  
რომ ის დიდი პოეტია –  
რომ ის იცნობს მუზეუმს.  
აცემინებს თავის წიგნებს,  
ფარავს ზურგის კუბებს,  
ფორმალისმის ცხვირს უმაღლავს  
პოლიტიკურ ტუზებს.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის სალალბო ლექსების უმეტესობა კონკრეტულ პიროვნებებს ეძღვნება, მათი მეშვეობით პოეტი გარკვეულნილად თავისი დროის მთელი ქართული პოეზიის ნაკლოვან მხარეებსაც წარმოაჩენდა მისეული თვალთახედვით. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ პრესტიჟულ მდგომარეობაში მყოფი პროლეტარული მწერლების უნიჭობა ერთ-ერთ ლექსში შემდეგნაირადაა მხილებული:

პროლეტარული ლექსის შენობას  
აქვს სულ სხვა ბურჯი, სვეტი, ბურული,  
მათი ლექსი დღეს მამაშვილების  
ჩაღით არ არის გადახურული?

მართალია, გალაკტიონის სალალბო ლექსებში შიგადაშიგ ქართული პოეზიის უჩინო და ნაკლებად წარმატებული პოეტებიც არიან გაკენწლილნი, მაგრამ მისი სატირულ-იუმორისტული გაკილვის უმთავრეს სამიზნედ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მაინც საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობის მაღალჩინოსანი წარმომადგენლები იყვნენ ქცეულნი. მისი აზრით, არაერთი მათგანი ლიტერატურული ქურდობითა და სხვების მიერ უკვე გაკვალული გზებით ცდილობდა წარმატების მიღწევას. მაგალითად:

არ არის მასზე უფრო მახინჯი  
რამ სიბედკრულე და სივალალე,  
როცა სხვის მიერ გაკვალული გზით  
მიხვალ და ამბობ: ეს მე გაკვალე!  
არ არის მასზე უფრო მახინჯი,  
როს იტაცებენ რითმას ას საგანს,  
რით განირჩევა ის „ინ-დაირა“  
თუნდ ჩიქოვანის ამ-ორისაგან.

პიროვნულ ამბიციებს შესისხლხორცებული ამგვარი ლიტერატურული უნიჭობა გალაკტიონს იმდენად საშიშ მანკიერებად მიაჩნდა, რომ არაერთგზის უქცევია სატირულ-ირონი-

ული მხილებისა და ქილიკის საგნად. მაგალითად: „საქმეს ის გვიფუჭებს — რომ ამგვარ ბიჭ-ბუჭებს დარჩათ მოედანი.“ მეორეგან კი ასეთი თვითმარქვია მწერლების შემოქმედებას შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: „როცა ტფილისში ტყე იყო ხშირი და ავჭალაში კივოდა ტურა, იმ ხანისათვის თუ ივარგებდა თქვენი მხატვრული ლიტერატურა.“

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის სატირულ-იუმორისტულ ლექსებში ძირითადად პოეტები არიან გაკენწლილ-გაქილიკებულნი, ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იგი არც პროზაიკოსებისადმი იჩენდა და თავისი დროის ქართულ პროზასაც აფასებდა საკმაოდ კრიტიკულად:

მწერთა კავშირის ჩოთქმა  
ასე დაინყო მოთქმა:  
შენ განყვიტეო, ღმერთო,  
პროზაიკოსთა მოდგმა.  
თანამედროვე პროზას  
თუ გამოვაკლებთ ოზას,  
დარჩება მხოლოდ პრ - და  
პრ-საც წუნი აქვს მუდამ.  
თუ შევუერთებთ „პრ“ – ს წუნს,  
მივიღებთ... პრუნუნ-პრუნუნს!

გალაკტიონის სალალბო ლექსებში მასა და „ცისფერყანწლებს“ შორის არსებული დაპირისპირებაც აისახა სატირულ-იუმორისტული ფორმით. ძირითადად ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპთა არსებითი განსხვავებულობის საფუძველზე წარმოქმნილმა ამ დაპირისპირებამ პოეტურ ასპარეზზე „ყანწელთა“ გამოსვლის პირველივე წლებიდან იჩინა თავი. ამის შესახებ თავად გალაკტიონიც აღნიშნავს თავის ჩანაწერებში. მაგალითად: „ყანწლებს მე არასოდეს შევურიგდები, რადგან მაგათი საქმეა მხოლოდ თავისი თავის პირველ ადგილზე დაყენება, სხვისი აბუჩად აგდება.“ 1916 წლის 15 დეკემბერს კი ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი. ძალიან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და ვუთხარით ერთმანეთს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამის შემდეგ დაახლოვების ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ.“

ეს ყველაფერი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ყანწლებთან გალაკტიონის ამგვარი ურთიერთობა მის სალალბო ლექსებშიც გამოიხატა პოეტისათვის ჩვეული სატირულ-ირონიული ფორმით. მაგალითად:

გამარჯობათ, ყანწლებო,  
 პაოლო და ტიციანო,  
 გრიგოლი და ვალერიან  
 ხიდისყურში იციანო.  
 გამარჯობა, ჩემო ალი,  
 ხმატკბილო და ხრინწიანო,  
 გამარჯობა, გამარჯობა,  
 უკვიცო და კვიციანო.  
 გამომდგარან პოეტები,  
 თვალნი დაუბრინციანო.  
 სიმღერა არ შეუძლიათ,  
 სახე გამოყვიციანო.

როგორც ცნობილია, პოეტურ ექსპრომ-  
 ტებსა და ფუნაგორიებში ემოციური ზემოქ-  
 მედების მოსახდენად განსაკუთრებულ დატ-  
 ვირთვას ხშირად ეფექტურად მიგნებული და  
 ბგერით-აკუსტიკური ჟღერადობით გამორ-  
 ჩეული რითმებით იძენენ ხოლმე. მეოცე საუ-  
 კუნის ქართულ სალალბო პოეზიაში ფარ-  
 თოდ დამკვიდრებულ ამ ტრადიციას არც  
 გალაკტიონი რომ ლალატობდა, ამის დასტუ-  
 რად აქ თუნდაც ამ მაგალითის დამოწმებაც  
 იქნება საკმარისი:

ფუნიკულიორისაკენ მიდის  
 პანტელეიმონი,  
 მიაქვს ჩანთა, რომ ამ ჩანთას  
 ჩადოს პანტა და ლიმონი.  
 როგორც იქნა, მიაღწია,  
 ნახა ფუნიკულიორი,  
 პანტის ნაცვლად შეიძინა  
 ერთი ფუნა, კული ორი!

გალაკტიონის სალალბო ლექსებში მნიშ-  
 ვნელოვან ფუნქციას ხსენებული სახეობის  
 ტექსტებისათვის ფართოდ დამახასიათებ-  
 ლი ისეთი მხატვრული ელემენტებიც იძენს,  
 როგორებიც კრიტიკის ობიექტად ქცეული  
 პიროვნების გაშარჟებული სახით დახასიათე-  
 ბა და უხამსი სიტყვების გამოყენებაა, რითაც  
 ავტორისეული ირონია მეტ სიმძაფრესა და  
 მხატვრულ-ემოციურ ეფექტს იძენს. მაგალი-  
 თად:

ეს კალაძე იმერეთში  
 ცოცხალი ნუ გეგონებათ,  
 ღორები ღდინს გააცლიან,  
 კარლო ჩეჩმა ეგონებათ.

გალაკტიონის სალალბო ლექსებისათ-  
 ვის საზოგადოდ დამახასიათებელი კიდევ  
 ერთი მხატვრული თავისებურება სათქმე-  
 ლის ირონიული ფორმით გამოხატვაა. ირო-  
 ნია პოეტისათვის ნაკლოვანებთა მხილებისა

და საკუთარი თვალთახედვის ეფექტურად  
 გამოვლინების ფართოდ გამოყენებული ხე-  
 რხია. მაგალითად: „საქმეს უსაქმობა სჯობს  
 და გმირობას – ლაჩრობა, პოეზიით სუნთქვას  
 სჯობს პოეზიით ვაჭრობა.“

გ. ტაბიძის სალალბო ციკლის ლექსები-  
 სადმი ინტერესს ის ფაქტიც გვიძლიერებს  
 კიდევ უფრო მეტად, რომ პოეტმა ზოგიერთ  
 მათგანში საკუთარი ცხოვრების რამდენიმე  
 ეპიზოდს ნარმოაჩინა იუმორისტული ფორ-  
 მით. მაგალითად:

ექიმმა გამომინერა  
 მარტო ჩაი და კისელი.  
 კისელისათვის წავიდა  
 ოლია დარბაისელი.  
 ვზივარ და ვუცდი ამ კისელს –  
 მაგრამ რას ელი, ვის ელი?  
 კისელს ვინ ჩივის, არა ჩანს  
 ქალი მტკიცე და ფხიზელი.  
 ოლონდ შენ მოდი, ოლია,  
 კისელს მოემტვრეს კისერი.  
 ვწერ ამ ლექსს გალაკტიონი,  
 თბილისელ-ქუთაისელი.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძის სალ-  
 ალბო ლექსების დიდი ნაწილი ამა თუ იმ  
 კონკრეტულ ფაქტთან თუ პიროვნებასთან  
 ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების  
 საფუძველზე შექმნილ ექსპრომტს წარმოად-  
 გენს, ავტორის შემოქმედებით შესაძლე-  
 ბლობებს ნაკლებად შეესაბამება და რა-  
 ოდენობრივად მცირეა და თემატურადაც  
 შემოსაზღვრული, პოეტის მსოფლმხედველო-  
 ბრივი მრწამსისა და შესაბამისი პერიოდის  
 ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების შესწავ-  
 ლის დროს მკვლევარმა გარკვეული ყურ-  
 ადღება მათაც უსათუოდ უნდა მიაქციოს.

### ორი დიდი მეცნიერის ერთი ფრონტული წერილის შესახებ

დიდად პატივცემულო ლევან!

მივიღე თქვენგან გამოგზავნილი მეორე შრომა (ჩემი ფრონტზე ყოფნის პერიოდში).

გწირავთ ენით გამოუთქმელ მადლობას, არა იმიტომ, რომ თქვენ – საქართველოს დიდი მეცნიერი – მე – უბრალო სალდათს მეგობარს მიწოდებთ, არამედ იმიტომაც (ესაა მთავარი), რომ უნივერსიტეტიდან მგონი მხოლოდ თქვენ ერთს გსურთ არ დადუმდეს ჩემი უნარი და მანვდით ჩემთვის სანატრელ სულიერ საზრდოს.

რით უნდა გამოსთქვას კაცმა ის გრძნობა, როცა სიკვდილს თვალეში მისჩერებიხარ, მტერს ანადგურებ, მაგრამ თვითონაც ყოველ წუთს ელი სიკვდილს და ამ დროს ფოსტალიონი მოხობდება ცეცხლის ქვეშ და გადმოგცემს დიდი მეცნიერის შრომას, რომელსაც აწერია „ძვირფას მეგობარს“.

ბატონო ლევან! ამ დროს მე ვიგრძენი ისეთი რამ, რომელიც თავისში საშინელი სიხარულის და ტანჯვის გრძნობებს აერთიანებს, მათზე მალლა დგას და შეიძლება სწორედ მას ეწოდება უკვდავების გრძნობა.

ნეტარ ავგუსტინეს არ ჰქონია ასეთი განცდა ღმერთის მიმართ.

ამ გრძნობის გამოხატვა შესძლო მხოლოდ სიხარულის იმ ცრემლებმა, რომლებიც თქვენი შრომის მიღების დროს ყელში მომანვნი და დროებით სუნთქვა შემიჩერეს.

ჩემს დამოკლებულ ჭკუას უნდოდა ერთ საკითხზე (თქვენი პირველი შრომიდან) თავისი აზრი გაეზიარებინა თქვენთვის, მაგრამ ეს უნდა გადაიდვას მანდ ჩემს ჩამოსვლამდე (თუ ცოცხალი დავრჩი), რადგან ძნელია მეცნიერული მსჯელობის წარმოება, როცა ფაშისტთა გვაშები მოგჩერებიან – ეს სისულელეც იქნებოდა.

თქვენი მახვილი აზრი და ბავშვური სისპეტაკე ადამიანურობისა – უდიდესი იმედია ჩემთვის ჩემი დეკვალაფიკაციის მეოთხე წლის თავზე.

თქვენი შრომით აზრგაბრწყინებული დავდივარ „აკოფებში“ და ვამხნევებ მებრძოლებს, მოვუწოდებ მათ მეცნიერების საშინელ მტერთა-ფაშისტების საბოლოო განადგურებისაკენ.

ამით თქვენც ჩემთან ერთად უშუალო მონაწილე ხართ, ამ დიადი განმათავისუფლებელი ომისა.

დიდებულო მეცნიერო და უძვირფასესო ადამიანო! მიიღე ჩემი სალამი აღმოსავლეთ პრუსიიდან.

ღრმა პატივისცემით თქვენი მონაფე-სავლე წერეთელი. 16/XI 44 წ.

P.S. დიდათ მაინტერესებს, თუ რა კეთდება ჩვენთან ფილოსოფიის ფრონტზე-რა შრომები დასწერეს საქართველოს ფილოსოფოსებმა, მაგრამ მე ისე ჩამოვრჩი ამ საქმეს, რომ ალბათ ვერც მივხვდები, თუ რაშია საქმე. იმედი მაქვს, რომ არ შეწუხდებით ამ წერილის წაკითხვით.

პატივცემულო მკითხველნო! ალბათ გაგიჩნდათ კითხვა, თუ ვინ არიან ეს უაღრესად ჰუმანური, უაღრესად განათლებული და ზედმინევენით მოყვარული თავიანთი სპეციალობისა?

მოგახსენებთ, რომ ამ პიროვნებათა შესახებ არსებობს მეტად საინტერესო ლიტერატურა, საიდანაც მოგანვდით მოკლე ინფრომაციებს (1;2;3).

**გოკიელი ლევან პეტრეს ძე** (1901, ქუთაისი – 1975, თბილისი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი(1961 წ.), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე(1944 წ.), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი(1935 წ.), პროფესორი (1930 წ.).

ბატონი ლევან გოკიელი მუშაობდა დიალექტიკური და მათემატიკური ლოგიკის დარგში, მათემატიკის დაფუძნებისა და სიმრავლეთა თეორიის პარადოქსებთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ პრობლემებზე (1,99-101).

პირველდაწყებითი განათლება ლევანს მიუღია დედისგან – ქ.ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულ და მათემატიკის მასწავლებელ მარიამ იაკობის ასულ ბაჯიაშვილისგან. 1910-1919 წლებში ლევანი წარჩინებით სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და გამოირჩეოდა თავისი წესიერებითა და მახვილგონიერებით. მრავალი წელი იგი იყო მოსწავლეთა წარმომადგენელი პედაგოგიურ საბჭოში, რაც, ალბათ, იშვიათი შემთხვევაა სკოლის ისტორიაში.

ბატონი ლევანის სწავლა-განათლებაზე უდიდესი გავლენა მოახდენია მამის მიერ მის-სადმი 1913 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათს შემდეგი სიტყვებით-მუდმივად სადღეისო შეგონებით: „ბეჯითობით, მეცადინეობით და გულმოდგინებით გაიკაფე ცხოვრების გზა, სძლიე დაბრკოლება და უსამართლო დევნა, იყავ პატიოსანი, სამართლიანი, დამცველი ჩაგრულისა, კაცთა მოყვარე, სამშობლოს მცველი და მშობელი დედ-მამის გამხარებელი. მამა პეტრე. 2 თებერვალი, 1913 წელი“ (2).

გიმნაზიაში სწავლისას, ბატონ ლევანს ჩამოუყალიბდა ფილოსოფიური საკითხებისადმი თავისებური, სხვებისგან განსხვავებული მიდგომა, რაც ბატონმა სავლემ თავის წერილში გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „თქვენი მახვილი აზრო“. მაგალითად, ბატონი ლევანის მსჯელობით ცოდვის მონანიება პატიების მეშვეობით დაიყვანება ლოგიკურ პრობლემაზე, სადაც ფიგურირებს უსასრულობაში ლოგიკური რეგრესის მეთოდი და რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მის მერმინდელ შრომებში. ვთქვათ, პიროვნებამ წინასწარ მოინანია მომავალი ცოდვა. ამის შემდეგ მან გაქურდა ის მღვდელი, რომლისგანაც შენდობა მიიღო და ნივთებთან ერთად მას წაართვა მისთვის მიცემული ჰონორარიც.

ისმის კითხვა: ჰონორარის წართმევა ითვლება თუ არა ცოდვად? მღვდლის, მაგრამ არა მომნანიებლის, აზრით ჰონორარის წართმევა ცოდვაა, რისთვისაც მეორე მონანიება და მეორე ჰონორარია საჭირო. თუ მომნანიებელმა მეორე ჰონორარიც წაართვა, მაშინ მესამე და ასე შემდეგ დაუსრულებლად, რაც საქმის მოგვარებას აფერხებს (2).

რაკი ლევანს სწადა ფილოსოფოსობა, ამიტომ მან გადაწყვიტა შესულიყო მათემატიკის ფაკულტეტზე. მისი მოტივაცია იყო: ისეთი ფილოსოფიური მუშაობისთვის, როგორც მას სურდა, საჭირო იყო მათემატიკის სრულფასოვანი ცოდნა.

თეორიულად ეს საკვებით დასაშვები იყო, მაგრამ პრაქტიკულად მეტად ძნელი: ლევანს უნდა ემუშავა ორი მეცნიერების, ფილოსოფიის და მათემატიკის საერთო პრობლემებზე; მას ურთიერთობა უნდა ჰქონოდა არაფილოსოფოს მათემატიკოსთან და არამათემატიკოს ფილოსოფოსთან, რასაც უეჭველად თანსდევდა აზრთა დაუმთავრებელი ჭიდილი-მეცნიერული კონფლიქტი. ამით უკვე გამოისახა მისი ცხოვრების ის გზა, რაც მამამისმა გამოთქვა თავის წერილში და თანაც, ეს ჭიდილი უნდა ყოფილიყო პატიოსანი! ბატონი ლევანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მზად აღმოჩნდა ასეთი ჭიდილისთვის, რაც წარმატებით მთავრდებოდა ხოლმე!

ლევან გოკიელი 1919 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, სადაც მათემატიკური განათლების მთავარ დარგს-მათემატიკურ ანალიზს კითხულობდა პროფესორი ანდრია რაზმაძე (1890-1929 წწ) – უკვე სახელმძღვანელო მეცნიერი. ბატონ ანდრიას დიდი გავლენა მოახდენია სტუდენტ ლევან გოკიელზე თავისი ზუსტი მსჯელობებით და საგნისადმი სერიოზული მიდგომით. სტუდენტ ლ. გოკიელზე დიდი გავლენა მოახდენია, აგრეთვე, პროფესორ შალვა ნუცუბიძის (1888-1969 წწ) მიერ ფილოსოფიის კურსის წაკითხვას.

ეს გავლენა განაპირობა იმანაც, რომ ბატონ შალვას სადოქტორო დისერტაცია „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“ (გამოქვეყნდა 1913 წელს რუსულად) მიძღვნილი იყო ჩეხი დიდი ფილოსოფოს-მათემატიკოს ბერნარდ ბოლცანოს (1782-1848 წწ) შრომებისადმი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მათემატიკურ ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში (4,175-176).

ლ. გოკიელმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1924 წელს და შესაბამისი დიპლომი №131 გაიცა 1936 წლის 10 იანვარს. იგი იყო პირველი და ერთადერთი მათემატიკოსი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა ამ წლის გამოშვებიდან. ლევან გოკიელის სადიპლომო შრომა იყო „ფუნქციები, წარმოდგენილი განუწყვეტელ ფუნქციათა მწკრივის სახით“ (5). მომდევნო წელს უნივერსიტეტს მათემატიკოსები არ გამოუშვია; შემდეგი გამოშვება მოხდა მხოლოდ 1926 წელს.

წარჩინებით კურსდამთავრებული ლევან გოკიელი, მკაცრი და მომთხოვნი ანდრია რაზმადის მოწაფე, დატოვეს უნივერსიტეტში პროფესორად მოსამზადებლად. 1927 წლიდან ლევანი შეუდგა ასისტენტის მოვალეობის შესრულებას ანდრია რაზმადის წარდგინებით.

მათემატიკური ლოგიკისა და ფილოსოფიის საკითხებით, კერძოდ მათემატიკის დაფუძნების საკითხებით, ლ.გოკიელი დაინტერესდა ჯერ კიდევ სტუდენტობისას. ამ მიმართულებით მან გამოაქვეყნა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი“ (6, 295-305) და „სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი“ (7, 400-425).

1928 წელს იგი დაინიშნა უნივერსიტეტის ლექტორად და მიენდო დიფერენციალური ალგებრისა და ნამდვილი ცვლადის ფუნქციის კურსების წაკითხვა. 1927-1928 წლებში მან ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები.

1929-1930 წლებში სამეცნიერო მიზნით მივლინებული იყო და მუშაობდა მოსკოვში. 1929 წელს გამოაქვეყნა შრომა „შენიშვნები „AUSWALPRINCIP“-ის შესახებ“ (8, 91-102; ცალკე ამონაბეჭდი). 1933 წელს იგი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

ბატონმა ლევან გოკიელმა მონაწილეობა მიიღო 1930 წელს ხარკოვში გამართულ მათემატიკოსთა საკავშირო ყრილობის მუშაობაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით „აქსიომატიკური მეთოდის კრიტიკა“. 1934 წელს ლენინგრადში მოწყობილ მათემატიკოსთა მეორე საკავშირო ყრილობაზე კი წაიკითხა მოხსენება „ტრანსფინიტური რიცხვების შესახებ“ (5).

აქედან სრულიად აშკარად ჩანს, რომ ლ.გოკიელმა მოახდინა მათემატიკის დაფუძნებისადმი მიძღვნილი ყველა არსებული ძირითადი მიმართულებისა და გამოკვლევის შეჯამება, ერთი მეორესთან მათი შეჯერება და კრიტიკული განხილვა. ეს შედეგები გააერთიანა მონოგრაფიაში „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ (10). უკანასკნელი გამოკვლევა მის მიერ წარდგენილი იქნა თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიაში მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სახელწოდების მოსაპოვებლად. 1935 წლის 24 მარტს საკვალიფიკაციო სხდომაზე ჩატარდა პროფ. ლ.გოკიელის მიერ წარდგენილი შრომის დაცვა – საკანდიდატო დისერტაციის დაუცველად (11,6-7). ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია საქართველოში, რომელიც დაცულ იქნა მათემატიკურ და მის მომიჯნავე მეცნიერებებში(2). მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976 წწ), არჩილ ხარაძე (1895-1976 წწ) და მოსკოვიდან მოწვეული ანდრეი კოლმოგოროვი (1903-1987 წწ). კამათის დამთავრების შემდეგ საკვალიფიკაციო კომისიამ დაადგინა: პროფესორ ლევან პეტრესძე გოკიელს, სადისერტაციო შრომის „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ დაცვის საფუძველზე მიენიჭოს მათემატიკის დოქტორის ხარისხი (5).

1946 წლის 8 მარტს, ლევან გოკიელს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და გადაეცა დოქტორის დიპლომი ДТ № 000733.

„ზოგადი მათემატიკის“ კათედრის პროფესორის წოდება მას მიენიჭა 1946 წლის 9 მარტს.

მისი, როგორც პედაგოგის, მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ ის იყო კარგი ლექტორი, დიდი მათემატიკურ-ფილოსოფიური ცოდნის მატარებელი და ამ ცოდნის სიღრმისეულად გადამცემი. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ უაღრესად კულტურული პიროვნების საუბრის სტილი, საიდანაც აშკარად ჩანდა რომ მისთვის მეცნიერული მუშაობა გზა კი არ იყო სხვა მიზნებისკენ, არამედ იყო თვითმიზანი, მეცნიერული გატაცების საგანი.

ბატონ ივანე ჯავახიშვილს თუ დავესესხებით, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ლევან გოკიელი ბედნიერი იყო, რადგან იგი იყო ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული მეცნიერულად აზროვნების უნარით.

მას აინტერესებდა ფუძემდებელ ცნებათა ლოგიკური ანალიზი, მათი შინაარსი და როლი მათემატიკის დაფუძნების საკითხში. ამ მიმართულებით კვლევებმა იგი მიიყვანა ლოგიკის დაფუძნების საკითხამდე.

ლოგიკური დამტკიცება არ შეიძლება ემყარებოდეს დაუმტკიცებელს. ლოგიკას საფუძვლად უნდა ედოს დამტკიცებადი დებულებანი, რომელთა დადგენა უნდა ხდებოდეს სპეციფიკური ტიპის დასკვნის საშუალებით. ამ ტიპის დასკვნითი დებულების დადგენა მდგომარეობს მისი უარყოფის გზით უსასრულობისკენ რეგრესში. ასეთი ტიპის დასკვნებს, ლ.გოკიელმა უწოდა ძირეული დასკვნები (12,4). მათთვის დამახასიათებელია შეუძლებელი სიტუაციის შექმნა უარყოფის გზით; მაგრამ შეუძლებლობა ვლინდება არაუბრალო წინააღმდეგობაში, რასაც ადგილი აქვს აქსიომებზე დამყარებულ კვლევებში, არამედ უსასრულობისკენ რეგრესში.

ყველაფერ ამას წინ უძღოდა, ლ.გოკიელის მიერ კარლ მარქსის (1818-1883 წწ) მათემატიკური ხელნაწერების შესწავლა-გაანალიზება და იგი იყო ამ ხელნაწერების პირველი მკვლევარი. მოგვიანებით კი, ბევრმა უცხოელმა სპეციალისტმა თავისი კვლევის საგნად გაიხადა მარქსის მათემატიკური ხელნაწერები (13,9-39; აქ, გვერდ 38-ზე ციტირებულია ლევან გოკიელის 1947 წელს გამოქვეყნებული წიგნი მარქსის ხელნაწერების შესახებ).

თავისი ხაგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, პროფესორმა ლევან გოკიელმა ლექციების სახით წაიკითხა სავალდებულო და სპეციალური მრავალი კურსი.

1944 წელს პროფესორ ლევან გოკიელს მიენიჭა სსსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი ავტორია 28 მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის.

ბატონი ლევანი დიდად განვითარებული იყო არა მარტო თავის დარგებში, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მუსიკაში, მხატვრულ ლიტერატურაში და მხატვრობაში.

მაგალითად: 1) მისი სამსაათიანი (!) მოხსენების თემა ყოფილა „დოსტოევსკი და უსასრულობის ცნება“ (14,4-5); 2) ლევან გოკიელი კარგად უკრავდა ვიოლინოზე (2); 3) მეცნიერული მუშაობის დროს ბატონი ლევანი, თურმე, უსმენდა ბახის ან ბეთჰოვენის მუსიკას-მისი დისპილინის, ქალბატონ ნათელა ნამორაძის გადმოცემით.

მრავალ სხვადასხვა კათედრას ხელმძღვანელობდა ბატონი ლევანი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისთვის გათვალისწინებული მათემატიკის დაფუძნებისა და ისტორიის კათედრის გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც იგი განაგებდა 1934-1970 წლებში. იგი იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი 1961-1962 წლებში.

ამასთან ერთად, ბატონი ლევან გოკიელი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მუშაობა მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ პასუხისმგებელ მდივნად ყოფნისას.

ცალკე უნდა გამოიყოს ბატონი ლევანის ნაყოფიერი მუშაობა ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში (1935-1948) და ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც 1948-1953 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ლოგიკის განყოფილებას და იყო უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ნახევარ განაკვეთზე 1958 წლის 18 ივლისიდან (თვეში 1750 მანეთის ანაზღაურებით). ამან გამოიწვია მისი მეცნიერული მუშაობის ახალი აღმავლობა, ბატონ სავლე წერეთელთან ერთობლივი მუშაობით ლოგიკის პრობლემებზე (3).

1967-1970 წლებში ლევან გოკიელი იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი. პროფესორი ლევან გოკიელი, 1961 წლის 10 იანვარს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაში (მათემატიკა).

ბატონი ლევანი 1953 წელს დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით, ხოლო 1946 წელს



„საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი ლევან გოკიელი გარდაიცვალა 1975 წლის 4 იანვარს; იგი დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ორი მეგობარ-პროფესორის, ლევან გოკიელისა და სავლე წერეთლის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ურთიერთგანსხვავებული საშუალებებით: ბატონი სავლე 1941-1945 წლებში ფაშიზმს ებრძოდა იარაღით ხელში, ხოლო ბატონი ლევანი პრესაში გამოქვეყნებული წერილით (15,36-41).

**წერეთელი სავლე ბენედიქტეს ძე** (1907, ს.ჯვარისა, ამბროლაურის რ-ნი-1966, თბილისი), XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი (1957), პროფესორი (1958), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1959 წ.).

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ს.ქედისუბნის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში, სწავლობდა ს.ბუგეულის სკოლაში, შემდეგ ონის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1926-1930 წლებში თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტის სტუდენტია, 1931-1934 წლებში კი ამავე ფაკულტეტის ასპირანტი. მისი ლექტორები იყვნენ შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, ს. დანელია, კ. ბაქრაძე.

1931 წლიდან გარდაცვალებამდე, სავლე წერეთელი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტის, შემდეგ დოცენტის, პროფესორის, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანისა და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობებზე. 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რეგრესული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში“.

1957 წელს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში შედგა მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“ და მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მომდევნო წელს კი მას მიენიჭა პროფესორის წოდება (1,211-215).

ბატონი სავლე წერეთელი მონაწილე იყო 1941-1945 წლებში მიმდინარე მეორე მსოფლიო ომისა იაპონიის ჩათვლით და ამ პერიოდის განმავლობაში იგი იმყოფებოდა მოქმედ არმიამში.

ბალტიისპირა ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლების დროს, ბატონ სავლეს შეხება ჰქონდა სიცოცხლისათვის მეტად საშიშ შემთხვევასთან, გარდა ფაშისტებთან ბრძოლისა.

ბატონი სავლეს ოჯახიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, როცა ფრონტის ხაზზე ბრძოლები მიწყნარებულა და ამ დროს სავლე იმყოფებოდა იმანუელ კანტის (1724-1804 წწ) სამშობლოში, კენისბერგში, მას განუზრახავს „გენიალური აღმოჩენის“ ანუ „ცის თეორიის“ (1755 წ) ავტორის საფლავის ნახვა. ამ მიზნით, მან გაიყოლა რამდენიმე ჯარისკაცი. დიდი ფილოსოფოსის საფლავთან მიახლოებულ სავლეს მუხლი მოუყრია კანტის საფლავთან და მაშინვე მას მოესმა ავტომატის გადატენის ხმა. სავლემ მყისიერად დაიძახა : ჩვენ ვებრძვით გერმანელ ფაშისტებს და არა გერმანელ ხალხსო! რომ არა მყისიერი რეაგირება ბატონი სავლესი, მას აუცილებლად მოკლავდა თავისივე ჯარისკაცი!

სამწუხაროდ, სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებულ ბატონ სავლე წერეთელს ელოდა, ბატონ ლევან გოკიელთან ერთად, დიდი განსაცდელის გადატანა-ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.

ბატონი სავლე სამშობლოში დაბრუნდა 1946 წელს და შეუდგა თავის საოცნებო საქმიანობას-მეცნიერულ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი დანიშნეს ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად და აღადგინეს ფილოსოფიის ისტორიის კათედრის დოცენტად. ამავე დროს, იგი მიიწვიეს 1946 წლის აპრილში გახსნილი ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ ლოგიკის და შემდეგ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების ხელძღვანელად. 1948 წლის ივნისში იგი დაინიშნა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად და ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგედ თბილისის უნივერსიტეტში – შეთავსებით.

ამავე დროს, ბატონმა სავლემ გააგრძელა ინტენსიური მუშაობა იმ საკითხებზე, რომელნიც

მის მიერ იყო წამოწეული 1947 წლის შრომაში „დასკვნის პრობლემისთვის“, სადაც მან ჩამოაყალიბა უსასრულო დასკვნის ცნება და ეს ცნება აღმოჩნდა მისი სამეცნიერო კვლევების საფუძველი დიალექტიკურ ლოგიკაში (3).

უსასრულობის დასკვნის თეორიას მან მიუძღვნა 1952 წელს დაბეჭდილი წიგნი, რაც წარადგინა სადოქტორო დისერტაციად თბილისის უნივერსიტეტში. მიუხედავად ოფიციალური ოპონენტების მაღალი შეფასებისა, ზოგიერთმა მას ბრალად წაუყენა სტალინისა და ლენინის იდეების დამახინჯება, კომუნისტური იდეოლოგიის ლალატი და დისერტაციის დაცვა ჩავარდა.

1953 წლის იანვარში ბატონი სავლე გაათავისუფლეს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორობიდან და გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან (3).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამმა მეცნიერ თანამშრომელმა, 1953 წლის 18 მარტს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „სქოლასტიკა მეცნიერების სახელით“ (16,3), სადაც წერია: „მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაამჟღავნა ის შეცდომები, რომლებითაც ხასიათდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობა. ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ამხ.ს.წერეთლის ანტიმარქსისტული, იდეოლოგიურად მავნე წიგნის „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისთვის“ გამოსვლა იმის დადასტურებაა, რომ ინსტიტუტში ჩაშლილი იყო იდეოლოგიური მუშაობა, არ წარმოებდა სერიოზული ბრძოლა მარქსიზმისთვის უცხო შეხედულებების წინააღმდეგ.“

რამდენიმე წელია ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობს პროფესორი ლ.გოკიელი. ამ ხნის განმავლობაში მან დაბეჭდა მთელი რიგი შრომები....რას წარმოადგენდნენ ეს შრომები, რომლებსაც მეცნიერული გამოკვლევების პრეტენზია აქვთ?

სოფისტური ოინბაზობა და ნაწვალეები სქოლასტიკური ვარჯიშობანი, დახლართული და გაუგებარი არგუმენტაციები-აი ის ძირითადი ნიშანი, რომელიც ახასიათებს პროფესორ გოკიელის შრომებს. ამ შრომებში არ იგრძნობა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ძალა და ცხოველმყოფელობა.

ყოველი საკითხის განხილვა ატარებს აბსტრაქტულ, ცხოვრებისგან მოწყვეტისა და განყენებული აზრების სფეროში უთავბოლო ხეტიალის ნიშანს. პროფესორ გოკიელის შრომები წარმოადგენენ ბუნდოვანობისა და გაუგებრობის იშვიათ მაგალითს.“

მოკლედ რომ ვთქვათ, პროფესორები ლევან გოკიელი და სავლე წერეთელი იყვნენ უღმობელი რეპრესიის ზღვარზე. მაგალითად, ბატონი ლევანის დისშვილმა, ქალბატონმა ნათელა ნამორაძემ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ „ძია ლევანი ძლივს გადაურჩა ინფარქტსო“.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაძაბულობა თანდათან განიმუხტა და ამ ჩვენი ორი დიდებული პროფესორის რეაბილიტაციაც დაიწყო (3).

1957 წლის 11 დეკემბერს, ბატონი სავლე წერეთელი აღადგინეს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. მომდევნო წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო ცოტა გვიან კი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები (3,10).

ბატონი სავლე წერეთელი დაჯილდოებული იყო შრომის ნითელი დროშის, ნითელი ვარსკვლავის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით და სხვ. (1,211).

ბატონი სავლე წერეთელი გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს რაჭაში, დასასვენებლად ყოფნისას და დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში (17,405-406). მისი სახელი ეწოდა ფილოსოფიის ინსტიტუტსა და სოფელ ბუგეულის საშუალო სკოლას (3,11).

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან მეცნიერთა სხვადასხვა ფორმით შევიწროვებისა და დასჯის მრავალი ფაქტია აღნუსხული, რომელთაგან საგულისხმოა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილზე (1885-1974 წწ) ათწლიანი (1947-1956 წწ) ზენოლის ფაქტები (18,297-304).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი-პერსონალია. – თბ., 2000. – 239 გვ.
2. ჭოლოშვილი, გ. ლევან გოკიელი. – თბ., 1976.-32 გვ.
3. სავლე წერეთელი – 100. – თბ., 2007.-128 გვ.
4. ძაგნიძე, ო. ნამდვილ ცვლადთა ფუნქციების უწყვეტობა და დიფერენცირებადობა. – თბ., 2010. – 497 გვ.
5. მათემატიკის დოქტორი ლევან პეტრეს ძე გოკიელი. – გაზ. „ბოლშევიკური კადრებისთვის“ (ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო), – 1935, № 6.
6. გოკიელი, ლ. დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი. – ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1925,ტ. V.
7. გოკიელი, ლ. სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი – ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1928, ტ. VIII.
8. გოკიელი, ლ. შენიშვნები „AUSWALPRINCIP“-ის შესახებ – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოამბე, ტფილისი, 1929, ტ. I. გამოშვება I.
9. გოკიელი, ლ. დიფერენციალური აღრიცხვის კურსი. – ტფილისის სახელგამი, 1932. – 264 გვ.
10. გოკიელი, ლ.სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები. – სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1934.-192 გვ.
11. ნუცუბიძე. ნ.; ონიანი,გ; გოკიელი, ლ. – გაზ. „ქუთაისის უნივერსიტეტი“. – 2002, №6.
12. ჭიჭინაძე, მ. ორიგინალური მოაზროვნე. - გაზ. „კომუნისტი“. 1982, №54
13. Историко-математические исследования, выпускXXVI. \_ Москва, 1982. – 336 с.
14. ებანოიძე, თ. ორი მეცნიერული მუზის მსახური. - გაზ. „თბილისი“ 2002, №49.
15. მუსხელიშვილი,ნ.; ჯანაშია, ს.; ახვლედიანი,გ.; გოკიელი,ლ. ფაშიზმი მეცნიერების მტერია. – ჟურნ. „ბოლშევიკი“. – თბ.,1941, №5-6. – 101 გვ.
16. სქოლასტიკა მეცნიერების სახელით. – გაზ. „კომუნისტი“, 1953,№66.
17. ბაბუნაშვილი, ზ.; ნოზაძე, თ. მამულიშვილთა სავანე. - თბ., 1994. -449 გვ.
18. Репрессированная наука. – Ленинград, 1991. \_ 559 с.

**ლუკა დვალისვილი**

ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლება  
მე-20 საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში**

სამშობლოს ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი გააზრება საშუალებას აძლევს ქვეყანას მეტ-ნაკლებად შეუმცდარად განსაზღვროს სახელმწიფოს განვითარების სამომავლო სტრატეგია და პრიორიტეტები. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით 21-ე საუკუნის საქართველოშიც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. არცთუ იშვიათად, საქართველოს პირქუში ისტორიის აღმწერელ ქართველ მეისტორიეებს, მემატიანეებს, ყათააღმწერლებს, ხშირად საკმაოდ დიდი ნაშრომები მიუძღვნიათ ამა თუ იმ ნაკლებად გამოჩენილი მეფეებისა და დიდებულების სამაგიდო, სანადირო-საბურთაო და რომანული სცენების აღწერისათვის, ხოლო არცთუ იშვიათად, ერისა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო ამბები ერთი ფრაზითაა გადმოცემული ან სულაც გამორჩენილია. სამწუხაროდ, ყოველივე ეს შეიძლება ითქვას ფერეიდნელ ქართველთა ტრაგიკული ისტორიის შესახებაც.

საქართველოს პირქუში ისტორიის ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტი, მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ეროვნული უბედურების ამბავი, აღმოსავლეთ საქართველოდან 200 000-ზე მეტი ჩვენი თანამემამულის სპარსეთში გადასახლება და ფერეიდნელ ქართველთა ისტორიის, კულტურის, სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების წესისა და ტრადიციების კვლევა და ცოდნა ვფიქრობთ, უდაოდ ყველა დროის ქართველისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველების პირუთვნელი ისტორიის ცოდნა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთათვისაა მნიშვნელოვანი, არამედ მსოფლიო საზოგადოებისთვისაც მეტად საგულისხმო და საინტერესო უნდა იყოს; რამეთუ მსგავსი შემთხვევების მომავალში განმეორების საფრთხე ისევ არსებობს. და დიდი გერმანელი ერის მაგალითზე, ვინმე ვინმეს ბოდიშს თუ არ მოუხდის, წინაპართა ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო, მცირე უხერხულობას მაინც უნდა გრძნობდეს.

1614-1617 წლებში შაჰ-აბასმა ოთხი გამანადგურებელი შემოსევის შედეგად საქართველოდან ირანის შიგა პროვინციებში გადასახლა 200 000-ზე მეტი ქართველი. ცბიერმა, ვერაგმა, მაგრამ სპარსთა სახელმწიფოს ნიჭიერმა მმართველმა შაჰმა ერთი გასროლით მართლაც რომ ორი კურდღელი მოინადირა. ჩვენი თანამემამულეები ფერეიდანის მაღალმთიან რეგიონში ჩაასახლა. ამით ხელი შეუწყო ამ მივარდნილი კუთხის სამეურნეო აღორძინებას და მეორეს მხრივ, სეფიანთა დინასტიის სატახტო ქალაქს - ისპაჰანს, სწორედ ამ მხრიდან ხშირად თავს ესხმოდნენ ბახთიარების, ლურების და ქურთების ტომები, რომლებიც ზოგჯერ ახერხებდნენ გაერთიანებას და სპარსთა დედაქალაქისთვის საფრთხის შექმნას. ქართველები, როგორც დახელოვნებული და გულადი მეომრები, ამასთანვე გამოცდილი მეურნეები და კულტურულად დაწინაურებული ხალხი, შაჰის ვერაგი მიზნების იძულებით განმხორციელებელ-შემსრულებელნი შეიქნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფერეიდანში ქართველთა გადასახლების შესახებ ძალიან მწირი და არაფრისმთქმელი ინფორმაციაა შემონახული, როგორც ქართულ, ასევე სპარსულ და უცხოურ საისტორიო მასალებიც. 1871 წელს პირველი ფერეიდნელი ქართველის, იოთამა ონიკაშვილის ჩამოსვლა თბილისში გახდა დედა საქართველოსა და მისი ძალით მოწყვეტილი შვილების, ფერეიდნელი ქართველების გაცნობისა და კულტურული კავშირ-ურთიერთობების დაწყების საწყისი წერტილი, რომელიც მეტნაკლები ინტენსივობით გრძელდება დღემდე.

1922 წლიდან ახალგაზრდა, მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია ცდილობს სპარსეთი მოაქ-

ციოს თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მარწეხებში. შესაბამისად იზრდება და ინტენსიური ხდება კავშირურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის. ყოველივე ეს ხელს უწყობს დედა საქართველოსა და ფერეიდნელ ქართველებს შორის დამყარდეს მეტნაკლებად აქტიური კავშირურთიერთობა. საბჭოთა მთავრობას, რა თქმა უნდა, თავისი შორსმიმავალი გეგმები და ინტერესები ჰქონდა ირანთან მიმართებაში და სრულებითაც არ ანალვლებდა საქართველოს პრობლემები, თუმცა, ყოველივე ზემოთქმული სასიკეთოდ მოქმედებდა ფერეიდნელ ქართველებთან კავშირურთიერთობის დამყარება-განმტკიცებისა პერსპექტივებზე. ამ მხარეში იგზავნებოდა წიგნები, ლიტერატურული ჟურნალები, გაზეთები, ქართული ხალხური საკრავები, ფირსაკრავები, („პატეფონი“), ფირფიტები, რადიო-მიმღები და სხვ. საქართველოს რადიო-კომიტეტში ფერეიდნელი ქართველებისთვის მომზადდა ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი. 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე ჩასულ სტალინს ეწვია ფერეიდნელი ქართველების დელეგაცია და სეიფოლა იოსელიანი, ეს უკანასკნელი 1922 წელსაც იყო საქართველოში. ფერეიდნელები დახმარებასა და მფარველობას სთხოვდნენ საბჭოთა იმპერიის წინამძღოლს, სახელოვან თვისტომს.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფერეიდანი და ფერეიდანის თემატიკა. ცნობილმა მეცნიერებმა, მწერლებმა, ლიტერატორებმა, კინოხელოვანებმა ამ თემას არა ერთი სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომი მიუძღვნეს. 60-იანი წლების ბოლოს, ვასილ მჟავანაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მომზადდა პროექტი ფერეიდანიდან საქართველოში სამასამდე ქართული ოჯახის ჩამოსახლების დასაწყებად. 70-იანი წლების დასაწყისში საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში ჩამოსახლეს ფერეიდნელი ქართველების ოცამდე ოჯახი, რომლებსაც დაახვედრეს ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები, სათავსოებით და ეზოებით. მაგრამ, სწორედ აქ მოხდა ბევრი რამ გაუთვალისწინებელი, რაც ქართული ხასიათის არცთუ დადებითი მხარეა. ის დიდი ეროვნული ეიფორია და აღფრთოვანება, რაც საუკუნეებით საქართველოსგან მონყვეტილ შვილებთან შეხვედრას მოჰყვა, შეცვალა ორივე მხარისათვის დიდმა იმედგაცრუებამ. ფერეიდნელი ქართველები მრავალ მიზეზთა გამო, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური, ვერ შეეწყვნენ აქაურ გარემო პირობებს. გარემო პირობები და კლიმატი ალბათ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ფერეიდანშია, მაგრამ ვფიქრობ პრობლემა მდგომარეობდა სარწმუნოებრივ-რელიგიურ ტრადიციებსა და მაჰმადიანური ცხოვრების წესში. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული, რომ ფერეიდნელ ქართველთა უკან დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებაში გადამწყვეტი იყო ფერეიდნელი ქართველი ქალების პოზიცია. იმ ქალებისა, რომლებმაც ქართული გენური კოდის გააქტივებით 400 წლის მანძილზე წმინდად შეინახა ქართული ენა სპარსეთის ამ მივარდნილ მხარეში. ჩვენი ფიქრით, საქართველოში დაბრუნებულ ფერეიდნელ ქართველებში, ისევ სუსტი სქესის, მაგრამ ძლიერი ხასიათის ქალი შეიქმნა ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებად, ოღონდ ამჯერად დესტრუქციულ ძალად. ადგილობრივ ქართველ ქალთა თავისუფლებას ისინი ხშირად უარყოფითად აფასებდნენ, როგორც ჩადრისა და რელიგიის თვალსაწიერიდან, ასევე ჩაცმის კულტურის, საზოგადოებაში მოქცევისა და სხვა ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით. რეპატრიანტთა კატეგორიული, დაბეჯითებითი, უპირობო სურვილი ფერეიდანში დაბრუნებისა მეტად მტკივნეული იყო ქართული საზოგადოებისათვის. ექსპერიმენტის ჩავარდნა განაპირობა იმანაც, რომ ჩამოსახლებული ფერეიდნელები კომპაქტურად არ დაასახლეს. უცხო გარემოში მოხვედრილი სოციუმისთვის საადაპტაციოდ შესაბამისი გარემო არ შექმნეს. დამხვდურთა ერთმა ნაწილმა ზოგჯერ შეუგნებლად, ჩამოსულებს „ფერეიდნელი თათარი“ უწოდა... ერთი ფერეიდნელი ქართველის თქმით, „ჯობია ირანში გურჯი იყო, ვინემ საქართველოში თათარი“.

ფერეიდნელ ქართველთა საქართველოში ჩამოსახლების მიზანი იყო დიდად კეთილშობილური და ორივე მხარისათვის სასიკეთო შედეგებზე და მომავალზე გათვლილი. თუმცა, შე-

საბამისი გარემოსა და ფსიქო-ფიზიკური მოუმზადებლობის გამო ეს დიდებული წამოწყება სამწუხაროდ ჩაიშალა და რეალური შედეგიც ორივე მხარისათვის დიდი იმედგაცრუება იყო.

ვფიქრობთ, იმ მრავალ მიზეზთა შორის, რომლებმაც ფერეიდნელ ქართველებს უკან დაბრუნებისკენ უბიძგა, მთავარი მაინც რელიგიური ფანატიზმი იყო. უახლოეს პერიოდში, ჩვენ თვალწინ მოხდა ქართველ ებრაელთა დაბრუნება უძველეს წინაპართა სამშობლოში – ისრაელში. რა თქმა უნდა, მათ ძალიან გაუჭირდათ მეორე სამშობლოში დამკვიდრება, მაგრამ მათ ეს შეძლეს. ჩვენის ღრმა რწმენით, ამის საფუძველთა-საფუძველი იყო ის, რომ ებრაელმა ხალხმა, მიუხედავად 26 საუკუნოვანი დევნილობისა, შეინარჩუნა თავისი სარწმუნოება და ზოგჯერ ენაც. შესაბამისად სწორედ სარწმუნოება გახდა მტკიცე ბალავარი, ქართველი ებრაელების ისრაელში მეტნაკლებად უმტკივნეულოდ დამკვიდრებისა. ჩვენმა ფერეიდნელმა თანამემამულეებმა მუსლიმანური სამყაროს აგრესიის შედეგად ვერ შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოება(სპარსეთში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილისაგან განსხვავებით ლ.დ.) და ერთ დროს მისი ფანატიკურად დამცველი, ახლ ამპლუაში მის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ იქცა.

1972 წლის თებერვალში საქართველოში ხელისუფლების სათავეში მოვიდა კოსმოპოლიტი, ვითომ მსოფლიო მოქალაქე – ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც უდავოდ ნაკლებად, ან სულაც არ ანაღვლებდა ეროვნული საკითხი, (მისი უდავოდ ლიბერალი წინამორბედისაგან, ვასილ მჟავანაძისგან განსხვავებით ლ. დ.) მით უფრო ფერეიდნელი ქართველების საქართველოში რეპატრიარცია და ეს დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე ვფიქრობთ, რომ დროებით შეჩერდა.

**ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების არსის სისტემური ანალიზი**

თითოეული ზრდასრული ადამიანი ნათლად აცნობიერებს, რომ ადამიანის, კოლექტივის და საზოგადოების ცხოვრება მთლიანობაში წარმოადგენს გადაწყვეტილებათა უწყვეტ ჯაჭვს. მრავალი გადაწყვეტილება, განსაკუთრებით კერძო ხასიათის, ყოველთვის მიიღება ინსტიტუტურად და „ჯანსაღი აზრის“ მოთხოვნის დაცვისას ნაკლებად მოქმედებს გადაწყვეტილების მიმღებ პირზე და მის გარემოცვაზე. სულ სხვაგვარადაა საქმე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ გადაწყვეტილებებში, განსაკუთრებით არასტანდარტულ სიტუაციებში. ამავე დროს, იერარქიული კიბის რაც უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება გადაწყვეტილების მიმღები პირი, მით უფრო სერიოზული შეიძლება აღმოჩნდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. ამიტომ არის, რომ გადაწყვეტილების მიღება ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა კაცობრიობისათვის მთელი მისი არსებობის განმავლობაში და ამის გამო საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი განსაზღვრავს ცხოვრების ხარისხს.

ვინც კი ასეთ პრობლემებში ღრმად ჩაიხედავს, დარწმუნდება, რომ ადამიანი მთელ ცხოვრებას გადაწყვეტილებების მიღებას ანდომებს და თამამად შეუძლია თქვას, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების არსი რაციონალური გადაწყვეტილებების მუდმივ ძიებაშია. რაციონალური გადაწყვეტილება აღნიშნავს იმის დაშვებას, რომ სუბიექტის გადაწყვეტილება წარმოადგენს აზროვნების დალაგებული პროცესის შედეგს. აქ გამოთქმულ „დალაგების პროცესში“ სასურველია წარმოვიდგინოთ ადამიანის ქმედებები მათემატიკური ფორმით, რომელსაც განსაზღვრავს დაშვებები ადამიანის რაციონალურ ქცევაზე. ასეთ დაშვებებს რაციონალური ქცევის აქსიომები ეწოდება. ეს აქსიომები ამავე დროს ამარტივებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რადგან იგი ალტერნატივების ან შედეგების სიმრავლეზე განსაზღვრულ ადამიანის უპირატესობებს გადასახავს რიცხვთა სიმრავლეში. სწორედ, ასეთ გადასახვას წარმოადგენს სარგებლიანობა (ღირებულება, სიამოვნება, სიხარული), ანუ სარგებლიანობის ფუნქცია. რაციონალური ქცევის აქსიომების საფუძველზეა აგებული სარგებლიანობის თეორია და მისი ანალიზი.

ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ ვუშვებთ, რომ ადამიანი თითქოს ახდენს განსხვავებული ალტერნატივების ანონას „შინაგან სასწორზე“ და საბოლოოდ აირჩევს ისეთს, რომლის სარგებლიანობა იქნება მეტი. ამდენად, ერთი და იგივე ალტერნატივების პირობებში ის ადამიანი აირჩევს ყველაზე საუკეთესოს, რომლის ასეთი სასწორი უფრო ზუსტი და მონესრიგებულია. ამდენად, სარგებლიანობა – ესაა განსხვავებული გონების ფსიქოლოგიური და სამომხმარებლო ღირებულების წარმოსახვის ზომა, ანუ იგი ადამიანური, სუბიექტური, გემოვნებითი გრძნობა-დამოკიდებულებაა სხვადასხვა საგნის ან მოვლენის მიმართ.

როცა საქმე შეეხება საზოგადოდ განათლებას და სიახლის ძიებას, ბევრს ვსაუბრობთ მეცნიერებაზე, მის დარგებზე, გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში – მართვის დარგებსა და მათემატიკური აზრით ოპტიმალურ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა საერთოდ, ადამიანის, როგორც რთული სისტემის არსებობის მიზეზებს, მიზნებსა და დანიშნულებას. ამიტომ გადავწყვიტე უფრო ვრცლად შევეხო აღნიშნულ საკითხს, მითუმეტეს, რომ საკუთარი სამეცნიერო მიმართულების მათემატიკური სფერო ეხმარება ადამიანს და საზოგადოებას სიცოცხლის მთავარი მიზნის – მაქსიმალურად მოსალოდნელი სარგებლიანობის მიღებაში, საზოგადოებაში მშვიდი, განონასწორებული გარემოების შექმნასა და სასურველი ურთიერთობების მოგვარებაში.

სიცოცხლისა და ცხოვრების მნიშვნელობის საკითხი ძირითადია ადამიანის გონივრული არსებობისათვის: რა აზრს ხედავს ადამიანი ამჟამად თავის სიცოცხლეში და როგორი იქნება მისი

შემდგომი ცხოვრებისეული ქმედებები? კითხვაზე, თუ რა არის სიცოცხლის არსი, მრავალი მოაზროვნე და მკვლევარი შეეცადა პასუხის გაცემას და ასე დაგროვდა ამ საკითხის ირგვლივ მრავალი შეხედულება. თუმცა, ცალსახად პასუხი მასზე მაინც არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში არსებული აზრის მიხედვით ითვლება, რომ სიცოცხლის არსის შესახებ საკითხს ადამიანი სვამს კრიზისულ სიტუაციებში. ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო ან სხვა მიზეზით ადამიანი აღმოჩნდება სტრესულ მდგომარეობაში, რაც მასში წარმოშობს მღელვარებას, დეპრესიას, ნევროზულ განწყობას. შემეცნების დონეზე ეს გამომჟღავნდება, როგორც სიცოცხლის აზრის დაკარგვა და ადამიანი ამ დროს იწყებს სიცოცხლის აზრის ძიებას. ასე რომ, სიცოცხლის აზრის შესახებ საკითხი ჩვეულებრივია ყოველი ადამიანის ცხოვრებაში და ამიტომ, სურს თუ არა მას ეს, შეგნებით უნდა უპასუხოს თავისთავს ამ კითხვაზე. ყველაზე სასურველია, თუ ადამიანი ამ კითხვაზე პასუხს მოძებნის თავისი სიცოცხლის ბედნიერ პერიოდში. სხვანაირად, ცხოვრებამ შეიძლება იგი მაინც აიძულოს ამ კითხვას პასუხი გასცეს ცხოვრებისეულ კრიზისულ სიტუაციებში. თუმცა ამ საკითხში მუდმივ ჩაღრმავებასაც ვერ მოაქვს დადებითი შედეგი – იგი გამოიწვევს ფსიქიკურ დარღვევებს.

თავიდანვე დავაზუსტოთ, რომ უნდა გავარჩიოთ ცხოვრების აზრი და ცხოვრების მიზანი. ცხოვრების მიზანი ისაა, რის მიღებასაც გეგმავს ადამიანი თავისი შემოქმედების პროცესში, ძალიან ფართო გლობალური გაგებით. მიზანი არის ცხოვრებისეული გზის საბოლოო წერტილი. მაშასადამე, ცხოვრების მიზანი პასუხობს კითხვაზე „რა“. ცხოვრების აზრი კი არის ის, რისთვისაც ცხოვრობს ადამიანი და ესაა უმაღლესი რიგის ღირებულების (სარგებლიანობის) მნიშვნელობის მიღება. ეს აზრი განსაზღვრავს იმ მიმართულებას, რომლითაც უნდა იმოძრაოს ადამიანი მიზნის მისაღწევად. ამრიგად, ცხოვრების აზრის ცნება პასუხობს კითხვებს — „საით“ და „რისთვის“. გარდა ამისა, თუ გადანყვეტილებათა მიღების მათემატიკური თეორიის პოზიციიდან განვიხილავთ სისტემას ბუნება-ადამიანი-საზოგადოება, როგორც იერარქიულ სტრუქტურას, მაშინ ერთ დონეზე აზრი წარმოადგენს მეორე დონეზე მიზანს. ქვედა დონის ქვესისტემის მიზანი მოიცემა ზედა დონის სისტემით და ამ ზედა დონეზე ცნობილია აზრი, რომელიც განსაზღვრავს მიზანს. ამავე დროს, ზედა დონის სისტემას აქვს თავისი მიზანი, რომელიც მოიცემა მისი ზედა მაღალი დონის სისტემით, რომელზეც ცნობილია ამ მაღალი დონის სისტემის მიზნის აზრი და ა. შ. ადამიანებთან მიმართებაში აქ უნდა დავაზუსტოთ, რომ ადამიანი არის რთული თვითორგანიზებადი სისტემა, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, არის ცნობიერი არსება, რომელიც ფლობს თავისუფალ არჩევანს, აქვს შესაძლებლობა თვითონ განსაზღვროს თავისი ფუნქციონირების, იგივე ცხოვრების მიზანი.

**განვიხილოთ ცხოვრების არსის განსხვავებული ეტაპები.**

**1. კაცობრიობის ცხოვრების არსი მთელი მსოფლიოს თვალსაზრისით** – ამ ეტაპზე სრულ გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე. კაცობრიობის ცხოვრების არსია მთელი მსოფლიოს იმ გლობალური პრობლემების გადანყვეტა, რომლებზეც თითოეულმა ჩვენგანმა არაფერი ვიცით.

უფრო „მინიერი“ პოზიციით კაცობრიობის ცხოვრების არსის საკითხი დაიყვანება ყველა ადამიანისათვის საერთო საქმის არჩევის საკითხზე, ანუ იმ მიზნის დასმაზე, რომლის შესრულებით კაცობრიობაც დაწყნარდება და თითოეულიც გაიცნობიერებს თავის არსებობას საერთო საქმის შესრულებისათვის. რადგან მოცემულ სიტუაციაში კაცობრიობის ყველა ნააზრევი წარმოადგენს საკმაოდ გაურკვეველს და გლობარულს, ამიტომ ჩვეულებრივ რიგით ადამიანს ცხადია, არა აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამ თვალსაზრისით იფიქროს ცხოვრების არსზე.

**2. ადამიანის ცხოვრების არსი კაცობრიობის თვალსაზრისით** – მოცემული სიტუაცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში იგულისხმება, რომ ადამიანს ცხოვრების მიზანი ენიჭება კონკრეტული საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან. აქ, ფაქტობრივად, ადამიანის შესაბამისი აღზრდის გზით, მისი პირადი ინტერესების სანაცვლოდ წარმოებს მასზე ზემოქმედება, რათა იგი ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს. ამის შედეგად ადამიანი თავისი ცხოვრების აზრს ხედავს საზოგადოებისათვის თავდადებულ და ერთგულ სამსახურში, აუცილებლობის



შემთხვევაში კი, თავგანწირვაშიც. ამ ნაწილის განვითარებას მივყავართ მეორე ნაწილთან – გეოპოლიტიკისა და გლობალური ცივილიზაციის პრობლემებთან. აქ ბუნებრივად არსებობს განსხვავებული პოზიციები. კერძოდ, არსებობს მიდგომა, რომელშიც მტკიცდება, რომ პირადი ინტერესები უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების ინტერესებს, ხოლო საზოგადოების ინტერესები უნდა დაექვემდებაროს ბუნების ინტერესებს. მეორე მხრივ, საყოველთაოდაა მიღებული თანამედროვე დემოკრატიის ლოზუნგი „ცალკეული ინდივიდის ინტერესები უფრო მაღალია მთელი საზოგადოების ინტერესებზე“. ამრიგად, მოცემულ სიტუაციაში ადამიანის ცხოვრების არსი განისაზღვრება საზოგადოების და რიგითი ადამიანის მიზნებით, როდესაც ადამიანი საკუთარი ცხოვრებისეული მიზნების განსაზღვრისას ითვალისწინებს მხოლოდ საზოგადოების მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს შეზღუდვებზე.

**3. ადამიანის ცხოვრების არსი თვით ადამიანის თვალსაზრისით** – ეს სიტუაცია ყველაზე საინტერესოა. აქ მოვიყვანთ რამდენიმე მიდგომას, რომლებიც ნაწილობრივ მონაწილეობს ზემოთ ჩამოთვლილ სიტუაციებში.

**3.1. სინერგეტიკულ-სისტემურ-კიბერნეტიკული მიდგომა** – სინერგეტიკა განსაზღვრავს ღია და ჩაკეტილი სისტემის ფუნქციონირების კანონებს. სისტემური ანალიზი სწავლობს რთული სისტემის იერარქიულ სტრუქტურას და მის ურთიერთკავშირს სხვა სისტემებთან. კიბერნეტიკა ადგენს მართვის დინამიკური სისტემების მუშაობის პრინციპებს. ადამიანი და კაცობრიობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც რთული სისტემა ყველა ჩამოთვლილი დარგის ცოდნათა თვალსაზრისით. ამიტომ, ადამიანის ცხოვრების არსი ყველაზე ზოგადი, ფუნდამენტური პოზიციიდან განისაზღვრება სამყაროს იმ კანონებით, რომლებიც შეისწავლება აღნიშნულ მეცნიერებებში.

ცხადია, მითითებულ მეცნიერებათა სპეციალური შესწავლა და მათი პოზიციებიდან საკუთარი ცხოვრების გააზრება ნაკლებად დაეხმარება რიგით ადამიანს წარმატებით განახორციელოს თავისი სურვილები და მოთხოვნები. ამასთან სასურველია, ადამიანი თავისი საქმიანობის პროცესში იხსენებდეს, რომ მის სიცოცხლეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სხვადასხვა სისტემის ფუნქციონირების ფუნდამენტური კანონები.

**3.2. ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მიდგომა** – კაცობრიობის, როგორც ცოცხალი ბუნების ნაწილს, ყოველი წევრის სიცოცხლის აზრი განისაზღვრება გადარჩენის და მთელი ბიოლოგიური საზოგადოების განვითარების მიზნებით. რაც მეტად წარმატებულად იარსებებს ბიოლოგიური საზოგადოება, მით მეტად გადარცება ცალკეულ ინდივიდთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ შემთხვევაში ცალკეული ადამიანის სიცოცხლე შეიძლება განვიხილოთ როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება თავდაცვის ინსტიქტით. შესაბამისად, სიცოცხლის არსი უნდა ვეძებოთ ორგანიზმის ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. ეს მიდგომა ყველაზე ახლოსაა კონკრეტული ადამიანის ცხოვრებასთან, ვიდრე წინა ვარიანტები.

**3.3. მატერიალისტურ-რაციონალური მიდგომა** – ადამიანს აქვს ცნობიერებით გამოხატული თავისუფლება და მამასადამე, ის თავისუფალია აირჩიოს საკუთარი ცხოვრების აზრი და იცხოვროს იმით. ცხოვრებისეული წარმატების მიღწევისა და ბედნიერებისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანს აქვს მრავალი შესაძლებლობა. კერძოდ:

**ა) თავისი თავის პატივისცემა** – ფიზიკური და ემოციური კმაყოფილების მიღების გზა, როცა ადამიანის ძირითადი ძალები მიმართულია საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ანუ ადამიანი ძირითადად მოქმედებს მატერიალური მოხმარების სფეროში. სიცოცხლის არსის ასეთი ვარიანტი ადამიანის ფიზიკური არსებობის დარგში არგუმენტირებულია „კარგი-ცუდი“ სკალის საშუალებით. ადამიანთა უმრავლესობა, ჩვეულებრივი „საშუალო“ ადამიანები ხელმძღვანელობენ სწორედ ამ ვარიანტით;

**ბ) თვითამაღლება** – ძღვევამოსილების და ძალაუფლების გზა, როცა ადამიანი აღწევს სიმაღლეს და უმაღლეს სოციალურ სტატუსს. ამ ვარიანტის საფუძველში დევს, აგრეთვე ეგოისტური მიმართულება. ამასთან, იგი განსხვავდება წინასაგან, პირველ რიგში, თავისი აქტიურობით;

**გ) თვითგანვითარება** – ესაა ცნობიერების და შემოქმედების გზა, როდესაც ადამიანი აქცენტს აკეთებს თავისი ინტელექტუალური და სულიერი უნარჩვევების განვითარებაზე. ცხადია, იგი არ გამორიცხავს ერთდროულად ფიზიკური და სულიერი უნარჩვევების და აგრეთვე, სოციალური შესაძლებლობების განვითარებას. ამ ვარიანტში ადამიანი ვერ ღებულობს სიამოვნებას მოხმარებისაგან, მხოლოდ განიცდის სიხარულს ცნობიერებისა და შემოქმედებისაგან. აქ, ადამიანის ქმედებები ძირითადად მიეკუთვნება მატერიალური შემოქმედების სფეროს, რადგან ადამიანები, რომლებიც მიდიან ცნობიერებისა და შემოქმედების გზით, ხშირად არიან სამეცნიერო და საინჟინრო დარგების წარმომადგენლები, ან ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები. მათ შრომის ძირითად შედეგებს წარმოადგენს ახალი მატერიალურ-კულტურული ფასეულობების შექმნა. აქ წარმოშობილი ბუნებრივი ადამიანური ეგოიზმი მნიშვნელოვანწილად კონტროლდება დანარჩენ ადამიანებთან ჰარმონიული ურთიერთობების საჭიროების გაცნობიერებით. ამრიგად, ამ ვარიანტის დადებით მხარეს წარმოადგენს პირადი უნარჩვევების გაძლიერებული განვითარება, გარემომცველი სამყაროს გამდიდრება ახალი ღირებულებებით და ჰარმონიული ურთიერთობების სურვილი.

ამასთან, ცხოვრების არსის როლში თვითგანვითარების სრული რეკომენდაცია არ შეიძლება თავისი მნიშვნელოვანი პასიურობის გამო. თვითგანვითარებაში აქცენტი გაკეთებულია თვით ადამიანის უკეთესად ცვლილებაზე და არა მისი გარემომცველი გარემოს ცვლილებაზე. ამასთან, აბსოლუტურად არაა გარანტირებული ადამიანის პოტენციალური შესაძლებლობების რეალიზაცია. ადამიანმა შეიძლება მუდმივად აიმაღლოს თავისი პიროვნული პოტენციალი, მაგრამ ვერასდროს მისი სრული რეალიზება, მიუხედავად მატერიალური შემოქმედების სფეროში თავისი საქმიანობისა. არსებობს მტკიცებულება, რომ, თუ ადამიანი მიდის ცნობიერებისა და შემოქმედების გზით, მაშინ იგი სრულ ბედნიერებას ვერ მიაღწევს, ხოლო ამ გზით მის მიერ მიღებულ სიამოვნებას მხოლოდ სევდის დროებითი გაქარვება შეუძლია;

**დ) თვითრეალიზება** – პიროვნების გზა, როდესაც ადამიანი აქტიურად იყენებს თავის შესაძლებლობებს და გარდაქმნის მის გარემომცველ რეალობას. ეს ვარიანტი განსხვავდება წინასვან იმით, რომ აქ ადგილი აქვს მიზანმიმართულ და მრავლისმომცველ აქტიურობას, თავისი შესაძლებლობების და სურვილების სრულ რეალიზაციას. ამასთან, თვითრეალიზება შეიძლება შეიცავდეს თვითგანვითარებას, როგორც შემადგენელ ნაწილს. ადამიანი ისწრაფის იყოს „ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება“ და აბსოლუტურად წარმატებული ყველა სახის საქმიანობაში (სოციალური, ინტელექტუალური და ა. შ.). ასეთი ქმედებების შედეგების ნაწილი მიეკუთვნება მატერიალური შემოქმედების სფეროს, ნაწილი კი, სულიერი განწყობის სფეროს.

ვფიქრობ, ეს ვარიანტი არის სოციალური არჩევანი ცხოვრების არსის როლში საკმაოდ ინტელექტუალური და სულიერად განვითარებული ადამიანისათვის – ვგულისხმობთ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ სურვილი იცხოვრონ აქტიური სოციალური ცხოვრებით თანამედროვე საზოგადოებაში;

**ე) თვითინტეგრაცია** – გზა სიბრძნისა და ბედნიერების, როდესაც ადამიანი ხდება სრულად თვითსაკმარისი და ერთიანი პიროვნება. ეს ვარიანტი მიუთითებს იმაზე, რომ ცხოვრების არსია ბედნიერება და სიბრძნე. თუ იცხოვრე ბედნიერად, მასასადამე შენს ცხოვრებას ჰქონდა აზრი. რჩება პასუხი გასაცემი მხოლოდ კითხვაზე, როგორ უნდა გახდე ბედნიერი. აქ პასუხის ორი ვარიანტია შესაძლებელი.

პასუხის პირველი ვარიანტი ეფუძვნება აღმოსავლურ ფილოსოფიას და მდგომარეობს შემდეგში: ბედნიერება – ესაა ტანჯვა-წამებათა არარსებობა, რომლებიც წარმოიშობა სურვილებით ან შიშებით. მაშასადამე, ბედნიერება წარმოიშვა გარემომცველ რეალობასთან ჰარმონიის საფუძველზე. აქედან დასკვნა: თავიდან უნდა გახდე ბედნიერი, ხოლო შემდეგ, როგორც ბედნიერი მდგომარეობის შედეგი. ადამიანი აღწევს წარმატებებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამასთან, წარმოიშობა შემდეგი კითხვები: როგორი ხერხით მოვიცილოთ საკუთარი ცხოვრებიდან ყველა სურვილი – შიშები და მივალნიოთ ჰარმონიულ ბედნიერ მდგომარეობას, აგრეთვე რაში მდგომარეობს ცხოვრებისეული წარმატებები და უნდა კი იგი ადამიანს, თუ მას არ

დარჩება არავითარი სურვილი? ამ კითხვაზე პასუხები გულისხმობს აღმოსავლური ფილოსოფიის უფრო ღრმად გაცნობას.

რა თქმა უნდა, ბედნიერების განმსაზღვრელ ამ პირველი ვარიანტის სარგებლიანობას გვერდს ვერ ავუვლი, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია პასუხის მეორე ვარიანტი, რომელიც ეფუძნება ტრადიციულ დასავლურ კულტურას. აქ სიბრძნე და ბედნიერება წარმოადგენს თვითრეალიზაციის პროცესის ლოგიკურ დასასრულს. ამასთან, რადგან ახლანდელი დრო უფრო პრაგმატიზმის ეპოქაა, ამიტომ თანამედროვე სოციალურ გარემოში ადამიანის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოთხოვნათა იერარქია ანუ ადამიანმა აუცილებლად უნდა მოახდინოს ჩამოთვლილ მიზანთა შემდეგი მიმდევრობით რეალიზება: ა) თავისი თავის პატივისცემა; ბ) თვითამაღლება; გ) თვითგანვითარება; დ) თვითრეალიზება.

რაც შეეხება ე) თვითინეგრაციის მიზანს, ამ დონეზე ადამიანი აბსოლუტურად წარმატებულია თავის ყველა საქმინობაში. ამის შედეგად ის უფრო სრული თვითანალიზისათვის და თავისი ცხოვრების გააზრებისათვის ღებულობს თავის თავში ჩაღრმავების შესაძლებლობას. თუ ასეთი თვითანალიზი ჩატარდება კონსტრუქციულად, მაშინ ინტელექტუალურ დონეზე ამას მივყავართ სიბრძნესთან, ემოციურ დონეზე კი – ბედნიერების გრძნობასთან. რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელმაც წარმატებით იცხოვრა რომელიმე დონეზე (მიზნით) ა) დ) და დაინახა ცხოვრების არსი მასში, ასევე შეუძლია განიცადოს ბედნიერების გრძნობა, რადგან იგი განსაკუთრებით ინდივიდუალურია. ამასთან, ეს იქნება ნაწილობრივი ბედნიერება, რომლითაც ეუფლება ადამიანური ცხოვრების მხოლოდ ცალკეულ მხარეებს, განსხვავებით ყოვლისმომცველი ბედნიერებისაგან, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ე) დონეზე.

ასე, რომ მუდმივად წარმოებს მსჯელობა დილემაზე: ადამიანს უნდა „ჰქონდეს“, თუ იგი უნდა „იყოს“. უფრო მეტად კეთდება დასკვნა, რომ ადამიანი უნდა „იყოს“. მაშასადამე, ადამიანი თავის ცხოვრებაში არ უნდა გაჩერდეს ა) ან ბ) დონეზე, რომლებიც აღნიშნავს „ჰქონდეს“. მაშასადამე, ადამიანი უნდა ცხოვრობდეს გ), დ), ე) მიზნებითაც.

ამრიგად, სიცოცხლისა და ცხოვრების აზრის სისტემური ანალიზი ასაბუთებს, რომ ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდმივად იმყოფება ძიებაში – რა ქნას, როგორ მოიქცეს, რა აირჩიოს მისი ცხოვრების ძირითად მიზნად, რისი შესაძლებლობები აქვს მას ღმერთისაგან ბოძებული და როგორ მოახდინოს თავისი თავის რეალიზება. მაშასადამე, ადამიანი მუდმივი გადანყვეტილებების ძიების პროცესში იმყოფება და თავისი არჩევანი მანვე უნდა გადანყვეტილოს, თანაც ეს არჩევანი უნდა იყოს ოპტიმალური. ამავე დროს, აქ მოყვანილი დონეებიც უნდა გაითვალისწინოს და შეეცადოს ყველა ნაბიჯზე გადანყვეტილებათა მიღების მათემატიკური თეორიის შესაბამისი პრინციპები და დებულებები გამოიყენოს.

ადამიანს ყოველი მიზნის განხორციელებისათვის ადამიანებთან უნევს ურთიერთობები, **ანუ ცხოვრება თამაშია** და მისი გადანყვეტილების ოპტიმალურობა უნდა გულისხმობდეს მის მონაწილეობას წესიერ თამაშებში და ასეთ თამაშებში, ნების აზრით, სამართლიან და წონასწორულ ურთიერთობებს. თითოეული ადამიანი ასეთი ქმედებით უნდა ცდილობდეს მის გარშემო შექმნას ისეთი განწონასწორებული გარემო, სადაც ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ და მათ შორის სასიამოვნო დამოკიდებულებებია, რომლის შედეგად მათ უნდა მიიღონ ყოველდღიური სარგებლიანობა. თუ ადამიანის გამიზნული გამეორებითი ქმედებები არ დაექვემდებარება ამ პრინციპს, მაშინ მან უნდა იცოდეს, რომ ახლა წესების დარღვევისათვის იგი დაისჯება მომავალში – ამას ამბობს თამაშთა მათემატიკური თეორიის ებრაელი სპეციალისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, რ. აუმანის მიერ დამტკიცებული მათემატიკური დებულება, რომელიც „სახალხო თეორემის“ სახელითაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანისათვის თავისი სიცოცხლისა და ცხოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში სიმართლე და სამართლიანობა უნდა იყოს უპირველესი მოთხოვნა. უნდა გვახსოვდეს, რომ ტყუილი – მხოლოდ გონებაშეზღუდული ადამიანისთვისაა ერთადერთი საუკეთესო სტრატეგია.

## თაიშურაზ ალაიშვილი

პროფესორი

### აკადემიკოსი ნოდარ ამალლობელი სახელოვანი მეცნიერი და სიკეთის მთესველი კაცი

როდესაც აკადემიკოსი ნოდარ ამალლობელის სახელგანთქმული ფიგურის წარმოჩენას ცდილობ, ავტობიოგრაფიულ თვალში საცემი ხდება მისი ბუნებრივი ჰარმონიული მრავალმხრივობა. მან თანაბარი წარმატებით გამოიჩინა თავი როგორც მეცნიერმა-მკვლევარმა და მეცნიერების ორგანიზატორმა, ისე უმაღლესი განათლების სფეროში და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე პიროვნებად და ყოველთვის და ყველა თანამდებობაზე მთელი თავისი ნიჭითა და უშრეტი ენერჯით საკუთარი ქვეყნის მეცნიერების წინსვლას, მოწინავე საერთაშორისო დონეზე მის აყვანას ემსახურებოდა.

ბატონი ნოდარი იყო მსოფლიო სახელის მქონე ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სფეროს, საქართველოში მის დანერგვასა და განვითარებას და სათანადო განათლებითა და კადრებით უზრუნველყოფას.

შეიძლება ყველამ არ იცის, რომ ამ სახელოვან პიროვნებას ვანური წარმოშობის ფესვები აქვს. მისი წინაპრები სოფელ ამალლებიდან ყოფილან, ხოლო მამა სამხედრო მოსამსახურე – ბატონი სარდიონ ამალლობელი, სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლა გომში დაბადებული და შემდეგ თბილისში გადასულა საცხოვრებლად და დაქორწინებული პროფესორი ექიმ – ნინო ჯაფარიძეზე.

თვით ბატონი ნოდარი 1930 წლის 24 აგვისტოს დაიბადა ქალაქ თბილისში. 1948 წელს ქობულეთის, აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1953 წელს.

ბატონმა ნოდარმა სტუდენტობის პერიოდიდანვე დაიწყო მუშაობა თსუ ფიზიკის ფაკულტეტის ნივთიერების აღნაგობის კათედრაზე ლაბორანტად. 1954 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მისი კურსის გასავლელად მოსკოვის ოლქის ქალაქ დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში მიავლინეს. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ცნობილი აკადემიკოსი ბენედიქტე ჯელეპოვი.

1962 წელს ნ. ამალლობელი იცავს დისერტაციას თემაზე „580 და 530 მევ. ენერჯიების ნეიტრონების დრეკადი გაბნევა პროტონებზე π – მეზონების ნუკლონთან ურთიერთქმედების კონსტანტა“ რომლის შემდეგაც მას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ამავე წლიდან ის მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში, ჯერ უფროს მეცნიერთანამშრომლად, ხოლო 1963 წლიდან ამავე ლაბორატორიის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგეა, რომელიც შემდგომში მაღალი ენერჯიების ფიზიკის პრობლემურ ლაბორატორიად გადაკეთდა.

1975 წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ნოდარ ამალლობელი იცავს დისერტაციას თემაზე: „უცნაური ნაწილაკების A0 ჰიპერონებისა და K0 მეზონების დაბადებით მიმდინარე მრავალნაწილაკიანი პროცესების ექსპერიმენტული გამოკვლევა π – მეზონების ნუკლონთან ურთიერთქმედებისას 40 გეე. იმპულსის დროს“.

ბატონი ნოდარი მეცნიერებაში და კერძოდ, მაღალი ენერჯიების ფიზიკაში შეტანილი წვლილისათვის 1979 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპოდენტად, ხოლო 1988 წელს აკადემიკოსად აირჩიეს.

1979 წელს მაღალი ენერგიების ფიზიკის პრობლემური ლაბორატორია გადაკეთდა უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტად, რომლის დირექტორადაც ბატონი ნოდარ ამალობელი დაინიშნა. ის ამ თანამდებობაზე დარჩა (საზოგადოებრივ საწყისებზე) ჯერ 1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო დარგის პრორექტორად და 1985 წლიდან ამავე უნივერსიტეტის რექტორად არჩევის შემდეგაც. 1989 წლის მარტიდან 1991 წლის იანვრამდის არჩეული იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად.

1976 წელს პროტონებისა და ნახშირბადის ბირთვებთან მეზონების ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი უცნაური ნაწილაკისადმი მიძღვნილი შრომების ციკლისთვის აკადემიკოს ნ. ამალობელს პ. მელიქიშვილის სახელობის, ხოლო 1986 წელს კი ახალი ვიწრო ბარიონული რეზონანსის აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1992 წელს საქართველო მიღებული იქნა ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის სრულუფლებიან წევრად. ამ დროს ის ინიშნება აღნიშნული საერთაშორისო სტატუსის ინსტიტუტში სრულუფლებიან წარმომადგენლად.

1995 წლის ნოემბრიდან აკადემიკოსი ნოდარ ამალობელი არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, რომელშიც 2003 წლამდე იმოღვანა და ხელმძღვანელობდა განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტს.

1998 წელს სახელოვანი მეცნიერი დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში წარმატებული სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობისათვის „ღირსების“ ორდენით დაჯილდოვდა.

ბატონმა ნოდარმა შექმნა ტრადიციული ქართული ოჯახი, ქალბატონი მერი გეთია, ასევე ფიზიკოსი გახლდათ. ვაჟიშვილი – არჩილი, 1962 წელს დაიბადა, მამის კვალს გაჰყვა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგაც ბევრს გააკეთებდა მეცნიერებაში, მაგრამ 1992 წლის ნოემბერში ტრაგიკულად დაიღუპა აფხაზეთში, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში. ქალიშვილი – ნინო, დაბადებული 1966 წ. თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის, იმუნოლოგიის კათედრის პროფესორია. ორი შვილიშვილი – არჩილი და ნინო ბერიძეები სტუდენტებია.

აკადემიკოს ნოდარ ამალობელის ხელმძღვანელობით დაცულია 12 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია. ასე, რომ ბატონი ნოდარი სამართლიანად ითვლება მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში ქართული ფიზიკური სკოლის ფუძემდებლად.

ბატონი ნოდარი იყო პრინციპული და სამართლიანი პიროვნება. სიმართლისა და კანონიერებისათვის მას შეეძლო კოლეგებსა და ხელმძღვანელობასაც დაპირისპირებოდა.

1967 წელს დავამთავრე ყუმურის საშუალო სკოლა და მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტს მივადექი. მათემატიკის ზეპირ გამოცდაზე კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა გამომცდელთან. აშკარად ჩანდა, რომ რალაც გაურკვეველი პრინციპებიდან გამომდინარე, ნიშნის დაკლება სურდა. გამომცდას ბატონი ნოდარიც ესწრებოდა... როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მან მოგვისმინა ორივეს – მეც და გამომცდელსაც (სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს) და წამოჭრილი წინააღმდეგობა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა, თან დასძინა: სოფლიდან ჩამოსულებს მეტი გულისხმიერებით მოეპყარითო.

კი მართალია, სტუდენტობის პერიოდში ჩემთვის პირადად არ უსწავლებია, მაგრამ მაინც მესმოდა ხოლმე მისი მაღალი ავტორიტეტისა და ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ. თუმცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არაერთი საქმიანი კონტაქტი მქონია ბატონ ნოდართან. აი, თუნდაც ერთი ასეთი შემთხვევა: 1988 წლის დეკემბერში საკავშირო მთავრობის სპეციალური დადგენილების საფუძველზე ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტში შეიქმნა ქვეყნის დასავლეთ რეგიონში პირველი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება ფიზიკისა და საერთოდ, საბუნებისმეტყველო მიმართულებების კოსმოფიზიკური გამოკვლევების პრობლემური ლაბორატორია ობსერვატორიითურთ, რომელიც შემდეგ კოსმოფიზიკისა და ატმოსფეროს ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდა.

ობსერვატორია წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა ვანის რაიონის სოფელ ყუმურში და არაერთი პრიორიტეტული სამეცნიერო შედეგი იქნა მიღებული. მრავალი ხელშეკრულება გაფორმდა ქვეყნისა და უცხოეთის რიგ სამეცნიერო ცენტრებთან. ანალოგიური ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დაიდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც, რომლის რექტორიც იმ პერიოდში (1990 წელი) ბატონი ნოდარი გახლდათ. მან ყურადღებით წაიკითხა ხელშეკრულების ტექსტი, დეტალურად გამოიკითხა ჩვენი ორგანიზაციის შესახებ, დაინტერესდა მისი სამეცნიერო პოტენციალითა და მიღწევებით და ძალზედ კმაყოფილმა, რომ მის მშობლიურ კუთხეში ასეთი მეცნიერების კერა არსებობდა მოაწერა ხელი ხელშეკრულების იურიდიულ დოკუმენტს, თან მხარდაჭერა და გვერდში დგომაც აღმითქვა, როგორც საქართველოში და კერძოდ, მის დასავლეთ რეგიონში, მეცნიერული კვლევის განვითარებისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის დიდმა მოამაგემ.

აკადემიკოსი ნოდარ ამალლობელი კიდევ უფრო მეტს გააკეთებდა ქართული მეცნიერებისა და განათლების განვითარებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ 2004 წელს ნაადრევად შეწყდა მისი მარჯისცემა და მისმა უკვდავმა სულმა სამარადისო სასუფეველში დაივანა.

ბატონი ნოდარის მთავარი დამსახურება მაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალი ენერჯიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და დღესაც წარმატებული ფუნქციონირებაა, რომლის საერთაშორისო აღიარება-დაფასებაში გადამწყვეტი როლი ამ სახელგანთქმული მეცნიერის ორმოცწლიანმა დაუღალავმა მოღვაწეობამ ითამაშა.

აკადემიკოსი ნოდარ ამალლობელი უმანკო ადამიანი იყო. მას არ შეეძლო გულში ვინმეზე ცუდი გაეგლო და ვერც სხვისგან წარმოედგინა რაიმე ცუდი მის მიმართ, მაგრამ ცხოვრება ხშირად არც ისე იდეალურია და ხშირად თან ახლავს არასასურველი მომენტები. როდესაც ბატონ ნოდარს მიუთითებდნენ ხოლმე ასეთ ფაქტებზე და გარკვეულ რეაგირებას თხოვდნენ მასზე, როგორც წესი მისი პასუხი ასეთი იყო: „მისთვის ისიც სასჯელია, რომ იგი ასეთია და რაღა დასჯა უნდაო.“

ბატონი ნოდარის საერთაშორისო აღიარების ერთ-ერთი დადასტურებაა ისიც, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული საერთაშორისო ინსტიტუტის ერთი მოზრდილი ხეივანი მის დაუფინყარ სახელს ატარებს.

# შუვილი შორეულ ტალღათა

ლადო სულაბერიძე (უმცროსი)

## ასეთი იყო ნება მისი

ლადო სულაბერიძე, 1919-1993 – თითქმის ფერგადასული თეთრი წარწერა უბრალო საფლავის ქვაზე (და არა მარმარილოზე), საბურთალოს სასაფლაოზე (და არა პანთეონში).. სამაგიეროდ, მისი უსაყვარლესი ადამიანების, მისი მშობლების გვერდით, მშობლების სახელზე თავისივე ხელით დარგული და ზეცაში აწვერილი კვიპაროსების ქვეშ და რაც მთავარია, ქართულ მიწაში.ერთხელაც ოჯახი ლადო ბაბუს(ასე ვეძახდით) საფლავს ხელს შეავლებს და განაახლებს, მაგრამ დღეს მასზე ისეთივე უბრალოება განისვენებს, როგორი უბრალო ადამიანიც იყო თავად.

სწორედ ეს უბრალოება და დიდი სიყვარული ქართული მიწისა და მშობლების მიმართ არაფერზე არ გაცვლა 1945-ში და მასზე შეყვარებულ გერმანელ გოგონას, თანაც, წარჩინებულთა ოჯახიდან, უარით უპასუხა მასთან ერთად გერმანიაში გადასვლაზე. ემიგრაციაში ლადო სულაბერიძე თავისუფალი იქნებოდა, არ იქნებოდა პატიმარი, ემიგრაციაშიც პოეტი იქნებოდა, შესაძლოა, შემოსავლიანიც. ემიგრაციაშიც ეყოლებოდა შვილები და შვილიშვილები...მაგრამ ველარასდროს ჩაეხუტებოდა დედას, მამას, ძმას და ვერასდროს მოიკლავდა მათი მონატრების წყურვილს, ვერ დაწერდა ისეთ ლექსებს, როგორსაც აქ წერდა...ვერ იქცეოდა ქართულ მიწად გარდაცვალების შემდეგ!

ლექსში „სამოთხე“, რომელიც აგერ, ჩემი შვილების სამეცადინო მაგიდის წინ კედელზეა გაკრული, სწორედ ეს ემოციაა გადმოცემული და იმიტომაცაა კედელზე გაკრული, როგორც ხატი... როგორც გოლგოთასეული ჯვარი... როგორც სახარებისეული მცნება... როგორც ანდერძი.

\*\*\*

## სამოთხა

მართლა რომ მოვხვდე სამოთხეში,  
არ არის საცა  
ალარც ტანჯვა და ალარც სენი,  
ცრემლების ღვრაცა,  
ალარც შიმშილი, არც ტყვეობა,  
ალარც ჯალათი,

წუთისოფელი თავის ჩარხით,  
თავის ჯარათი,  
ალარცა ლტოლვა, ალარც ნგრევა,  
ალარც შენება...  
მართლა რომ მოვხვდე სამოთხეში,  
რა მეშველება?!

ოცდაოთხი წელი გავიდა მას მერე, რაც ლადო ბაბუ აღარ გვყავს.  
...და ახდა ნება ტანჯულისა, სნეულისა, პატიმრისა, წამებულისა, მაგრამ გამარჯვებულის, თავისუფალის, მამულიშვილის, შვილის, მამის, ბაბუის... ნება პოეტისა:  
დღეს იგი ქართული მიწა!

## ცხადი განსაცდელისა და სიზმარი გადარჩენისა

### ოჯახი

დაიბადა 1919 წლის 20 აპრილს, ვანის რაიონის სოფელ შუამთაში. პოეტის მამა, სიმონ პორფილეს ძე სულაბერიძე პირველი მსოფლიო ომის დროს მეფის არმიის პორუჩიკი იყო; იბრძოდა თურქეთში. იგი ვანის რაიონის სოფელ შუამთაში დაიბადა 1885 წელს. დაამთავრა ხონის ოთხწლიანი გიმნაზია. ჯარიდან დაბრუნებული მენშევიკურ პარტიაში შევიდა. საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ მენშევიკური კარიერა დაგმო: თბილისში გამართულ ყოფილ მენშევიკთა ყრილობაზე მენშევიკური პლატფორმა უარყო და ბოლშევიკებს მიემხრო. ამის

შემდეგ კომუნისტური პარტიის წევრადაც მიუღიათ, საიდანაც 1937 წელს გარიცხეს. სათავგადასავლო რომანში “ცხადსიზმარიანა”(1991-1993წწ), ლადო სულაბერიძე მამის შესახებ წერს:

„ვანის სოფლის, შუამთის აღმასკომის თავმჯდომარეობის დროს მშობლიურ სოფელ შუამთაში ეკლესია დაანგრევინა და ჩვენი სახლის გვერდით საშუალო სკოლის შენება დაიწყო, დანგრეული ეკლესიის ქვები სკოლის სამშენებლო მასალად გამოიყენა. მოგვიანებით ვსაყვედურობდი, ეკლესია რად დაანგრეთ-მეთქი. სკოლა მინდოდა რომ ყოფილიყო სოფელში, მწარედ მაგონდებოდა, ხონში რომ დავდიოდი სასწავლებელში, დედაჩემი ქირას ვერ უმკლავდებოდა. ყოველ კვირაში ჩამოვდიოდი ფეხით, ავიკიდებდი ფქვილს და ლობიოს და ისევ ფეხით მიმეჩქარებოდა ხონისკენ. თუ გზაში ვინმე მეურმე ურემზე დამაჯენდა და ერთხანს ასე მატარებდა, ხომ კაი, თუ არადა, ფეხით ჩავდიოდი ხონშიო; თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია ასეთი რამე, მინდოდა, ჩვენი სოფლის ბავშვები აღარ გატანჯულიყვნენ ასეო.“

დედა, მარიამ პავლეს ასული ნამიჭეიშვილი-სულაბერიძისა დაიბადა 1890 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა ვანში. დაწყებითი განათლება არ მიუღია; წერა-კითხვა შინ, თავისით უსწავლია. (ლ.ს. “ცხადსიზმარიანა”)

### ადრეული წლები

ლადო სულაბერიძე თავის ბავშვობას ასე იხსენებს:

„ბავშვობაშიც კი ჭირივით სძულდა სათამაშო თოფი და ხმალი. შურდულიც არ უყვარდა, შვილდ-ისარისთვისაც არ იკლავდა თავს. საპნის ბუშტების გაშვება იყო მისთვის ყველაზე მომხიბლავი სათამაშო. მიაჩერდებოდა ჰაერში ალივლივებულ საპნის ბუშტს, მასზე აციმციმებულ თვალშეუვლებ თხელ ფერებს მიაღვენებდა თვალს და გასკდებოდა თუ არა ჰაერში ბუშტი, მაშინვე, იმწამსვე მეორეს მიაღვენებდა. თვითონ ბუშტი კი არ აოცებდა, მასზე ალივლივებული თხელი ფერების თვალთვალი იტაცებდა მუდამ. ამის გარდა, ჯოხის ცხენზე ამხედრება უყვარდა ხანდახან. გამოედევნებოდნენთოფიანი და ხმლიანი თანატოლები, აგრეთვე ჯოხის ცხენზე ამხედრებულნი, გაუბოდა თავგანწირვით თოფიანებსა და ხმლიანებს. ვერ ეწეოდნენ.“

(ლ.ს. „ცხადსიზმარიანა“, 1993 წ)

1926 წლიდან სიმონ სულაბერიძემ თავისი ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადაიყვანა, სადაც ცხაკაიას ქუჩაზე №36 სახლში დასახლდა.

„მეოთხე თუ მეხუთე კლასიდან დავიწყე ლექსების წერა. ერთხანს, მამაჩემის გარდა, არავინ იცოდა, რომ ვწერდი. მერე შევხვდი ჩემ თანატოლ პოეტს გრიგოლ იმედაძეს, რომელიც საფიჩხიაზე ცხოვრობდა ჩემს სახლთან ახლოს... ის პირველი მეგობარი იყო, რომელსაც ნავუკითხე ჩემი ლექსები... მერე და მერე ქალაქის ახალგაზრდა, დამწყებ მწერალთა წრეშიც შევდგით ფეხი.“ (ლ.ს. „ცხადსიზმარიანა“)

1935 წელს, შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მამამ ლადო სულაბერიძე ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შეიყვანა, სადაც მისი პოეტური ნიჭი მისმა ქართულის მასწავლებელმა მიხეილ მახათაძემ შენიშნა.

„მესამე კურსზე რომ გადავედი, მითხრა, ტექნიკუმი შენი საქმე არ არის, მე მეორე საშუალო სკოლაშიც ვასწავლი, იქ გადაგიყვან, შენთვის ეს უფრო სასარგებლო იქნებაო“ (ლ.ს. „ცხადსიზმარიანა“).

ქუთაისის მეორე სანიმუშო საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლის დროს ლადო სულაბერიძის ლექსები საქალაქო გაზეთში უკვე მრავლად იბეჭდებოდა. იგი მონაწილეობდა ქუთაისის მწერალთა კავშირის მიერ გამართულ საღამოებშიც.

„რამდენიმე თვის შემდეგ საშუალო სკოლას ვამთავრებდი. გამოცდები ხუთებზე ჩავაბარე, მხოლოდ რუსულში გამომყვა ოთხიანი. გამოცდების დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩავატარეთ კომკავშირის ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. ვრცელი მოხსენება დავწერე, სათქმელი ჩვენი მუშაობის შესახებ მართლაც ბევრი მქონდა. კრება ჩავატარეთ სამასწავლებლო ოთახში. კრებაზე მოვიდა პარტიის რაიკომიდან გამოგზავნილი პიროვნება... მოხსენების კითხვა დავამთავრე თუ არა, რაიკომის წარმომადგენელმა თავმჯდომარეს სიტყვა



თხოვა. წამოდგა და თქვა, მდივანმა კარგად შეფერადებული მოხსენება წარმოგვიდგინა, მაგრამ არცერთმა თქვენთაგანმა არ იცით, რომ მამამისი პარტიიდან არის გარიცხული, როგორც ყოფილი მენშევიკი; ეს ამბავი მას თქვენს წინაშე არ განუცხადებია, რატომ არ აღიარა ეს, რატომ დამალა?! და იგი კომკავშირიდან გარიცხეს.

1938 წელს ძმები ლადო და შოთა სულაბერიძეები სწავლის გაგრძელების მიზნით თბილისში ჩამოდიან. ამასთან, კომკავშირიდან უსამართლოდ გარიცხვის გამო ლადო სულაბერიძემ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში საჩივარი შეიტანა და აღადგინეს კიდეც, კომკავშირში აღდგენა ლადო სულაბერიძეს უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად სჭირდებოდა. იმავე წელს ლადო სულაბერიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მისი ძმა კი – სამედიცინო ინსტიტუტში.

„1939 წელს მამაჩემიც გადმოზარგდა ჩვენთან. გაერიდა ქუთაისს, სადაც 1926 წლის შემდეგ ვცხოვრობდით. პარტიიდან გარიცხეს, თანამდებობიდან გაათავისუფლეს, არსად სამსახურში აღარ ჩააყენეს, მეგობრებმა საბუღალტრო კურსებზე ჩარიცხეს, სამ თვეში დაამთავრებინეს, ბუღალტრობის საბუთი მისცეს და რომელიღაც კუსტარულ საამქროებში მუშაობდა ბუღალტრად. ასე გვპატრონობდა ორ სტუდენტს თბილისში.“ (ლ.ს. „ცხადსიზმარიანა“)

### ომი და პოეტი

1941 წლის 5 აგვისტოს ლადო სულაბერიძე „დიდ სამამულო“ ომში გაიწვიეს. 1942 წლის 18 მაისს ქერჩთან მძიმედ დაჭრილი ლადო გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. თავდაპირველად, ორი თვის განმავლობაში ფეოდოსიის ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდა. იქიდან დასავლეთ უკრაინის ქალაქ ვლადიმერო-ვოლინსკის ტყვეთა სიკვდილის ლაგერში გადაიყვანეს.

### „ჩეკა“ და დაპატიმრება

ლადო სულაბერიძე თბილისში 1945 წლის დეკემბერში დაბრუნდა. 1947 წლის დასაწყისში მწერალთა კავშირის მამინდელმა თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა ლადო სულაბერიძეს ურჩია, დაენერა განცხადება მწერალთა კავშირის წევრად მისი მიღების შესახებ. განცხადების დანერის შემდეგ ლადო სულაბერიძე მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს. მას ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური კომიტეტის მდივნობაც ჩააბარეს. იმავე წელს მან შეადგინა ლექსების პირველი კრებული „ყირიმის ღამეები“ და გამოსაცემად გამომცემლობა „საბლიტგამში“ ჩააბარა. 1948 წელს „ყირიმის ღამეები“ გამოიცა.

1948 წლის 7 მარტს თბილისის უშიშროების, თანამშრომლებმა ლადო სულაბერიძე როგორც ტყვედყოფილი დააპატიმრეს. პირველი წიგნის გამოცემის გარდა, პოეტი პირველი შვილის დაბადებას ელოდებოდა. სასამართლომ მას ციხიბრში ოცდახუთწლიანი კატორღა მიუსაჯა.

„და როდესაც სამეულის სასამართლო პროცესზე გამომიციხადეს, 25 წლის პატიმრობა მოგესაჯაო, იქვე ჩავჯექი, ქვითინი ამიტყდა... არა, ეს არ იყო მწუხარების ცრემლები, სიხარულმა ამიტანა უცებ... იმისა იყო ის ცრემლებიც სიხარულისა, გადარჩენისა, ოცდახუთი წლის კატორღას სიკვდილი კი სჯობდა ჩეკისტების ხელში, მაგრამ იმ წუთს მე ამის გააზრება ვერ შევძელი, ცოცხლად დარჩენა ვამჯობინე“ (ლ.ს. „ცხადსიზმარიანა“).

დაპატიმრებიდან ოცი დღის შემდეგ „ჩეკას“ შინაგანი ციხის 37-ე საკანში ლადო სულაბერიძეს აცნობეს, რომ პირველი შვილი, ვაჟი შეეძინა.

„იმის იმედი არა მქონდა, რომ ოცდახუთი წლის კატორღას გავუძლებდი, მაგრამ ავადმყოფურად სასომიხდილი მაინც არ ვიყავი. შვილმა და ლექსებმა ის საზრუნავი გამიჩინეს, რომ მათზე მეფიქრა; რაკი მათზე ვფიქრობდი, სანამ გავძლებდი, აზრი მიეცა ჩემ გატანჯულ არსებობას: მათში უნდა გაგრძელებულიყო ჩემი კაცური და პოეტური სიცოცხლე. ეს ორი ბურჯი შემიდგა ჩრდილოეთის ყინულეთში და აკი რვა წელიწადი გამაძლებინა“ (ლ.ს. „ცხადსიზმარიანა“).

უმძიმესი პირობების მიუხედავად, გაციმბირებული ლადო სულაბერიძე ლექსების წერას მალულად მაინც ახერხებს. 1950-1954 წლებში ცემენტის ყუთების ქალაქისგან თავისი ხელით შეკრულ ორ პატარა წიგნაკში მან 67 ლექსი და 8 პოემა ჩაწერა, რომელიც ადრე გათ-

ავისუფლებულმა ქართველმა მეგობრებმა გულაგის ლაგერიდან ფარულად გამოიტანეს და თბილისში ლადო სულაბერიძის მშობლებს ჩააბარეს.

1955 წლის იანვარში გულაგის ლაგერიდან ლადო სულაბერიძე მაგადანის კოლონიაში დააბრუნეს, სადაც პატიმარი ჭაბუა ამირეჯიბი გაიცნო. ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად ლადო სულაბერიძე მაგადანიდან ირკუტსკის ოლქში, ოსტროვოს ლაგერში გადაიყვანეს.

სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულებით, ამნისტირებული უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941-1945 წლებში ხელმოკლეობისა და შეუგნებლობის გამო ჩათრეული აღმოჩნდნენ გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობაში.

1956 წლის იანვარში ამნისტირებული ლადო სულაბერიძე თბილისში დაბრუნდა.

„შვილი ქალაქში არ დამიხვდა, სოფელში ყოფილიყო და მეც მაშინვე მისკენ გავეშურე. ავთანდილი ორლობიდან მეზობლის ეზოში დამანახეს; დამრეცი ფერდობის ბოლოს ბავშვებთან თამაშობდა, დედამისმა დაუძახა, ხუტუნა, მამა ჩამოვიდაო. შემომაჩერდა იქიდან, მაგრამ არ გამოქანებულა. რა თქმა უნდა, უცხო ვიყავი მისთვის, ნაამბობებს ვერ ერწმუნა, ბავშვური წარმოსახვა არ ეყო იმისათვის, რომ გაენივებია ნაამბობი.

\* \* \*

„აი, რაცა მაქვს ამქვეყნად განძი“...

მისი ამქვეყნიური განძი იყო ვანი, მისი მამული, კარ-მიდამო შუამთაში, რომელიც ალბათ მაშინაც მაშინვე თვალწინ გადაეშალა, როცა იმ გერმანელი გოგონას თხოვნას ისმენდა გერმანიაში გაქცევის შესახებ... კარ-მიდამო, სადაც მისთვის უსაყვარლესი სულაბერიძეები ფუსფუსებდნენ, განსაკუთრებით მამის ძმა, კირილე ბიძია. მამას, სიმონის თავისი ოჯახი იმდროისთვის უკვე თბილისში ჰყავდა გადაყვანილი, მაგრამ ლადო ბაბუს თავის „პარალელურ ცხოვრებაში“ შუამთა არასდროს დაუტოვებია. დიახ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ის პარალელურად შუამთაში ცხოვრობდა, საიდანაც არსად არასდროს არ წასულა და არც წავიდოდა, მითუმეტეს, შორეულ გერმანიაში. თავის ამ პარალელურ სიცოცხლეში ის ხან შუამთის ბალახზე მორბენალ ბავშვად გადაიქცეოდა, ხანაც შუამთის მთებად, ბილიკებად, წყაროდ, მდინარედ, ზეცად და ზეცაში აწვერილ ნაძვებად.

\* \* \*

ჩემი შუამთის და ჩემი ვანის  
წყარონი,  
ხენი,  
ლელენი,  
მთანნი,  
ცად შეტყორცნილი გადიდის ნაძვი

და სამარხები ანტიკურ ხანის.  
აი, რაცა მაქვს ამქვეყნად განძი,  
აი, სად მრჩება მარწყვი და ხენდრო.  
მე თუნდაც მომკალ და ჯვარზე მაცვი,  
ოლონდ მამული მიცოცხლე, ღმერთო.

\* \* \*

ზედავანს იქით დიდი მთებია,  
მე იმათ ახლოს მყავდა ბებია...  
იმათ ბეჭებზე ნაძვები დგანან,  
ირხევიან და ცას ეხებიან,  
ცაში შერჭობილ შუბებსა ჰგვანან,  
ისინი ჩემი ტკბილი დებია,

მათთან ბებია მიმღერდა ნანას,  
მე იმათ ახლოს მყავდა ბებია...  
მათი შრიალი მე მახარებდა,  
მათი ჩრდილები მე შემეხებია.  
და გაქროლება იმათ ქარებთან,  
ჰოი, რამდენჯერ მომნატრებია.

\* \* \*

### ჩემი შუამთა

იქ ნასაყდრალი... იქ ნაციხარი...	მე შორი გზებიც ველარა დამლლის,
პაპის პაპათა გამძლე ფუძენი.	ამ ბილიკებზე ნარბენს ყრმობისას.
იმ ნასაყდრალთან ვაძოვე ხარი,	შევგვიანდები? არც ერთი ძალი
იმ ნაციხართან ვკრიფე ყურძენი.	არ შემომეყვავს მე ამ სოფლისა.
ნასერელაში წყალი დავნაჭე,	ბელტი მიფშენია თოხის ყუათი
ბადე გავშალე ყუმურშიც მერე.	მეც თქვენთან ერთად, სახლიკაცებო.
რომ არ შევზრდოდი ამ პატარა წყლებს,	სადაც არა ვარ, ჩემი შუამთის
ვერ გავუძლებდი ახლა მტკვრის ჩქერებს.	მზით და ჰაერით ვარ და ვარსებობ.

### შუამთა რუსთაველის გამზირზე

ჩემი სოფელი, იმერეთის მწვანე შუამთა  
 მომაგონდება, გამიჯდება ტანში ჟრუანტლად.  
 თბილისში შემხვდა, დღეს რუსთაველზე მოაბიჯებდა  
 და ჩემს ბავშვობას, ვით მიმინოს, ცერზე იჯუნდა.  
 მთის ხურჯინებით ვარსკვლავები გადმომაცარა,  
 შემომასხურა ნასერელას შხეფი ანკარა.  
 გადმომანურა ცვარნამულა ჭიშკრის ალვების,  
 შენი რაშისთვის კვლავაც მაქვსო მთვარის ნალები.  
 მისნი-მოსნია ჩრდილ-ჩრდულები მამადავითის,  
 თბილისის ზეცას ააფარა ზეცა თავისი.  
 აუფართხალდა ბეჭებიდან ჩიტჩუტელები,  
 ყრმობის ბუშტები დამიბედა მიჩუტულები.  
 წამადგა თავზე ჭადრებთან და ბებერ ბიჭებთან  
 და ჩემს ბავშვობას, ვით მიმინოს, ცერზე იჯუნდა.  
 ჩემი სოფელი, იმერეთის მწვანე შუამთა,  
 მომაგონდება, გამიჯდება ტანში ჟრუანტლად.

\* \* \*

აქ იყო ბიძია კირილე,	ჭაში ჩამივარდა მთვარეცა,
აქ იყო ბიცოლა ანეტა.	ამ სახლში უფალმა იცხოვრა.
ჩემთვის რგავდნენ გვირილებს,	აქ ჩემი პერანგი გარეცხა
მთები შემინახეს მწვანეთა.	მზის ჩქერში ანეტა ბიცოლამ.
ჭურები ემარხათ დაფნებთან,	აქ ქვევრი ჩამაკირინეს,
დაფნებზე ეკიდა ხაპები.	მთები შემინახეს მწვანეთა.
აქ ჩემი ჩიტი დაფრენდა,	წავიდა ბიძია კირილე,
ხალიჩას მიქსოვდა ზღაპრები.	წავიდა ბიცოლა ანეტა.

ლადო სულაბერიძის ცოლოურები შუამთასთან ახლომდებარე სოფელ ციხესულორიდან იყვნენ. ჩვენ, შვილიშვილები თბილისში დაბადებულები და გაზრდილები ვიყავით და სწორედ ციხესულორიდან დაიწყო ლადო ბაბუმ ჩვენთვის მამულის შეყვარება. უკვე გამოკეტილ, ძველებურ ხის სახლში ჩავყავით ზაფხულობით. როცა პატარა, საბავშვო თოხებით გათოხნილი მინიდან სიმინდი და ლობიო ლამაზად ამოინვერა, სიხარულმა აგვიტაცა... და მაშინვე აფეთქდა ჩვენში ვანის, მამულის, ქართული სოფლის, იმერეთისა და მთელი ჩვენი ქვეყნის სიყვარული. მან ეს იცოდა, მან ეს დაგეგმა, ეს სიხარული მან შეგვაგრძნებინა!

ლადო ბაბუ!, – გავდახე მას ზაფხულის ერთ შუადღეს ჩვენი ძველი სახლის აივნიდან და გამიკვირდა, რომ არ შემეხმინა. ბავშვი ვიყავი და დაძახილზე ყოველთვის თბილად და მოფერებით მეხმინებოდა. თანაც, ვიცოდი, რომ იქვე, სახლზე ძველი მერულ სტილში მიდგმულ სამზარეულოში უნდა ყოფილიყო და ჩემს დაძახილს ყველა შემთხვევაში გაიგონებდა. მეორევერაც დავუძახე და როცა ისევ არ მიპასუხა, აივნიდან სამზარეულოში ჩავივრბინე. ლადო ბაბუ სახლის წინ, მწვანე ბალახზე დაგდებულ ჯორკოზე იჯდა და პირდაპირ რალაცას მიშტერებოდა. მივუახლოვდი, სახეზე დავაკვირდი ცოტა ხნით: ტუჩების სუსტი მოძრაობით თითქოს ვილაცას ესაუბრებოდა ან თავის თავს ეჩურჩულებოდა. ჩემი ეს დაკვირვება გრძელდებოდა მანამდე, სანამ ჩემს თავს გაკვირვებულმა არ ვკითხე, რატომ არ ესმის-მეთქი და ისევ დავუძახე.

„რაო, ბაბუ გენაცვალოსო“, მაშინლა შემეპასუხა, ხელები მომხვია და მუხლზე დამიჯინა. თამაში დამინყო და როგორც ბავშვმა, ეს დეტალიც თამაშს გადავყაოლე, აღარ ჩავკითხვივარ არაფერს... თუმცა ეს დეტალი ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში ჩარჩა და რაც მაშინ ვერ გავიგე, ვერ დავინახე, მერე და მერე ნელ-ნელა გასაგები ხდებოდა ჩემთვის: იმ დღეს იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ჯორკოზე მჯდომი ლადო ბაბუ ლექსს წერდა. ჩემთან არა, მაშინ ის თავის მუხასთან იყო. მას ესაუბრებოდა, იქნებ, ეკამათებოდა ან ეჩხუბებოდა კიდეც... გაჰყურებდა მნიფე და ფერადი ტყემლებით დახუნძლულ ხეების მწვერვალებს, ორლობეში გიშრის წვრილ-წვრილი თვლებივით დაყრილ მაცვლოვანს, თეთრი ღრუბლებით თეთრად დალაქულ იმერეთის ცას და მწვანე ბალახით აქოჩრილ იმერეთის მიწას. გაჰყურებდა და ეჭიდავებოდა მათ, ეჭიდავებოდა და ეფერებოდა, ეალერსებოდა, მათ ღმერთად გადაქცეულიყო და თავადაც თავის ღმერთებთან იმყოფებოდა. პატარა ჯორკოდან აზვირთებულ კოსმიურ ძალას წარმოადგენდა.

ლადო ბაბუ ლექსს წერდა და ასე წერდა ლადო ბაბუ ლექსებს!

ციხესულოში შვილიშვილებთან ერთად ყოფნა მისთვის ბედნიერება იყო, მაგრამ კიდეც უფრო ბედნიერი იყო, როცა შუამთაში გადავყავდით, მისი ბიძების შთამომავლებში, თავის ბიძაშვილებში... და იკრიბებოდნენ სულაბერიძეები კიდეც ერთხელ ლამაზ სუფრასთან, ლამაზად მღეროდნენ, უნიკალური ცოლიკაურით ლოცავდნენ ერთმანეთს, იხსენიებდნენ კირილე ბიძიას, რომლისგანაც ამ უნიკალურობის ტექნოლოგია ჰქონდათ ნასწავლი. კირილე ბიძია ხომ შესისხლხორცებული იყო თავის ვენახთან და როცა მოსავალს უჭირდა, დარდით ატარებდა მთელს წელიწადს, ხოლო როცა დახუნძლულ მტევნებს ფოთლებიც კი ვერ ფარავდნენ, კირილე ბიძია ხელახლა იზადებოდა. „მუხლებში მიჭირს და კბილებიც აღარ მაქვს, მაგრამ ღვინის სმას კბილები რათ უნდაო“, – ასე პასუხობდა უკვე ხნიერი კირილე ბიძია ყველას, ვინც კი მოიკითხავდა. სიცოცხლის ბოლომდე თავის ცოლიკაურს ნახევარი ჭიქით ან ერთი-ორჯერ მონრუპვით მაინც ბოლომდე უერთგულა და არასდროს გამომშვიდობებია, მერე კი თავად გარდაისახა თავის ვენახად და დღემდე ღვთაებრივი სითხის სახით ევლინება თავის შთამომავლებს.

დღემდე წინაპართა და შთამომავალთა ასეთი სულიერი ერთობაა სულაბერიძეების ლამაზ სუფრებზე შუამთაში და მაშინაც, როცა ლადო ბაბუს იქ ციხესულორიდან გადავყავდით, ამ სულიერ ერთობას მისი თამაძობა აგვირგვინებდა.

„შვილებო, მამულის, ქვეყნის სიყვარულის გარეშე, არც ოჯახის ყოლას აქვს აზრი და არც შვილებისასო,“ – ეს იყო ლადო სულაბერიძის თამაძობებისა და სადღეგრძელოების ღერძი და მცნება.

### ნაციხარას სადარაჯოზე... უცნობი ამბავი ლადო სულაბერიძის არქივიდან

ეს ამბავი 1983 წლის გაზაფხულზე მოხდა. თუმცა აქტუალობას არც დღეს არ კარგავს, რადგან მასში ასახული პრობლემა დღესაც მოსაგვარებელია ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა თუ რაიონებში. ეს არის აქტი თვითნებობის წინააღმდეგ, დღესაც მისაბაძი და სამაგალითო ყველა მიმართულებით ამ თვითნებობის ზეობის ხანაში.

„მოულოდნელად ჩემი სოფლიდან, შუამთიდან მესტუმრნენ ვილჰელმ სულაბერიძე, თორნიკე სულაბერიძე და ტარიელ ძაგნიძე. აღელვებულებმა მთხოვეს, გვიშველე, დაგვეხმარეო.

საქმე შემდეგში ყოფილა:

ჩვენი სოფლის ცენტრთან აღმართულია გორა, რომელსაც სოფლელები ნაციხარას ეძახიან. ციხის კედლები აღარ არის, დანგრეულია, ნაშთილაა დარჩენილი. ჩემი ბავშვობა იქა მაქვს გატარებული. იქვე დამრეც ფერდობზე მამაჩემის და ბიძაჩემის ვენახები იყო. იქვე ცხოვრობდა თურმე მამაჩემის მამა პორფირე. აქედან სოფლის გზის პირას გადმოსახლებულან თურმე მამაჩემი და კირილე ბიძა. ნაციხარადან ჩინებული გადასახედია რიონის დაბლობებისაკენ და გადიდის მთებისაკენ. ბავშვებისათვის საუკეთესო გასართობი ადგილია დღესაც ნაციხარა - ტობანიერისაკენ გაგრძელებული გორა.

ვილაც-ვილაცებს თავში მოსვლიათ აზრად ამ გორაზე სასაფლაოს გაშენება. 1972 წელს თითქოს ვანის აღმასკომის დადგენილებაც ყოფილა ამის თაობაზე რამდენიმე მოსახლის მოთხოვნის საფუძველზე. მაგრამ დღემდე აქ სასაფლაო არ გაუხსნიათ. 1982 წელს სოფელ ტობანიერის მცხოვრებ ვინმე გრიშა კაცაძეს ტობანიერის სასოფლო სასაფლაოდან თვითნებურად მამის ნეშტის გადმოსვენება გადაუწყვეტია აქ. გორასთან მიმდებარე მცხოვრებლებს თითქმის მთელი გამოღმა შუამთის სოფლის მოსახლეობა დადგომია გვერდით და შეწინააღმდეგებებიან კაცაძის ამ თვითნებურ გადაწყვეტილებას. უამინდო დღე ყოფილა, თვლჭყაპიანი, ცივი ქარი. ქალები და ბავშვები დამდგარან გათხრილ საფლავთან და კაცაძეს არ აძლევდნენ უფლებას იქ მამის ნეშტი ჩაესვენებია. ჩარეულა მილიცია. კაცაძეს მაინც გაუტანია თავისი და დაუკრძალავს იქ მამა. გასულა ხანი და კაცაძის მეზობელი გარდაცვლილა. ჭირისუფალი აიძულეს თურმე, თავიანთი მიცვალებულიც იქ დაეკრძალათ, საცა კაცაძის მამაა. გაუთხრიათ საფლავი. ამჯერადაც მოსახლეობა გაძალიანებია მათ, მილიცია ჩარეულა და მეორე მიცვალებულიც დაუკრძალავთ.

ამიტომ ჩამოვიდნენ ჩემთან და გვიშველეთ, მთხოვეს. ასე რომ გაგრძელდეს, სოფელში რაღაც უბედურება მოხდებო.

დავამშვიდე ისინი, სუფრა გავუშალე და გავისტუმრე.

მეორე დღეს დავუკავშირდი ოთარ ლორთქიფანიძეს, პროფესორს, არქეოლოგიური ცენტრის უფროსს. ოთარმა მაშინვე მომიგო, მაგ ნაციხარი შუასაუკუნეების ძეგლია, მალე მანდ გათხრები უნდა დავიწყოთ და ყოვლად შეუძლებელია მანდ სასაფლაოს გაშენებო, მე ახლავე მივწერ რაიკომსო, არსებობს მინისტრთა საბჭოს დადგენილება, არქეოლოგიური ცენტრის ნებართვის გარეშე არავითარი გაცემა მიწისა არ შეიძლება. შევიარე ძეგლთა დაცვის სამმართველოში. შუამთის ნაციხარი აღრიცხვაზეა, დამპირდნენ, იმ კვირაში ჩვენს წარმომადგენელს გავგზავნით ვანშიო.

განაცხადი დავწერე და ჩავედი ვანში. აღმასკომის თავმჯდომარე იური დვალიშვილი თბილისში ყოფილიყო, მის მოადგილეს ანზორ მოსავლიძეს ვესაუბრე და დავუტოვე ჩემი განაცხადი. მერე ამის თაობაზე რაიკომის მდივანსაც, ნოდარ ანდრიაძეს ველაპარაკე, წავაკითხე ჩემი განაცხადი (ლადო ბაბუს ეს განაცხადება შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „მე, როგორც ამ სოფლის მკვიდრსა და მწერალს, დაუშვებლად მიმაჩნია შუამთის ნაციხარის, – შუასაუკუნეების ამ ისტორიული ძეგლის, რომელიც ვანის ყველა ისტორიული ძეგლის კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი უნდა იყოს, – ხელყოფა და დაუფასებლობა.“) დამპირდა, ხვალვე ავალ და ადგილზე შევისწავლიო. შეაჩერეს იქ სასაფლაოს გაშენება.

1972 წელს მიღებული დადგენილება გააუქმეს.“

### ძმური სიყვარულით

ვნახეთ, თუ როგორ იცავდა ლადო სულაბერიძე თავისი კუთხის ისტორიულ ფასეულობებს. ასეთვე სიყვარულით ლადო ბაბუმ „გააცოცხლა“ და მომავალი თაობისთვის უკვდავყო მეგობრისა და თანამემამულის გიორგი ძიგვაშვილის სახე.

ცნობილია, რომ 1917 წელს დაბადებული გიორგი ძიგვაშვილი საბჭოთა ხელისუფლებამ 1942 წელს დახვრიტა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ჩვიდმეტ ახალგაზრდასთან ერთად, რომლებიც მათივე თანატოლის, მწერალ კოტე ხიმშიაშვილის შეთქმულთა

ჯგუფს წარმოადგენდნენ. ამ მოკლე სიცოცხლის მანძილზე გიორგი ძიგვაშვილმა ისეთი შემოქმედება დატოვა, რომ მშობლიური ვანის რაიონის ფასეულობად გადაიქცა. ლადო სულაბერიძის ცხოვრების დედააზრი ხომ ლექსი და სამშობლო იყო და შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი ძიგვაშვილის გაფანტული ნამუშევრების შემკრები და პირველი გამომცემელი სწორედ ის გახდა... იმიტომაც გახდა, რომ შესაძლოა, გიორგის პიროვნებაში ბევრ საერთოს ხედავდა და გიორგი ძიგვაშვილის ბედისწერა ერთგვარ უვერტიურას წარმოადგენდა ლადო სულაბერიძის ბედისწერისთვის. საბჭოთა სისტემის მამხილებელი „ცხადსიზმარიანა“ ლადო ბაბუმ ცნობილი „პერესტროიკის“ შემდეგ დაწერა, რისი გაკეთებაც მას მანამდე ყოველთვის სურდა, მაგრამ რეჟიმის გამო ვერ ახერხებდა. ამ დანაკლისის ერთგვარი ანაზღაურება იყო ის, რომ „პერესტროიკამდე“ მან ამ რეჟიმის მსხვერპლის გიორგი ძიგვაშვილის რეაბილიტაცია მოახდინა.

ბავშვი ვიყავი, მაგრამ ბავშვივით გახარებული ლადო ბაბუმ სახე კარგად მახსოვს, როცა ვანის ცენტრში საყიდლებიდან ციხესულორში მობრუნებული მეტყოდა ხოლმე: „ჩემი მეგობარი გავაცოცხლე და ქუჩაში ვინც კი მხვდება, ყველა მადლობას მეუბნება“.

ამჯერად, ის უკვე მამულიშვილური საქმით მიღებული სიხარულის გაზიარებას ცდილობდა შვილიშვილებისთვის და ამის საფუძველი მას ნამდვილად ჰქონდა, რადგანაც მან ვანის რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებასთან გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად უდიდესი ძალისხმევა ჩააქსოვა მეგობრის, ომში დაღუპული პოეტის, გიორგი ნაფეტვარიძის დიდებული შემოქმედების საზოგადოებამდე მიტანისა და უკვდავყოფისათვის, ხოლო, როდესაც ასევე დიდი პოეტის ტიცვიანის შემოქმედებას ტაბუ მოეხსნა ლადო იყო ერთ-ერთი და აქტიური იმათაგანი ვინც შესძლო ტიცვიანის ბრწყინვალე პოეზიის ვანის რაიონის საზოგადოებისათვის დაბრუნება.

### **პოეტზე პოეტის თანამედროვენი**

მუსიკალურ არხეულია გულისხმიერი ხილვა ლეგიონერ ამურის შაირში „სიყვარულის საფლავი“. სმენას რჩება ვითარ შუვილი შორეულ ტალღათა ეს სტილი:

„აქ საფლავია ჩემი ზმანების,  
ორი ალვის ხე მისი დებია“.

### **გრიგოლ რობაქიძე**

**„წყაროს თვალი“**

**1944 წ.**

ლექსები „ელვა“, „სამგორი“, „მოგონება“ – კარგი ლექსებია და ნამდვილი შთაგონებით არის დაწერილი. ვ.სულაბერიძეს გააჩნია მიმზიდველი, ნაზი ინტონაცია და მისი ლექსები ჩუმი მელოდირობით გვიზიდავენ. მათში პოეტური განცდა ცოცხლად და გააზრებულად არის გადმოცემული.

### **სიმონ ჩიქოვანი**

**1947 წ.**

და უცებ, უეცრად ემნარა ცხოვრება... უეცრად მოვარდა დიდი ომი, ახალგაზრდა პოეტისათვის მოვარდა უეცრად, მოვარდა მძვინვარი და შორს გაიტაცა ტყემლების მომღერალი, მომღერალი ალუჩებისა, მაშინვე გაიტაცა /„დედა“, გაიტაცა ძალიან შორსა, შორსა და შორსა, ატარა, აბრძოლა, ათრია, დაფენჩხა, ტყვეობაც მოსწია /„უდრეკი სული“/ და სასჯელი განუმზადა ტყვეობისათვისა. არაფერი მოაკლო თუ მაინც მოაკლო /„რაც დამაკელი“/, არაფერი შეარჩინა, ასვა ბალღამი, გააშიშვლა ყინვაყიამეთშია, აგემა ლალატი /„ათი ნაბიჯი სიცოცხლე“/, /„მრუდე სარკე“/, ერთგულეობაც აგემა /„მეგობარს“/, რაღა არ აგემა – დაახვრეპინა ფიალა სიმნრისა /„უსამართლობა“/, განაცდევინა ძალი სიცოცხლისა და შეარჩინა სიცოცხლე, ჰო, არ შეარჩინა არაფერი სიცოცხლის გარდა და შერჩენილი სიცოცხლის მომღერლად იქცა პოეტი, პოეტი იგი, გამოგონილი სევდისა და გამოგონილი აღტაცების ხმაზე რომ გალობდა ყმანვილობაში. აღარა

ჰქონდა რა გამოსაგონი თუ მისაბაძი, – პირთამდის აღესებულა საკუთარი განცდებითა, საკუთარი ფიქრებითა და ხმაც საკუთარი ამოსდევნებია ამ სიმღერასა, საკუთარი, თავისებური, გამეხებული, შეუვალი, ჩადინჯებული.

**ოთარ ჩხეიძე  
1970 წ.**

ლადო სულაბერიძეს უთქვამს თავის ლექსებზე – „ჩემი კრინიო“ და ამით ზუსტად გამოიხატა მისი გრძნობა. ფაქიზი, გულმართალი, სიტყვანრფელი პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი კდემამოსილი ლირიზმი, ჩუმი მღელვარება, თავშეკავებული მგრძნობიარობაა. ყირიმის ფრონტულ განცდებს გადმოგვცემს პოეტი თუ ციმბირის პეიზაჟს აცოცხლებს, კვლავ საქართველოს ცა-ფირუზსა და ხმელეთ-ზურმუხტს დაჰხარის თუ ლენინგრადს უძღვნის თავის “შემოდგომის დღის ქრონიკას”, ფერეიდანის „პატარა საქართველოს“ სწავას სტრიქონით თუ საბჭოთა ხალხის კოსმოსში შეღწევას ამკობს – ლადო სულაბერიძის პოეზიის ეს მთავარი ტონი ყველგან ერთნაირად მომხიბლავია და გულში ჩამწვდომი.

**გია მარგველაშვილი  
1971**

ლადო სულაბერიძის ვრცელი ლექსი „ოცნება“ ვის არ ნაუკითხავს. მე, როდესაც ეს ლექსი პირველად წავიკითხე, მომეჩვენა, რომ ჩემ წინაშე რაღაც ახალი სამყარო გაიხსნა. კი არ მომეჩვენა, ნამდვილად ასე იყო.

ამ ლექსში ის ამოვიკითხე, რასაც იქნებ ყრუდ და ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, როგორც ყოველი მკითხველთაგანი, მაგრამ პოეტის ლექსმა უფრო ღრმად ჩამახედა ჩემ გულში, გამიტაცა და მართლაც მაღალი ოცნების სამყაროში შემეყვანა.

ამ თემაზე – მშვიდობის დაცვის თემაზე – უამრავი ლექსია დაწერილი, მაგრამ მაპატიოს ყველა პოეტმა, თუ „ოცნება“ ყველა სხვა ლექსზე უფრო შევიტყბე და შევისისხლხორცე.

როდესაც საყვარელ ნაწარმოებს იხსენებ, ძნელია ავტორის ოსტატობაზე ჩამოაგდო სიტყვა. ოსტატობა უხეშად ჟღერს და ხშირად იმას არ გამოხატავს, რასაც ვგულისხმობთ. პოეზია პოეტისათვის ოსტატობაც არის და სულის მრწამსიც. პოეზიას ლექსის ცალკეულ სიტყვებში, ცალკეულ სტრიქონში, ცალკეულ შედარებაში ვეძებთ ხოლმე. მე კი მგონია: პოეზია არსად არ სწერია. ის ყოველთვის იგულისხმება. იგი ის არის, რასაც მხოლოდ „მეშვიდე გრძნობით“ მივწვდებით ხოლმე. პოეზია ნაწარმოების სულია. თვით სული ნაწარმოებისა უნდა იყოს პოეტური. მაპატიოს დიდმა ილიამ და ილიასთან ერთად მკითხველმა, თუ გავიხსენებ ძველ და ჩემის აზრით არც თუ ისე უსაფუძვლო საყვედურს: „აგერ მერცხალი ჭყვიის“ ვერაფერი პოეტური ფრაზააო, მაგრამ ძნელია ქართულ პოეზიაში მოინახოს ამ ლექსზე უფრო მაღალი აღმაფრენა, ოპტიმისტური სევდა მამულისადმი, რომელიც ილია ჭავჭავაძის კაცობისა და შემოქმედების ლეიტმოტივია /კაცობასა და შემოქმედებას, ცხადია, აქ პირობითად ვაცილებ ერთი-მეორეს/.

ჰოდა, იმას ვამბობდი, პოეზია ლექსის სულია-მეთქი, სული კი, როგორც ამბობდნენ ფილოსოფოსები, არ არსებობს მატერიის გარეშე, ხოლო მატერია, თავის მხრივ, ყოველთვის კონკრეტულია. მას კონკრეტულია ჭეშმარიტი პოეტის სულიც, მას საგნობრივი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ლადო სულაბერიძე ეშაფოტზე ასულ ალჟირელ ქალიშვილზე – „მას საქონინო კაბა ჰქონდა შესაკერავი“, პოეტის „ზოგადი სათქმელი“ საგნობრივ მნიშვნელობას იძენს და ღრმად იჭრება მკითხველის გულსა და გონებაში.

ამას თუნდაც ოსტატობა დავარქვათ. ოსტატობა განუყოფელი ნაწილია პოეტის სულისა. ოსტატობა სულის სრულყოფილად გამოვლენის ნიჭია.

პუბლიცისტური სიმახვილით, ასე ვთქვათ, აქტიური ჰუმანიზმით აღსავსე ლექსი „ოცნება“, რომელიც უკანასკნელი წლების ქართული სამოქალაქო ლირიკის თვალსაჩინო ნიმუშია, მე ინტიმური ლირიკის ასეთსავე შთამბეჭდავ ქმნილებად მიმაჩნია.

## რევაზ ჯაფარიძე

1957

ლადო სულაბერიძის ლექსები პოეტური მატანია ჩვენი ცხოვრებისა. აქ, მის ლექსებში დაკვირვებული თვალი იპოვნის ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრესი მოვლენების პოეტურ ფიქსაციას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე, მის შრომასა და ბრძოლაში, მის ყოველდღიურობაში ჩაბმული კაცია და არ შეიძლებოდა ქვეყნის ცხოვრებას თავისი კვალი არ დაემჩნია მის პოეზიაზე. არ შეიძლებოდა პოეტს არ შეხებოდა მამულის ნათელი დღეების სიკეთე, არ ეგრძნო ღრუბლიან დღეთა სუსხიც და თოშიც. ასეა სიჭაბუკიდან მოყოლებული დღემდე. მაგრამ ამ თვისებასთან ერთად წინა პლანზე მოდის, გამოკვეთილი სახით გვევლინება პოეტის ერთი ღირსება – იგი არ არის ფიქსატორი მხოლოდ, იგი არ ქმნის ამა თუ იმ დროის, მომენტის აღმწერსა, არამედ ავლენს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენასთან: თავისი თაობის კაცის სათქმელს. აქ თავს იჩენს ერთი გარემოებაც – ლ. სულაბერიძე ხშირად უბრუნდება ომის წლებს, ომის წინა წლების ღრუბლიან დღეებსაც თავისი კვალი დაუჩნევიათ მისი პიროვნებისათვის. და როდესაც ლ. სულაბერიძე ამ თემებზე წერს, ასე გგონიათ, რომ იგი არამარტო ყელამდე მართალია თავისი ემოციების, დამოკიდებულებების გამჟღავნებაში, არამედ ღრმა მცოდნეც იმ განწყობილებებისა და სულიერ მოძრაობათა, რომლებიც მაშინ, იმ სიტუაციებში ჰქონდათ ადამიანებს.

## გურამ ბათიაშვილი

1975

ლადო სულაბერიძის ლექსი სახოვანი და ემოციურია. ჩვენს წინ ცოცხლდება ლირიკული გმირი „რჩეულისა“, რომელიც მუდამ სავსეა მინის წვენით და ვნებათა ქარიშხლის გადმოცემას ნოყიერი სიტყვიერი მასალით, ახლებურად გააზრებული სახეებით, ორიგინალური და მეტად ინტიმური ხმით ახერხებს. მასსოვს, რევაზ ჯაფარიძემ ამ თხუთმეტი წლის წინ ლადო სულაბერიძის ახალი წიგნიდან მხოლოდ ერთი ნაწარმოები /„ოცნება“/ მიმოიხილა და ასე ჩამოუგდო მკითხველს სიტყვა „ლადო სულაბერიძის შუბლნათელ პოეზიაზე“, თან დასძინა, „ვინძლო აქეთაც შემოეხვიოთ ქართული ლექსის ოქროს მაძიებელთ“. მე კი ხუთასგვერდიან ტომს დავედგომივარ თავზე და არ ვიცი „ფერეიდნული ელეგიებით“ დავინყო თუ „ყირიმის ღამეებით“, „ჩრდილოეთის ციალით“ გამონვეული რთული განწყობილება გავმიფრო თუ ვისაუბრო ციკლებზე: „ჩემი ფანჯრიდან“, „შუადღის ჩრდილში“, „ჩრდილები მღერიან“... ან იქნებ ბალადებსა და მშვენიერ პოემებზე შევჩერდე?

## ნელი გაბრიჩიძე

1972

ლადო სულაბერიძეს ეხერხება წინაპართა აჩრდილებთან ინტიმური საუბრის გაბმა /„ბორენა“/, სილამაზის მზეგადასულ ლანდებთან არტისტული მიახლოება /„სილამაზის ლანდთან“/. პოეტს შეუძლია ბახტრიონის ნანგრევების ჩრდილში მშობელი ქვეყნის ძნელბედობის დროინდელი სურათების ხილვა.

## გიორგი კალანდაძე

1965

ლ. სულაბერიძე უკანასკნელ წლებში თავისი პოეტური ასაკის სიმნიფეში შევიდა. მისი ხმა გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა, როგორც თავისებური და თვითმყოფადი. საანგარიშო წლების ნამუშევრებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფერეიდნული ლექსები და ლირიკული პოემა, „შემოდგომის დღის ქრონიკა“, რომელიც შესანიშნავი ფერებით გვიხატავს გმირული ლენინგრადის სურათებს. ეს უკანასკნელი საიუბილეო კონკურსის პრემიით აღინიშნა.



## გრიგოლ აბაშიძე

1971

ლადო სულაბერიძის პოეტური სამყარო ფრიად საინტერესოა და საქართველოს ბუნებასა-ვით მრავალფეროვანი. ქართულ სინამდვილეშია აღმოცენებული და გახარებული. იმ მიწის წვენითაა ნასაზრდოები, რომელმაც მეოცე საუკუნეში ორი დიდი შემოქმედი გაუზარდა ქართულ პოეზიას, ორი ტაბიძე: გალაკტიონი და ტიცვიანი. ამ უახლოესი წინაპრების პოეზიის უსაზღვრო სიყვარულმა ყრმა ლადო სულაბერიძეს გააბედვინა აელო ხელში გაუნაფავი კალამი და მათ გზას დადგომოდა... ლადო სულაბერიძემ ერთგულმა ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებისა, მოძებნა საკუთარი გზა, გზის პირად საკუთარი ხეები დარგო, ახარა და ახლა ამ ხეთა ჩრდილში ყოფნა სიამოვნებას ჰგვრის ქართული ლექსის ყველა ჭეშმარიტ მოყვარულს... მას შესწევს უნარი იმისა, რომ ადვილად დაიმორჩილოს და ალაგზნოს მკითხველი. არა მოყიჭებული, გაცვეთილი, ჭრელ-ჭრულა საღებავებითა და გულისამაჩუყებელი ცრუ პოეტური შეძახილებით, არამედ გონივრულ აზრთან შეზავებული მძაფრი ემოციით...

ლადოს არ უყვარს სიტყვის ზედმეტად გარანდვა, გაფერვა და გაკრიალება. იგი პოეტურ ჩანაფიქრს ხშირად ზედმეტი სიტყვა-კაზმულობისაგან ათავისუფლებს, რითაც ლექსს სინედლესა და თავისთავადობას უნარჩუნებს. ყოველივე ეს კი პოეტის სათავიდან მოდის, ამიტომაც სიტყვა მისი ანკარა და აუმღვრეველი.

ლადო სულაბერიძე არ განეკუთვნება ფიქრთაგანის მოყვარულ პოეტების რიგს. ისინი ხომ თავალს გვიჭრებენ მოქნილი სტრიქონებით, რომელთა მცხუნვარება ბენგალის ცეცხლის მოჩვენებით სითბოს ვერ სცილდება.

ემოციურობა ლადო სულაბერიძის ლექსის განუყრელი თანამგზავია, უფრო თვისებაა თანდაყოლილი, რომელიც ადრინდელ, სიჭაბუკისდროინდელ ლექსებშიც შეიმჩნეოდა. ამ მხრივ იგი ტიცვიან ტაბიძეს ენათესავება.

## რევაზ მარგიანი

1979

იმ ძველი ნაცისხარიდან თითქმის მთლიანად ჩანს ჩვენი ძველთაძველი ვანი: იგივე მზე, ცა, მდინარე, სულორი და ყუმური, ჭიშურა და ნასერელა... აქვე ახლოსაა რიონის თეთრი ტინები, გადიდის გორა... ახალი ყოფის მზით გამთბარი მხარე. აქ ყოველ ფანჯრიდან და ბილიკიდან მოჩანს მიწის მხრებზე ანთებული კერების ნაწილი, იგრძნობა „შორს როგორ აწვიმს გელათსა და ყინწვისს, მამა-დავითს“... აქ ყოველ ბილიკს, ყოველ ნასახლარს ახსოვს ლადო სულაბერიძის ბავშვური სიმღერა. და ეს „სიმღერა გულიდან იწყება, ნელ-ნელა მოჰყვება ნანწკარს... მერე იზრდება, ზვირთდება, თან დიდი ცეცხლიც ახლავს... ხან შუამთის გზისპირ იქუხებს, ხან ლოდზე ეძებს თქმულებას, ხანაც წინაპრის საძვალეს კოცნის და ეჩურჩულება. ყანასთან ერთად იზრდება, ლოცავს ოფლნარევე მდელოს, მერე მოუხმობს დიდ დედას – სრულიად საქართველოს და შეეღვრება ცხელ მკერდზე, ჩაუგორდება კალთაში, დედა მოუხმობს იმ ცხრა მზეს. და გულს წიგნივით გადაშლის...“

ეს ერთი კარგი ახალგაზრდა საჩინოელი პოეტისა და ჟურნალისტის – ბადრი სვანაძის სტრიქონებია ლადოსთვის იმ დღეებში მიძღვნილი ლექსიდან...

აქ, ამ ადგილებში, დარაზმა მან პირველად თავისი სალექსე სტრიქონები, წარმოთქვა ცხელ გულზე ალესილი სიტყვები, მშობელ მხარეზე შეთხზული ლექსები. აქ იგემა საქართველოს მთებისა და კორდების მადლი და სიკეთე, გაიგონა ვენახისა და ყანის გამარჯვების ჰიმნი, იგრძნო მამულ-დედულის სითბო და ყრმობის ბილიკთა ნიავი.

ჩვენს ძველ საჩინოში ვითომდა ყველაფერი ისევ ისეა: „ბიები, ვაშლები, ლეღვები, შინდები, ჩემი შუამთის წყარონი, ხენი, ლელენი, მთანი... ცადატყორცნილი გადიდის ნაძვი, და სამარხები ანტიკური ხანის, აი, რაცა მაქვს ამ ქვეყნად განძი, აი, სად მრჩება მარწყვი და ხენდრო. მე თუნდაც მომკალ და ჯვარზე მაცვი, ოღონდ მამული მიცოცხლე, ღმერთო“.

ასე უმღერის მშობლიურ მიდამოს ნასერელას ფშანებში, ხახურისა და ნაციხარის სანახებში გაზრდილი ერთი ჩვენი სახელოვანი მესიტყვე – ლადო სულაბერიძე.

## ნიკა აგიაშვილი

1979

ლადო სულაბერიძის ხალასი მგოსნური ბუნება, ისევე როგორც მრავალი ჩვენი სახელოვანი პოეტისა, ვერ ეგუება მყვირალა დებს, შიშველ სიახლეს. იგი „ტრადიციული“ პოეზიის კვალში დგას (ამიტომაც ესახელება „ვაჟას სისხლით გაპოხილი პნკარი“), თუმცა არც სიახლეებისგან არის გაძარცვული: ლადო სულაბერიძის პოეზიაში გამომსახველობა, რიტმულ-სტროფული თავისებურებანი, მისი რითმა და მელოდიკა, ისევე როგორც სიტყვანარმოება, ფრიად ორიგინალური და საგულისხმოა... ლადო სულაბერიძე მთრთოლვარე სულის პოეტია. იგი ლირიკოსად არის დაბადებული... ლადო სულაბერიძე მძიმე ხვედრის პოეტია. იგი თავის პოეტურ ბუნებას, თავის კაცურკაცობას უნდა უმაღლოდეს, რომ დღესაც უღრუბლო ოპტიმიზტია... ლადო სულაბერიძეს, როგორც პოეტს, ჩინებულად ესადაგება სიტყვა – „ხალასი“, რაც ჩვენი დროის პოეზიაში, მაინცდამაინც, არც თუ ასერიგ ხშირია, ხალასი პოეტი, ხალასი ადამიანი, ხალასი მამულიშვილი!..

## გიორგი ციციშვილი

1981

ლ. სულაბერიძის თითქმის ყველა გახმაურებული ლექსი რაღაც კონკრეტული ფაქტიდან გამოდის, პოეტს უფრო „ამბავიანი“ სტრიქონები იტაცებს. „ცარიელი“ ლექსი მას არც კი დაუწერია. ჩვენი აზრით, ეს პოეტის ღირსებაა. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბევრი გრძელი, კარგად დანერგილი „უამბავო“ ლექსი ქართველ მკითხველამდე ვერ მივიდა და დავინწყებას მიეცა. იქნებ არ იყოს ზედმეტი ამ საკითხთან დაკავშირებით გავისხენოთ დიდი გოეთეს შესანიშნავი სიტყვები: „არ უნდა იფიქროთ, რომ სინამდვილე პოეტურ ინტერესს მოკლებულია, სწორედ იმით დაამტკიცებს პოეტი თავის ნიჭიერებას, რომ სრულიად ჩვეულებრივ სიუჟეტში საინტერესო მხარეს აღმოაჩენს...“

ლადო სულაბერიძის ლექსების წიგნი თემატიკურადაც მრავალფეროვანია. მას არა აქვს ერთი ამოჩემებული თუ აკვიატებული თემა, იგი სიყვარულით, გულწრფელად წერს „მიტოვებულ ბილიკზე“, შემოდგომის სურნელოვან დღეებზე, ისტორიულ წარსულზე. მართალი და ნათელია პოეტის ლირიკული სიმღერები, რომელთა მთავარ ღირსებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ისინი განზოგადოებულნი არიან და მკითხველთა უმრავლესობის განწყობილებათა მხატვრულად გადმოცემას ემსახურებიან“.

## დომენტი ახოზაძე

1972

პოეტს სულში სჭირს მოურჩენელი იარა, ყველა ქართველის დიდი დარდი და დიდი ნალველი – „ის, ჩემი ფერეიდნელი, უცხო მიწისა ხიზანი“... სამასი წლის წინათ მრავალჭირნახულ საქართველოს კიდევ ერთი ავბედითი დღე გაუთენდა, შაჰ-აბასმა ათასობით ქართველი ტყვე წაასხა ისპაჰანს.

„წინ კი უდაბნოა ცხელი, ქაროვანი.

გაცვდა ქალამანი, მიდის ქარავანი“.

ვაი, რომ ამ ქარავანში კახეთის მიწიდან დედაბუდიანად აყრილი ქართველი გლეხ-კაცობაა. მიდის ქარავანი მონათა ბაზრისაკენ, მიდის და თან მიაქვს სევდა მამულ-დედულისა, სევდა, რომელსაც დროითაც არ ეწამლება.

„ხორცო, სად გაძლებ, სანამ დედის სულთან გაგყრიდნენ?!

ხორცო, ვარგიხარ ან მიწისგან დასაპურადა?!“

იყიდებოდნენ ცალ-ცალკე და სათითაოდ მამა და დედა, ცოლი და ქმარი, დაი და ძმა. ერთადერთი, რის გაყიდვასაც ჩაღმიანი ვაჭრები ვერ ახერხებდნენ, ეს იყო ქართული სული, სული თავისუფლების მოყვარე და უძლეველი!

„ბაზარში სული ბობოქრობდა, მონათა სული.

მე ვიდექ ჩემი სიჭაბუკის ლამაზ ცხედართან,

რომელსაც უღვთოდ ეყრებოდა სპარსული ფულ“

მას აქეთ სამასი წელი გავიდა, ქართველი კაცი ისევ ფერეიდანის მიწას ხნავს.

მას აქეთ ფერეიდანელ ქართველს ოცნებად ექცა სამშობლოს ხილვა.

მას აქეთ მოსვენებას არ აძლევს მას მშობლიური მიწის ძახილი: „გაბარდულია ისევ ვაზი, მწვანეა მიწა აკორდებული. დედის ნაქსოვი (ან დარღვეული) წინდების ღაზლი ყბებს ლაგამით მაქვს მოდებული“.

ყველაფერი წაართვეს უსამშობლო ქართველს თვინიერ ღმერთისა, მზისა, ენისა და სულისა. იგი ამ ქვეყანაზე ყველაზე ლამაზს, საყვარელსა და საფიცარს მშობლიურ ენას უკავშირებს, სპარსი გოგონას სიყვარულის აღსარებას რომ უსმენს, უნებლიეთ ამბობს, „ისე მეჭიკჭიკებოდა, თითქოს მექართულეობოდა“.

ამ ჯმუხა ბიჭს, რომელიც ძალ-ღონეს არასდროს უჩიოდა, უჩიოდა კი არა: “შემოვუქნიე მტრის მტერს ხმალი, შუა გავაპეო” – რომ ამბობს, საკუთარი საკურთხეველი და სალამპრე შორს ჰქონდა, არადა, რაინდული სულის პატრონს ისევ სპარსი მხედრობა უსახელებია. ო, რა დანანებით მოთქვამს მერე ამაზე:

„მე მონა ვიყავ და შემინდვეთ კახ ბიჭს ცოდვები,  
ჩემი მტრის მამულს შევალე ჩემი ბიჭობა“.

ვაგლახ, რომ მისი ბიჭობა მის მამულს დილისგათენებასავით სჭირდებოდა. საოცარია, ამდენი გოლგოთის გამოვლის შემდეგ იგი ბოლომდე სამართლიანია და არასდროს ჰკარგავს ობიექტურობის გრძნობას:

„დამირეგვა ლობე-ყორე, ამომწყვიტა მშობელ ერში.  
შაჰ-აბასის ღმერთი თორემ, შენს მუჰამედს მე რას ვერჩი“.

ეუბნება იგი სპარს გოგონას. მართლაც რომ იშვიათი ჰუმარუბაა: ქართული ეროვნული ბუნებისათვის დამახასიათებელი.

„რჩეულის“ ეს რკალი უაღრესად იმედიანად მთავრდება:  
„მზეო, გამითბე ბილიკი და ალაზნთან მელოდე,  
პატარა საქართველოდან დიდ, დედა საქართველომდე“.

**თამაზ წიგნივაძე  
1972**

ამ სუსტი აღნაგობის კაცს მართლაც დიდი შინაგანი ძალა ჰქონია, რომ ოცდაათ გრადუსიან ცინვაში კიდევე ლექსებზე ფიქრი შესძლებია.

როცა იმ ძალებს ჩამოთვლის, რომლებმაც არაადამიანური წვალეზა გადაატანინა და გადაარჩინა, პოეზიასაც ასახელებს: „და კიდევე იმიტომ გადავრჩი, რომ ამგვარ მდგომარეობაში არ წამერთო ძალა ლექსების თხზვისა. ფანქარი და ქალაღდი რომ არ მქონდა, ისე ვთხზავდი გონებაში... ზეპირად ვიმახსოვრებდი, ვჩურჩულებდი, ვბუტბუტებდი, რომ არ დამვიწყნოდა. მაინც, მაინც ვჯიუტობდი და ვბუტბუტებდი... ციმბირის ბანაკებში ცემენტის ქალაღდები ვიშოვე. ხელისგულზე დასატევი პატარა წიგნაკი შევკარი. კალამიც აღმოჩნდა და ძალზე წვრილი ასოებით წლობით ნაბუტბუტები ლექსები წიგნაკში ჩავწერე, ხან სად ვმაღავდი და ხან სად.“

რაც პოეტს ამ დამალული ლექსების გამო ფათერაკები გადახდომია, ეს კიდევე ცალკე აღსანიშნავია. ოთახებში ჩხრეკისა, საკონტროლო გასასვლელებში გავლისას, პოეტი თავის გადარჩენას აღარ დაეძებდა. იმას ფიქრობდა, საგანგებოდ დამალული ლექსები არ აღმოეჩინათ. ლაგერიდან გათავისუფლებულ მეგობრებს როგორმე ის ლექსები გაეტანათ და მერე აღარაფერს დაგიდევდათ.

აი, რა ძალა ჰქონია პოეზიის სიყვარულსა და მონოდების, შთაგონების ერთგულებას!..

ლადო სულაბერიძემ ტყვეობისა და გადასახლების ჯოჯოხეთიდან დაბრუნების შემდეგ არაჩვეულებრივი ნაყოფიერება გამოიჩინა, დაწერა ლექსების რამდენიმე კრებული და თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართული ლექსის აღიარებულ ოსტატთა შორის. მისი ლირიკა მრავალფეროვანია, მას არც პუბლიცისტური მგზნებარება აკლია, არც ადამიანური ინტიმი და გულწფელობა. მისი ლექსები ბევრს ისეთ რამეზე დაგვაფიქრებენ, რასაც სხვათა და სხვათა ლექსებში ვერ ვიპოვით.

## გრიგოლ აბაშიძე 1993

ლადო სულაბერიძის ლექსების პირველი კრებული „ყირიმის ღამეები“ გამოქვეყნდა 1948 წელს. მისი ლექსებისა და პოემების ძირითადი კრებულებია „ნარწერა კლდეზე“, „ჩრდილები“, „მზე მავრთულხლართებში“, „რჩეული“, „რჩეული ლირიკა“, „ჩამავალ მზესთან“. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

ლადო სულაბერიძის პოემები „შემოდგომის დღის ქრონიკა“ და „ლოდზე ამოკითხული თქმულება“, აგრეთვე, ლექსების ციკლი „თბილისი დამიმშვენე“ აღინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული პრემიებით.

1985 წელს გამოსცა რომანი „ზღვისკენ მიმავალი გზები“.

ლირიკული ლექსების კრებული „ჩამავალ მზესთან“ (1991 წ.) პოეტის სიცოცხლეში ბოლო გამოცემაა.

ლადო სულაბერიძის სიცოცხლეში ვერ მოესწრო მისი უკანასკნელი ნაშრომის, სათავედასავლო რომანის „ცხადსიზმარიანას“ გამოცემა; ჟურნალ „მნათობის“ რამდენიმე ნომერში „ცხადსიზმარიანას“ მხოლოდ პირველი ნაწილი დაიბეჭდა. 1993 წელს მწერალთა კავშირის მიერ „ცხადსიზმარიანა“ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურულ პრემიაზე იქნა წარდგენილი.

„ცხადსიზმარიანა“ დღევანდელი თაობისთვისაც მეტად დროულია საბჭოთა და მისი სამართალმემკვიდრე რუსული იმპერიალიზმის შესაცნობად. მეტად სამწუხაროა, რომ ამ რომანმა დღის სინათლე დღემდე ვერ იხილა!

2013 წელს, ოცდაორწლიანი პაუზის შემდეგ ქართველ მკითხველს ლადო სულაბერიძე გამომცემლობა „ინტელექტმა“ დაუბრუნა. ეს იყო ამ გამომცემლობის დამფუძნებლის კახმეგ კუდავას ინიციატივა. ბატონი კახმეგი საგამომცემლო პროექტის „100 ლექსის“ ავტორია, რომლის ერთ-ერთი გამოცემაც ლადო სულაბერიძეს დაუთმო და მისი შედგენა მე მთხოვა.

### სიცოცხლის ბოლო წლებიც ბრძოლაში

„ცხადსიზმარიანაში“ ლადო სულაბერიძე 1956 წლის 9 მარტის ცნობილ მოვლენებს ასე აფასებს:

„7 მარტს დიდუბეში შემომხვდა მეგობარი გოგონა. როდის ჩამოხველიო, რა კარგია, როგადარჩიო, არ ვიცოდით, რვა წელიწადი როგორ გაუძელიო... მეფერა და მელოლიავა ელიკო. ახლა მეჩქარებაო, გამოიარე ჩვენთანაო.

„დაიცა-მეთქი“.

„არა, მეჩქარებაო“.

„სად იჩქარი-მეთქი?“

„სანაპიროზე, ბელადის ძეგლთან, მიტინგიაო“.

„შენაც-მეთქი?!“

„ჰო, მეცაო“.

„კი მარა...“

„რა იყო, რა გაიცოცო?“

„სტალინს იცავ-მეთქი?!“

„აბა, არ უნდა დავიცვაო?“

„დედ-მამა რომ დაგიხვრიტა-მეთქი?!“

„სტალინს კი არ დაუხვრეტიო“.

„სტალინს არც არავინ დაუხვრეტია თავისი ხელით-მეთქი“.

„რა იცოდა რო ხვრეტდნენო?“

„ასიათასობით დახვრეტილებისა და მილიონობით გადასახლებულთა ამბავი არ იცოდა-მეთქი?!“

„აბა, რა უნდა ექნათ ხალხის მტრების და მოლაღატეებისათვისო?!“

„რას ამბობ, ელიკო-მეთქი?!“

„რას ვამბობო?“

„დედაშენი და მამაშენი-მეთქი?!“

„ისინი უდანაშაულო მსხვერპლია, ხეს რო ჭრიან, ნაფოტებიც ცვივაო“.

გაოცებული ვუსმენდი და მივხვდი, რომ მასთან ამ საუბრის გამწვავება აღარ ღირდა. ის ისე იყო გათანგული ბელადის პიროვნებით, რომ ვერავითარი არგუმენტით ვერ შეურყევდი ამ რწმენას. ამიტომაც აღარ ჩავციებივარ, მეჩქარება, მიტინგზე სიტყვა უნდა ვთქვაო და წავიდა.

ამის მერე არც არავისთან გამიბამს ასეთი საუბარი.

ვერე ამ ტალღებში და ვუსმენდი მგზნებარე მოწოდებებსა და ლოზუნგებს. მეტწილად ვცდილობდი გავცლოდი და შინ შევყუყუულიყავი.

ვერძნობდი რაღაც შეუცნობელს, მაჟრჟოლებდა, რაიონებიდან ჩამოზღვავებულ ქართველ ახალგაზრდებს რო ვუცქერდი, რაღაც მიხაროდა კიდეც, მაგრამ ციმბირის უკიდევანო გზები რო მომაგონდებოდა, მაშინვე ორთაჭალისკენ, ხარფუხისაკენ გავემართებოდი, შინ შევიმუდრებდი. ცნობისმოყვარეობა გარეთ მეზიდებოდა, ციმბირული, კატორღული სურათები წინ მეღობებოდნენ.

9 მარტს ელიკო ტრიბუნაზე მდგარი რუსის ხიშტზე წამოგებულა. ეს მერე ერთ-ერთმა ამ ამბის მხილველმა გვიამბო.

რუსის ჯარი ქართველ ახალგაზრდებს დარევია სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან და რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სასახლის მისადგომებთან, გაუფლეთიათ, უმონყალოდ დაუხოცავთ, დაუცხრილავთ, ქართული სისხლით გაუღებავთ ასფალტი და მტკვრის სანაპირო.

რუსული იმპერიის, კომუნისტური კრემლის მესვეურთა თასი აივსო ქართველების სისხლით. ერთბაშად განათდა ჩემში ამ დიადი მოვლენის არსი:

სტალინის ქართულმა ფენომენმა იფეთქა ეროვნულ ხასიათში. მასა არ აღზევებულა სტალინიზმის, სტალინის რეჟიმის დასაცავად. ამ იდეისა და რეჟიმის ათწლეულების საშინელი შედეგები ჩაგუბებული და ჩაგუდული იყო ხალხის გულში, სტალინის პიროვნების შელახვამ უცხოტომელთა მიერ, გააღვიძა ქართველთა მიძინებული თუ დათრგუნული თავმოყვარეობა, სადინარი მიეცა გულში ჩაგუბებულ და ჩაგუდულ პროტესტს, აგორდა საერთო სათქმელი და აღზევდა ეროვნული ენერგია.

ათწლეულების განმავლობაში დათრგუნული ეროვნული ენერგია აფეთქდა.

ხრუშჩოული ამნისტიის შემდეგ 9 მარტის სისხლიანი მოვლენები საქართველოში იყო მეორე ნათელი ნიშანი კომუნისტური იმპერიის რღვევის დასაწყისისა.

1924 წლის აჯანყების შემდეგ ქართული ეროვნული მოძრაობის მკვეთრი გამოხატულება იყო 9 მარტი.

ეს რო გავიცნობიერე, ვინანე, რატომ არ ავუბი მხარი ელიკოს, რატომ არ მივდიე მიტინგის ტრიბუნამდე, ეგებ მის გვერდით მდგარს ხელი ამეკრა რუსის ხიშტისათვის და გადამერჩინა ეროვნული ენერგიის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელო ნაპერწკალი.

ხიშტზე წამოგებულ ელიკოს გვამს ვერსად მივაგენით“.

...და ორმოცდასამი წლის შემდეგაც ისევ საბედისწერო 9 რიცხვი: 9 აპრილი!

კომუნისტური კრემლის მესვეურთა თასი ისევ აივსო ქართველების სისხლით. „ხიშტზე წამოგებულ“ ოცამდე თავდადებულ პროტესტანტს შორის ძირითადად ქალები იყვნენ. დროში სხვაობის კანონი თთქოსდა, დაირღვა, 43-წლიანი პერიოდი თითქოს სადღაც გაქრა, ლაღო სულაბერიძემ ისევ 1956-ში შეაბიჯა, ის ერთდროულად დააბიჯებდა 1956-შიც და 1989-შიც... ის ისევ ელიკოს გვამს ეძებდა, ირგვლივ კი ყველგან სამგლოვიარო ტიტები ეფინა.

\* \* \*  
**სანთლები**

ტიტები, ტიტები, მიხაკები!  
სანთლები, სანთლები, სანთლები!..  
სისხლის ელვაო, იკლაკნები  
ქართული სულის ნათებით.  
სისხლო, ამოდი, აყვავილდი,  
სისხლო, დაჩეხილ ლანდების.  
გაეფერება მაყვალ-შინდიც წითელი  
შარავანდედით.

უფალო, შვეებით ეოხეო  
ლანდებს მონამლულ-მინამლულს,  
აქეთ გზა კრწანისს უერთდება,  
იქით უერთდება წინამურს,  
საქართველოო, ფეხაკრეფით  
აქ მარად მოვალთ და დავდგებით.  
ტიტები, ტიტები, მიხაკები!  
სანთლები, სანთლები, სანთლები!..

თუმცა ორი წლის შემდეგ იყო მეორე 9 აპრილი... გამარჯვებისა და ზეიმის დღე. ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღიდგინა და ასრულდა კოტე ხიმშიაშვილის მიმდევართა, გიორგი ძიგვაშვილისა და სხვა დახვრეტილი ახალგაზრდების ოცნება. ლადო სულაბერიძესაც თავი ალბათ სიზმარში ეგონა, როცა „რუსეთის, ევროპისა და ციმბირის გზებზე ათასწაირ ხიფათსგადაყრილმა“, გადარჩენილმა და ამით ყველაფრით ძლიერ დაღლილმა მოისმინა, რომ საქართველო ამიერიდან დამოუკიდებელი ქვეყანა იქნებოდა.

\* \* \*  
**გაგიმარჯოთ, ქართველებო!**

გაგიმარჯოთ ქართველებო,  
კარგებო და ნაღებო!  
მტრის ჯინაზე, მაინც ცისკენ,  
მაინც ღვთისკენ ვმალდებით.  
რას მიქვია, ერიო  
გადაჯიშდა, დალპაო,  
ველარ გაინწინამძღვრა  
მომავლისკენ ლამპაო?!  
ასე არა, აღარა თქვათ,  
არამცა და არამცა.  
აბა, დღემდე ვით შემოვრჩით  
ან ამ მინას, ან ამ ცას?!  
მეტი წილი კარგები ვართ,  
მეტი წილი ნაღები.  
სისხლს გავიღებთ, ჩაუქრობელ  
ცეცხლად გავჩახჩახდებით.  
გვყვანან ცუდი ქართველებიც,

გვყვანან არაკაცებიც,  
ისინი რო ზნეცუდობენ,  
ჩვენ მტრის მახვილს ვაცხრებით.  
გვიბილწვენ წესს და ადათს  
ცუდი ქართველებია.  
კარგები კი სამშობლოსთვის  
ბრძოლის ველზე კვდებიან.  
ვაშა, კარგო ქართველებო,  
მკვდრებოცა და ცოცხლებოც!  
ჩვენ მეტნი ვართ,  
ჩვენ ბევრნი ვართ,  
ჩვენ მამულზე ვვოცნებობთ.  
მტრის ჯინაზე, მაინც ცისკენ,  
მაინც ღვთისკენ ვმალდებით.  
გაგიმარჯოთ, ქართველებო,  
კარგებო და ნაღებო!

სამამულო ომს ლადო სულაბერიძე 73 წლის ასაკშიც მოესწრო; ომს, რომელშიც მტერი ქვეყნის ულამაზეს ზღვისპირა კუთხეს გვეცილებოდა და უმონყალოდ ხოცავდა ამ კუთხის შვილებსა და დამცველებს... ლადო სულაბერიძეს „ზღვისკენ მიმავალ გზებს“ ართმევდნენ.

## ჰოი, დედანო!

გველუპებიან...  
 გველუპებიან..  
 გველუპებიან...  
 დედებს კაბები შავი ღრუბლით შეღრუბლებიათ.  
 ჰოი, დედანო, რა ნუგეშით შეგანუგეშოთ?!  
 ნამოენიათ ბიჭებს ტყვია ბრმა და უგეშო.  
 ჰოი, დედანო, სამამულო ლექსის სტრიქონზე  
 დაგორდა თქვენი ცრემლებიცა და სულს მიკოჭრებს.  
 არა დედისკენ, არა ძმისკენ, არა დისაკენ,  
 გაიჭრნენ თქვენი ვაჟკაცები მარაბდისაკენ.  
 ბასიანისკენ...  
 დიდგორისკენ...  
 მამულისაკენ...  
 უკვდავებისკენ გზას იკვლევენ, ძნელად მისაგნებს.  
 ლეგენდების და ლექსების გზით ანი ივლიან,  
 ძეგლებში თვალს გაახელენ ცეცხლწაყრილიანს.  
 დიდგორელებთან, ბასიანელ-მარაბდელებთან  
 ქართული მზეი მამულის ცას არ აბნელებდა.  
 იქ, იქ ამალდნენ, იმ რაინდებს ეწყვილებიან...  
 ფრთები ესხმებათ, მამულს რაკი ენირებიან.  
 ჰოი, დედანო, ნულა იტყვით, დაგველუპო, –  
 დიდ სიცოცხლეში შეგრიადნენ... შენსკენ, უფალო!  
 ლეგენდების და ლექსების გზით ანი ივლიან,  
 ძეგლებში თვალს გაახელენ ცეცხლწაყრილიანს.

აქაც თითქოსდა 50-წლიანი დროის საზღვარი მოირღვა და ამჯერად პოეტმა 1942-ში შეაბი-  
 ჯა: ზღვისპირა ქერჩში, სადაც მის თვალწინ ქართველი ჯარისკაცები მასიურად იხოცებოდნენ.

თუმცა ერთი სხვაობა მაინც გაჩნდა: ქერჩში 23 წლის ლადო სულაბერიძე დაიჭრა, მაგრამ  
 გადარჩა, აფხაზეთის ომმა კი მას გული გაუჩერა; ამ ომს ის ველარ გადაურჩა.

...და შეწყდა „შუვილი შორეულ ტალღათა“.

ლადო სულაბერიძე საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკულ, სოხუმის და-  
 ცემის დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს საკუთარ ბინაში გულის შეტევით გარდაიცვალა.

ეს ლამის საათებში მოხდა. იმ ღამეს მთელ საქართველოს დაზაფრულს ეძინა, ხოლო ვისაც  
 არ ეძინა, დაზაფრულს ეღვიძა. ის ღამე მთელი საქართველოსთვის საშინელი იყო, ჩვენი ოჯახ-  
 ისთვის კი უსაშინლესი აღოჩნდა. ჩემი მშობლების ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა. დაგვირეკა  
 ლადო ბაბუს კარის მეზობელმა, პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა. მე და მამაჩემი სახლიდან  
 გავვარდით. თავის საცხოვრებელ ბინაში, ტელევიზორის წინ გაშლილ დივანზე ლადო ბაბუ  
 ინვა, გვერდით, იატაკზე გადაშლილი, „შენწყვეტილი“ წიგნი იდო. როცა დავიხარე და ტირილით  
 ათრთოლებულმა მშვიდად დახუჭულ თვალებზე, შუბლზე უკანასკნელად ვაკოცე, ვიგრძენი,  
 რომ ჯერ კიდევ თბილი იყო. ეს სიტბო თითქოს სპეციალურად შემოენახა ჩემთვისმის ბინაში  
 მისვლამდე იმ საბედისწერო ღამეს მთელი ქვეყნისთვის, რათაგული არ გამციებოდა ღმერთის  
 სამართალზე. უკანასკნელი სამსახური გასწია ჩემთვის: თავისი სიტბოგულში ჩამიღვარა, რომ  
 ასეთი გულით მეცხოვრა. ასეც მოხდა.

**შვილებს:**

\*\*\*

**ანდერძი**

ჩემი წუთისოფლის  
თანვე წავიღებ შხამსა და სამსალას,  
არვის დავუტოვებ,  
ისე დავადგები იმ გრძელ გზა-შარას.  
სხვა წუთისოფლის  
არ გადამილახია ზღვრები.  
თქვენ,  
ავთანდილ და თეიმურაზ,  
რაკი ხართ ძმები,  
თქვენივე ზიდეთ...  
ჩემი წუთისოფლის  
მე თან წავიღებ შხამსა და სამსალას,  
არვის დავუტოვებ,  
ისე დავადგები იმ გრძელ გზა-შარას.  
ანი თქვენ იარეთ,  
კლდის ყვავილი  
იქ, შორს ღალანებს

მის საპოვნელად მუხლი კანრეთ,  
ითავცემეთ,  
ათენ-ალამეთ.  
მერე რა,  
ეძებეთ,  
თქვენ,  
ავთანდილ და თეიმურაზ,  
გულის მგლეჯველ ბედს  
გიტოვებთ მხოლოდ...  
ანი თქვენ იარეთ,  
კლდის ყვავილი  
იქ,  
შორს ღალანებს,  
მის საპოვნელად მუხლი კანრეთ,  
ითავცემეთ,  
ათენ-ალამეთ.

**შვილიშვილებს:**

ლელა და ლადო, ნინო, თამუნა,  
თქვენ კრეფთ ამ უნაბს.  
თქვენი წილია...  
არ გაეკაროთ კაცებს მუნიანთ.  
ლელა და ლადო, ნინო, თამუნა,  
ნინ მზე, მზე გელით ამ მამულიანთ.  
ლელა და ლადო, ნინო, თამუნა,

\*\*\*

ჩემი უნაბი გაკრეფილია.  
მუნი სატანამ ქვეყნად ამუნა,  
თქვენ კრეფთ ამ უნაბს.  
თქვენი წილია...  
ჩემი უნაბი გაკრეფილია.

რატომ კვიპაროსები?!

იმიტომ, რომ ეკლესიის გუმბათებს გვანან; იმიტომ, რომ ეკლესიაში დანთებული სანთლების ალივით ირხევიან; იმიტომ, რომ ზეცისკენ არიან ატყორცნილები და იქნებ, ზეცაში გარდასული ჩვენი უსაყვარლესი ადამიანების ლანდებსაც წვდებიან. იქნებ, ეს ლანდებიც კვიპაროსების ქეჩოებს ეფერებიან და თუკი შენც მაგ დროს ხეს ხელისგულით შეეხები, ისევ მატერიალურად შეიგრძნობ გარდაცვლილ ახლობელთან შეხებას, სიახლოვესა და სითბოს, რაც მისი გარდაცვალებიდან მოყოლებული ყოველ დღე გენატრება კაცს!

\*\*\*

**მამის საფლავი**

უნდა გავზარდო კიპაროსები,  
ფესვებზე წყალი უნდა ვაღვარო,  
მივცე სიმაღლე იმ ქარიშხლების,  
რაც ამოხეთქა შენმა სამყარომ.  
დავურჭვე ნერგებს მსხვილი სარები  
და მივაკარი თოკით სარებზე.  
ქარში გულმკერდით წავეფარები  
და ჩემ მკლავებში გაიხარებენ.  
შენს სამყაროში ვერ ეტია მზე...  
მეც თუ შორ გზებზე ნავჰყევ ნეროებს,

სანუთროს ყველა მერიდიანზე  
მე დავინახავ მათ კენწეროებს.  
იმათზე შენი სული იალებს,  
შენი ჩიტების ფერად გუნდებით.  
ვიხეტიალებ... ვიხეტიალებ...  
და ბოლოს მასთან შემოვბრუნდები,  
შემოვბრუნდები და იმათ ჩრდილში  
შენი სამყაროს მზით ავივსები.  
და, როგორც ჩემი სამშობლოს ნიში,  
იმრიალებენ კიპაროსები.



### უკვდავ პოეტთა უანბარო ჟირისუფალი

1955 წელი იდგა. მცხუნვარე ივლისის თვეში ეწვია მშობლიურ ვანის რაიონს ქართული ლექსის შეუდარებელი ოსტატი, ქართული სიტყვის ჯადოქარი, საქართველოს სახალხო პოეტი (1933 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1944 წ.) პოეტი – აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე. მისი სახელი კარგა ხანია გასული იყო მსოფლიო პოეზიის მერიდიანებზე.

საქართველოს ცენტრალური სალექციო ბიუროს 1955 წლის 5 ივლისს №108 ბრძანებაში ვკითხულობთ: „1955 წლის 9 ივლისს ვანის სარაიონო კულტურის სახლში ჩატარდება თემატური საღამო მიძღვნილი საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მივლინებულ იქნენ 3 დღით: პოეტი-აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე, ლექტორი ფ. ნიშნიანიძე, კრიტიკოსი ლ. კალანდაძე, პოეტი ა. თევზაძე და ვ. გურგენიძე“...

დედის გარდაცვალების შემდეგ (1935 წ.) პოეტი მთელი ოცი წლის განმავლობაში არ სწევია მშობლიურ სოფელ ჭყვიშს, „სადაც ყოველი მტკაველი მიწის დანაღმულია მეტაფორებით“ (შ. ნიშნიანიძე) და „ცა, მიწა სავსეა მარადი ლირიკით“ (გალაკტიონი).

აქ დღესაც მრავლად ხარობს: „ციურ ცვარით ნაბანი“ მისი „ყრმობის ლექსების მოთაყვანე ლაფანი“, „ტბების ვარდები, ფშნების წალამი – სიტყვები გულზე დასაქსოველი.“ (გალაკტიონი).

გალაკტიონთან შესახვედრად მოზღვავებულ ხალხს რადგან ვანის კულტურის სახლი ვერ დაიტევდა – გადაწყდა საღამო რაიონის ცენტრში ღია ცის ქვეშ გამართულიყო. ადგილობრივ მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი, მოსწავლე – ახალგაზრდობა პირველად ხვდებოდა სასიქადულო პოეტს და სწორედ, ამან განაპირობა ასეთი ცხოველი ინტერესი უკვდავი შემოქმედისადმი, ცოცხალი გენიოსისადმი.

რაიონის ცენტრში მოედანზე მოწყობილ ტრიბუნაზე, გვამცნობს მაშინდელი პრესა, დიდ პოეტთან ერთად ავიდნენ მასპინძლები – მაშინდელი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

პოეტ ვახტანგ გურგენიძეს ბედნიერება ხვდა წილად პირველი მისალმებოდა სწორუპოვარ პოეტს. გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა ქალბატონმა ფატი ნიშნიანიძემ, მწერალთა კავშირის სახელით კრიტიკოსმა ლავროსი კალანდაძემ დიდად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. პოეტმა ანდრო თევზაძემ გალაკტიონისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსთან ერთად დიდებულად წაიკითხა მისი ბრწყინვალე ნაწარმოები „გურიის მთებს“. ლექსის დიდოსტატს მიესალმნენ მოსწავლეები, მასწავლებლები...

10 ივლისს გალაკტიონი თავის თანმხლებ პირებთან ერთად შუამთისკენ გაემგზავრა. გზადაგზა ხანმოკლე შეხვედრები იმართებოდა. შუადღით შუამთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეზოში, იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, ნემსის ჩასაგდებად ადგილიც არ მოიძებნებოდა.

სახალხო პოეტს მიესალმნენ: შუამთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი – ნინა აფხაზავა, ვ. ყუბანეიშვილი და სხვ. ამავე ტექნიკუმის წარჩინებულმა მოსწავლემ როზა ახოზაძემ, სასწავლებლის ახალგაზრდობის სახელით დააყენა წინადადება რომ სახლში, სადაც დაიბადა გალაკტიონ ტაბიძე, მოწყობილიყო პოეტის სახლ-მუზეუმი. წინადადებას დამსწრე საზოგადოება მოწონებით შეხვდა.

სოფელ ჭყვიშის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა თავის ღვიძლ, სახელოვან შვილს, სასურველ სტუმარს. ბუმბერაზ პოეტს უაღრესად გულთბილად შეეგებნენ ნათესავები. მისი საყვარელი ძმის, პროკლეს მეუღლე ტატიანა ტაბიძე (ცინცაძე), ელპიტე ბახტაძე (სახლის მომვლელი), ტაბიძეების გვარში უხუცესი დიმიტრი ტაბიძე, ბიძაშვილი – მხცოვანი პედაგოგი, ტიცვიანის ძმა სიმონ ტაბიძე მეუღლითურთ, მოგვარეები: გრიგოლ, ალექსანდრე, გიორგი, დავით ტაბიძეები...

პოეტმა მონატრებით დაათვალიერა სახლი — სადაც დაიბადა და, რომელიც დღესაც

ამაყად დგას „ფაზისის პირად, ჩანგის სიმებად და ჩანგის წკირად“. ხელით შეეხო კედელს, საოჯახო ნივთებს, წამით გაირინდა უცეცხლო კერასთან, ალბათ მისივე ლექსის სტრიქონები თუ გაახსენდა:

„მახსოვს ქარი სძრავდა ჩვენი სახლის ლანდურს,  
ხმა ხან ჩონგურს ჰგავდა, ხან სევდიან ფანდურს,  
შენ სტიროდი დროო, როგორც ბედისწერა,  
სახლი უეზოო და უცეცხლო კერა.“

შემდეგ მშობელთა საფლავები მოინახულა, მდინარე რიონის სანაპიროს ჩაუყვავა, დაათვალიერა ახლო-მახლო მიდამოები, ზღვასავით მღელვარე ყანები... და მეფისჭალის ულამაზესი სანახები ცამდე აწვდილი საუკუნოვანი ვერხვებით.

ნაშუადღევს გვარიანი სუფრაც გაიშალა პოეტის ეზოში, რომელსაც მისი უახლოესი მოგვარე ბათა ტაბიძე უძღვებოდა. სწორედ, ამ სუფრასთან ნაუკითხავს მგოსანს შინაგანი განცდითა და შთაგონებით ქართული სატრფიალო ლირიკის შედევერი „მერი“. სამწუხაროდ, ლექსის ხმის ჩანაწერი არ არის შემონახული. შუა ლხინში გალაკტიონი სუფრას განრიდებია და ქობის წინ მდებარე წისქვილის ქვაზე ჩამოუსვენებია. სწორედ ამ დროს მოუკრავს თვალი მის მახლობლად განმარტოებით მდგარ ახალგაზრდა კაცისთვის. ეს ახალგაზრდა კაცი პოეტი გიორგი ახობაძე გახლდათ, რომელმაც ძალუმიად შეიგრძნო ქართველი პოეტების მეფესთან – სწორუპოვარ გალაკტიონთან შეხვედრისა და სულიერი განდობის ბედნიერება. მან სახელდახელოდ დაწერილი ლექსი, საყვარელ მგოსანს, თვით სასახლეზე იღუმალი ქობის წინ, დაღლილ ღმერთივით ჩამომჯდარს, მოკრძალებით ნაუკითხა.

გალაკტიონს კმაყოფილების ღიმილი დაჰფენია სახეზე და უთქვამს: „კარგად დაგინერია, ძამიკო, მაგრამ ახლა ჩემს ლექსს მოუსმინე, თუ მოგეწონებაო:

„შენი ეზო ჰგავს საქვეყნო ქუჩას,  
სისწრაფეა თუ დაგვიანება,  
შემოდის ყველა – ვისაც გზად უჩანს  
და ვისაც როგორ ეპრიანება.  
თუ პოეზიის ხარ ფალავანი,  
ცხოვრებაც ისე უნდა მოგვარდეს, –  
აიგე ციხე და გალავანი  
რომ შიგ ვერავინ ვერ შემოგვარდეს“

შემდეგ მონუსხულივით იდგა უცეცხლო კერასთან. პოეტის სევდა და წუხილი მასაც ერთიან დაეუფლა... ალტერნატივის ძებნა არ დაუნყია, რამეთუ გალაკტიონისადმი მცირე სამსახური, თუნდაც მაღლიანი ეზო-კარმიდამოზე მზრუნველი თვალის დაჭერა, ერის უანგარო სამსახურს ნიშნავდა. მისთვის იქ მიცემული ფიცისთვის „გემსახურო უნდა მარად, შვილს შემეფერის შენი მიწის“ – არც არასოდეს უღალატინა. ამ დროს იგი შუამთის კულტურის სახლს განაგებდა.

ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული იქნა დადგენილება სოფელ ჭყვიშში არსებულ გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლში სახლ-მუზეუმის გახსნისა და შუამთის კულტურის სახლისთვის სასიქადულო პოეტის სახელის მინიჭების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე დასტური ეთხოვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

შუამთის კულტურის სახლს იმავე წელს მიენიჭა გ. ტაბიძის სახელი, ხოლო პოეტის სახლ-მუზეუმი იმ სახით, როგორც დღესაა, ცოტა მოგვიანებით გაიხსნა. ვფიქრობ, პიროვნების კულტის დაგმობის უაზრო კამპანიამ განაპირობა გადასაჭრელი საკითხის ასე დროში განწევვა. მითუმეტეს, ცოცხალ კაცს მუზეუმს ვინ გაუხსნიდა, გალაკტიონმა ხომ 1959 წლის 17 მარტს ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. მისი სული სივრცეებმა დააბინადრეს და თავად უკვდავების ბინადარი გახდა. მიუხედავად ყველაფრისა გალაკტიონის პლანეტარულ, უძლიერეს შემოქმედებას ჭირდებოდა ყურადღების მეტი სიმახვილე, როგორც ეროვნული ღირებულებებისა და ღირსების წარმომჩენ პოეზიას, მის სიდიადეს უნდა ზიარებოდა ათასობით ადამიანი, განსაკუთრებულად ახალგაზრდობა. ამის გამოც „1966 წელს მაშინდელი რაიკომის ბიუროს სპეციალური დადგენილებით იქმნება „გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის მოწყობის საორ-

განიზაცია კომიტეტი“ ცხრა წევრის შემადგენლობით. იმავე წლის ივლისიდან მუზეუმისთვის რაიონის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულ იქნა სამტატო ერთეულები, გამოყოფილი იქნა ეზოსთვის 8000მ<sup>2</sup> ფართობი, პარალელურად წარმართა მუზეუმის საექსპოზიციო – თემატური გეგმის დამუშავება, რომელშიც აქტიურად ჩაება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი და ვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი – სოლომონ ყუბანიშვილი. აქედან იწყება პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების შეგროვება-შესწავლა. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმმა ამ მუშა ჯგუფს გადასცა პოეტისეული 102 დასახელების ნივთი, ინვენტარი, პოეტის საკუთარი ბიბლიოთეკა 1400 ცალი ნივთით. პოეტისეული ჟურნალ-გაზეთები, ტანსაცმელი, ფოტოსურათები.“ დაარსდა გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი მისივე საცხოვრებელი სახლის, ზემოთ ჩამოთვლილი მემორიალური ნივთებისა და მასალების საფუძველზე. ფასდაუდებელი იყო ქუთაისელი არქიტექტორის ბატონი გივი თოდუას ნვლილიც, რომელმაც საგანგებოდ დაამუშავა და შექმნა პროექტი მომავალი მუზეუმისათვის და უსასყიდლოდ გადასცა იგი რაიონს.

გ. ტაბიძის ახალგაზრდა მუზეუმს, ბუნებრივია, ხელმძღვანელი სჭირდებოდა. დირექტორის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა, მაგრამ არჩევანი შუამთის კულტურის სახლის დირექტორზე, ახალგაზრდა პერსპექტიულ შემოქმედზე გ. ახოზაძეზე შეჩერდა. საქმეში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ტიცციან ტაბიძის ძმის, პედაგოგ სიმონ ტაბიძის რეკომენდაციამაც.

გიორგი ახოზაძე დაიბადა ვანის რაიონის სოფელ მთისძირში 1926 წლის 2 ივლისს. მამა – ივანე ბანკის მოხელე ყოფილა; დედა – ნადია არველაძე დიასახლისი. სულ რვა შვილი ჰყოლიათ, მათ შორის, თვალსაჩინო პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დომენტი ახოზაძე, რომელიც 7 წლით უფროსი იყო გიორგიზე. ის გახდა გზამკვლეველი ჭაბუკი პოეტისა, მისი დამრიგებელი და დამკვალიანებელი. მან შეაყვარა ასე უსაზღვროდ ქართული მწერლობა, გალაკტიონისა და ტიცციანის უკვდავი პოეზია.

გიორგის მამის – ივანეს ოჯახი თავის დროზე საკმაოდ შეძლებული იყო. ბაბუას ბასილს სამტრედიის საავტორო ცენტრი ჰქონია, მაღაზიები და სასტუმრო, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ თითქმის ყველაფერი ჩამოურთმევიათ. ასე რომ, ბატონი გიორგი კარგი ცხოვრებით განებივრებული არასოდეს ყოფილა.

ივანე 1940 წელს გარდაიცვალა და მთელი ოჯახის სიმძიმე ქალბატონ ნადიას დააწვა მხრებზე. რვა შვილის მოვლა-პატრონობა, მათი გაძლოლა მართლა გმირობის ტოლფასი იყო.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგი რამდენიმე წელი მუშაობდა რკინიგზაში მუშად. 1949 წელს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1954 წელს დაასრულა.

გარკვეული წლების განმავლობაში მუშაობდა მთისძირის კლუბის გამგედ, შემდეგ შუამთის კულტურის სახლის დირექტორად, 1966 წელს სათავეში ჩაუდგა გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმს და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა მთელი 22 წელი.

შრომის სიყვარული და სიკეთის ქმნა გიორგის ჭაბუკობიდანვე მოსდგამდა. მუშა ფუნქციონით სულ გარჯაში იყო, მუხლჩაუხრელი და მკლავმოუღლეელი. მისი გადმოცემით ვიცი, რომ სულ ორი თუ სამი თანამშრომლის ამარა, როგორ შეუდგა გალაკტიონის „თვით სასახლეზე იდუმალი“ ქოხის, ეზო-კარმიდამოს მონესრიგებას, აჟურში მოყვანას. შესაშური ენთუზიაზმის მქონე კაცი იყო, საქვეყნო საქმეებთან ერთად ღირსეულად ართმევდა თავს დიდი ოჯახის მამობას, მან მეუღლესთან – თინა ჟვანიას ერთად ხუთი სასახლო შვილი აღუზარდა სამშობლოს.

რაკი გალაკტიონის მუზეუმი გაიხსნა – დამთვალეირებელთა ნაკადიც დაიძრა შეუდარებელი პოეტის საცხოვრისისაკენ.

სწორედ, გიორგი ახოზაძის ინიციატივით, ტიცციანის უმცროსი ძმის – სიმონ ტაბიძისა და პოეტის ქალიშვილის — ნიჭა ტაბიძის მხარდაჭერით, რაიონის მცხოვრებთა მოთხოვნით, საზოგადოებრივ საწყისებზე 1968 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ტიცციან ტაბიძის სახლ-მუზეუმმა. ჭყვიშის მაღლიანმა მინამ ორი განუმეორებელი ბრწყინვალე პოეტი მისცა საქართველოს, მსოფლიოს („ორი ტაბიძე ეყოფა პოეზიაში ცხრა მოდგამას“ -ო. მამფორია). ერთმ-

ანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ხმის, ტემპერამენტის, მხატვრული აზროვნების. ბატონი გიორგი ახოზაძე ფრიად ნიჭიერი შემოქმედი იყო და გვარიანი ლექსებიც შექმნა, ის ავტორია მშვენიერი ნიგნებისა: „გიხმობს, გეძახის“ (1978 წ.), „იარე რწმენით“ (1982 წ.), „ჩემი სალოცავები“ (1991 წ.)... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონისა და ტიცციანის ჭერქვეშ იმჟამად სხვა პოეტები ვერ ქუხდნენ ისე, როგორც გიორგი ახოზაძე. მინდა გავიხსენო მისდამი მიძღვნილი ლექსი-ექსპრომტი, სადაც ასეთი აზრი მაქვს გატარებული:

„მსოფლიოს თუ ვერ გადასწვდა  
შენი სიმღერის ექო,  
თავზე ევლები ალერსით  
ამ ველ-მინდორს და ბექობს...  
გალაკტიონის ჭერქვეშ  
ძნელია დაიჭექო!“

გალაკტიონისა და ტიცციანის სახლ-მუზეუმების დამთვალეიერებელთა რაოდენობამ იმდენად იმატა, რომ 1972 წლის მონაცემებით – დაახლოებით ერთი წლით ადრე საექსპოზიციო-საგამოფენო უნიკალური კომპლექსის გახსნამდე, ტაბიძეთა მემორიალური სახლები მოინახულა 20 000-ზე მეტმა ადამიანმა.

1973 წლის 3 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში, რომელსაც დიდი წარმომადგენლობითი შემადგენლობა ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან, მწერალთა კავშირიდან, მეცნიერებათა აკადემიიდან, უკრაინის, რუსეთის, ბელორუსის და ა.შ. მწერალთა კავშირებიდან, გაიხსნა გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი საგამოფენო დარბაზი, რომელშიც მონყობილი იყო თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე შესრულებული სტაციონალური გამოფენა.

საექსპოზიციო დარბაზის ბალავერში გიორგი ახოზაძის ოფლის წვეთებიცაა დატანებული. მიკვირს ამ ჩია ტანის კაცმა როგორ გაუძლო ამდენ ჭაპანწყვეტას, ამდენ დატვირთვას. არ იქნება ზედმეტი თუ ვიტყვი, რომ სასიქადაულო პოეტების პოეზიის, მათი სანმყსოს უსაზღვრო სიყვარულმა შეაძლებინა შეუძლებელი და მარტო ის ვერაფერს გახდებოდა რომ არ ჰქონოდა მხარდაჭერა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისა, საქართველოს მწერალთა კავშირის (ფასდაუდებელია იარაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის და სხვა ქართველ მწერალთა ღვაწლი მუზეუმის მშენებლობის საქმეში), ადგილობრივი ხელმძღვანელობის, რაიონის სკოლების, წარმოება-დანესებულებების, ორგანიზაციების. რასაკვირველია, დიდი იყო მუზეუმების თანამშრომელთა ჩართულობა ამ პროცესში. დიდი იყო გრძნობა და გაცნობიერება იმისაც, რომ გალაკტიონის საცხოვრისში, ყველაფერი უნდა ყოფილიყო იმ რანგში, როგორც დიდ პოეტსა და მის უდიდებულეს შემოქმედებას ეკადრებოდა.

პირადად მე 1973 წლის მაისის თვეში გადმოვედი თბილისიდან სამუშაოდ გალაკტიონის სახლ-მუზეუმში, რომელიც დღითიდღე შლიდა ფრთებს. რა თქმა უნდა, მთელი გულითა და სულით ჩავერთე სამუზეუმო საქმიანობაში, ვცხოვრობდი მუზეუმის სისხლსავსე ცხოვრებით. მალე დაშვებული იქნა ახალი სამტატო ერთეულები: ექსკურსიამძღოლების, მეცნიერ-თანამშრომლების, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის და ა.შ.

გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი და შეგროვებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, საექსპოზიციო-საფონდო, საექსკურსიო მუშაობა, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ბატონი გიორგი ახოზაძე, რამეთუ დაჯილდოებული იყო შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭით. სამუშაო პროგრამები დაიტვირთა გალაკტიონისა და ტიცციანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებით, გასვლითი ღონისძიებებით გალაკტიონისა და ტიცციანის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მოძრავი გამოფენების დემონსტრირებით, პოეზიის სადამოების მონყობით შინ თუ გარეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში: თბილისში, რუსთავში, ლანჩხუთში, მარტვილში (გეგეჭკორის), ზესტაფონში... რომელსაც აგვირგვინებდა ფილმის „გალაკტიონის“ ჩვენება. ყველანი ერთი სულისკვეთებით ვიყავით დარაზმულნი, ერთ მუშტად შეკრულნი, ეს, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელის დამსახურება იყო. მასთან ერთად თითქმის მეოთხედი საუკუნე გავატარე აზრიც გვქონია ზიარი, ზიარი პურის ნატეხიც და ხშირად მალამოდ დავდებივართ ერთმანეთის იარებს.

ბატონი გიორგი ახოზაძე, ლექსით ცხოვრობდა და ლექსით სუნთქავდა, სხვისი შემოქმედების დამფასებელიც იყო, უყვარდა წესრიგი, გააჩნდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძობა. საკუთარ თავსაც ბევრს სთხოვდა და სხვების დაუდევრობას, გულგრილობას ვერ იტანდა, საქმეს არასოდეს გამოილევდა.

მახსოვს ერთხელ გალაკტიონის საექსპოზიციო დარბაზის სახურავის შეკეთება ხდებოდა. ყველა გაგვაფრთხილა დილით ცოტა ადრე მოდიეთ – სანამ მზე მაგრად დააჭერსო. რალაც გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და თითქმის ერთი საათით დამაგვიანდა. გვარიანად გაბრაზებული დამიხვდა, სახურავიდან ხოშკაკალივით დამაყარა საყვედურები: „შეგიძლია ნახვიდე სახლში და დაისვენოო, ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა. დროებით გაცლა ვამჯობინე, რადგან ვიცოდი, რომ გიორგი ახოზაძე იუმორთან საკმაოდ წილნაყარი პიროვნება იყო, თვითონაც ქმნიდა მშვენიერ იუმორისტულ ლექსებს. სამუშაო ოთახში განვმარტოვდი, გავბედე და სახელდახელოდ ასეთი ლექსი მივუძღვენი:

მე გულს ნულარ მომამადლი,  
 თითქოს ჩემს სახლს ხურავდე,  
 სახურავზე უნდა იდგე –  
 გრიგალს მიაყურადებ.  
 ბოლო დროს რომ შეგიკერენ –  
 არ აგცდება ის კუბო,  
 უკვდავება თუ კი გინდა,  
 გიჯობს – დროზე ისკუპო.  
 იმ ცხონებულ გალაკტიონს  
 შენი ცოდვა მიეცა,  
 კაცი მტერს არ გაიმეტებს  
 ასე – გადამთიელსა.  
 ბარის ტარს რომ ეჭიდები  
 და ვედროებს ფისითა, –  
 არვინ გეტყვის – ეს რამხელა  
 ქვეყნის ტვირთი გიზიდავს.  
 სულ არ მიკვირს – რად არ ძალგდის  
 სახლში მშვიდად დარჩენა,  
 „გალას“ სული არ გასვენებს  
 ჩვენს „მამას და მარჩენალს.“

ლექსი დიდი პათოსით ნავუკითხე, გაიღიმა და თავისებური დანვრილებული, ნაგრძელე-ბული ხმით ჩამომძახა: კარგია, სამი დღით თავისუფალი ხარ სამსახურიდანო.

გიორგი ახოზაძე გახლდათ ერთ-ერთ ინიციატორი ლიტერატურული გაერთიანება „საჩინოს“ შექმნისა, რომელიც 1974 წელს დაარსდა. ამ გაერთიანებამ მრავალი ახალგაზრდა შემოქმედი დააფრთიანა. „საჩინოს“ წევრთა შეკრებებზე სისტემატურად ხდებოდა ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებების განხილვა და უკეთესი ნიმუშების ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნება. შეიქმნა ხელნაწერი ჟურნალი „წყაროსთვალი“. გამოიცა კრებული „საჩინო“ (1985 წ.), რომელშიც დაიბეჭდა ადგილობრივ პოეტთა და პროზაიკოსთა ნაწარმოებები, ცნობილ კრიტიკოსთა, ლიტერატურათმცოდნეთა წერილები და მოგონებები გალაკტიონზე, ტიციაზე, გიორგი ნაფეტვარიძეზე... ხალხური პოეზიის ნიმუშები და სხვ. რომლებიც მოიძიეს და შეაგროვეს სახლ-მუზეუმების მეცნიერ-თანამშრომლებმა. დაიბეჭდა განსაკუთრებული ფორმატის ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „გალაკტიონი“ – ორი ნომერი, რომელიც იმ დროისათვის იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა, ბუკლეტები...

დღევანდელ ლიტერატურულ გაერთიანება „საჩინოს“ ნამდვილად სჭირდება განახლება, ახალი შემოქმედებითი ძალებით შევსება, სხვა ქალაქებისა და რაიონების ლიტერატურულ გაერთიანებებთან კავშირურთიერთობის დამყარება.

1980 წელს, როგორც სახელმწიფო მუზეუმი, დაარსდა ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი, ხოლო 1985 წლიდან მწყობრში ჩადგა ახალი საექსპოზიციო დარბაზი, სადაც ამ სტრიქონების

ავტორის და გიორგი ჟღენტის მიერ შედგენილი საექსპოზიციო გეგმის მიხედვით მოეწყო პოეტის სისხლსავსე ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ფასდაუდებელია ტიცინიან ტაბიძის ქალიშვილის ნიტა ტაბიძის, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ლადო სულაბერიძის, გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმის დირექტორის გიორგი ახობაძის როლი ამ საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

1988 წელს გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმმა გაიმარჯვა რესპუბლიკის მუზეუმებს შორის გამართულ შეჯიბრებაში და გარდამავალი დროშაც დაიმსახურა.

ეს იყო მუზეუმების თანამშრომელთა დიდი წარმატება. ამ მოვლენამ კიდევ უფრო წარმოაჩინა გიორგი ახობაძე, როგორც სამუზეუმო საქმიანობის ღრმა მცოდნე, უნარიანი ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად მან თავისი ღირსეული სიტყვა თქვა ქართულ მწერლობაში.

მისი პოეტური ქმნილებები ნახევარ საუკუნეზე მეტია სისტემატურად იბეჭდებოდა რესპუბლიკურ, რაიონულ და საქალაქო ჟურნალ-გაზეთებში...

გამორჩენილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ჩიქოვანმა თავის დროზე ასეთი შეფასება მისცა მის ლექსებს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახობაძე ნიჭიერია და შეუძლია ქართულ პოეზიაში თავისი წვლილი შეიტანოს.

გ. ახობაძეს კარგად განვითარებული აქვს პოეტური რიტმის გრძნობა, თავისებური მელოდიურობა და ხშირად პოეტური ფერწერაც, არც კომპოზიციის გრძნობას არის იგი მოკლებული. ერთი სიტყვით გ. ახობაძე საკმაოდ დაუფლებულია პოეტურ კულტურას და მისი ლექსები ოსტატურად გარანდულია და ვერსიფიკაციულად გამართული“.

„საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა 1982 წელს ორიათასი ტირაჟით გამოსცა გ. ახობაძის პირველი წიგნი „იარე რწმენით“ (რედ. ზ. კუხიანიძე). მასში 51 ლექსია შეტანილი, რომელთა დიდი ნაწილი ხანგრძლივი გასალაშინების, მრავალგზის დახვეწის ნიმუშად წარმოგვიდგება და არ შეეცდებით, თუ ამ წიგნს „რჩეულს“ ვუწოდებთ, რადგან აქ თავმოყრილი ლექსები ერთგვარად აჯამებს მთელ მის შემოქმედებას და სათანადო წარმოდგენას გვიქმნის მისეულ პოეტურ სამყაროზე.

კრებულს მურმან ლებანიძის შესანიშნავი წინასიტყვაობა უძღვის: „სულით და გულით გზას ვულოცავ ოცი წლის განმავლობაში გულისძგერით დანერგულ ამ პატარა წიგნს, რომელსაც ძალა შესწევს განგაცდევინოს პოეტის გულში გამეფებული მთავარი გრძნობა – სასოებისა და მადლიერებისა, გამოწვეული სამშობლო ქვეყნის შვილობით, გალაკტიონის მაღალი პოეზიით და ძვირფასი ქოხის არსებობით, რომლის გუშაგად ყოფნის ბედნიერება ბედმა სწორედ მას არგუნა“.

არსებობენ ადამიანები, რომელთაც პოეზიის გარეშე სიცოცხლე ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენიათ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება გიორგი ახობაძე, რამეთუ პოეზია მისთვის მთელი სიცოცხლე იყო.

რა ენა აღწერს და გადმოსცემს სიტყვასთან შეჭიდებული კაცის თეთრად გატეხილი ღამეების ხვაშიადს, ვინ მიადევნებს ბოლომდე თვალს სიტყვასა და სიტყვას შორის, სტრიქონსა და სტრიქონს შორის ჩაქცეულ ოფლისა და სისხლის ნაკვალევს – ლექსის წერა ხომ მძიმე გოლგოთაა, რომელიც პოეტს მხოლოდ სიკვდილს ანიჭებს (ბ.პასტერნაკი), ხოლო შემდგომ იგი ასეთი სიკვდილით თვით სიკვდილის დამთრგუნველად გვევლინება.

შემოქმედებით წვას და დაგვას უსათუოდ ახლავს დიდი სიხარული, ამიტომაც სწერს პოეტი:

„ოცი წელია – სტრიქონ-სტრიქონ დავხეტიალეზ,  
 ოცი წელია – ამ ცდუნებამ ამიყოლია,  
 თეთრი რითმებით მოფენილი სული წრიალებს  
 აქვს რაღაც გემო ამგვარ ბორიალს.  
 ...და სანამ დროა, სანამ სული ასე წრიალებს,  
 გულო, ბოლომდე ამოზიდე სათქმელი თორემ  
 ბენჯზე ჰკიდია წუთისოფლის ბედის ტრიალი,  
 ჰვი, სიმღერავ, მკერდში დამჰკარ და ამათროლე!“

სმირად, უკიდურესი გულგატეხილობის უამსაც კი, იწერება მომავლის ღრმა რწმენით გა-  
ჟღენთილი ასეთი სტრიქონები:

„მაშ რწმენით იარ, წინ, გაძლება მეტი და მეტი,  
ხომალი შენი ანანავე წვიმაში ქარში,  
ცხოვრების ტალღის მოზღვავებას უჩვენე მკერდი  
შენი ოცნების სამუდამოდ ერთგული დავრჩი.“

„რამდენ საფიქრალს რანდავს გული – ვინ იცის! რამდენ სიკეთეს ართავს გული – ვინ იცის!  
რამდენ სიყვარულს იტევს გული – ვინ იცის! რამდენ სატკივარს იტანს გული – ვინ იცის!“ და  
მართლაც, ვის ძალუძს ამოიციოს და განიცადოს ასე ადამიანის გულის საიდუმლო, თუ არა  
გულთამხილავი პოეტის ამალღებულ სულს.

ბედნიერია კაცი, რომელმაც იცის ვის და რას ემსახურება. გიორგი ახოზაძემ კარგად უწყ-  
ოდა, რომ იმ ჭერქვეშ დაფრთიანდა მისი არა ერთი და ორი ლექსი „სად ათასთა ფიქრები  
ჰქრია“ და „სად მზე ათასი თვალთ ბრწყინდება“.

პირველი სიყვარულის ელდა თუ სულიერად სპეტაკი ადამიანის ხილვა („ვინც სპეტაკია  
პირველ თოვლივით, ვეძებ, ვპოულობ და მიხარია“), ომში დაღუპული ძმებისა („საპუნ-  
გორადან დაჰქროლე ქარო, საძმო საფლავზე გადიგრიალე, სადაც ბალახი უცხო კი არა,  
ამწვანებული სული შრიალებს“) თუ მეგობრის გახსენება, ჭირი თუ ლხინი მეზობლის“,  
გალაკტიონისა თუ ტიციანის სულების მოფერება – ყველგან და ყოველთვის აწვალებს  
პოეტის მდიდარ ფანტაზიას. შემოქმედებითი ძიების გზაზე მისთვის მუდამ უცხო იყო ცრუ  
ამბიციები, ლექსში პარადული ხმაური, საგნებისა და მოვლენებისადმი ინდიფერენტული  
დამოკიდებულება. პოეტის ერთი მოხდენილი თქმისა არ იყოს: „ვინც უზრუნველი ფიქრით  
იარა, მასაც იდუმალ ანუხებს რალაც.“ შემოქმედ კაცს საფიქრალს და საზრუნავს რა  
გამოუღვეს. მეტყველ და ნათელ ფერებში გვიცხადებს შემოქმედი თავის გულის ნადებს,  
თავის პოეტურ მრწამსს:

„ათასი“ საქმე მეძახის,  
ათასი რამ საფიქრალი,  
აქეთ ბალი და ვენახი,  
იქით კერია მიმქრალი.“  
მონატრება და მეგობრის  
შეხვედრა გასაოცარი,  
ჭირი თუ ლხინი მეზობლის,  
განვდება კაცი ცოცხალი?!  
განვდება! – გული ბუბუნებს,  
განვდება! – სულიც იხარის...  
კაცი როდი ვარ უგულო...  
ოლონდ გაძლება მითხარი!..“

ამასთანავე დიდი ტკივილით ანუხებს პოეტს მივიწყებულ საფლავებზე ფიქრი:

„ავსწიოთ თასი!... აი, ამ საფლავ ს –  
ვინ როგორ იცნობს არცა ღირს კითხვად...  
არსად წარწერა, უბრალოდ არც ქვა,  
ასეთ საფლავთან შევჩერდეთ დიდხანს“...

(„არდავიწყება“).

ამ ლექსმა არ შეიძლება არ დააფიქროს საფლავთა ძვირფასი ქვებით შემკობის მოსურნენიც  
და მივიწყებული საფლავების პატრონნიც. „რომ ემსახურო ხალხს და ეპოქას, ერთი სიცოცხლე  
რალაც გეყოფა ადამიანს,“ მაგრამ გიორგი ახოზაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ბრწყინვალე  
მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა დაიხარჯო კაცი მშობელი ხალხის, ერის კეთილდღეობაზე  
ფიქრსა და ზრუნვაში.

1987 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა დაბეჭდა გ. ახო-  
ზაძის მეორე წიგნი „გიხმობს, გეძახის“. კრებულში პირველი წიგნიდან მხოლოდ რამდენიმე  
ლექსი მეორდება.

წიგნი ახალი განცდებითა და განწყობილებებით სუნთქავს, იგი პოეტის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით გამოვიდა და ერთგვარად აჯამებს მის მთელს შემოქმედებას. გ. ახობაძის პოეტური კრედიო ნათლად არის წარმორჩენილი ლექსში „სანამ ვართ“:

„სანამ ვართ, ჩვენი ბილიკი ვკვალთ,  
სანამ ვართ, ჩვენი მოვისხათ ფრთები,  
ჩვენ უნდა ჩვენი საქმენი ვთვალოთ  
და არა – მხოლოდ ჩავლილი წლები!“

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოთ ლექსები: „როცა ამ კაცს ხედავს...“, „იმერეთი“, „მონოლოგი“, „მწყემსი“, „პოეტი“, „ფიროსმანი“, „ამ წყნარ ეზოში“..., „ვაჟა“, „გალაკტიონს“, „ტიციან ტაბიძე“, „რწმენა“ და სხვ. მისი შემოქმედებიდან თქვენი ყურადღება მიიწივს ერთ კარგ ლექსზე შევაჩერო, რომელიც ერთგვარად გულწრფელი სულიერი განდობაა დიდებული გალაკტიონისადმი, საერთოდ კი, მომავალი თაობისადმი:

„სულ სხვაა, როცა საკუთარ თავთან  
ვრჩებით ჩვენივე ფიქრის ამარა...  
რას გავბედავდი მე ჭიდილს ქართან –  
შენს ჭერქვეშ რომ არ გადამეკარა.  
სიხარულიცა, სითბოც და მადლიც,  
თავისი დარდიც გამინანოლა;  
უცეცხლო კერას ათოვდა დარდი  
და ტკივილებიც ერთად გვანვიმდა“.

კრებულში „ჩემი სალოცავები“, რომელიც 1991 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „მერანმა“, წინასიტყვაობის ავტორი, შესანიშნავი პოეტი გრ. ჯულუხაძე წერს: „გიორგი ახობაძე ის კაცია, რომელიც გალაკტიონის თქმისა არ იყოს, დღენიადაგ სასხლავით ხელში დადის პოეტის მამულში და მის აჩრდილს ესათუთება, იგი ჭყვიშში გალაკტიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმების დამაარსებელ-დამფუძნებელია... ამიტომაც, წინამდებარე კრებულის გაცნობისას მკითხველი უსათუოდ იგრძნობს ავტორის სისხლბორცეულ სიხლოვეს დიდი პოეტის მშობლიურ ეზო-კართან... რიონისა და ორპირის ფშანებთან, რომელთანაც დაკავშირებულია გალაკტიონისა და ტიციანის ბავშვობის წლები.“

კრებულში შეტანილი ლექსების ერთი ნაწილი გალაკტიონისა და ტიციანის ჭერქვეშ დაინწერა ჭყვიშში, „სადაც გაისმა ლექსი ღვთიური“ და ჭეშმარიტად ზეიმობს ამ ცით და მიწით ამალღებული მისი ფიცი და რწმენა.

წიგნის წამკითხველს უთუოდ კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობა აღეძვრება ავტორისადმი, რადგან კრებულში ვერსად ნახავთ უგულოდ დაწერილ სტრიქონებს, ვერსად წაწყდებით ყალბ პოეტურ შტრიხებს, შეუძლებელია არ მოიხიბლოთ მეტად თავისებურად გააზრებული მხატვრული სახეებით, ტროპული აზროვნების ასეთი ბრწყინვალე ნიმუშებით: „გამჭირვალეა უცხო ბროლივით, გრძნობა თან რომ მდევს დიდი ხანია“ („პირველი თოვლი“), „გაბზარულ სარკეს ჰგავდა ის გატეხილი ღამე“ („განბილება“), „არაგვი ხევში ჩაეკიდება, ცეცხლს მოუკიდებს ჩემს წყნარ სიმღერას“ („თუ ასე არის“), „როგორც ნამსხვრევი გახლენილ ნაღმის, ძაღლს ამღვრეული თვალეები უჩანს“ („ღამით“), „გამოქცევიან წარსულს და ახლა ძელქვები ქარში სიმღერით ჰქრიან“ („ძელქვები“), „დგას ვით ძახილი საუკუნეთა – პატარა ჭყვიში („აქ“), „შორეულ ფიქრთა ისვრის ქამანდებს, შენი სამწყემსო, შენი ჭყუშური“ („შენი სამწყემსო“).

უნაზესი ლირიკული ინტონაციებითა და უფაქიზესი განცდებითაა დაწერილი შვილებისადმი – ნანასა და ნინოსადმი მიძღვნილი ლექსი „ტყუპები“, რომლის შინაგანი ქსოვილიც ლბილი და გამჭირვალეა მოწმენდილ ცასავით და შესანიშნავ გუნება-განწყობილებას გვიქმნის:

„ჩამოაშუქებს მზე დილით სარკმელს  
და ძილს გაუტეხს ტყუპების აკვნებს...  
ჟღურტულს გააბამს მერცხალი ორი,  
მშობლის სიხარულს ბოლო არ უჩანს,  
კვირტებს ჰკიდია ცვარ-ნამი ბროლის,  
სარკმელში თეთრად ჰყვავის ალუჩა...“



მზე ცვარ-ნამისას ღინჭილებს აჰკრეფს,  
ფრთხილად დაჰკიდებს ტყუპების აკვნებს.“

კრებულში მოთავსებული დიდი გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი („ჭყვიშური საღამოები“) ბრწყინვალე სხივად ადგას მთელს მის შემოქმედებას.

გალაკტიონისა და ტიცციანის საცხოვრისში ის ყოველთვის ბედნიერად გრძნობდა თავს – მათი უკვდავი პოეზიის მადლით სულიერად განწმენდილი, გაცისკროვნებული და ცამდე ამაღლებული.

პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი სასიქადულო პოეტებისადმი. სადაც არ უნდა იყოს ის, მისი ფიქრი და ოცნება მაინც ყოველთვის პატარა ჭყვიშს დასტრიალებდა თავს, ძველ ორპირსა და „მეფის ჭალას“. გავისხენოთ ლექსი „ჩემო რიონო“:

„ბრწყინავს ორპირი და მეფის ჭალა  
(მოგონებებმა გულში იალა),  
აქ მუდამ გშვენის გრიალით ჩავლა  
ხან გულამღვრეულს და ხან კრიალას.  
მკერდში იხატავ უსაზღვრო ცისფერს,  
მჯერა არასდროს არ გახუნდები,  
ასე ქარდაქარ მიილტვი ზღვისკენ,  
მითხარი როდის დაგვიბრუნდები?!  
ჩემო რიონო, ტალღა ფრთიანი  
არ შეანელო არ დაახანო!..  
მახარებს შენი ლალი შრიალი,  
მე კი არ ვიცი რით გაგახანო?!“

გიორგი ახოზაძე ყოველდღიურად დადიოდა, ფუსფუსებდა ტაბიძეთა კარმიდამოში, მინდისავით ეფერებოდა ბრონეულებს, ცაცხვებს, თუთებს, ალუჩებს... მემორიალურ ნივთებს... არ მოკლებია ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლის ბედნიერებაც. აქ ხომ ცხრათვალა მზეც სულ სხვა სიდიადით ანათებდა და უტკბილეს ჰანგად იღვრებოდა მგოსნის მშფოთვარე სული:

„აუ, რამხელა მზე ანთია ამ წყნარ ეზოში,  
აუ, რამხელა სიჩუმეა და გარინდება,  
აქ იღვრებოდა ის სიმღერა საქართველოსი,  
ამ წყნარ ეზოში ის შემლილი ქარი მშვიდდება.  
აუ, რამხელა მზე ანთია მაგ შენს სარკმელთან  
და მლოცველები ავსებულა სულ სხვა მადლითა,  
ამ სალოცავში კვლავ დგას სითბო სანთელ-საკმევთა,  
აქ პოეზია ანგელოსის ფრთებით აფრინდა...  
აუ, რამხელა მზე ანთია ამ წყნარ ეზოში,  
აუ, რამხელა სიჩუმეა და გარინდება.“

მან სხვებზე არანაკლებ იგრძნო ტიცციან ტაბიძის „მშანთავი“ სტრიქონების ძალა, მისი პოეტური სიტყვის სიღრმე და ლაზათიანობა, აფეთქებული ვაშლის თუ ატმის ყვავილების ეშხი და სურნელი, „ტფილისის აგოონით მკვდარი პოეტის“ სუნთქვაში განზავებული. გავისხენოთ ლექსი „ტიციან ტაბიძე“, მაინც რა კარგად გადმოგვცემს პოეტი თავის განწყობილებას:

„სულში აპრილის წრიალებს ქარი,  
ცაო, რა უხვი მადლით იღვრები!..  
ვით წუთისოფლის მარადი მგზავრი,  
„მივალ, მივდივარ და მივიმღერი.“  
თუ სუსხი დამკრავს გზაჯვარედინზე,  
დამიტირებენ თეთრი იფნები,  
ლექსი შეხლილი ცინცხალ დილის მზეს,  
იტყვის — რაც ვიყავ და რაც ვიქნები.  
ჟამთა სიავის, როგოც შერისხვა,  
წლების წვალემა ქარს მიაქვს უკან...  
ცეცხლს შემომინთებს მონატრებისას,

ჩემი ბავშვობის შარა და შუკა.  
 სხვაგან სხვა წვა რომ ეხავერდება,  
 აქ სალამურობს იმ ლერწმის ლერი,  
 სული? ო, სული, ვით დაბერდება, –  
 მივალ, მივდივარ და მივიმღერი.“

უაღრესად მრავლისმომცველი და მრავლისმეტყველია პოეტის ეს მაღალი ზემთაგონებით  
 წარმოთქმული სტრიქონები:

„მე ტიცციანის ეზოში ვდგავარ,  
 ეგ სულერთია – ვინა ვარ, რა ვარ?!.“

სამშობლოს თემა ძირითადი და წამყვანია ყოველი მწერლის შემოქმედებში. „სამშობლო არ  
 დაივინყოთ, სამშობლო – უმთავრესია!“ – გვიკიჟინებს დიდი გალაკტიონი. გიორგი ახოზაძე  
 თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილია, მისი დიდების გულწრფელი მომღერალი, ამიტომ ჩაგვესმის  
 ყურში ასე ტკბილად მშობელი ქვეყნის ეს მშვენიერი საგალობელი:

„წითელ-ყვითელი შეპარვია რიონის ქალებს,  
 ვდგავარ მუხლმოყრით, ვერ გაცილებ, სამშობლოვ, თვალებს.  
 განა ყოველთვის, ყოველ დროში ყოფილხარ ლხენით?  
 შენ ჩვენით, მაგრამ მაინც დღემდე ვარსებობთ შენით.  
 ხარ სალოცავი, უწმინდესი ხარ საფიცარი – შენი ქალებით,  
 შენი მზით და შენი ცისკარით  
 ჩემი დღეებიც შენთა დღეთა შრიალში ვთვალე,  
 ვდგავარ მუხლმოყრით, ვერ გაცილებ, სამშობლოვ, თვალებს.“

(„იმერეთი“)

მუდამ ფიქრებში, ოცნებებში გადავარდნილი დღენიდაგ რუდუნებით იღწვოდა ჩვენს მწერლო-  
 ბაში მოკრძალებული ადგილის დასამკვიდრებლად. მას ნათელი პოეტური კრედიო ასულდგმულბდა,  
 საკუთარი თავის შეცნობის დაუოკებელი წყურვილი, ლექსი „სანამდე“ ამის აშკარა დადასტურებაა:

„ხედავდე უნდა იმას, რასაც ვერ ჭვრეტენ სხვანი,  
 შენი ვარსკვლავი გენტოს, შენი ცანი და მთანი.  
 წინ შენი სარკე გედგას, გაჩვენოს შენი სახე,  
 უმალ ამხილო თავი, სანამდე სხვისას ამხელ.  
 იხმე ღმერთი და კაცი, მაცდურს დაუხშე კარი,  
 სხვისი იტირე, მაგრამ – ჯერ საკუთარი მკვდარი.“

გიორგი ახოზაძის კალამს ეკუთვნის სატრფიალო ლირიკის არაერთი ნიმუში, ამ უბერებელ,  
 მარადიულ გრძნობას ისიც ვნებათაღელვით ეხმიანება, რადგან თავადაც კარგად უწყის, რომ:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,  
 სიო არ დაქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ...  
 უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,  
 არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.“

(გალაკტიონი)

მკითხველზე წარულმლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მისი სატრფიალო ლექსები: „განზილე-  
 ბა“, „ახლაც ოცნებით შენს ქუჩაზე დავხტივალე...“ მინდა საილუსტრაციოდ მთლიანად მოვი-  
 ტანო აღნიშნული ნაწარმოებები:

„გელოდი, არსად სჩანდი,  
 სული ეჭვებით ვშხამე,  
 გაბზარულ სარკეს ჰგავდა  
 ის გატეხილი ღამე.  
 კოკისპირული წვიმა  
 და მოგიზგიზე გული...  
 ნეტავი მაცოდინა  
 შენ გახდი უპირული,  
 თუ ზეცამ გამანზილა?!“

\*\*\*

„ახლაც ოცნებით შენს ქუჩაზე დავხეტილებ,  
შენზე ოცნებამ, შენზე ფიქრმა ამიყოლია,  
ცეცხლი, რომელიც კოცონივით გულში ბრიალებს –  
არ დამინდობს და ფერფლად მაქცევს, ასე მგონია.  
ო, მომეშველე, ო, ახადე ამ გულს სარქველი,  
მომეცი ხელი, სამუდამოდ ერთურთს დავენდოთ,  
რომ ითქვას ჩემგან ნაფერები წლობით სათქმელი,  
შენც დაგცდეს გრძნობით: „როგორ ვძლებდით უერთმანეთოდ?!“

გიორგი ახოზაძე თავის ერთ-ერთ ლექსში ასე წერდა და შეუძლებელია არ ვენდოთ ამ გულწრფელ აღსარებას, „რას გავბედავდი მე ჭიდილს ქართან, ამ ჭერქვეშ რომ არ გადამე-  
კარა“. იგი, თითქოს, დღესაც სასიქადულო პოეტების კერაზე დგას ლოცვად მუხლმოყრილი და გრძნობამორეული მშობლიურ მზეს ასე შეჰლაღადებს:

„მზეო ქართულო, ნუმც მომაკლდები,  
ჩემს ღია სარკმელს ნუმც მოსცილდები,  
რაც ხანი გადის – უფრო მაღლდები,  
რაც ხანი გადის – უფრო ტკბილდები!“

ნუმც მოკლებოდეს მის პოეტურ სიტყვას ქართული მიწის მაღლი, ქართული მზის სითბო და ელვარება.

გიორგი ახოზაძემ, როგორც საქვეყნო საქმეს და დიდ ცხოვრებას შეჭიდებულმა კაცმა, ურყევი რწმენით იარა ბოლომდე წუთისოფლის ნარეკლიან გზაზე, რამეთუ სჯეროდა, რომ:

„... გამოცდის კაცს გაძლების შარაგზა გრძელი,  
ვისთვის სოფელი მწუხრია და ვისთვის ედემი;  
ზოგისთვის ხმელი ჩალისღერიც ლერწმისებრ მღერის,  
ზოგისთვის კიდევ — ათასი წლის შემდეგ თენდება!...“

ის, ვით „ქედგახეხილი ხარი ნიკორა,“ ეწეოდა შემოქმედის უმძიმეს უღელს, ამიტომაც საშ-  
ვილიშვილო სიტყვა და საქმე, მართლაც რომ, მკვიდრად დასტოვა:

„სანამ ვართ – ჩვენი ბილიკი ვკვალოთ,  
სანამ, ვართ – ჩვენი მოვისხათ ფრთები,  
ჩვენ უნდა ჩვენი საქმენი ვთვალოთ,  
და არა მხოლოდ ჩავლილი წლები“.

გიორგი ახოზაძე ბოლომდე ერთგული დარჩა გალაკტიონისადმი ჭყვიშში მიცემული ფიცისა,  
რომელიც ასე უშუალოდ გადმოგვცა ლექსში „გალაკტიონს:“

„დადიოდი ქვეყნის წყლულით  
ქრისტედ, სიზმრად, გამოცანად  
და ნათელი შენი სული  
წახველ – დაგვრჩა სალოცავად.  
გემსახურო უნდა მარად,  
შვილს შემფერის შენი მიწის,  
ამ შენეულ ფუძე-კარად  
მომიცია ერთხელ ფიცი.“

მუზეუმების წინაშე განუვლი დამსახურებისათვის მას მინიჭებული ჰქონდა კულტურის დამ-  
სახურებელი მუშაკის ნოდება, იყო ორგზის ღირსების ორდენის კავალერი და, რაც მთავარია,  
მშობელი ხალხის გამორჩეული სიყვარულითა და მაღლიერებით იყო გარემოსილი. სიცოცხლის  
ბოლომდე ლაბა ხარით უჩუმრად ეზიდებოდა ოჯახისა და ქვეყნის უღელს. ცხოვრებისა და  
შემოქმედების ურთულეს გზაზე ისეთი ნათელი კვალი დასტოვა – დაწყვეტილ სიკვდილს მარ-  
თლაც რომ შეაყარა თვალში ნაცარი. ის ჭემმარტად, უკვდავების ბინადარია, უკვდავ პოეტთა  
ღირსეული ჭირისუფალი.

**ქართული ქირურგიის მატრი - აკადემიკოსი კონსტანტინე  
დავითის ძე ერისთავი**

საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ერისთავი, დაიბადა ვანის რაიონის სოფ. სალომინაოში 1889 წლის 2 თებერვალს, მრავალშვილიან ოჯახში (ხუთი ვაჟი და ოთხი ქალი). კონსტანტინე, მათ შორის, ყველაზე უმცროსი იყო. ადრინადა დაობლდა და მისი გაზრდა უფროსმა ძმამ, ცნობილმა სახალხო მთქმელმა, ვანის, ქუთაისისა და თბილისის კოლორიტმა სერგია ერისთავმა ითავა, რომელმაც საკუთარ განათლებაზე თქვა უარი და მთლიანად ძმის აღზრდას მიუძღვნა თავი. სოფლის ორწლიანი საეკლესიო სამრევლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1900 წელს, შეიყვანეს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც მალე ქუთაისის გიმნაზიად გადაკეთდა. ამ პერიოდში ქუთაისში მოღვაწეობდა ქართული ინტელიგენციის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: აკ. წერეთელი, კ. აბაშიძე, ი. გომართელი, ს. თოფურია, დ. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ოცხელი. ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, შ. დადიანი, გრ. ვოლსკი და ა.შ.. თითოეული მათგანი შესანიშნავი ღირსებებითა და პატრიოტული შემართებით იყვნენ ცნობილნი.

ქუთაისის გიმნაზიისა და სხვა სასწავლებელთა მოსწავლეები, აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მიზეზთა გამო, ქალაქის მმართველობამ ზოგიერთი სასწავლებელი დახურა. გიმნაზიაში სასწავლებლად სხვადასხვა სემინარიიდან გადმოვიდა მოსწავლეები. ქუთაისში ამ დროს არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია. ყველაზე გამორჩეული იყო – სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური. მათ შორის წარმოებდა იდეოლოგიური ბრძოლა, მაგრამ მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლების დროს ისინი ერთიანდებოდნენ. ქართულ გიმნაზიაში მოქმედებდა მოსწავლეთა ხუთკაციანი კომიტეტი, რომლის ძირითად მოვალეობას ყველა სასწავლებლის მოსწავლეებთან კავშირის დამყარება და გაფიცვების ორგანიზება შეადგენდა. აღნიშნულ კომიტეტს კ. ერისთავი ხელმძღვანელობდა. კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა ვლ. მაიაკოვსკიც, რომლის ოჯახი კულტურისა და პროგრესის ნიმუშს წარმოადგენდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქუთაისში საავადმყოფო არ არსებობდა. მოქმედებდა მხოლოდ ექიმ სამსონ თოფურიას კერძო საავადმყოფო, რომელიც მოგვიანებით, ქალაქის საავადმყოფოდ იქცა. ქუთაისის მოწინავე ექიმებს შორის აღსანიშნავი იყო: ი. გომართელი, გ. კოკიელი, ს. თოფურია, დ. ნაზარიშვილი, ვ. წერეთელი, დ. ახვლედიანი და სხვა.

1908 წელს კ. ერისთავმა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ჩაირიცხა იურივეის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. ამ უნივერსიტეტში სასწავლებლად სემინარიელებს და გადასახლებიდან დაბრუნებულ სტუდენტებს ლეზულობდნენ. აღნიშნულის გამო უნივერსიტეტში პოლიტიკურად ძლიერმა სტუდენტობამ მოიყარა თავი. 1910-11 წწ. სტუდენტთა დიდი გაფიცვების აქტიური ორგანიზატორი, იურივეის უნივერსიტეტის სტუდენტობა იყო. გაფიცვებს ხელმძღვანელობდა კოალიციური კომიტეტი სამი კაცის შემადგენლობით, რომლის აქტიური წევრი იყო კ. ერისთავი.

უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტები, პრაქტიკის გავლის მიზნით, აქტიურად მუშაობდნენ სხვადასხვა კლინიკებში. კ. ერისთავი ნ. ბურდენკოს კლინიკაში-ოპერატიული ქირურგიის და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე მუშაობდა. ერთი წლის შემდეგ, იგი სტუდენტთა მცირე ჯგუფთან ერთად, სპარსეთში გაიგზავნა სამუშაოდ. რომლებმაც ასტრაპადში გახსნეს პატარა ქირურგიული პოლიკლინიკა და სასიცოცხლი მნიშვნელობის დახმარება გაუწიეს ადგილობრივ მოსახლეობას. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ 1914 წელს, კ. ერისთავი, უნივერსიტეტში აბარებს სახელმწიფო გამოცდებს და იგზავნება სამუშაოდ ფინეთში

84-ე დივიზიის შემადგენლობაში, რომელიც განლაგებული იყო ვიბორსკის ოლქში. ჰოსპიტალში მუშაობის პერიოდში, მან გამოაქვეყნა შრომა ინფექციურ ქრილობათა მკურნალობისა და აიროვანი განგრენის ვაქცინით მკურნალობის შედეგები. ფინეთში მუშაობის პერიოდში გაიცნო პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის მთავარი ქირურგი ი. ჯანელიძე, რომელიც სამხედრო სანიტარული მატარებლით მოძრაობდა. მასთან ერთად შემდგომში რამოდენიმე რთული ოპერაციაც ჩატარდა.

1917 წელს კ. ერისთავი ჩამოდის ქუთაისში, სადაც ამ პერიოდში მისი ოჯახი ცხოვრობდა. ამ პერიოდსვე ემთხვევა, საქართველოსა და თურქეთს შორის, პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება. ამიერკავკასიის სეიმმა, ქართული ჯარი ახალციხეში, ახალქალაქში და ბათუმში გააგზავნა. კ. ერისთავი ლანჩხუთში შექმნილი სამხედრო ლაზარეთის უფროსად დაინიშნა. იგი კონფლიქტის ამონურვის შემდეგ, 1918 წლიდან 1931 წლამდე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზოგადი ქირურგიის კათედრაზე მუშაობდა, 1941-50 წწ. ხელმძღვანელობდა საფაკულტეტო ქირურგიის კათედრას, 1941-50 წწ. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად. ამ პერიოდს დაემთხვა მეორე მსოფლიო ომის დაწყება. ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომ ფრონტზე გაეწვიათ მეხუთე კურსის სტუდენტები. კ. ერისთავმა მისი ავტორიტეტითა და მთავრობის დახმარებით მიაღწია იმას, რომ ფრონტზე განვევა მომხდარიყო მხოლოდ ინსტიტუტის სრული კურსის გავლის შემდეგ. ომის პერიოდში, სამამულო ომმა საქართველოდან მალალპროფესიული 6 ათასი ექიმი, ფერშალი და პროვიზორი მიიღო. ყველა მათგანმა პირნათლად მოიხადა პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე.

კონსტანტინე ერისთავი 1949-60 წწ. ხელმძღვანელობდა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო 1951-55 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებას. 1926 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1929 წელს კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, პროფესორის ნოდება მიენიჭა. სხვადასხვა დროს იყო თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი. მან დანერგა საქართველოში გულის, სისხლძარღვების, ფილტვების, საყლაპავი მილის, თავის ტვინისა და სხვა ოპერაციები. დიდი წვლილი მიუძღვის ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის განვითარების საქმეში.

კ. ერისთავი იყო, როგორც კარგი ოპერატიული ქირურგი, ასევე ჯანდაცვის ბრწყინვალე ორგანიზატორი. მან ამიერკავკასიაში, რკინიგზის საავადმყოფოს ბაზაზე, პირველად გახსნა სისხლის გადასხმის სადგური. 1950-74 წწ. იგი იყო ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 6 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ინსტიტუტის მშენებლობა, რომელიც მწყობრში 1969 წელს ჩადგა. კლინიკა გათვლილი იყო 200 საწოლზე, შეიქმნა კიბერნეტიკული განყოფილება, რომელიც აღჭურვილი იყო უახლესი დანადგარებით. შტატში ირიცხებოდა 900 თანამშრომელი. საკავშირო ჯანდაცვის სამინისტრომ, თბილისში ქირურგიის ინსტიტუტის გახსნას, მაღალი შეფასება მისცა. ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვენედიქტოვმა განაცხადა: „როცა ევროპაში მიჩვენებენ თანამედროვე სანიმუშო სამედიცინო კლინიკას, მე ვეტყვი – ჩვენ უკეთესიც გვაქვს. თუ არ გჯერათ, ჩადით საქართველოში აკადემიკოს ერისთავთან...“

კ. ერისთავი ითვლება საქართველოში სისხლის გადასხმის, სინთეზური მასალის გამოყენებისა და ოპერაციული გაუტკივარების ერთ-ერთ პიონერად. სისხლძარღვთა აღდგენითი ქირურგიის გამოკვლევებისთვის 1975 წელს, მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია (გ. იოსელიანთან, დ. კანდელაკთან და მ. კომახიძესთან ერთად). ინსტიტუტში ფილტვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ერისთავის მოსწავლე ო. ბურჯანაძე, სისხლძარღვთა ქირურგიას – ჯ. კანდელაკი, გულმკერდის ქირურგიას კი მოსკოვიდან მოწვეული პროფესორი – ფუფინი. მესხიერებაში ჩამრჩა ერთი საინტერესო შემთხვევა-მეგობარ ხ. პაჭკორიასთან ერ-

თად, ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე, მეექვსე კურსელები ვმკურნალობდით ავადმყოფს (ნ. ქოქიშვილი, კასპის რაიონიდან), გულის დეკომპენსირებული შეძენილი მანკით. ავადმყოფი საოპერაციოდ გადაყვანილი იქნა ქირურგიის ინსტიტუტში და მკურნალი სტუდენტები (მომავალი ექიმები), ამ პროცესზე დაგვასწრეს, რომელსაც პროფ. ფუფინი აწარმოებდა. დაუვინყარი ის ფაქტი, რომ ჩვენს თვალწინ ოპერაცია ცოცხალ გულზე ჩატარდა. რამოდენიმე დღეში კი, სახეზე იყო წარმატებული ოპერაციის შედეგი...

პირველი შეხვედრა აკადემიკოს ერისთავთან მოხდა 1970 წელს – ექიმის ფიცის მიღების დღეს. სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორმა პ. გელბახიანმა და პრორექტორმა გ. გვიშიანმა, ახალკურსდამთავრებულები აკადემიკოს ერისთავთან წარგვადგინა, რომელმაც მოგვილოცა ექიმის ფიცის მიღება და პროფესიული სვლა დაგვილოცა. ეს დაუვინყარი დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში.

კონსტანტინე ერისთავს დიდი დამსახურება მიუძღვის ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის დარგში. მან თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა სისხლძარღვთა ტრანსპლანტაციის, ინდუცირებული სიმსივნის განვითარების საკითხები. შეიმუშავა პოსტტრანსფუზიული გართულებების და დამწვრობის მკურნალობის მეთოდი. 1966 წელს, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. განეული შრომის დამსახურებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის დაჯილდოებული იყო სახელმწიფო უმაღლესი ხარისხის ორდენებითა და მედლებით. 1931-35 წწ. კი, არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

რაოდენ საამაყოა, რომ ღვანლმოსილი სამედიცინო მოღვაწე კონსტანტინე ერისთავი, ჩვენს რაიონში დაიბადა და აღიზარდა. მისი მოღვაწეობა ხომ მოვალეობაა, დამოძღვრაა ვანელ დასტაქართა მომავლისა... იმისა, რომ პირნათლად აღასრულონ დაკისრებული პასუხისმგებლობა, შეასრულონ მოციქულის ფუნქცია პაციენტსა და ღმერთს შორის და ბოლოს, აქსიომად იქცეს მათ ცხოვრებაში, ექიმის მიერ დადებული ფიცის პატიოსნად გამოყენება, რომლის შესრულებაც თითოეული მათგანის შეუცვლელი პირობაა თავის პროფესიასთან მიმართებაში. დღესდღეობით, მისი სახელის უკვდავსაყოფად, მშობლიური სოფლის – სალომინაოს საჯარო სკოლა, კონსტანტინე ერისთავის სახელობისაა.

ღვანლმოსილი ექიმი, კონსტანტინე ერისთავი, 1975 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, სადაც მასთან ერთად დასაფლავებულნი არიან მეუღლე – ოლღა ბებურიშვილი და შვილები-დავით ერისთავი და მარიკა ერისთავ-გორდეზიანი.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა“ და ცენტრის კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან:

- გაზეთ საჩინოს დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდა.
  - გაზეთი დაარსდა 1932 წლის მაისში, ორი წლის შემდეგ რაც ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა ვანის რაიონი.
  - გაზეთმა განვლო გზა „კოლმეურნის მნათობიდან“ – „განთიადიდან“ – „საჩინომდე“.
  - გაზეთმა დაიტია საკმაოდ ორიგინალური და მნიშვნელოვანი მასალები რაიონის აღმშენებლობის, სრულქმნისა და აღორძინების პერიპეტიებიდან რიგი კრიზისული მოვლენების ჩათვლით და როგორც რაიონის ცხოვრების უმთავრესი გადარჩევა იგი მომავალ თაობებს.
  - გაზეთის აკადემიურობას, შემართებასა და უმნიშვნელო საქმიანობას გვერდით ედგნენ თაობათა შესანიშნავი წარმომადგენლები, რომლებიც მოუღწეველი ენერგიით ემსახურებოდნენ მას, აქედან ვანის რაიონის, საერთოდ ბეჭდვითი სიტყვისა და პუბლიცირების საქმეს.
  - გაზეთის ახალ ნომრებს, მასში განთავსებულ სიახლეებს ელოდებოდნენ და ღებულობდნენ ვანის რაიონის ყველა ოჯახში.
  - ამ გაზეთს აქვს თავისი წვლილი შეტანილი ახალგაზრდული კადრების წარმოჩინების, დაფრთიანებისა და დაკვალიანების საქმეში.
  - დრო ცვლის სიტუაციებს, ვისურვებდით, რომ „საჩინომ“ უფრო და კვლავ აქტიურად ემსახუროს ვანის საზოგადოებას, საამისოდ კადრები და შესაძლებლობანი ვანს ნამდვილად გააჩნია.
- „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“, ცენტრის კრებულ „მატიანე“-ს სარედაქციო კოლეგია ულოცავს გაზეთ საჩინოს 85 წლისთავს, რომელიც პრესისათვის სულაც არაა დაბერების ასაკი და ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის რთულ გზაზე შემართებასა და წარმატებას უსურვებს მას.

## გურამ თვალაბაიშვილი

საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის წევრი

### რაიონის ცხოვრების უტყუარი მატიანე

85 წელი ისტორიისათვის არც თუ დიდი დროა, მაგრამ გონების თვალთა თუ გადაცხედავთ განვლილ წლებს დავრწმუნდებით, რომ ეს წლები მართლაც დაუვიწყარია თითოეული ჩვენ-განისათვის, რადგან ამ 85 წლის უკან შეიქმნა რაიონული გაზეთის „კოლმეურნის მნათობის“ რედაქცია. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1932 წლის პირველ მაისს „კოლმეურნის მნათობის“ სახელწოდებით. გაზეთი ზედმინევიტ კარგად გადმოგვცემდა რაიონის მშრომელთა მათხისცემას. ფეხს უწყობდა საჩინოს მადლიან მინაზე ჩამოყალიბებულ რაიონს, მასთან ერთად იზიარებდა ნაკლსა და მიღწევებს, მიუთითებდა არსებულ ხარვეზებზე და იძლეოდა რეკომენდაციებს მათი გამოსწორებისათვის. 1930 წელს შექმნილ რაიონსა და მის გაზეთს, რა თქმა უნდა, ბევრი გადაუნყვეტელი პრობლემა ჰქონდა იმ პერიოდში, არ იყო საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა, მაგრამ გაზეთის სარედაქციო კოლეგია მაინც მოძებნიდა გზებს იმისათვის, რათა არსებული ნაკლოვანებები დროულად გამოსწორებულიყო. ახალშექმნილი გაზეთი პარტიის რაიკომის რაისაბჭოს აღმასკომისა და პროფსაბჭოს ეგიდით გამოდიოდა. 1933 წელს კი, რაიონებში პროფსაბჭოები გაუქმდა და იგი მთლიანად გადავიდა რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის განკარგულებაში. მაშინ პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ტყიბულელი ხარიტონ ჯინჭარაძე გახლდათ, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარე სამტრედიელი ამირან მანჯგალაძე. რაიკომის ბიუროს დადგენილებით, გაზეთის რედაქტორად დაამტკიცეს ევდოკიმე ენუქიძე. 1934 წელს რედაქციაში სამუშაოდ მოვიდნენ: რედაქტორის მოადგილედ – ვლადიმერ კახიანი და განყოფილების გამგედ – ვლადიმერ ჟღერია. პასუხისმგებელ მდივნად სამუშაოდ მონვეულ იქნა ყუმურის სამუშალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შალვა რამიშვილი, რომელიც მალე დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას,

ხოლო მის ადგილზე დანიშნულ იქნა ნექტარიოზ თვალაბაიშვილი-სრულიად ახალგაზრდა, საშუალო სკოლის ახალკურსდამთავრებული. გაზეთს ჰყავდა ლიტერატურული თანამშრომელი შოთა თოდუა (შემდეგში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვიშნევსკის პრემიის ლაურეატი), ხოლო ტექნიკური რედაქტორი აკაკი ბურკაძე. გაზეთი მაშინ სამტრედიის სტამბაში იბეჭდებოდა, რომლის დირექტორად მუშაობდა, უაღრესად კეთილი კაცი ანდრო მელაძე. პირველად გაზეთი ჩვენში სამჯერ გამოდიოდა ორ გვერდზე-1000 ეგზემპლარის ოდენობით, ხოლო 1933 წლიდან, ხუთ დღეში ერთხელ-ორ გვერდზე. 1933 წელს ჭიათურიდან შემოტანილი იქნა საბეჭდი მანქანა „ამერიკანკა“ და მბეჭდავად მოინვიეს გიორგი ტყემელაშვილი. 1935 წელს შეძენილ იქნა დიდი ჰორიზონტალური საბეჭდი მანქანა, რამაც შექმნა ტირაჟის გაზრდის შესაძლებლობა. დაარსდა სტამბა, სადაც გაზეთის დაკაბადონება-ბეჭდვა ხელით კეთდებოდა, მას შესანიშნავად ასრულებდნენ ბიძინა და ოთარ ახვლედიანები, ვასილ გიორგაძე და ალიოშა ფოფხაძე. გაზეთს ხელს აწერდა პარტიის რაიკომის პირველი მდივნის მოადგილე (მაშინ მეორე მდივნის შტატი არ იყო) ერასტი ფარცხალაძე. 1937 წელს რედაქციაში სამუშაოდ მოვიდნენ გიორგი აბრამიძე და აკაკი ვერულაშვილი, რომელიც პასუხისმგებელ მდივნად დანიშნეს. მალე იგი კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს, ხოლო რედაქტორად ნექტარიოზ თვალაბაიშვილი დაამტკიცეს. თუკი ოდესმე ვინმეს ნაუკითხავს იმდროინდელი გაზეთები, არ შეიძლება გაოცებული არ დარჩეს, სად იყო ამდენი გამბედაობა, სიმამაცე. თითქმის არ დარჩენილა არცერთი ხელმძღვანელი, გაზეთის სამართლიანი კრიტიკა არ შეხებოდა. ასე მოუვიდათ კომკავშირის რაიკომის მდივნებს გიორგი კინწურაშვილსა და ისაკი აბრამიძეს, რომელთა საქმიანობაში არსებული ხარვეზები, გაზეთის 1938 წლის ივლისის ნომერში გამოქვეყნდა. რაიონული კომიტეტის პლენუმმა ორივე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

ახლა, ალბათ ყველას გაუკვირდებოდა ის ფაქტი, რომ გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ივანე ფარცხალაძე უხეშ შეცდომებს უშვებდა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში, უდიერად ეპყრობოდა პარტიულ და სამეურნეო კადრებს, უყვიროდა მათ. პარტიის რაიკომის პლენუმმა, რომელიც 1940 წლის 27 თებერვალს, მაშინდელი კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მეორე სართულზე, ერთ-ერთ საკლასო ოთახში გაიმართა, მკაცრად გააკრიტიკა იგი უხეში ქმედებისათვის და დაკავებული თანამდებობიდან მოხსნეს.

1940 წელს გაზეთის რედაქტორად ნიშნავენ სერგო გიორგაძეს, რომელიც მანამდე რაიონის მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ მუშაობდა, მაგრამ მას მალე აწინაურებენ და მდივნად ირჩევენ, ხოლო გაზეთის რედაქტორად გამოცდილი ჟურნალისტი გიორგი აბრამიძე ინიშნება, პასუხისმგებელ მდივნად კი, დომენტი ახოძაძე (შემდეგში საზოგადო მოღვაწე — პოეტი). გაზეთი ჩვეულებრივ სტილში აგრძელებდა საქმიანობას, ხელი არ აუღია კრიტიკული წერილების გამოქვეყნებაზე. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან გაზეთი ხელს უწყობდა რაიონის მცხოვრებთა განწყობის შექმნას და ეხმარებოდა ხელისუფლებას დაერაზმა მოსახლეობა მტერზე გამარჯვებისათვის. 1942 წელს გაზეთის გამოშვება დროებით შეჩერებული იქნა და მისი განახლება 1944 წელს მოხდებოდა, რედაქტორად კვლავ გიორგი აბრამიძე იქნა დანიშნული. მისი რედაქტორობის დროსაც მოხდა კურიოზული ფაქტი. ერთ-ერთ ნომერში ანშლავით, დიდი ასოებით პირველ გვერდზე დაანერეს – სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს, ქვეშ კი სტალინის სურათი იყო. ეს ანშლავი შავი ხაზით უნდა ყოფილიყო გამოყოფილი, მაგრამ, როგორც ჩანს, სტამბის მუშაკს დაავინწყდა მისი ჩასმა ასეთ შემთხვევას მაშინ ვინ გაპატიებდა. რედაქტორი გამოიძახეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ ასეთ გამოცდილ კადრს უმუშევრად ვინ დატოვებდა და რაიონული საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგედ დაამტკიცეს. თუმცა, გამოცდილ ჟურნალისტს აღნიშნულ თანამდებობაზე დიდხანს არ უმუშავია, იგი კვლავ გაზეთ „კოლმეურნის მნათობის“ რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად დააბრუნეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა და სანიმუშოდ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ომის დამთავრების შემდეგ, გაზეთს სათავეში ჩაუდგა მიხეილ ხარძიშვილი, რომელიც შემ-



დეგ სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნეს, რედაქტორად კი, ლავროსი იობიძე დაანიშნაურეს. ისიც მალე პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიკომის მესამე და მეორე მდივნის პოსტებზე.

განსაკუთრებული კვალი დაამჩნია გაზეთის საქმიანობას შოთა ბაღდავაძემ, რომელიც ამ გაზეთს 30 წელზე მეტი ედგა სათავეში. იგი ერთ-ერთია რაიონში, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

1961 წლის ბოლოს მოხდა სოფლის მეურნეობის რეორგანიზაცია, შეიქმნა სოფლის მეურნეობის ტერიტორიალური სამმართველოები. ვანის რაიონი შეუერთეს სამტრედიის რაიონს. გაუქმდა სოფლის მეურნეობაში რაიკომის დარგობრივი მდივნის თანამდებობა, გააუქმეს რაიონული გაზეთიც და შეუერთეს სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის“ რედაქციას (რედაქტორი ვაჟა ნიკოლეიშვილი). შოთა ბაღდავაძე დანიშნეს აღნიშნული გაზეთის კორესპონდენტად ვანის რაიონიდან, გიორგი აბრამიძე ადგილობრივი რადიო გადაცემათა კორესპონდენტ-ორგანიზატორად, ხოლო ლიტმუშაკი მიხეილ გოგოძე, ვანის სალამოს სკოლის დირექტორი გახდა.

1962 წლის დეკემბრის ბოლოს გაუქმდა ვანის რაიონიც და შეუერთეს მაიაკოვსკის (დღევანდელი ბაღდათი) რაიონს, რომელსაც მომსახურეობას უწევდა წყალტუბოს საქალაქო გაზეთი „წითელი დროშა“ (რედაქტორი დავით გაბრიაძე), შოთა ბაღდავაძე დაამტკიცეს იმავე გაზეთის კორესპონდენტად, რომელიც მალე დიხაშხოს რვანლიანი სკოლის დირექტორად გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე ალიოშა ფოფხაძე დანიშნეს.

1964 წლის ბოლოს აღადგინეს ვანის რაიონი, მაგრამ გაზეთის გამოშვება ერთი წლის განმავლობაში მაინც ვერ მოხერხდა. პირველი ნომერი 1966 წლის 1 იანვარს „განთიადის“ სახელწოდებით გამოვიდა. რედაქტორად დიხაშხოს რვანლიანი სკოლის დირექტორი შოთა ბაღდავაძე გადმოიყვანეს, ხოლო რედაქტორის მოადგილედ პავლე კორძაძე, რომელიც ზედა ვანის რვანლიანი სკოლის დირექტორად მუშაობდა, შემდეგში ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად გიორგი აბრამიძე დაამტკიცეს, ხოლო სოფლის მეურნეობის განყოფილებას კარლო ტყეშელაშვილი. შემდეგში ამ განყოფილებას ამირან ძიგრაშვილი უძღვებოდა. მშრომელთა წერილების განყოფილებას ლუარა ცხვარაძე ჩაუყენეს სათავეში. ლიტერატურულ თანამშრომლებად მუშაობდნენ ვასილ ბიბილეიშვილი, (რომელიც მალე მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ დაანიშნაურეს), გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი გახდა ქეთო თვალბაქიშვილი. ბადრი სვანაძე და მარინე ბიბილეიშვილი გაზეთის ლიტერატურული თანამშრომლები იყვნენ. XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნასთან გაზეთის რედაქტორად დამტკიცებული იქნა ბადრი სვანაძე, გაზეთმა ახალი ელფერი შეიძინა. შემდგომ წლებში, გაზეთის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეებად მუშაობდნენ: თენგიზ მახარაძე, სოსო ჩაჩუა, მერაბ კვაჩიძე. ახალგაზრდა დამწყები ჟურნალისტები ხათუნა შარაშენიძე, ნინო გამრეკლიძე, ინდირა გოგოძე; კორექტორად მუშაობდა ხათუნა ბერძენიშვილი, რომელიც შემდეგში რედაქტორად იქნა დამტკიცებული. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან რედაქტორებად მუშაობდნენ ნარგიზა ფოფხაძე, იური კორძაძე. მარინე ბიბილეიშვილი კორექტორობიდან ლიტერატურულ თანამშრომლად გადაიყვანეს, სადაც საინტერესო წერილებს აქვეყნებდა რაიონის ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე. რედაქტორის მოადგილეებად მუშაობდნენ: ელგუჯა ძაგნიძე, გიორგი კანკაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

კიდევ უფრო განმტკიცდა სტამბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. წარსულს ჩაბარდა გაზეთის ხელით აწყობა. შეძენილ იქნა სტრიქონჩამომსხმელი მანქანები, ერთ დღეში შესაძლებელი იყო გაზეთის მასალების აწყობა. ჭეშმარიტად საოცარი ენერგიით შრომობდნენ ლინოტიპისტები – თამარ ადვიშვილი, მაცვალა მეფარიშვილი, მერი თვალბაქიშვილი, ეთერ ბაღდავაძე, ლილი გუნცაძე, რომელთა მიერ ლითონზე ჩამოსხმულ სტრიქონებს აწყობდნენ კაპიტო კიკვაძე, შოთა კოტრიკაძე, თენგიზ აბრამიძე, მურად ძაგნიძე. სათანადო გასწორების შემდეგ დაკაბადონებულ გვერდებს შეკრავდნენ საბეჭდ მანქანებზე და იწყებოდა მათი ბე-

ჭდება, ამ საქმეს ემსახურებოდნენ ამირან აბრამიძე, რომელიც ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, კუკური ბიბლიეიშვილი საკმაოდ ტაქტიანი პიროვნება და მუდამ მომლიმარი სიმონ ცხვარაძე. სტამბის კოლექტივს სათავეში ედგა გამოცდილი ადამიანი, პოლიგრაფიის შესანიშნავი მცოდნე ალიოშა ფოფხაძე.

შეიძლება ითქვას, დღიდან გაუქმებული რაიონის აღდგენისა და გაზეთის გამოცემის განახლებისა, გაზეთი „განთიადი“ იქცა სამეურნეო, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ საქმეთა მხარდამჭერად. იგი თითქმის სისტემატურად და აკადემიურად აქვეყნებდა კორესპონდენციებს, სტატიებს, სამეცნიერო რეკომენდაციებს და პროპაგანდას უწევდა იმ დარგობრივ სამეცნიერო სკოლების საქმიანობასაც, რომელიც მაშინდელ რაიონში იყო შექმნილი და უძღვებოდნენ ცნობილი მეცნიერები. გაზეთი პარალელურად ხელს უწყობდა ახალგაზრდა კადრების წარმოჩინების და დაკვალიანების საქმეს. მასში გამოქვეყნებული არაერთი ნარკვევი თუ მასალა, დამუხტული იყო პატრიოტული შემართებით. თუმცა გაზეთმა კრიტიკული პათოსი შეინარჩუნა 1990-იანი წლების ბოლომდე. ყველა ასეთი სტატია დაშორებული იყო ტენდენციურობას, ღვარძლს და ატარებდა საქმიან ელფერს.

რაიონული მასშტაბით განუზომელია „განთიადის“, შემდეგ „საჩინოს“ გვერდით დგომა შემოქმედებითი ინტელიგენციის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის მხარდამჭერისა და დაკვალიანების საქმეში. არაერთი მათგანი გამხდარა შემდეგში ცნობილი მეცნიერი, წარჩინებული სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, პროზაიკოსი და მსახიობი. გაზეთში გაშუქებულ საკითხთა წყება თავისი სიმწვავიდან გამომდინარე, მოქცეული იყო ხელმძღვანელი რგოლის ყურადღების ქვეშ, ასევე სათანადო რეაგირებით. „განთიადიც“ და „საჩინოც“ მჭიდროდ ურთიერთობდა რაიონის საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროსთანაც. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული მასალები შეფასებები, საინტერესო და საქმიანი იყო არამარტო კონკრეტული დროისათვის, არამედ იგი მნიშვნელობას არ კარგავს არც დღევანდელიობაში, როგორც საყრდენი მასალა და როგორც მატრიანური მონათხრობი.

დღეს გაზეთი თვეში ერთხელ გამოდის, რაც დიდად სამწუხაროა, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩვენ მიჩვეული არ ვართ საყვედური ვუთხრათ ვინმეს, მაგრამ როგორც პრესის ძველმა მუშაკმა, არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ არასაკმარისია გაზეთის ტირაჟი, ხოლო საშტატო განაკვეთზე კი ლაპარაკი ზედმეტია. საჭიროდ მიმაჩნია დავეხმაროთ გაზეთის რედაქციას ტირაჟის გადიდების საქმეში, რომელიც შემდგომში საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ მისი ეკონომიკური შემოსავალი, გავადიდოთ თანამშრომელთა რაოდენობა.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ეს შესანიშნავი თარიღი მივულოცო გაზეთ „საჩინოს“ რედაქციის თანამშრომლებს, გაზეთის მკითხველებს და უკლებლივ ყველა ვანელს.

სოფელი დისაშხო

დისაშხო ერთ-ერთი ულამაზესი და გამორჩეული სოფელია ვანის რაიონში. მოსახლეობის მიხედვით იგი შედგება 888 კომლისაგან. გააჩნია მდიდარი რესურსები, შესანიშნავი კლიმატური პირობები, ნოყიერი მაღალმოსავლიანი მიწები, უნიკალური ტყის მასივები, ანკარა წყაროები და წყალუხვი მდინარე სულორი.

სოფელი ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ცენტრიდან 5 კილომეტრითაა დაშორებული. სოფლის ტერიტორიაზე გადის ვანი-ქუთაისი ბაღდადისა და კურორტ სულორისა და თბილისის დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალი, აგრეთვე სულორი-თბილისის დამაკავშირებელი გზა. სოფლის სახნავ-სათესი ფართობების ტერიტორიაზე რიონის მარცხენა მხარეს გადის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავთობისა და გაზადენის მაგისტრალები. რაიონის ცენტრი სოფელ დისაშხოს გავლით უკავშირდება სოფლებს: ბზვანს, სულორს, ძულუხსა და გადის.

სოფელ დისაშხოს ცენტრიდან რიონის სარკინიგზო სადგური დაშორებულია 29 კილომეტრით, ხოლო ქალაქი ქუთაისი 33 კმ-ით. სოფლის ძირითადი სახნავ-სათესი სავარგულები გაშლილია მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე.

სოფლის ტერიტორია მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით ხასიათდება. ძირითადი ნაწილი ვაკეა, ხოლო – ისრითის, ჭინჭველოურისა და ციხისუბნის ტერიტორიები მთაგორიანია. მთაგორიანია სულორისა და ძულუხის მოსაზღვრე ტერიტორიებიც. სოფლის ყველაზე დაბალი ადგილი ზღვის დონიდან 95-110 მეტრია, რომელიც ძირითადად რიონის პირა სახნავ-სათესი ფართობებს უჭირავს. ყველაზე მაღალი ადგილი კი, ციხისუბნის მთიანი ტერიტორიაა (185-210მ.). სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 1261.0 ჰექტარს, მათ შორის: 1. სახნავი 413 ჰა; 2. მრავალწლოვანი – 291 ჰა; 3. საძოვარი 557 ჰა.

სოფლის ჭალის (რიონისპირა) ფართობებზე ძირითადად ხარობს ხის ერთგვაროვანი ჯიში – თხმელა. იგი განლაგებულია რიონისპირა და რიონის შენაკადი პატარა მდინარის – „შტოს“ ნაპირებზე. ძირითად მცენარეულ სახეობებს წარმოადგენს: მუხა, ნაბლი, კოპიტი, აკაცია, რცხილა. ალაგ-ალაგ გვხვდება აგრეთვე წიწვოვანი მცენარეებიც – ფიჭვი და ნაძვი. ციხისუბნის მთიანი ზოლის ტყეებში ხარობს წყავი და შქერი. სოფელი განთქმულია დაფნის კულტურით, აქა-იქ ვხვდებით სუბტროპიკულ კულტურებს – მანდარინს და ლიმონს. სოციალისტურ ეპოქაში სოფელში გაშენებული იყო ჩაის პლანტაციები და დიდ მოსავალს იძლეოდა. კარგად ხარობს ნაყოფის მომცემი სხვადასხვა ჯიშის მცენარეები – ვაშლი, მსხალი, გულაბი, ატამი, ბალი, ლელვი, ქლიავი და თითქმის ყველა ხეხილოვანი მცენარე.

აქვს საძოვარი, რომელსაც „შუა რიყს“ ეძახიან და იგი მოთავსებულია რიონის ორ განშტოებას შორის, მისი ფართობი 85 ჰექტარს შეადგენს, სადაც სოფლის თითქმის მთელი მოსახლეობა აძოვებს პირუტყვს. მთიან საძოვრებზე, ალპურ ზონაში სოფელს ეკუთვნოდა საძოვარი „ნალა-გირევის“ ტერიტორიაზე. რაც შეეხება კლიმატს, იანვრის საშუალო ტემპერატურა 5-6 გრადუსს შეადგენს, ყველაზე მაღალი ტემპერატურა ივლის-აგვისტოში აღინიშნება, რომელიც ზოგჯერ 35 გრადუსზე მეტს აღწევს. მაქსიმალური ტემპერატურა სოფელში დაფიქსირდა 2014 წელს – 48 გრადუსი. ზამთარში ჰაერის მინიმალური ტემპერატურა მერყეობს 4-დან 10 გრადუსამდე.

ნალექების საშუალო რაოდენობა წელიწადში 2400-3200 მილიმეტრს შეადგენს. ყველაზე გრილი ზაფხული 1985 და 2013 წლებში აღინიშნა.

სახელწოდება დისაშხო მეგრული ტოპონიმია – „დისა“ მიწას ნიშნავს „შხო“ – მსუყეს, მოსავლიანს, (ი. ყიფშიძე მეგრული ენის გრამატიკა).

დისაშხოს შემადგენლობაში შემავალი დასახლებების სახელები, კერძოდ, ციხისუბნის სახელწოდება, დაკავშირებულია ჩიჯავაძეთა სამფლობელოში აქ არსებულ ციხის სახელთან, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, ხოლო ისრითის სახელწოდება დაკავშირებულია ადრეულ ხანაში გარეულ ცხოველებზე მშვილდ-ისრით ნადირობასთან.<sup>1</sup>

<sup>1</sup> (გიულდენშტედტს ამ სოფლის სახელწოდება მოხსენიებული აქვს როგორც ისრიზა - რედ. შენიშვნა.)

საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების შეცვლას სოფლის ცხოვრებაშიც შეჰქონდა ცვლილებები. ხანგრძლივ პერიოდში სოფელი სოციალურ ფენებად იყო დაყოფილი. ცხოვრობდნენ თავადები: ჩიჯავაძეები, ლორთქიფანიძეები. აზნაურები გოგორიშვილები, ლორთქიფანიძეები. აქვე მათ „საბრძანებელში“ მოღვაწეობდნენ და განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ: ლორთქიფანიძეები, ჩხეიძეები, ნიჟარაძეები, შარაშენიძეები, ჟვანიები, ლომინაძეები, მილორავეები და სხვა თავადი-აზნაური. სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას კი ღარიბი გლეხობა შეადგენდა, რომლებიც თავადაზნაურების მსახურთა და უფუფლებოთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ. ამასთანავე გლეხებიც დაყოფილი იყვნენ ფენებად: შეძლებული, საშუალო და ყმა-გლეხი. იხდიდნენ შრომით და საგადასახადო ბეგარას.

მას შემდეგ, რაც XV საუკუნიდან საქართველოში ყალიბდება სათავადოთა სისტემა, დასავლეთ საქართველოში მდინარე რიონისა და ყვირილას ხეობებში გარკვეულ დრომდე არსებობდა ორი სათავადო – საჩიჯავაძეო და საჩხეტიანო. აფხაზთა სახელმწიფოს<sup>1</sup> წარმოქმნის პერიოდში, დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსული ჩიჯავაძეები აქ რჩებიან XV საუკუნის შუა წლებამდე, სანამ ეს ტერიტორია ტაოდან გადმოსულმა ციციშვილებმა არ დაისაკუთრეს. ეს ის დროა, როცა იმერეთის სამეფო ყალიბდებოდა, მიმდინარეობდა ბრძოლა იმერეთისა და ქართლის მეფეებს შორის. ქართლში შევიწროებული ჩიჯავაძეები, სავარაუდოდ იმერთა მეფეს მიემხრნენ ამ ბრძოლაში და გადმოვიდნენ იმერეთში. 1489 წელს იმერეთი საერთოდ ჩამოშორდა ქართლს. საჩიჯავაძეო სათავადო ვრცელდებოდა სალომინაოდან დაფნარამდე. მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფის-ალექსანდრე V ლონისძიებას მოჰყვა საჩინოს ტერიტორიაზე რაჭის ერისთავთა „გვერდითი შტოს“ ჩამოსახლება აღნიშნულ ტერიტორიაზე, ყალიბდება ბარის ერისთავთა სათავადოც. სოფელი დიხაშხო კვლავ დარჩა ჩიჯავაძეთა სათავადოს ადმინისტრაციულ ერთეულში.

ჩიჯავაძეთა რეზიდენცია სებეკაში იყო (დღევანდელი ყოფილი საგრენაჟო ქარხნის ტერიტორია, ეპარქიის რეზიდენციის დასავლეთით). ისინი ერმრავალი ფეოდალები იყვნენ, მათ ყმებად ითვლებოდნენ: ნიკოლეიშვილები, ტყეშელაშვილები, სუხიშვილები, ნიკოლაძეები, ქამუშაძეები, სტეფნაძეები, ცხადაშვილები, ნამიჭეიშვილები, გიორგაძეები, ბაღდავაძეები, მორჩილაძეები, ჩხიროძეები, გოგაძეები, კორძაძეები, ჩუბინიძეები, ბურკაძეები, მახარაძეები, კალმახელიძეები, ხატისკაცები, გაბუნიები, ფანცულაიები და სხვა. (შ. გიორგაძე – „ვანი და ვანელები“).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ჩიჯავაძეები ფლობდნენ ციხესიმაგრეებსაც. მათ შორის, აღსანიშნავია საჩინოს და სებეკას ციხეები. დღეისათვის ამ ციხეების მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

„საჩინო“ ანუ იგივე ჩიჯავაძეთა სათავადო, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდებოდა, ადრე კი ამ კუთხეს ქვაბულიძეები ფლობდნენ.<sup>2</sup> ჩიჯავაძეთა სათავადოში შედიოდა: დაფნარი, დაბლა გომი (მუხალრუა), მთისძირი, შუამთა, საბეკა, ციხესულორი, ვანი, ტობანიერი, საპაიჭაო (დღევანდელი ყუმური), გადიდი, ონჯოხეთი, სალხინო, ზენობანი, ისრითი, დიხაშხო, დვალ-იშვილების – (დღევანდელი სულორი) ციხისუბნის, ბზვანის, ინაშაურის, საყულის ნაწილი, დიხაშხოს, ციხისუბნის მეორე ნაწილს თავადი ლორთქიფანიძეები ფლობდნენ. ბზვანის, ინაშაურის ნაწილი კი, იმერეთის ერისთავების იყო. ხოლო სულორის ნაწილს, თავადი ნიჟარაძეები ფლობდნენ.

ჩიჯავაძეთა საგვარეულოს ერთი სასახლე სოფელ ისრითში იდგა. ციხე-დარბაზის ნანგრევებმა დღემდე მოაღწია. იგი დგას განაპირას, ჩრდილოეთის სერზე, რომელიც რიონს გადაჰყურებს. ჩვენამდე მოაღწია ოთკუთხა კოშკიც, რომლის ზომებია (5,5x2 მ.). იგი ნაგებია ფლეთილი ქვით. ერთ კედელზე სათოფურია შემორჩენილი, რაც ციხეს XV-XVII საუკუნეების მიჯნებით ათარიღებს.

XVII საუკუნის მიჯნასთან, ჩიჯავაძეების სათავადო საკმაოდ დაწინაურებული იყო და იმერ-

<sup>1</sup> აფხაზთა სახელმწიფო - ივლისხმება დასავლეთ საქართველო (რედ.).

<sup>2</sup> ამ საკითხს ვრცელი და კონკრეტული გამოკვლევა მიუძღვნა პროფესორმა თორნიკე ეფრემიძემ. (მატიანე №5 — რედ. შენიშვნა)

ეთში თავადთა შორის მე-4 ადგილი ეკავა. მაგრამ XVII საუკუნის შუა მონაკვეთში იმერთა მეფის ალექსანდრე V ძმამ მამუკა ბატონიშვილმა საჩიჯავაძეო დაიპყრო, წაართვა მას გარკვეული ტერიტორიები და მეფის დახმარებით საკმაოდ დაასუსტა სათავადოს მდგომარეობა. სოლომონ პირველის მეფობის დროს ჩიჯავაძეებს ჩამოერთვათ საგვარეულო სამფლობელო – „საჩინოს“ მხარე, შეწყდა მათი გავლენა „კუთვნილ ტერიტორიაზე და მას მეფე განაგებდა.“ სოლომონ მეორის მეფობის დროს ჩიჯავაძეთა სახლი ნაწილობრივ აღზევდა, მაგრამ მთლიანად ვერ შეძლეს წართმეული ტერიტორიების დაბრუნება. გაანაწილეს საერთო მიწა-წყალი და მემამულეებად იქცნენ. ი.ა. გიულდენშტედტის შეფასებით, როდესაც იგი ჩამოთვლის იმერეთის 15 წარჩინებულ გვარს, ჩიჯავაძენი ბოლო ხუთეულშია მოქცეული, როგორც მატერიალურად ნაკლებად შეძლებული ფეოდალები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩიჯავაძეთა სათავადომ რამდენადმე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება.

### ალშიბაიას სამფლობელო

მოვლენათა განვითარების შედეგად, რომელიც თან გაჰყვა 1865 წელს, იმერეთის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებას, პრივილეგიების დაკარგვასა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგებს, რაც კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპს მოჰყვა, რომლის შედეგადაც ჩიჯავაძეთა გვარი იძულებული ხდება და ფაქტებითაც დასტურდება გაყიდვაში მოაქციოს საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.<sup>1</sup> ამ პერიოდში XIX საუკუნის ბოლოს, ჩიჯავაძეების მიწების ნაწილი შეუძენია აფხაზეთიდან ჩამოსულ ალშიბაიას. აღნიშნული ტერიტორია, რომელიც დაახლოებით 120 ჰექტარს შეადგენდა, მდებარეობდა სოფლის ბოლოს დღევანდელ ალშიბაიას წყაროსთან – იმავე ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს ალშიბაიას ნამოსახლარს უწოდებენ. მასვე აუგია ორსართულიანი სასახლე, რომელიც მალეიდან დაჰყურებდა რიონის ხეობას. გაუშენებია დიდი რაოდენობის ვაზი, ალშიბაია ბუნებით კეთილი კაცი ყოფილა და მის მამულში მომუშავე გლეხებიც კმაყოფილი ჰყოლია. იგი პროფესიით ექიმი ყოფილა და განათლება საზღვარგარეთ ჰქონია მიღებული, თუმცა XX საუკუნის მიჯნაზე ეს ტერიტორიები მასაც გაუყიდა და საცხოვრებლად ქუთაისში გადასულა.

### სოფლის მმართველობა

1865 წელს, ქუთაისის გუბერნიაში, ბატონყმობის გაუქმებამდე ე.წ. „ვანის ზონაში,“ პროცესებს მართავდა მოურავთა ინსტიტუტი, რომელიც ანგარიშვალდებული იყო კონკრეტული მე-ბატონის წინაშე და განაგებდა პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ აღნიშნული სისტემა კარგავს ფართო გავლენას და შენარჩუნებულია კერძო ფეოდალებთან, როგორც მათი სამეურნეო საქმიანობის გამძლეოლი და მომწესრიგებელი. მითითებული თარიღის შემდეგ ძალაში შედის თემსაზოგადოებათა ინსტიტუტი, რომელმაც ძირეული რეფორმა განიცადა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ვანის ტერიტორიაზეც ყალიბდება თემსაზოგადოებები-დიხაშხო გააერთიანეს ვანის თემსაზოგადოებაში. ამავე თემსაზოგადოებაში, 1936 წლის ჩათვლით, როგორც ცალკე სოფელი, შედიოდა ისრითი<sup>2</sup> და ციხისუბანიც. სამივე სოფლის კომლთა რაოდენობა აღწევდა 475-ს, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 2352 – კაცს.<sup>3</sup>

1917-1921 წლებში მიმდინარე მოვლენები სოფელ დიხაშხოსაც შეეხო. სოფელს ერობების საშუალებით მართავდა ნოე ჟორდანიას მენშევიკური ხელისუფლება. 1921 წლიდან ქუთაისის რევოლუციური კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, სოფლებში დაიწყო რევკომების ჩამოყალიბება, როგორც ხელისუფლების ორგანო. სოფელ დიხაშხოში რევკომი 1921 წელს შეიქმნა.

1922 წლიდან სოფელში დაიწყო მუშაობა ადგილობრივი მართვის ორგანოს საბჭოების შე-

<sup>1</sup> შენიშვნა:

<sup>1</sup> დაცული მასალებით დასტურდება, რომ ჩიჯავაძეთა კუთვნილი ტერიტორიები ხშირად მოხვედრილი გაყიდვაში, ან ჩადებული ბანკის ვალებში, ისე, როგორც ერისთავთა, ლორთქიფანიძეთა, ჩხეიძეთა და ა.შ. საკუთრებაში არსებული მიწები (რედაქტორის შენიშვნა)

<sup>2</sup> ომარ კაპანაძე-„ვანი ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“.

<sup>3</sup> ომარ კაპანაძე-„დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფლების მიხედვით“-კრებული „მატიანე“ №8

ქმნასთან დაკავშირებით. ამის შედეგად მომდევნო ეტაპზე რეკომენდი სასოფლო საბჭოებმა შეცვალა. 1930 წლის დასაწყისისათვის (ქუთაისის მაზრიდან ვანის გამოყოფა და ცალკე რაიონად ჩამოყალიბება) დიხაშხო, ისრითი, ციხისუბანი, დღევანდელი დიხაშხოს თემის შემადგენელი დასახლებანი, კვლავ ვანის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია.

2016 წლის მდგომარეობით სოფელ დიხაშხოში ცხოვრობს 888 კომლი, 2900-მდე კაცი. მათ შორის 572 პენსიონერია, საერთოდ მიტოვებულია 20 ოჯახი. ბევრად მეტი ოჯახი დატოვებულია ნაწილობრივ, სადაც მათი მეპატრონეები თუ ჩავლენ რამდენიმე დღით, ისიც ზაფხულობით. დიხაშხოში 100-მდე გვარის ოჯახი ცხოვრობს, მათი უმრავლესობა სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილებიდანაა ჩამოსახლებული. მოსახლეობის ძირითადი შემადგენლობა ქართველებია. გავრცელებული გვარებია: ერემეიშვილები, გოგორიშვილები, მამასახლისები, სოხანეიშვილები, შალამბერიძეები, ნარჩემაშვილები, ქავთარაძეები, კაპატაძეები, ვაშაყმაძეები, მალლაკელიძეები, ჭოხონელიძეები, დვალიშვილები, ხურციძეები, შენგელიები, ქიმუცაძეები, საღრშიშვილები, მჟავანაძეები, ჭელიძეები, ხელაძეები, სვანიძეები, თუთაშვილები, ბაღდავაძეები, მატარაძეები, ჟღერიები, ლორთქიფანიძეები, ჩიჯავაძეები, მახარაძეები, ჭინჭარაძეები და ზოგიერთი სხვა. სოფლის უბნები ერთმანეთთან დაკავშირებულია მონესრიგებული სამოძრაო გზით, ასფალტირებულით, მოხრეშილით. სოფელს ემსახურებოდა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა ქსელი.

ამჟამად სოფელს ემსახურება სტომატოლოგიური კაბინეტი, აფთიაქი და სამედიცინო ამბულატორია ერთი ექიმითა და ექთნით, რომლის ოფისი სოფლის მმართველობის შენობაშია მოთავსებული.

სოფელ დიხაშხოში 1986 წელს გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, რომლის შენობა ტიპიური პროექტითაა აშენებული.

სოფელში დღეის მდგომარეობით საერთოდ არ არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, მაშინ როდესაც ადრეულ წლებში (სოციალისტურ პერიოდში) სოფელში ფუნქციონირებდა კულტურის სახლი, სოფლის ბიბლიოთეკა და ხალხური ფოლკლორის გუნდები.

სოფელს ემსახურება ოთხი სასურსათო მაღაზია და ორი წისქვილი, მდინარე სულორზე.

სოფლის 95% გაზიფიცირებულია ბუნებრივი აირით. დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად ციხისუბანში იყენებს თხევად გაზს. სოფლის ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალები ასფალტირებულია.

ძირითადი დასახლებული უბნებია: გაბუნების უბანი, ლაბაჯოური, ციხისუბანი, ვაშლარა, ბარაქაძეები, ჭინჭველოური, ნარჩომაშვილები, ჯვარისერის და შენგელიების უბანი. აქ მაცხოვრებელ გვართა შორის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა მალლაკელიძეები, შემდეგ მოდიან შალამბერიძეები და ერემეიშვილები.

რელიგიური დღესასწაულებიდან აღსანიშნავია: შობა, აღდგომა და გიორგობა.

გარდა ამ ღონისძიებებისა ზაფხულის პერიოდში იმართებოდა ჯარიანობები (ახალგაზრდების შეკრებები), ამ დროს სოფელში ბევრი ახალგაზრდა ჩამოდიოდა, იმართებოდა ცეკვა-თამაშები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერაში, ფანდურისა და დოლის დაკვრაში, აკორდეონი მაშინ იშვიათი ინსტრუმენტი იყო. ამ დროს ყველაზე მეტად მოსაწონად ითვლებოდა ვინც ყველაზე მეტ ხანს იცეკვებდა დაუსვენებლად. ამ მხრივ შენგელიების უბანში გამართულ ჯარიანობაზე ცეკვის პირველობას გივი საღრშიშვილი არავის უთმობდა. ყოფილა შემთხვევა, როცა მას ორი საათი შეუსვენებლად უცეკვავს.

ჯარიანობა ძალზე კარგი არენა იყო ახალგაზრდობის გასართობად, ამ პერიოდში „მაჭანკლებიც“ აქტიურობდნენ და ბევრი ახალი ოჯახიც იქმნებოდა.

სოფელში დიდ მონონებას იმსახურებდა შეჯიბრება ლელო ბურთში. ხშირად ეჯიბრებოდნენ ლელოს თამაშში დიხაშხოსა და ისრითის მოსახლეობა. ლელოს მოედანი ე.წ. „დოხოკონას“ მინდორი იყო. თამაშის ბოლოს ნაგებული გუნდი მოგებული გუნდის წევრებს პურმარილზე ეპატიჟებოდა. ყველაზე გამორჩეულ მოთამაშედ ლელობურთში დიხაშხოელი სერევეანდო შენგელია ითვლებოდა, იგი ყოველ გამარჯვებისას სუფრის თამადა იყო და ისეთი წესრიგი ჰქონდა სუფრაზე, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. ქეიფის შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობებოდნენ, გადაკოცნიდნენ კიდევ და სიმღერ-სიმღერით მიდიოდნენ თავიანთ სახლებში.

სოფელში განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მარიამობას. ყველა ოჯახის ქიშკართან კოცონს დაანთებდნენ, რათა მათ ახლო-მახლოს ავ სულელებს არ გაევილო. ვისაც კი შეეძლო ამ ანთებულ კოცონსაც გადაახტებოდა კიდევ(უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია წარმართული ხასიათისაა და დღეს აქა-იქ არის შემორჩენილი. ავტ.)

### დიხაშხოს გაერთიანებული კოლმეურნეობა

1924 წლიდან სოფელში იწყება სასოფლო-სამეურნეო არტელების ჩამოყალიბების პროცესი. 30-იან წლებში კი, სოფლის მცხოვრებთა 90% განევრიანდა ახლად შექმნილ კოლმეურნეობებში, შეჰყავთ პირუტყვი, გამწვევი ძალა – ხარები, ცხენები, ურმები, კავეები, გუთნები და სხვა ინვენტარი.

სოფელ დიხაშხოში პირველი, პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა 1929 წელს ჩამოყალიბდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბესუ გოგორიშვილი, მომდევნო წლებში შეიქმნა: ისრითის „წითელი სხივი“ – თავმჯდომარე ვალიკო ძაგნიძე; ვაშლარას – თავმჯდომარე ვენედიქტე ბაღდავაძე; „წითელი ფერმა“ – თავმჯდომარე ვალერიან გოგორიშვილი.

დასახელებულ კოლმეურნეობებს შორის ყველაზე ძლიერი „წითელი ფერმის“ კოლმეურნეობა იყო, რომელსაც მომდევნო წლებში შეუერთდა ყველა წვრილი კოლმეურნეობა და შეიქმნა დიხაშხოს გაერთიანებული კოლმეურნეობა.

წვრილი კოლმეურნეობების გაერთიანება ერთ მძლავრ გაერთიანებად იმ პერიოდში წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რაც მომავალში საშუალებას იძლეოდა შრომითი და ეკონომიური რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის მექანიზაციის დანერგვასა და საბოლოო ჯამში კოლმეურნეობის გაძლერების პერსპექტივისათვის.

როგორც ითქვა, სოფლებში არსებული წვრილ-წვრილი კოლმეურნეობებში თავიანთი ნება-სურვილით ერთიანდებოდნენ ერთ მსხვილ კოლმეურნეობად. ასე მოხდა 50-იან წლებში სოფელ დიხაშხოშიც. ოთხი წვრილი კოლმეურნეობა გაერთიანდა და შეუერთდა შედარებით ძლიერ „წითელი ფერმის“ კოლმეურნეობას, რომელსაც უნარიანი ხელმძღვანელი ვალერიან გოგორიშვილი ხელმძღვანელობდა და 1962 წლამდე უძღვებოდა აღნიშნულ ორგანიზაციას. XX საუკუნის 80-იან წლებში დიხაშხოს კოლმეურნეობას შეუერთეს სოფელ სალხინოს და ამ გზით შეიქმნა ერთი მსხვილი სასოფლო სამეურნეო დანაყოფი, თუმცა ნაკლები ეფექტით, რომელიც შემდეგში სალხინოელთა მოთხოვნის საფუძველზე კვლავ გამოეყო ხსენებულ ორგანიზაციას.

დასახელებული კოლმეურნეობის ძირითად დარგებს წარმოადგენდა: მარცვლეული კულტურები (მემინდვრეობა), მევენახეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა და მეფუტკრეობა. დაკომპლექტებული იყო ხუთი ბრიგადა. საჭირო მაღალკვალიფიციური აგრონომებით, მეცხოველეობის დარგის სპეციალისტებით და ა.შ. იმის გამო, რომ სოფელ დიხაშხოს ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსებით, მათ შორის, გეიზერებით, რესპუბლიკის კურორტების სამმართველოს თხოვნისა და ვანის რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ვანი-ქუთაისის ცენტრალური ტრასის გასწვრივ, დიხაშხოს ტერიტორიაზე, გაშენდა მძლავრი სასათბურე-საჩითილე მეურნეობა მაშინდელი დროის მონივნავე ტექნოლოგიური შესაბამისობით, რომელიც ბოსტნეული პროდუქციით ამარაგებდა საქართველოს ზღვისპირა საკურორტო ზონასა და ქალაქებს, ხოლო საადრეო ჩითილებით მარაგდებოდა რაიონის აგრარული სექტორი და ბოსტნეული კულტურების კერძო მწარმოებლები. სხვათაშორის, ხილი და ყურძენი დიხაშხოელი გლეხების ფინანსური შემოსავლების დომინანტს წარმოადგენდა. ეს სოფელიც ცხოვრების დონისა და კულტურული ფენომენის თვალსაზრისით ერთ-ერთ მონივნავე პოზიციებზე იდგა. სოფელს გააჩნდა აბრეშუმის მოვლის ტრადიციაც და ეს სფერო აბრეშუმის პარკის მწარმოებელთა ფინანსური შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

დიხაშხოს გაერთიანებული კოლმეურნეობის საქმიანობაში დიდი წვლილი შეიტანეს ვეტერანმა კოლმეურნეებმა: მეთოდე სალრიშვილმა, იპოლიტე და სერევეანდო შენგელიებმა, პავლე სალრიშვილმა, სევერიანე და მიტუშა შენგელიებმა, ანდრო სალრიშვილმა, აკაკი, მათე, ნიკანდრო, ნიკოლოზ მაღლაკელიძეებმა., სილოვან შალამბერიძემ, სილოვან ერემეიშვილმა, ვალოდია გაბუნიაშვილმა, ვალიკო და იერონიმე ძაგნიძეებმა, შოთა, ბენია, ჟორა ვერულაშვილებ-

მა, ალექსანდრე ჭუბაბრიამ, ანზორ სუპატაშვილმა, სიმონ და იროდიონ კაპატაძეებმა, ოთარ ბელთაძემ და ბევრმა სხვამ.

მეზოსტენობის დარგში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს საქ.სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა რიმა შენგელიამ, რუსუდან შენგელიამ, სონია და ქსენია მსხილაძეებმა და სხვებმა.

მევენახეობაში ყურძნის დიდ მოსავალს ლებულობდნენ. სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან მამასახლისი, ორდენოსანი ივანე ბაღდავაძე, ახალგაზრდა მევენახე დათო სოხა-ნეიშვილი, ბორის თუთაშვილი, შოთა ვერულაშვილი და არაერთი დიხაშხოელი გლეხი.

რაიონში მოქმედ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გაუქმებასთან დაკავშირებით არსებული ტექნიკა საკუთრებაში გადაეცათ კოლმეურნეობებს. მათ თავად გააჩნდათ საშუალება და თავადვე იძენდნენ ახალ საწარმოო ტექნიკასაც, რაც ამსუბუქებდა კოლმეურნეთა შრომას. ანალოგიური სიტუაცია იყო დიხაშხოს კოლმეურნეობასთან დაკავშირებითაც.

შეუფასებელია მექანიზატორების როლი საკოლმეურნეო საქმიანობაში. სოფელ დიხაშხოს მრავალი მექანიზატორი ემსახურებოდა: მიხეილ და ჯუმბერ გოგიბერიძეები, დურმიშხან ერემეიშვილი, სულიკო მსხილაძე, რომან და გივი თათვიძეები, დემურ შენგელია, თემური, ვახტანგი, იაშა ერემეიშვილები, ზაურ ხელაძე, ვახტანგ შენგელია, მამა-შვილი ნუგზარ და ვალერი ხელაძეები და ახალგაზრდა მექანიზატორი ქალი – მზია ხელაძე. პირველი ტრაქტორი სოფელში 1943 წელს შემოიყვანა შუამთელმა – ვლასი ნარსიამ.

პირველი ავტომობილი სოფელში 40-იან წლებში შემოვიდა, რომელსაც მძღოლი ვლასი დვალიშვილი მართავდა.

კოლმეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მეჩაიეობა, ამიტომ ჩაის ფართობების გაზრდასა და კულტურის მოვლას დიდი ყურადღება ექცეოდა.

1974 წელს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, სხვა ზემდგომ ხელმძღვანელებთან ერთად დიხაშხოს მეჩაიეებს ესტუმრა. მათ კმაყოფილება გამოთქვეს მაისის თვეში დიხაშხოს კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების დათვალეირებისას.

სოფელ დიხაშხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ვალერიანე გოგორიშვილი, ავთანდილ სალრიშვილი, ბიჭიკო ქიმუცაძე, დავით ლორთქიფანიძე, ოთარ ჭოსონელიძე, კარლო ტყემელაშვილი, სულიკო ერემეიშვილი, პაპუნა ბუაძე, დემურ დავლაძე, ნუგზარ შენგელია.

ის, რომ სოფელს ერთდრიულად ჰყავდა ორი მოქმედი სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და უმაღლესი ხარისხის ორდენების კავალერები სხვადასხვა დარგებში მოღვაწეობის მიხედვით, მიანიშნებს სახალხო მეურნეობებში არაერთ განზომილებიან დადებით ფაქტორზეც და იმაზეც, რომ აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო დანაყოფი თავისი განვითარების შედეგებითა და შედეგებით მაღალ დონეზე იდგა.

### **ცნობები სოფელ დიხაშხოს საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ**

რაც შეეხება საგანმანათლებლო სფეროს – 1900 წლებიდან სოფელში წერა-კითხვის შემსწავლელი ექვსთვიანი კურსები იხსნება, სადაც გარკვეული დრო მოღვაწეობდა გალაკტიონ ტაბიძის მამა – ვასილ ტაბიძე (გასამრჯელო ერთი ბავშვისგან იყო 40 კაკიკი თვეში) „სკოლის შენობა იყო ისლით დახურული, უპოლო, უბუხრო და პატარა, სიგრძით ოთხ არშინ ნახევარი და სიგანით ორი არშინი და ჩარექი“ (დაახლოებით 3 მ 20 სმ – 2 მეტრზე). აღნიშნული სკოლის არსებობას, გერმანიის ვერმახტის გენერალი – შალვა მალლაკელიძეც ადასტურებს თავის მოგონებებში, რომელიც წარმოშობით დიხაშხოელი იყო. მანამდე კი, 1899 წელს დიხაშხო-სალხინოს მცხოვრებთა მოთხოვნით სალხინოში მღვდლის – სერაპიონ დადუნაშვილის ინიციატივით, ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი გაიხსნა, სადაც 13 ბავშვი სწავლობდა.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 10-იან წლებამდე, როცა ვანის სოფლები ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა, ვანის ტერიტორიაზე მოქმედ ზოგიერთ თემსაზოგადოებაში იწყება პირველი ნაბიჯების გადადგმა ერთ და ორკლასიან სამრევლო სკოლების დაფუძნებისათვის. დასახელებული პერიოდი ისე დასრულდა, რომ ასეთი დაბალი საფეხურის სასწავლებლებსაც თითო-ოროლას თუ შეხვდებოდით. ე.წ.



დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს დროსაც არ შეინიშნება დიდი ძვრები ამ მიმართულებით. საპირისპიროდ, 1921-24 წლებში ვანის სოფლებში თითქმის მასიურად იწყებენ მოქმედებას დაწყებითი ტიპის სკოლები.

1930 წლიდან ვანის რაიონის დამოუკიდებელი, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად შექმნის დღიდან დამოკიდებულება საკითხისადმი ძირფესვიანად შეიცვალა.

სოფელ დიხაშხოში განათლების სისტემის შედარებისთვის სრული წარმოდგენის მისაღებად, უმჯობესია იგი განვიხილოთ ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის, 1918-1921 წლებში დემოკრატიული დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პერიოდის და 1930 წლიდან რაიონის შექმნის შემდეგ მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით.

სოფელ ისრითში 1905 წლიდან არსებობდა დაწყებითი სკოლა 2 კლასით, სადაც სწავლობდა 8 მოსწავლე. 1922 წლამდე სკოლას საკუთარი შენობა არ გააჩნდა, იგი ანტონ გოგორიშვილისაგან ნაქირავებ ბინაში – საცხოვრებელ სახლში იყო განთავსებული. 1922 წელს მოსახლეობის მიერ შეგროვებული თანხით შეძენილი იქნა ოროთახიანი ბინა.

1930 წელს დაწყებითი სკოლა გადაკეთდა საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლად, რომლის დირექტორად თალიკო მამფორია მუშაობდა.

1930 წლიდან სკოლა მუშაობას განაგრძობს ყოფილი თავადის ანდრია ჩიჯავაძისაგან ჩამორთმეულ ორსართულიან შენობაში. ამ პერიოდში სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: გრიგოლ უჯმაჯურიძე 1931-1932 წლებში და ვასილ ფარცხალაძე 1932-1934 წლებში. 1934-1941 წლებში სკოლის დირექტორად ისიდორე გოგორიშვილი მუშაობდა, მისი მუშაობის პერიოდში სკოლაში ბევრი რამ გაკეთდა. მოეწყო საგნობრივი კაბინეტები, შეკეთდა საკლასო ოთახები, კეთილმოეწყო ეზო, გაშენდა ხეხილის ბაღები.

1940 წელს სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად. 1968 წელს სკოლას გაუკეთდა ორსართულიანი კაპიტალური მიშენება და მოეწყო სპორტული მოედანი. ეზოში დაიდგა დიდ სამამულო ომში დაღუპულ თანამემამულეთა სტენდი. XX საუკუნის 80-იან წლებში სოფელში აგებულ იქნა სკოლის სამ სართულიანი კაპიტალური შენობა კლასკაბინეტებით, ღია და დახურული სპორტული და სააქტო დარბაზებით.

სხვადასხვა დროს ისრითის საშუალო სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ: ვენერა ყუბანიშვილი, გრიგოლ ერემიშვილი, გერვასი საღრიშვილი, ნაპოლეონ ლორთქიფანიძე, ანდრო ხონელიძე, ბუხუტი მალლაკელიძე, ნათელა ცხადაძე, ჯუმბერ ერემიშვილი, ლეილა ქავთარაძე, მერაბ ლორთქიფანიძე, ნანა აბუჯანდაძე, მაია გალდავა. დღეს სკოლას ხელმძღვანელობს კობა შენგელია.

სოფელ დიხაშხოში ოთხნობიანი დაწყებითი სკოლა გასული საუკუნის 20-იან წლებში გაიხსნა. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ: ბენია გაგნიძე, პარმენ ჯანელიძე, ფილიმონ ძაგნიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, ხოლო პირველი მოსწავლეები იყვნენ: გედეონ ერემიშვილი, ტატიანა, ბენია, გერვასი საღრიშვილები, კლიმენტი მსხილაძე. სკოლამ მრავალი დაქირავებული სახლი მოიარა. 1928 წელს კი, შეიძინა მუდმივი ბინა. აღნიშნული სკოლა შემდგომ გადაკეთდა რვანლიან სკოლად. მისთვის აშენდა ახალი კაპიტალური სასწავლო კორპუსი, რომლის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: ნინა მუჯანაძე, დავით მალლაკელიძე, ნიკოლოზ მამასახლისი, კირიონ მალლაკელიძე, ნათელა ცხადაძე, მერაბ ლორთქიფანიძე, შოთა ბაღდავაძე, ნარგიზა ჩახუნაშვილი.

როგორც ითქვა სოფელ დიხაშხოში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა 1986 წელს, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გულიკო გაბუნია, ნინო უროტაძე, მანანა გაბუნია.

საბავშვო ბაღი განთავსებულია ტიპიურ ორსართულიან შენობაში, რომელიც აიგო დიხაშხოსა და ისრითის საზღვარზე მოსახლეობის საურველების გათვალისწინებით.

სოფელ დიხაშხოდან უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღეს და პირველი კურდამთავრებულები იყვნენ: იოსებ შენგელია, ისაია ვაშაყმაძე და გოგი ლორთქიფანიძე.

1943 წელს სოფელში გაიხსნა ამბულატორია, რომლის ექიმად ისაია ვაშაყმაძე მუშაობდა, ამ პერიოდში სოფელში იხსნება აფთიაქი, სადაც მხოლოდ მცირე რაოდენობის მზა პრეპარატები იყიდებოდა. 70-იან წლებში კი, აშენდა ტიპიური კაპიტალური აფთიაქი, სადაც პროვიზორად ელგუჯა საღრიშვილი მუშაობდა.

## მდინარე სულორი სოფლის სიმდიდრე და სილამაზე

მდინარე სულორი, რომელიც სათავეს იღებს მესხეთ-ჯავახეთის ქედიდან, გაივლის სოფლებს: სულორს, დიხაშხოს, სალხინოს, ვანსა და უერთდება მდინარე რიონს. იგი მთის მდინარეთა რიცხვს მიეკუთვნება, იკვებება წყაროსა და მთაში თოვლის დნობით წარმოშობილი წყლებიდან. იგი სუფთა და ანკარაა, სოფელ სულორში ჩამოსვლამდე სასმელადაც კი გამოიყენება. მდინარეში სხვადასხვა ჯიშის თევზების სახეობიდან განსაკუთრებულია კალმახი.

მდინარე სულორი თავის ხეობაში ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება ზაფხულის პერიოდში ადგილობრივი და ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრებისათვის.

ყველაზე მეტი ხალხმრავლობა მდინარეზე შეიმჩნევა ზაფხულობით ჰიდროელექტროსადგურის სათაო ნაგებობასთან – კაშხალთან.

### რწმენა უფლისა ზეობს სოფელში

რელიგიის ისტორია კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია მთელი მისი შეგნებული და შეუცნობელი ცხოვრების გზაზე. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ანგრევდნენ ეკლესიებს – ტაძრებს, ხელყოფდნენ კულტურის ფასდაუდებელ ძეგლებს,

დღეისათვის ჩვენთან მართლმადიდებლური რელიგიისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, რაც ჩვენი სულიერი მესაჭის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II-ის დამსახურებაა. ქართულ ტაძრებში, ვანის ტერიტორიაზეც, კვლავ აღდგა უფლისადმი სამსახური და ისევ აგუგუნდა მღუმარე ზარები.

ეგზარხოსობის დროს 1819-1917 წლებში სოფელ დიხაშხოში მოქმედებდა ორი ტაძარი:

1. დიხაშხოს წმინდა სამების – 1870 წლიდან – ნაგები ქვით
2. ისრითის წმინდა გიორგის – 1894 წლიდან – ნაგები ქვით.

დიხაშხოს წმინდა სამების ეკლესია ემსხვერპლა დროთა დინებას.

სოფელ დიხაშხოში დღესდღეობით ორი მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარია. სოფელ ისრითში და სოფელ დიხაშხოში მოქმედებაშია ახალაგებული დედათა მონასტერიც.

სოფელ ისრითში მდინარე სულორის მარცხენა ნაპირზე დგას უძველესი ეკლესიის ერთნავიანი შენობა, რომელსაც მოსახლეობა „ლაბაჯოურის წმინდა გიორგის“ ეძახის. იგი გამოიკვლია და საფუძვლიანად შეისწავლა არქეოლოგმა, პროფესორმა გურამ ყიფიანმა.

პროფესორ გურამ ყიფიანის გამოკვლევის მიხედვით ეკლესიის შენობა XIV-XV საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. მისი კვლევა გამოქვეყნებულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეში“ – №4.

დღეისათვის სოფელ დიხაშხოში მცხოვრები ოთხი მოძღვარი უძღვება რაიონის სხვადასხვა სოფლებში სასულიერო ცხოვრებას:

1. სოფელი შუამთა – მამა კონსტანტინე(გაბუნია)
2. სოფელი ტობანიერი – მამა ანდრია(პაიკიძე)
3. სოფელი სულორი – მამა დამიანე(ხელაძე)
4. სოფელი საპრასია – მამა დანიელი(პაიკიძე)

### სოფლის ღირსეული მამულიშვილები

სოფელ დიხაშხოს ბევრი ღირსეული მამულიშვილი ჰყავდა და დღესაც ბევრი ადამიანი იღვწის ქვეყნისა და ხალხის სამსახურში სხვადასხვა სფეროების მიხედვით:

1. გრიგოლ ლორთქიფანიძე – დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს თავდაცვისა და განათლების მინისტრი.

2. შალვა მაღლაკელიძე – 1918-1922 წლებში ახალციხე-ახალქალაქის მაზრების უფროსი, ქუთაისის მაზრის უფროსი, თბილისის მაზრის უფროსი და შემდეგ თბილისის გენერალ-გუბერნატორი, გერმანიის ვერმახტის გენერალი.

3. კირილე ლორთქიფანიძე – (თერგდალეული), საზოგადო მოღვაწე.
4. ნიკა აგიაშვილი – მწერალი, საზოგადო მოღვაწე.
5. ალექსანდრე მაღლაკელიძე – საზოგადო მოღვაწე.

6. ვლადიმერ ჟღერია – პოეტი.
7. იროდიონ ერემეიშვილი – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
8. სიკო ლორთქიფანიძე – ყოფილი სამხედრო ინჟინერი.
9. აკაკი ვერულაშვილი – ყოფილი კომკავშირელი და პარტიული მუშაკი.
10. ალექსანდრე გოგორიშვილი – ბანკის მმართველი.
11. ჯენერი კაპატაძე – მაღალი რანგის ყოფილი სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა მუშაკი.
12. გერმანე მაღლაკელიძე – წლების მანძილზე ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი.
13. ვალერიან მამასახლისი – სოციალისტური შრომის გმირი.
14. ტარიელ გაბუნია – პროკურორი.
15. ვახტანგ გაბუნია – პროკურორი.
16. მურმან ერემეიშვილი – პროფესორი. ქიმიკოსი – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.
17. მერაბ ერემეიშვილი – პროფესორი. ექიმი.
18. შოთა მჟავანაძე – პროფესორი. მათემატიკოსი.
19. უჩა დვალისძე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი-პროფესორი.
20. ბაჩო დვალისძე – დოცენტი. მათემატიკოსი
21. თემურ პაიკიძე – დოცენტი.
22. ქრისტინე ჭოხონელიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
23. გოგი ლორთქიფანიძე – დოცენტი. ექიმი, ქუთაისის სამშობიარო სახლის დამაარსებელი.
24. ზაზა ხურციძე – ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

### **დინამიკური დიდ სამამულო ომში**

სოფელ დინამიკიდან დიდ სამამულო ომში წავიდა 306 მეზობელი, აქედან დაიღუპა 169, ოჯახს დაუბრუნდა 137, აქედან ინვალიდი – 28.

დიდი სამამულო ომის ოფიცრები გახდნენ:

1. ვლადიმერ სევასტის ძე ერემეიშვილი – უფროსი ლეიტენანტი.
2. საულ ივლიანეს ძე კაპატაძე – უმცროსი ლეიტენანტი.
3. ანაპოლისტე ბესარიონის ძე ლორთქიფანიძე – უფროსი ლეიტენანტი.
4. გიორგი კალისტრატეს ძე ლორთქიფანიძე – მაიორი.
5. ილია ისიდორეს ძე მაღლაკელიძე – უფროსი ლეიტენანტი.
6. დავით დომენტის ძე მაღლაკელიძე – უფროსი ლეიტენანტი.
7. შოთა გრიგოლის ძე მაღლაკელიძე – კაპიტანი.
8. აკაკი სიმონის ძე მჟავანაძე – ლეიტენანტი.
9. არდალიონ გიორგის ძე საღრიშვილი – უფროსი ლეიტენანტი.
10. გიორგი პეტრეს ძე საღრიშვილი – ლეიტენანტი.
11. გიორგი ნიკოლოზის ძე თოფაძე – უმცროსი ლეიტენანტი.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. თორნიკე ეფრემიძე – მოგონებები, ნარკვევები, ესეები.
2. ომარ კაპანაძე – „მონოგრაფია. ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“.
3. გურამ ყიფიანის „ლაბაჯაურის წმინდა გიორგის ეკლესია“. „მატიანე“ – „ვანის რაიონის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებული №4
4. ომარ კაპანაძე – „დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფლების მიხედვით“ – „მატიანე“ №8
5. შიო გიორგაძე – ვანი და ვანელები.
6. ბადრი სვანაძე – ვანი ოქრომრავალი ქვეყანა ტ. I .
7. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები.
8. რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის საარქივო მასალები
9. ისრითის საშუალო სკოლის პედაგოგების ჩანაწერები სკოლის ისტორიის შესახებ.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

**მადლობას უხდის:**

– გულწრფელი მადლობა ბიზნესმენსა და მეცენატს ბატონ, ზაურ თათვიძეს წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

---

**სარედაქციო კოლეჯია:**

**გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

**თეიმურაზ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

**თეიმურაზ ადგიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

**ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**უჩა დვალისხილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლუკა დვალისხილი** – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

**ქრისტინე მეძველია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ქუთაისის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი

**ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**